

კათარინების კვალიფიკაციის განვითარების
უმცირესობის ინსტიტუტი

**Кутаисский зональный институт повышения
квалификации педагогов**
Kutaisi Regional Teacher Training Institute



I საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია

I Международная научно-методическая конференция
The first international scientific-methodical conference

განათლებისა და მეცნიერების მაღალი
ხარისხის მიზანისას

Высокие интеллектуальные технологии образования и науки

High Intellectual Technologies in Education and Science

შრომები
ТРУДЫ
PROCEEDINGS

ქათათ
Кутаиси

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი

Kutaisi Regional Teacher Training Institute

რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია

The republican scientific-methodical conference

ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში

Innovations and Traditions in Modern Education

II

შრომები
PROCEEDINGS

ქუთაისი
Kutaisi
2014

თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები

- ⊕ **ლ. ალანია**
მოსწავლეთა მოტივაცია და მისი ამაღლების სტრატეგიები
- ⊕ **თ. მურდულია**
თანამედროვე ინოვაციური განათლების სისტემები
- ⊕ **ც. ნამჩევაძე, ი. გობიანი**
სწავლების არატრადიციული ვორმა
- ⊕ **ს. უჩანევიშვილი**
სწავლა, სწავლება – შეფასების მთლილები
- ⊕ **მ. ქარქაშაძე**
მიმღებული და პრაქტიკული ცოდნის ურთიერთკავშირი საბანმანათლებლო საქმიანობაში

06ვორმაციული ტექნოლოგიები სასტაციო-აღმზრდელობით პროცესში

- ⊕ **ლ. გავაშელაშვილი**
06ვორმაციული ქიმიის ალბორიტებები
- ⊕ **გ. დეგანოძე**
06ვორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება გუნებისმეტყველებაში
- ⊕ **ც. მარგველაშვილი**
„ISP“ (**In-System Programming**) პროგრამირების გამოყენების უაირატესობა ოპირენტის სიცრცეულად აღმის პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების პროცესში.
- ⊕ **ც. მარგველაშვილი**
მხედველობითი ილუზიების შექმნის საკითხები
- ⊕ **ც. ნამჩევაძე, გ. ლობჟნიძე**
ახალი ტექნოლოგიების გამოყენება სწავლების პროცესში
- ⊕ **ნ. ონიანი-სალინაძე**
საინიტიაციო საზოგადოებრივის ბანკითარების კონცეპცია

დაწყებითი სკოლა: პროგლემები და პერსპექტივები

- ⊕ **მ. აბულაძე**
მიმღებულის დღიურების ეფექტურობა
- ⊕ **თ. ადეიოშვილი**
გეგრზე გეგრი
- ⊕ **ე. ბრეგაძე**
კითხვის სწავლება I კლასში თანამედროვე მოდელების გამოყენებით
- ⊕ **გ. ზიგზიგაძე-ნიკოლეიშვილი**
აგზ-ის მლეანერული სკოლის I კლასში მათემატიკის ბაკვეთილის ჩატარების ორგანიზაციის ასამშტებელი
- ⊕ **მ. ქარქაშაძე**
აზროვნების ვორმების განვითარება სწავლების დაწყებით საფეხურზე

პუმანიტარული და სოციალური ღისციალინების მიღწევები და სრაგლების ფექნოლოგიები

- ⊕ ი. დავითიშვილი
მოსწავლეთა ზეაირი და რერითი მეტყველების ბანკითარების ზოგადი გზები
- ⊕ მ. ხელელიძე
კომუნიკაციური ბარემო და კომუნიკაციის სფეროები

მათემატიკურ და საგუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიღწევები და სრაგლების ფექნოლოგიები

- ⊕ ა. ზივზივაძე-ნიკოლეიშვილი
საქართველოში მათემატიკის სრაგლების ისტორიის მოკლე მიმოხილვა და დღევანდელი მიმართულებები
- ⊕ ბ. ჟორჟოლიანი
მსოფლიო და ეთიკური პარამეტრები მათემატიკის სრაგლებაში
- ⊕ 3. პურცელაძე
კრивая роста дерева
- ⊕ დ. დარჯანიძა
ლაბორატორიული მეცანიერებები სასწავლო-აღმზრდელობის პროცესში
- ⊕ ე. კიკალიშვილი, ნ. შალამბერიძე-ხაბურზანია
დელოგალური უსაფრთხოების უზრუნველყოფა და აზოტმშავას მოლებულაში
- ⊕ გ. მეგრელიშვილი
ექსპერიმენტის მნიშვნელობა კიბის სრაგლებაში
- ⊕ ნ. მეგრელიშვილი
ინდოლური ნაერთების გამოყენება მედიცინაში
- ⊕ კ. კუპრაშვილი, ნ. შალამბერიძე-ხაბურძანია
ნაკრიტიკების მოქმედების ნეირომიგრაციი მექანიზმი და ბიონარკოტიკები – როგორც იაზვასიანი ხელმისაწვდომი „ნაბავი“
- ⊕ მ. სირაძე
ყოველი სიბრალები და ცხოველთა ქცევა
- ⊕ ნ. დვინიანიძე
როგორ ჩაგატაროთ გაპვეთილი თემაზე: „პატჩერიები და ლურჯ-მყვანე წყალმცენარეები X კლასში“
- ⊕ ქ. ჩიქვინიძე, ნ. ლაჭავა
გიორგიბიური ტესტების შედგენის პრიციპები
- ⊕ მ. ჩხარტიშვილი, ნ. კიკალიშვილი
მანგანულის მნიშვნელობა ცოცხალი რებანიზაციისთვის
- ⊕ ნ. ჯულაყიძე, ნ. მარგველაშვილი
ადამიანის ორგანიზმის საკუთარი ვალები

CONTENTS

Modern pedagogical technologies

- ⊕ **Alania L.**
Student motivation and Strategies for increasing
- ⊕ **Murgulia T.**
Modern Innovative Systems of Education
- ⊕ **Namchevadze Ts., Gobiani I.**
Teaching non-traditional form
- ⊕ **Uchaneishvili S.**
Learning, Teaching, Assessment Methods
- ⊕ **Karkashadze M.**
Theoretical and practical knowledge of the relationship between the educational activities

Informational technologies in teaching and educational process

- ⊕ **Gavashelashvili L.**
Internet-search algorithms
- ⊕ **Dekanoidze M.**
Information and communication technologies for use in Natural Science
- ⊕ **Margvelashvili Ts.**
„ISP“ (In-System Programing) programming the use of the advantages of object spatial perception of the software development process
- ⊕ **Margvelashvili Ts.**
Creation of visual illusions
- ⊕ **Namchevadze Ts., Lobzhanidze G.**
Application of New Technologies in the Process of Teaching
- ⊕ **Oniani-Saginadze N.**
Information Society Development Concept

Elementary School, Problems and Prospects

- ⊕ **Abuladze M.**
The effectiveness of the messaging blog
- ⊕ **Adeishvili T.**
More than many
- ⊕ **Bregadze E.**
Teaching reading with the use of modern models in first class
- ⊕ **Zivzividze-Nikoleishvili M.**
Organizational aspects of math teaching in the first grade of USA elementary school
- ⊕ **Karkashadze M.**
Thought forms of teaching at the primary level

Disciplines in the humanities and social achievements and Learning Technologies

- ⊕ **Davitishvili I.**
Students' oral and written speech development of roads
- ⊕ **Khvedelidze M.**
Communicational environment and fields

Mathematical and Natural Sciences Achievements and Learning Technologies

- ⊕ **Zivzivadze-Nikoleishvili M.**
Brief overview of math teaching history and its present directions
- ⊕ **Zhorzhiani N.**
Aesthetic and ethical parameters of Mathematics Teaching
- ⊕ **Purtseladze Z.**
The growth curve of the tree
- ⊕ **Darjania D.**
Laboratory exercises in the learning process
- ⊕ **Kikalishvili M., Shalamberidze-Khaburdzania N.**
Delocalised π Bonds in Nitric Acid Molecule
- ⊕ **Megrelishvili N.**
The chemical experiment to study chemistry
- ⊕ **Megrelishvili N.**
Indole compounds in medicine
- ⊕ **Kuprashvili Kh., Shalamberidze-Xaburdzania N.**
Neo-Chemical Mechanism Of Drug Effect And Bio-Narcotics -- As The Cheap Acceptable „Rubbish“
- ⊕ **Siradze M.**
Olfactory signals and animal behavior
- ⊕ **Gvinianidze N.**
How to conduct a lesson on the topic `Bacteria and bluish-green water plants~ in X grade
- ⊕ **Chikvinidze K., Gachava N.**
Principles of composing the test in biology
- ⊕ **Chkhartishvili N., Kikalishvili M.**
Biological aspects of manganese
- ⊕ **Julakidze N., Margvelashvili N.**
Human own fields

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

ლია ალანია

მოსწავლეთა მოტივაცია და მისი ამაღლების სტრატეგიები

მოტივაცია, არა მარტო სწავლების პროცესს, არამედ წესის მიერ აქტივობას უდევს საფუძვლად. მოტივაცია გულისხმობს ისეთი ფაქტორებისა და სიტუაციის შექმნას, რომელიც მოსწავლეს შემატებს სწავლის ხალისხა და უნარს. ამიტომაც მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს სხვადასხვა სტრატეგიები, რაც გაზრდის მოსწავლეთა შინაგან და გარეგან მოტივაციას. სტატიაში განხილულია მოტივაციის როლი სწავლა-აღზრდის პროცესში, მოყვანილია მაგალითები მხოლოდ სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებიდან. აუცილებელია თითოეული მასწავლებელი გაცემის დაგროვილ მასალას და მიუხდავოს ის საკუთარი სკოლის სიტუაციებს. თანამედროვე სამყაროს ჭირდება მოტივირებული და წარმატებული ადამიანები, რომელთა ჩამოყალიბება სწორედ რომ მოტივირებული და პროფესიონალი მასწავლებლის შრომის შედეგად მიიღება.

მოტივაცია ერთ-ერთი ყველაზე აქტიურად გამოყენებული და მნიშვნელოვანი ტერმინია თანამედროვე პედაგოგიურ ფინანსურის მიერ. ის მოიცავს მოსწავლის ქმედებისა და ქცევის განმაპირობებელ ფაქტორებს, რომლებიც მას შიდა (ემოციები, გრძნობები, განცდები...) და გარე (გარემო) სტიმულებზე საპასუხო რეაქციისაკენ უბიძებენ. საზოგადოდ, ადამიანის ქმედება მეტწილად მიზნის მიღწევით მოტივირებული და მას განსაზღვრული მოტივები უდევს საფუძვლად. აქედან გამომდინარე, მოტივაცია შეიძლება განიმარტოს, როგორც სასურველი მიზნის მიღწევისაკენ მიმართული პროცესი.

პედაგოგიურ ფინანსურის მიერ მოტივაციის განსაკუთრებული უკრადდება ეთმობა სწავლის მოტივაციას და მის განმაპირობებელ ფაქტორებს. როგორც პედაგოგის, ასევე მოსწავლის მიერ, აღნიშნული საკითხის სიღრმისეულად გააზრება გადამწყვეტ როლს ასრულებს მოსწავლეთა მომავალ წარმატებაში.

სწავლის მოტივაცია სხვადასხვა კომპონენტისაგან შედგება. განვიხილავთ რამდენიმე მნიშვნელოვან შიდაპიროვნეულ ფაქტორს, რომლებიც სწავლის მოტივაციას განაპირობებს: ადამიანი ბუნებით ცნობისმოყვარება. ის გამუდმებით ექცევს ახალ გამოცდილებას, თავსატეს, ცდილობს, გადაჭრას ახალ-ახალი პრობლემები და ა.შ., რის შედეგადაც მას ისეთი უნარები და კომპეტენციები უკითხდება, რომლებიც ხელს უწევს გარემოსთან ადაპტაციასა და შინაგანი წონასწორობის დამყარებაში. სწავლა-სწავლება ყველაზე ეფექტურია მაშინ, როდესაც იგი მოსწავლის ინტერესებისაკენ არის მიმართული.

მასწავლებლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, მოსწავლებს გაუდვივოს ცნობისმოყვარეობა შესასწავლი საგნის მიმართ. ცნობისმოყვარეობა შინაგანი მოტივაციის განმაპირობებელი ფაქტორია და ამდენად, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სწავლა-სწავლების პროცესში. ის გონიერად მიმართავს ასიურობიდან აქტიურობისაკენ, ახალი იდეების აღმოჩენისა და პიროვნების წარმოდგენისაკენ, ახალი მოვლენებისა და ფაქტების შემეცნებისაკენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცნობისმოყვარეობა მოსწავლეს კვლევა-ძიებისაკენ უბიძებეს. სასურველია, მასწავლებელმა მოსწავლეებს ცნობისმოყვარეობა აღმდრას ნაცნობი გამოცდილების კონტექსტში, გამოიყენოს ისეთი სტიმულები, რომლებიც არ იქნება მათოვის სრულიად უცხო. საჭიროა ბალანსის დაცვა მოსწავლის უკვე არსებულ კოგნიტურ სქემასა და ახალი დავალების სირთულეს შორის – წინაღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა მოსწავლემ დაუძლეველად მიიჩნიოს ამოცანა და პასიურ მდგომარეობაში გადავიდეს.

მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეებს ცნობისმოყვარეობა აღუძრას: პრაქტიკული მნიშვნელობის ინფორმაციის მიწოდებით; რეალური ფაქტის გაცნობამდე, მასში წარმოდგენილ პრობლემურ სიტუაციაზე მსჯელობით; ვარაუდის გამოთქმაზე ორიენტირებული კითხვების დასმით; ახალი, უცნობი ფაქტებით; რაციონალური და ემოციური ფაქტორების თანხვედრით; მხატვრული ლიტერატურისა და ცხოვრებისეული მაგალითების გამოყენებით; აუდიო- და ვიზუალური მასალით; მოკლე ისტორიული ექსპურსით და ა.შ.

სწავლისადმი პოზიტიური განწყობის შესაქმნელად, მნიშვნელოვანი მოტივია თვითრწმენა. იმისათვის, რათა მოსწავლე აქტიურად ჩაერთოს სასწავლო პროცესში, ის დარწმუნებული უნდა იყოს საკუთარ შესაძლებლობებში და ეჭვი არ უნდა ეპარებოდეს დასასული მიზნის მიღწევაში.

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“
წარმატების მიღწევა მისწავლებს – საზოგადოდ ადამიანს ხშირად აღუძრავს სურვილს, აღმოჩნდეს მსგავს მდგრადი მომსახური, რაც თავისთავად იქცევა შინაგანი მოტივაციის განმაპირობებელ ფაქტორად.

როგორ განვუმტკიცოთ მოსწავლეებს თვითორწმენა? ამისათვის მასწავლებელი უნდა ფლობდეს ინფორმაციას მოსწავლეების ცოდნის დონისა და კომპეტენციების, სასწავლო პროცესისათვის ხელსაყრელი თუ არასასურველი რწმენის შესახებ. მას შეუძლია ისეთი აქტივობების დაგეგმვა, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ნებატიური რწმენის პოზიტიურით შეცვლას. საწყის ეტაპზე, სასურველია, მასწავლებელმა მათ ისეთი დაგალებები მისცეს, რომლებსაც იოლად დაძლევებ – ეს უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ წარმატების განცდას. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია შესრულებული საქმიანობის აღქვატურად შეფასება, მისი პოზიტიური მხარის აღიარება და საჭიროების შემთხვევაში – კონსტრუქციული შენიშვნების მიცემა. სასწავლო პროცესი, რომელიც დაუუძნებულია ეფექტურ უკუკავშირზე, მოსწავლეს აგრძნობინებს საკუთარ პროგრესს და წარმატებას, თანდათანობითი სტიმულირება კი ხელს შეუწყობს მას, ობიექტურად შეაფასოს საკუთარი შესაძლებლობები და განიმტკიცოს თვითორწმენა. თვითორწმენის განმტკიცება უშუალოდ უკავშირდება კომპეტენციების განვითარებას, რისი მიღწევაც შესაძლებელია მოსწავლეთა ინტერესებისა და ასაკორივი განვითარების შესაბამისი დაგალებებისა და სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით. ამგვარი სასწავლო გარემო ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ სხვადასხვაგვარი გამოცდილების მიღებას. განვითარებული კომპეტენციები კი შემდგომ თავად იქცევა წამასალისებელ ფაქტორად და თვითორწმენის განმტკიცების საფუძვლად.

რა არის დამოკიდებულება? – დამოკიდებულება შეიძლება განიმარტოს, როგორც ადამიანის მიერ მოვლენების, ფაქტების, იდეების, პიროვნებების და ა.შ. პოზიტიური, ან ნეგატიური შეფასება. ის დამოკიდებულია გარე საშეაროს ინდივიდუალურ აღქმაზე და მომდინარეობს ადამიანის ფიქრებიდან, ემოციებიდან, გრძნობებიდან და გამოცდილებიდან. პირადი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას უმთავრესად განაპირობებს ის გარემო, საზოგადოება, რელიგია, კულტურა და ტრადიცია, რომელ შიც ადამიანი იზრდება და ვთორდება. აქვე უნდა ითქვას, რომ დამოკიდებულების შეცვლაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თანამედროვე, სწრაფად ცვალებადი გარემო, სადაც ღირებულებების, კულტურული და საზოგადოებრივი ნორმების შეფასება-გადაფასება სულ უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს. სკოლა, ოჯახი, საზოგადოება, საინფორმაციო საშუალებები და სხვა, გამუდმებით ცვილობები, შეცვალონ ადამიანის ფიქრები, ემოციები და განცდები ამა თუ იმ საკითხისა თუ მოვლენის მიმართ. აი, ამ რთულ ინფორმაციულ გარემოში მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა შეასრულოს გზამკვლევის როლი მოსწავლეთა პოზიტიური დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში. ვიდრე უშუალოდ სწავლის მიმართ მოსწავლის დამოკიდებულების განხილვას შევუდგებოდეთ, გავეცნოთ მის შემადგენელ კომპონენტებს, რომელთა გააზრებაც მასწავლებელს საშუალებას მისცემს, ადექვატურად დაგეგმოს და გამოიყენოს შესაბამისი სტრატეგიები მოსწავლის პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოსაყალიბებლად.

დამოკიდებულება შედგება სამი ძირითადი კომპონენტისაგან:

1. აფექტური კომპონენტი მოიცავს ადამიანის ემოციურ რეაქციას კონკრეტული ობიექტების მიმართ. ის გამომდინარეობს ადამიანის ემოციური გამოცდილებიდან. ასეთი დამოკიდებულება ლოგიკური აზროვნების შედეგი კი არ არის, არამედ ადამიანის შინაგანი მიმართებების, გრძნობებისა და განცდების გამოხატულება;
2. ქცევითი კომპონენტი კონკრეტულ ქმედებებში აისახება. მოსწავლემ არ იცის, მისაღებია თუ არა მისთვის კონკრეტული ქცევა, სანამ თავად არ გამოსცდის მას პრაქტიკაში. ასეთი დამოკიდებულება უშებესად საკუთარ, ან სხვების ქმედებებზე დაკვირვების შედეგად ყალიბდება;
3. კოგნიტური კომპონენტი ეფუძნება რაციონალურ გამოცდილებასა და ფაქტებს. ასეთი დამოკიდებულება საშუალებას ადამიანს, მოვლენები, პიროვნებები, ფაქტები თუ მოსაზრებები შეაფასოს ლოგიკაზე დაყრდნობით, არსებული გამოცდილების საფუძველზე.

მნიშვნელოვანია ასევე, მასწავლებელმა იცოდეს, რომ მოსწავლეთა დამოკიდებულება გარკვეული საკითხების მიმართ და მათი ქცევა ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. მაგალითად, ის, რომ მოსწავლე უშებესად მომზადებული მოდის გაკვეთილზე, შესაძლოა სულაც არ ნიშნავდეს, რომ მას პოზიტიური დამოკიდებულება აქვს სწავლის მიმართ. შესაძლოა, მისი ეს ქმედება სულ სხვა მოტივით იქოს განპირობებული. მაგალითად, დასჯის შიშით, ან/და საჩუქრის მიღების მოლოდინით.

პედაგოგთა ქვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“
მასწავლებლის მთავარი ამოცანა კი ის არის, რომ მოსწავლეთა მოტივაცია მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისა და განვითარებისაკენ მიმართოს.

როგორ განვსაზღვროთ მოსწავლეთა დამოკიდებულება და როგორ შევწყოთ ხელი სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას?

ამისათვის:

- ✓ უნდა შევქმნათ მოსწავლეებისათვის უსაფრთხო სასწავლო გარემო;
- ✓ შევიტანოთ ურთიერთობაში მეტი სიცხადე და სიზუსტე;
- ✓ გამოიყენოთ ეფექტური კომუნიკაცია, როგორც ნდობის ჩამოყალიბების ინსტრუმენტი;
- ✓ მივცეთ მოსწავლეებს აზრის გამოთქმის საშუალება;
- ✓ გამოვხატოთ პატივისცემა მოსწავლეთა მიერ გამოთქმული მოსაზრებებისა და იდების მიმართ;
- ✓ შევეცადოთ განვსაზღვროთ, დამოკიდებულების რომელი კომპონენტი უდევს საფუძვლად მოსწავლის შეხედულებას;
- ✓ ინდივიდუალური შესაძლებლობებიდან და პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, აქტიურად ჩაერთოთ მოსწავლე სასწავლო პროცესში და დავინახოთ საკუთარი მიზნებისას;
- ✓ მივცეთ მოსწავლეებს საშუალება, მსჯელობითა და დისკუსიებით თავად განსაზღვრონ პირადი დამოკიდებულება სწავლის მიმართ; გაიაზრონ არსებული დამოკიდებულების გამომწვევი მიზეზები და ფაქტორები;
- ✓ ვიმსჯელოთ იმის შესახებ, როგორ დაეხმარებათ პოზიტიური დამოკიდებულება სასწავლო ამოცანების დაძლევასა და მათ მომავალ წარმატებაში;
- ✓ ვიმსჯელოთ, რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ნებატიურმა დამოკიდებულებამ მათ განვითარებასა და მომავალზე;
- ✓ წაგახალისოთ მოსწავლეები თვითრწმენის განმტკიცების მიზნით.

მოთხოვნილებები. მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები შესაძლოა ერთმანეთისგან მეტად განსხვავებული იყოს. ამის შესახებ ყველაზე ცნობილ კლასიფიკაციას გვთავაზობს ამერიკელი ფსიქოლოგი აბრაჰამ მასლოუ. იგი ადამიანის მოთხოვნილებათა ხუთ კატეგორიას გამოყოფს: 1. ბიოლოგიური (კვების, წეურვილის დაკმაყოფილების, ძილის) მოთხოვნილებები; 2. უსაფრთხოების (სტაბილურობის, დაცულობის განცდის) მოთხოვნილება; 3. კუთვნილებისა და სიყვარულის (ოჯახის, გუნდის, ურთიერთობების, ემათიის) მოთხოვნილება; 4. საკუთარი თავის მიმართ პატივისცემისა და აღიარების (ამა თუ იმ სტატუსის ფლობის, წარმატების, რეპუტაციის მოპოვების) მოთხოვნილება.

მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიულ მოდელს ბიოლოგიური, ანუ საბაზისო მოთხოვნილებები ყველაზე დაბალ საფეხურზე განიხილება, ხოლო პიროვნების განვითარებისა და საკუთარი თავის რეალიზაციის მოთხოვნილებები – ყველაზე მაღალ საფეხურზე. განათლების მიზნები ორიენტირებულია უფრო მაღალი მოთხოვნილებების ფორმირებით უცილებლობად გადაქცევაზე. მოსწავლეებს ისეთი უნარები და დამოკიდებულებები უნდა ჩამოუყალიბდეთ, როგორიც არის გუნდურად მუშაობის უნარი, სოციალური აზროვნება, სხვისი აზრის მოსმენა და გაზიარება, თვითრეალიზება და ა. შ.

რა მიზნებისა აქვს მოსწავლეთა მოთხოვნილებების დადგენას სწავლის მოტივაციისათვის?

ეფექტური სწავლება დამოკიდებულია მოსწავლეთა მოტივაციის დონეზე. მასლოუს იერარქიის მიხედვით, სწავლის მოთხოვნილების განმსაზღვრელი შეიძლება იყოს განსხვავებული დონის მოტივაცია. მაგალითისათვის მივუბრუნდეთ ზემოთ განხილულ სიტუაციას, რომელიც სწავლის მიმართ მოსწავლის დამოკიდებულებას ეხებოდა. მოსწავლის მიერ დავალების კარგად შესრულება შესაძლოა განპირობებული იყოს: დასჯის შიშით, საჩქრის მიღების დაპირებით, აღიარების მოთხოვნილებით, ინტერესით და სხვა. მასწავლებელმა ეფექტური და შედეგზე თრიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვისათვის უნდა შეძლოს მოსწავლეთა საჭიროებებისა და მოთხოვნილების დაგენერაცია. განსაზღვროს, იერარქიის რომელ საფეხურზეა მოსწავლე და რა მოტივები უდევს საფუძვლად სწავლას. შედეგად, მან უნდა შეიმუშავოს ადექტურული სტრატეგიები, რითაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას და მათი მოტივაციის ამაღლებას.

როგორც განხილული ფაქტორებიდან ჩანს, მოტივაციის წყაროები მრავალფეროვანია და თითოეული მათგანი გადამწყვეტ როლს ასრულებს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებასა და მათ წარმატებაში. თუ გვხურს, ხელი შევუწყოთ მოსწავლეთა სწავლის უნარის განვითარებას, ამისათვის აუცილებელია მოტივაციის პრინციპების გააზრება და სასწავლო პროგრამების შედგენისას, ასევე –

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

უშუალოდ სასწავლო პროცესში მათი გათვალისწინება. ეს საშუალებას მოგვცემს, მოსწავლეთა ფსიქოლოგიურ საჭიროებებზე დაყრდნობით, შევქმნათ ეფექტური და შემოქმედებითი სასწავლო გარემო და უზრუნველყოთ სასწავლო პროცესში თითოეული მოსწავლის აქტიური და ხალისანი ჩართვა. მოტივაცია ერთ-ერთი კველაზე ხშირად გამოკვლეული ფაქტორია, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს სწავლის შედეგების გაუმჯობესებაში. მრავალი თეორია ცდილობს, ახსნას მოტივაციის გამომწვევი მიზეზები და გააანალიზოს ის სხვადასხვა ფაქტორთან მიმართებაში. მოტივაციის გამომწვევი ერთი მიზეზის დადგენის შეუძლებლობა ადამიანთა ბუნების მრავალგვარობაშია. კლასში მოსწავლეები სოციალური და კულტურული კონტექსტით, გამოცდილებით, რწმენით, საჭიროებებით, უნარებით განსხვავდებიან. ეს კი განსაზღვრავს იმ ფაქტორების მრავალსახეობას, რაც მათი მოტივაციის ამაღლებაზე მოქმედებს. მრავალი აკლევით დადასტურებულია, რომ მხოლოდ მაღალი მოტივაციის პირობებშია შესაძლებელი მოსწავლის მიერ მაღალი აკადემიური მოსწრების მიღწევა. შესაბამისად, კიდევ ერთხელ უნდა დავფიქრდეთ იმაზე, თუ რა შეიძლება იყოს ის, რაც მოსწავლის მოტივაციას გაუწენს. უარავი დისციპლინათშორისი თეორია ცდილობს, ახსნას ის ფაქტორები, რომლებიც მოტივაციის ზრდას იწვევს. აქ რამდენიმე მათგანს შევეხებით.

ატრიბუციის თეორია უურადღებას ამახვილებს იმ წარმოდგენებზე, რომლებიც ადამიანებს მაშინ უჩნდებათ, როდესაც ამა თუ იმ მოვლენას, შედეგს, რაიმე კონკრეტულ ფენომენს უკავშირებენ. მაგალითად, გამოცდის ჩაბარება დაკავშირებულია გამართლებასთან, მოსწავლის დაბალი აკადემიური მიღწევები – სიზარმაცესთან... როდესაც ერთი მოსწავლე, მეორე მოსწავლის მაღალ აკადემიურ მოსწრებას მის დიდ მცდელობას უკავშირებს, შესაძლოა ამან მის მოტივაციაზე დადგებითად იმოქმედოს. უკეთ შემთხვევაში, ეს მოსწავლეებში ადრეაგს გარკვეულ ქმოციას, რამაც შესაძლოა იმოქმედოს მათ მოტივაციაზე. აკადემიურ კონტექსტში მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა სწორად წარმართოს მოსწავლის ემოცია, მისი მიღწევა დაუკავშიროს არა იღბალს, არამედ მცდელობას, დაბალი აკადემიური მიღწევა კი კონკრეტული უნარების უქონლობით არ ახსნას.

მოლოდინების თეორიის თანახმად, წარმატების მიღწევის მოტივაციას, მეტწილად განსაზღვრავს – საზოგადოების მხრიდან წარმატების მოლოდინი. ის სტუდენტები ან მოსწავლეები, რომელთა მიმართ არსებობს მაღალი აკადემიური მიღწევების მოლოდინი, სასწავლო პროცესში აღწევენ კიდევ წარმატებას იმ სტუდენტებთან და მოსწავლეებთან შედარებით, რომელთა მიმართაც ასეთი მოლოდინი არ არსებობს.

სოციალური დასწავლისა და მიზნის მიღწევის თეორიაში – აქცენტი ექთდება ადამიანის ბუნებაზე – ისტავლის დაკვირვებით. მთავარ კონცეპტუალურ ჩარჩოს წარმოადგენს ის, რომ ადამიანები და გარემო ერთმანეთზე ზეგავლენას ახდენენ. მოსწავლე სწავლობს მასწავლებელზე დაკვირვებით, ასევე თანატოლებზე დაკვირვებით. მოსწავლე მოტივირებულია, თუ არტიკულირებულია კონკრეტული მიზნებით, რომლებსაც მასწავლებელი მასთან შეთანხმების საფუძველზე დასახავს. ამის მიღწევა მოსწავლისა და მასწავლებლის ჯანსაღი ურთიერთობის საფუძველზეა შესაძლებელი. გასათვალისწინებელია, რომ მოსწავლის მიერ მიზნების დასახვა არ ხდება მასწავლებელთან, თანატოლებთან, თუ მშობლებთან ინტერაქციის გარეშე.

თვით-ეფექტურობის თეორიისათვის ცენტრალური თემაა ინდივიდის რწმენა საპუთარი ეფექტურობისა. შესაბამისად, მისი მოტივაცია დამოკიდებულია წარმატების მიღწევის შესაძლებლობების აღქმაზე. მოსწავლეებში საკუთარი შესაძლებლობების რწმენის გაზინდებულია ისეთი აქტივობების განხორციელებით, რომლებიც მოითხოვს კრიტიკულ აზროვნებას, პრობლემების გადაჭრას და სხვა. ამ თეორიებს აერთიანებს მასწავლებლის როლის მნიშვნელობა მოსწავლის მოტივაციის ამაღლების საკითხები. ატრიბუციის თეორია ხასს უსვამს მასწავლებლის მხრიდან მუდმივი უპუავშირის მიცემას, მიღწევების კონტროლს და მათ სწორ ატრიბუციას.

მოლოდინების თეორია მოტივაციის ამაღლების ფაქტორად განსაზღვრავს მასწავლებლის და თანატოლების მოლოდინის მნიშვნელობას მოსწავლის აკადემიური მიღწევებისათვის. მიზნის მიღწევის თეორია უურადღებას ამახვილებს მასწავლებლის მიერ ნათელი და არტიკულირებული მიზნების დასახვაზე, რომლის მიღწევის მოტივაციაც უზნდება მოსწავლეს. სოციალური დასწავლის თეორიაში მოსწავლე სწავლობს მასწავლებელზე დაკვირვებით, მის მოტივაციაზე გავლენას ახდენს მასწავლებელი, როგორც მოდელი, ასევე თანატოლი და სასწავლო გარემო. მოსწავლის მოტივაცია მაღალია, თუ მას საკუთარი თავის უფექტურობის რწმენა აქვს, რომელსაც უკითარებს მასწავლებელი

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

(ოჯახთან ერთად). ამ და სხვა თეორიებზე დაყრდნობით, უნდა ვაღიაროთ მასწავლებლისა და სასწავლო გარემოს როლი აკადემიური წარმატების მისაღწევად, მოსწავლის მოტივაციის ჩამოყალიბებაში. მრავალ კალებაში ხაზგასმულია – სასწავლო პროცესში მასწავლებლის და მოსწავლის დამოკიდებულების მნიშვნელობა. მოსწავლეები, რომლებსაც აქვთ მასწავლებლის მხარდაჭერის განცდა, უფრო მიდრევილი არიან მაღალი აკადემიური მოსწრებისა და წარმატებისაკენ; მოსწავლეები, რომლებსაც მოსწონთ მასწავლებელი, უფრო კარგად სწავლობენ კონკრეტულ საგანს; მოსწავლეები, რომლებიც გრძნობენ მასწავლებლის მხრიდან პატივისცემას, უფრო ჩართული არიან საგაკეთოლო პროცესის მსვლელობაში და სხვა.

მოტივაცია არის სტიმული, ქმედება, წახალისება, ძალა, რომელიც იწვევს მოსწავლის სურვილს, იმოქმედოს – ისტავლოს, მიაღწიოს შედეგს. ამ მიმართულებით სპეციალური ლიტერატურა განიხილავს ფაქტორთა ერთობლიობას, რაც კომპლექსურად ახდენს გავლენას მოტივაციის ამაღლებაზე. ზემოთ ნახსენები თეორიების მტკიცებულებები რამდენიმე მსხვილ ფაქტორად შეიძლება დაჯგუფდეს, სადაც მოტივაციის ამაღლების საჯითხში მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ თავად მოსწავლეს, მასწავლებელს, შინაარსსა და გარემოს. მოკლედ შევქმნოთ თითოეულ მათგანს და განვხაზღვროთ იმ სტრატეგიების ნაწილი, რომლებმაც შესაძლოა, მოტივაცია აუმაღლოს მოსწავლეებს.

მოსწავლის ფაქტორი. მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ მოსწავლეები სკოლაში მოდიან სხვადასხვა სოციალური, თუ კულტურული კონტექსტიდან, მათ აქვთ გარევეული გამოცდილებები, სურვილები, მოთხოვნები და მოლოდინები. დასავლეური სკოლა განასხვავებს გარეგან და შინაგან მოტივაციებს. მნიშვნელოვანია, გავიაზროთ ორივე ტიპის მოტივაციის როლი და ეფექტი. გარეგანი მოტივაციის შემთხვევაში, მოსწავლე მიმართულია წახალისების მიღებისაკენ, შინაგანი მოტივაციის დროს, კი წახალისების, აღიარების ფაქტორი მინიმუმდებად დაყვანილი და ფოკუსირება ხდება ცნობისმოყვარეობაზე, გამოწვევებზე, სოციალურ ინტერაქციაზე. მაშინ, როდესაც სასწავლო პროცესში მოტივაციის ნაკლებობა შეიმჩნევა, აუცილებელია, განისაზღვროს ის სტრატეგიები, რომლებიც მოსწავლეს შინაგან და გარეგან მოტივაციას აღუძრავს. მოსწავლეთა გარეგან თუ შინაგან მოტივაციაზე გავლენას ახდენს ის სოციალური გარემო, საიდანაც ისინი მოდიან, ასევე – გარემო, სადაც უწევთ ყოფნა; მაგალითად, რამდენად ხელმისაწვდომია მათთვის სასწავლო მასალა, როგორ სკოლაში დადიან, როგორია ოჯახის შემოსავალი, კონკრეტულ სფეროში დასაქმების სურვილი, მასწავლებელთან, მშობლებთან და თანატოლებთან ურთიერთობის ფორმა და ხარისხი. მოსწავლის მოტივაციაზე ასევე გავლენას ახდენს, თუ რამდენად ჩართულია იგი საგაკეთოლო პროცესის დაგეგმვასა და მსვლელობაში. გრძელვადიანი საგაკეთოლო პროცესის გაცნობამ, მიზნების ნათლად დასახვამ შესაძლოა მოსწავლეებს მნიშვნელოვნად აუმაღლოს მოტივაცია დასახული მიზნის მისაღწევად.

გასწავლებლის ფაქტორი. შესაძლებელია, მოსწავლეებში მოტივაციის აღმძვრელი იყოს მასწავლებლის მიერ კონკრეტული საგნის მაღალ დონეზე ფლობა. მოსწავლეს აქვს მოლოდინი, რომ საგაკეთოლო პროცესის დროს ის მოისმენს რადაც ახალს, მიიღებს პასუხს კითხებზე. ის უნდა ხედავდეს მასწავლებლის მოტივაციას – გადასცეს მას ახალი ცოდნა.

მოსწავლეს მოტივაციას აღუძრავს ისეთ საგაკეთოლო პროცესში მონაწილეობა, სადაც მასწავლებელი მშვიდად (და არა სტრესულად) წარმართავს სასწავლო პროცესს, იზიარებს მოსწავლეთა შეხედულებებს, არ განასხვავებს დაბალი და მაღალი აკადემიური მოსწრების ქმონე მოსწავლეებს, არ მიუთითებს შეცდომებზე. საგაკეთოლო პროცესის წარმართვის დროს სასურველია, მასწავლებელმა გამოიყენოს სხვადასხვა ტექნიკა: თამაშები, სიტუაციური ანალიზი, ანეგდოტები, სადაც ჩართული იქნება თანაბრად უკელა მოსწავლე.

მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელს ხშირად სტირდება მოსწავლის შეფასება, მნიშვნელოვანია, ამ პროცესმა არ გამოიწვიოს სტრესი და მოტივაციის კლება. სასურველია, შეფასება არ ეფუძნებოდეს მხოლოდ ტესტირებას და ის ატარებდეს განმავითარებელ ხასიათს. თუ მოსწავლეებს ნათლად მიეწოდებათ შეფასების მიზანი, უცოდინებათ ის კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც ფასდებიან, ისინი ნაკლებად სტრესულია და მიქამავება ამ პროცესს. მოსწავლემ უნდა გაიაზროს, რომ ტესტირების დღე არ არის გადამწყვეტი მის ცხოვრებაში და შესაბამისად, მხოლოდ ამ დღეზე არ უნდა იყოს კონცენტრირებული. მასწავლებელი მუდამ ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის კურადღების მიპყრობაზე, რაც შესაძლებელია მისი ინტერესების გათვალისწინებით, ცნობისმოყვარეობის

პედაგოგთა ქვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

გადვივებით, საგაკვეთილო პროცესში მისი ძლიერი მხარეების გამოყენებით. მოსწავლის მოტივირებისათვის აუცილებელია ენთუზიაზმით სავსე მასწავლებელი.

შინაარსის ფაქტორი. უკვეარეშეა, რომ საგაკვეთილო პროცესის მიმართ, მოსწავლის მოტივაციას აძლევს ის შინაარსი, რომლის მიწოდებასაც ვცდილობთ. თქმა, რომელიც მას მიეწოდება, უნდა იყოს გასაგებად გადმოცემული, დროული და მისი ინტერესების შესაბამისი. მასწავლებლის უპირველესი ამოცანაა, მოახდინოს სასწავლო მასალის შინაარსისა და მოსწავლის ინტერესების თანხვედრა. მოტივაციისათვის მნიშვნელოვანია, მოსწავლეს პერიოდის არჩევანის შესაძლებლობა, რომელ მოსწავლესთან ერთად შეასრულოს ჯგუფური სამუშაო, რომელი წიგნი წაიკითხოს, როგორი ფორმით წარმოადგინოს დავალება და სხვა. მოსწავლის მოტივაციაზე შესაძლოა დადგებითად იმოქმედოს შინაარსთან მიმართებაში არჩევანის არსებობა. შემოქმედებითობის და კრიტიკული აზროვნების განვითარებისკენ მიმართული სტრატეგიები იწვევს მოსწავლის ცნობისმოყვარეობის გადვივებას, კითხვების დასმას, კვლევას, ცხოვრებისეულ მოვლენებთან თეორიის დაკავშირებას. პრობლემები, რომელთა გადაჭრაც მოეთხოვება მოსწავლეს, შესაძლოა ზოგადსაკაცობრიო საკითხებს უკავშირდებოდეს. ამ შემთხვევაში, ის მეტი პასუხისმგებლობით მიუდგება კვლევას. მოსწავლეს ყოველთვის სურს, იპოვოს, ამოხსნას – შესაბამისად, მოტივაცია, მიაღწიოს დასახულ მიზანს – მაღალია.

სასწავლო გარემოს ფაქტორი. მიუხედავად იმისა, რომ გარემოზე საუბრისას, პირველ რიგში, სკოლის, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულების, სასწავლო პროცესისათვის ინფრასტრუქტურული მზაობა გვახსენდება, ამაზე აქ არ შეგნერდებით. აქცენტს უფრო საგაკვეთილო პროცესის გარემოზე გავაკეთებთ, რაშიც მასწავლებელს უდიდესი წვლილი მიუძღვის. მოსწავლის მოტივაციის ასამაღლებლად საჭიროა წახალისება, მაგალითად, სკოლის ცხოვრებაში მისი ჩართვის გზით. მაღალი აკადემიური მოსწრებისათვის ის გარევეულ პოზიციას დაიკავებს კლასისა თუ სკოლის მართვაში. მასწავლებელმა უნდა შექმნას თანამშრომლობითი გარემო, სადაც მოსწავლეები აკეთებენ ერთობლივ პროექტებს, ერთობლივად ასრულებენ დავალებებს. საგაკვეთილო პროცესში შესაძლებელია მრავლად იყოს გამოყენებული მაგალითები ყოველდღიური ცხოვრებიდან, ვინაიდან ითვლება, რომ საგაკვეთილო პროცესში ისტორიების ჩართვას შეუძლია მოსწავლეთა ყურადღების მოზიდვა და შესაბამისად, მოტივაციის ამაღლება. მოსწავლე მოტივირებულია, თუ მან ზუსტად იცის, რა მოლოდინი აქვს მასწავლებელს, რა არის მისი მიზანი და შეფასების ობიექტური კრიტერიუმი. შესაბამისად, მოსწავლე მოტივირებულია, მიაღწიოს მიზანს და მიიღოს ამისთვის შექმნა. და ბოლოს, მხარდაჭერისაგან მიმართული საგაკვეთილო გარემო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანები ფატორია, რომელიც მოსწავლის მოტივაციის ზრდას უზრუნველყოფს. მოსწავლე მუდმივად იღებს უკუკავშირს მასწავლებლისაგან და მისთვის ტესტირების, ან გამოცდის დღე არ არის წარმატების/წარუმატებლობის განმსაზღვრელი.

მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების სტრატეგიები:

1. უნდა გავამდიდროთ სასწავლო პროცესი – ამის მიღწევა შესაძლებელია დამატებითი, კლასგარეშე აქტივობებით, მრავალფეროვანი სასწავლო მასალებით და სწავლების ახალი მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენებით. ამით სასწავლო პროცესი მოსწავლისათვის უფრო სახალისო და საინტერესო გახდება;
2. ვცადოთ, გავაქტიუროთ მოსწავლეები – მათთვის გაცილებით ბუნებრივია საგაკვეთილო პროცესში აქტიურად ჩართვა და მონაწილეობა, ვიდრე მშვიდად ჯდომა და მოსმენა. ამისათვის უნდა ჩავატაროთ დისკუსიები, ჯგუფური მუშაობები, პრეზენტაციები, როლური თამაშები, საგანმანათლებლო ექსკურსიები და სხვა. თუმცა, ჩამოთვლილ სტრატეგიებს უნდა შეუწიოთ დრო, თორემ არ ექნება მოსალოდნელი ეფექტი;
3. ჩავრთოთ მოსწავლეები ცოდნის შეფასების ინსტრუმენტების მომზადებაში – ეს აქტივობა გულისხმობს მოსწავლეთა ჩართვას სემესტრული ტექსტების, კონკრეტულ თემასთან დაკავშირებული სავარჯიშოების, კროსევორდების, სიტუაციური ამოცანების მომზადების პროცესში. ეს არა მხოლოდ გაზრდის მათ მოტივაციის, არამედ მასალის ათვისებაშიც შეუწყობს ხელს;
4. გამოვიყენოთ განსხვავებული სირთულის დავალებები – კარგი იქნება, თუ ერთსა და იმავე თემაზე მოსწავლეებს სხვადასხვა სირთულის დავალებებსა თუ აქტივობებს შევთავაზებთ. ეს დაგვეხმარება, მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებასა და მათი მოტივაციის ამაღლებაში;

პედაგოგთა ევალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

5. გამოვიყენოთ უნიშნო აქტივობები – ამგვარი დაგალებების დროს მოსწავლის ყურადღება შედეგიდან პირდაპირ პროცესზე გადაერთვება;
6. შეცდომები სწავლის საუკეთესო საშუალება – კლასში უნდა შეგქმნათ ისეთი გარემო, რომელშიც მოსწავლეებს ნებატიური შეფასების, კრიტიკის და შეცდომის დაშვების შიში არ ექნებათ. შეცდომები უნდა ვაქციოთ მოსწავლისათვის უკეთესი შედეგებისკენ სწრაფვის დასაწყისად;
7. მივაწოდოთ მოსწავლეების დადგებითი უკუკავშირი – ამისათვის შეგვიძლია გამოვიყენოთ ე.წ. „1+2“ შეფასება. „1+2“ ისეთი შეფასებაა, სადაც „1“ შენიშვნაა, რჩევა, რომელიც მოსწავლემ უნდა გაითვალისწინოს, ხოლო „2“ – პოზიტიური კომენტარი. ეს შეფასება შეგვიძლია შევცვალოთ სურვილისამებრ, თუმცა, სასურველია, დაგივიათ პროპორცია პოზიტიურ და ნეგატიურ შენიშვნებთან მიმართებაში;
8. თავი ავარიდოთ მხოლოდ ნიშნის დაწერას – ნაშრომის შესწორებას და ნიშნის დაწერას პარალელურად უნდა დაგურთოთ კომენტარი – კონკრეტულად, რის გამო დააკლდა მას ნიშანი, რა მოგეწონათ და რაზე უნდა გაამახვილოს მოსწავლემ უკურადღება. კომენტარი, რომელიც ერთვის ნიშანს, უნდა იყოს ვრცელი და ამომწურავი;
9. არასოდეს გააკრიტიკოთ მოსწავლე საჯაროდ – საჯარო კრიტიკა ნეგატიურ გავლენას ახდენს მოსწავლის თვითშეფასებასა და მოტივაციაზე. ასევე, ამგვარი მიდგომა აქვეითებს მოსწავლის ნდობასა და პატივისცემას მასწავლებლის მიმართ;
10. უნდა ვიყოთ მიუკერძოებელი – მასწავლებელი ჩვეულებრივი ადამიანია თავისი სიმპათიებით, შეხედულებებითა და მოწონებით. მაგრამ უნდა ვეცადოთ, რომ მაქსიმალურად გამოვრიცხოთ სუბიექტივიზმის გამოვლენის შემთხვევები სწავლის პროცესში და მოსწავლეებთან პირად ურთიერთობებში;
11. ტესტირებისას უნდა გამოვიყენოთ სხვადასხვა ტიპის შეკითხვები – ტესტი ისე უნდა იყოს შედეგნილი, რომ დაცული იყოს ბალანსი დია დაბოლოებიან და დახურულ შეკითხვებს შორის. ამგვარად შედეგნილი ტესტი არ მიანიჭებს უპირატესობას რომელიმე კონკრეტულ მოსწავლეს და კლასის შეფასების უფრო აღექმნაში იქნება;
12. სათანადო ყურადღება უნდა დაგუთმოთ მოსწავლეთა თითოეულ ნაშრომს – საჭიროა მოსწავლეთა ნაშრომებს, მათ განხილვასა და შეფასებას სათანადო ყურადღება დაგუთმოთ. ზერელ დამოკიდებულების შემთხვევაში, მოსწავლე დამოტივირებული ხდება;
13. ჩავრთოთ მოსწავლე საკლასო გადაწყვეტილებების მიღებაში – მოსწავლეთა მონაწილეობა საკლასო ნორმების, შეფასების კომპონენტების შემუშავებაში. შესასწავლ საკითხთა თანმიმდევრობების დადგენაში და სხვა. მნიშვნელოვნად აამაღლებს მათ მოტივაციას და ხელს შეუწყობს მათი მხრიდან ამ შეთანხმების შესრულებას;
14. შემოვიდოთ „პრობლემებისა და წინადაღებების ყეთი“ – ეს მეთოდი მისცემს მოსწავლეებს საკუთარი აზრის, მოსახრების, შეფასების ანონიმურად წარმოდგენის საშუალებას. თუმცა ამ მეთოდის გამოყენებისას უნდა გავითვალისწინოთ:
 - დეტალურად ავეხსნათ მოსწავლეებს ყეთის არსი და მისი გამოყენების მიზანი
 - შევიტუშაოთ მოსწავლეთა წინადაღებების წარმოდგენის გარემოებით ფორმატი. კონკრეტული ტიპის ინფორმაციის მითითება საგალდებულო უნდა იყოს. წინადაღმდეგ შემთხვევაში, ეს მეთოდი არ იქნება ეფექტური
 - მასწავლებელმა სისტემატიურად უნდა განიხილოს შემთხვევის წინადაღებები.
15. ყველა მოსწავლეს შეუძლია ისტავლოს და იყოს წარმატებული – საგაკვეთილო პროცესში და მოსწავლეებთან ურთიერთობისას უნდა იკვეთებოდეს მასწავლებლის ამგვარი დამოკიდებულება.

ლიტერატურა – References

1. რობერტ ჯ. მარზანო, დებრა ჯ. ფიქრინგი, ჯეინ ი. ფოლოქი – „ეფექტური სწავლება“, თბ. 2009წ
2. 6. ჯანაშია, 6. იმედაძე, ს. გორგოძე, განვითარებისა და სწავლების თეორიები, 2008წ
3. დ. უზნაძე, ბაგრატის ფსიქოლოგია, 1967წ
4. სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია. დ. უზნაძის შრომები. ტ. 5, თბილისი, მეცნიერება.
5. ეროვნული სასწავლო გეგმა

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

- Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“
6. <http://mastsavlebeli.ge>, ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი“
7. Husman, J., & Lens, W. (1999). The role of the future in student motivation. Educational Psychologist, 34(2), 113-125

Alania L.

Student motivation and Strategies for increasing

Summary

Not only learning process but any activities are based on motivation. Motivation means creating such factors and situations which increases enjoyment and skill of learning. So, teachers should use different strategies that increase students motivation of learning. There is a discussion of the role of motivation in learning process. There are some examples of experience from different countries. It is necessary for each teacher to get to know the accumulated materials and use them in the right way in school situation. Our modern world needs motivation and successful people who are formed by the result of motivated and professional teachers' work .

ერთის წმიდა ნიკოლოზის სახელობის ს/ს სერღა
Poti St. Nicholas School

პედაგოგთა ევალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

თეორებულია

თანამედროვე ინოვაციური ბანათლების სისტემები

ინოვაცია ლათინური წარმომავლობის ტერმინია და სიახლის შემოტანას ან სიახლეში შესვლას ნიშნავს. ჩვენს შემთხვევაში, მისი მთავარი მახასიათებელია სკოლის ან უმაღლესი სასწავლებლის განვითარებაში უკვე ჩამოყალიბებულ ტრადიციებსა და მასობრივ პრაქტიკასთან შედარებით, ახალი საწყისების შემოტანა.

ისტორიულ პლანში სიახლის მასშტაბი (მოცულობა) ყოველთვის შედარებითია. სიახლე კონკრეტულ-ისტორიული ხასიათისაა, ანუ იგი შეიძლება წარმოშვას „თავის დროზე“ აღრე, თანდათან იქცეს ნორმად ან აქტუალობა დაკარგოს და მოვევლდეს. სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის განვითარებაში ან მთელს საგანმანათლებლო სისტემაში გათვალისწინებული უნდა იყოს:

- აბსოლუტური სიახლე, რომელსაც ანალოგი ან პროტოტიპი არ მოექცევა;
- შედარებითი სიახლე;
- ფსევდოსიახლე (ორიგინალურობა), გამომგონებლობითი წერილმანები.

თანამედროვე მხრივით აერთიანებს პლანშტატის მოქალაქეების აღზრდაზე ზრუნვა. ინტენსიურად ვითარდება საურთაშორისო საგანმანათლებლო სივრცე. ამიტომ, საერთაშორისო საზოგადოებრივი ცდილობს შექმნას ადამიანის განათლების გლობალური სტრატეგია, მისი საცხოვრებელი ადგილისა და განათლებულობის დონის მუშევრებად.

დღეს საუნივერსიტეტო განათლება პოლიკური ურული განათლების ნიშნებს იძენს. იგი ავითარებს იმის უნარს, რომ ადამიანმა შეძლოს მოვლენების შეფასება სხვა ადამიანის პოზიციიდან. ეს სხვა ადამიანი შეიძლება განსხვავებული პულტურისა და სოციალურ-ეკონომიკური ცორმაციის წარმომადგენელი იყოს.

ინოვაცია ლათინური წარმომავლობის ტერმინია და სიახლის შემოტანას, ან სიახლეში შესვლას ნიშნავს. ჩვენს შემთხვევაში მისი მთავარი მახასიათებელია სკოლის ან უმაღლესი სასწავლებლის განვითარებაში უკვე ჩამოყალიბებულ ტრადიციებსა და მასობრივ პრაქტიკასთან შედარებით ახალი საწყისების შემოტანა. დღეს ინოვაციამ განათლების სისტემის ყველა მიმართულება მოიცვა: 1. სწავლების მიზნები, მეთოდები, ორგანიზაციის ფორმები და მართვა; 2. სასწავლო-შემქენებითი პროცესის ორგანიზაცია და პედაგოგიური საქმიანობა 3. კონტროლის სისტემა და განათლებულობის დონის შეფასება; 4. სასწავლო-მეთოდური უზრუნველყოფა; 5. დაფინანსება; 6. აღმზრდელობითი საქმიანობა; 7. სასწავლო გეგმები და პროგრამები; 8. მასწავლებლისა და მოსწავლის მოქმედიანობა.

ისტორიულ პლანში სიახლის მასშტაბი (მოცულობა) ყოველთვის შედარებითია. სიახლე კონკრეტულ-ისტორიული ხასიათისაა, ანუ იგი შეიძლება წარმოშვას „თავის დროზე“ აღრე, თანდათან იქცეს ნორმად ან აქტუალობა დაკარგოს და მოვევლდეს. სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის განვითარებაში ან მთელს საგანმანათლებლო სისტემაში გათვალისწინებული უნდა იყოს:

- აბსოლუტური სიახლე, რომელსაც ანალოგი ან პროტოტიპი არ მოექცევა;
- შედარებითი სიახლე;
- ფსევდოსიახლე (ორიგინალურობა), გამომგონებლობითი წერილმანები.

ახალშემოღებული მიმართებები სკოლასა და უმაღლეს სასწავლებლებში ჯგუფდება სხვადასხვა საფუძველზე. პირველი კლასიფიკაცია ეფუძნება ახლის შეთანაწყობას პედაგოგიურ პროცესთან, რომელიც მოცემულ მომენტში ხორციელდება. ამ მხრივ, გამოყოფებ შემდეგი სახის ახალ მიღვომებს:

- განათლების მიზნებსა და შინაარსში;
- პედაგოგიური პროცესის მეთოდების, საშუალებებში, ხერხებში, ტექნოლოგიებში;
- სწავლებისა და აღზრდის ორგანიზაციის ფორმებსა და საშუალებებში;
- ადამიისტრაციის, პედაგოგებისა და მოსწავლეთა მოქმედიანობაში.

მეორე კლასიფიკაცია დაკავშირებულია სიახლის შემოტანის მასშტაბების გამოყენების ნიშნებთან. აქ გამოიყოფა შემდეგი გარდაქმნები:

- ლოკალური და ცალკეული, რომლებიც დაკავშირებული არ არის ერთმანეთთან;
- კომპლექსური, ერთმანეთთან დაკავშირებული;

პედაგოგთა ქვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

➤ სისტემატური, რომელიც მთელ სკოლას ან უმაღლეს სასწავლებელს მოიცავს.

მესამე კლასიფიკაცია ხორციელდება ინოვაციური პოტენციალის ნიშნით. ამ შემთხვევაში გამოიყოფა:

- ცნობილისა და მიღებულის მოდიფიკაცია, რაც დაკავშირებულია სრულყოფასთან, რაციონალიზაციასთან, სახეცვლილებასთან (საგანმანათლებლო პროგრამაში, სასწავლო გეგმაში, სტრუქტურაში);
- კომბინატორული სიახლეები;
- რადიკალური გარდაქმნები.

მეოთხე კლასიფიკაცია ეფუძნება მის წინამორბედთან დამოკიდებულების ნიშნებს. ამგვარი მიღებისას სიახლეებს მიაჟოვონებენ შემცვლელ, უარმყოფელ, აღმომჩენ ან რეტროს ტიპის ცვლილებებს.

სკოლის ან უმაღლესი სასწავლებლის განახლების იდეის წყაროდ შეიძლება ჩაითვალოს:

- ქვეყნის, რეგიონის, ქალაქის, რაიონის მოთხოვნილება, როგორც სოციალური დაკვეთა;
- სოციალური დაკვეთის განხორციელება კანონებში, დირექტივებსა და ნორმატიულ დოკუმენტებში ფედერალურ, რეგიონალურ ან მუნიციპალურ დონეზე;
- მოწინავე პედაგოგიური გამოცდილება;
- საცდელ-ექსპერიმენტული მუშაობა;
- უცხოური გამოცდილება.

მსოფლიოში ყველაზე ცნობილი „ახალი სეიოლები“, ისეთები, როგორიც არის „თავისუფალი სასკოლო თემი“. (შეიქმნა გერმანიაში, ავტორები პ. ლიტცი და პ. გეხებომი). ეს არის სკოლა-ინტერნატი, რომლის ცხოვრების ორგანიზაცია იგება თავისუფალი განვითარების პრინციპზე და მცირე საზოგადოებრივი წარმოაქმნის წევრთა თანამშრომლობის საფუძველზე. სწავლება აქ ეფუძნებოდა აუცილებელ შრომით საქმიანობასა და სასწავლო მეცადინეობათა არჩევითობას.

სწავლების ორგანიზაცია ითვალისწინებდა საკურსო სისტემას, არ იყო სტაბილური სასწავლო გეგმები. ამ სკოლის მოსწავლეთა მეხუთედი უცხო ძველის მოქალაქეთა შვილები იყვნენ.

„შრომითი სკოლა“ პირველად შეიქმნა გერმანიაში, შვეიცარიაში, ავსტრიაში. რუსეთში ამ ტიპის სკოლას მიეკუთვნება მოსწავლეთა შრომითი კომუნები, რომელიც ა. მაკარენკომ ჩამოაყალიბა. საფრანგეთში ასეთი ტიპის სკოლა დე როშის სახელს უქავშირდება. ამ ტიპის სკოლები უზრუნველყოფნები მოსწავლეთა პროფესიულ მომზადებას და ნაწილობრივ ახორციელებდნენ სწავლების მწარმოებლურ შრომასთან შეერთების პედაგოგიურ პრინციპს.

„თავისუფალი აღზრდის“ სკოლა (ლაიფციგი) ეფუძნებოდა მოზარდის დამოუკიდებელი სოციალური ცხოვრებისათვის მომზადების პრინციპს. ამ სკოლის იდეოლოგიებს მიაჩნდათ, რომ მიზანშეწონილია მოსწავლეს ასწავლო ერთი რომელიმე საგანი და რაიმე სელება, რაც საკმარისია მისი დამოუკიდებელი სოციალური ცხოვრებისათვის. „თავისუფალი აღზრდის“ სკოლის საქმიანობა მიმართული იყო მოსწავლის აზროვნების განვითარებაზე. აქ ცდილობდნენ ჩაერთოთ ბავშვი შემეცნებით პროცესებში: დაკვირვების, გაანგარიშება-გაზომვების, ძიების, აზრის გამოხატვისა და ასოციაციების გამოყენების პროცესებში.

➤ „ქმნადობის სკოლა“ (დამარსებელი ჯ. დიუი) მიისწავლებოდა იქითქნენ, რომ სწავლების პროცესი დაახლოებოდა ცხოვრებასა და ბავშვების გამოცდილებას, ხელს უწყობდა მათ ბუნებრივ განვითარებას.

➤ „ლაბორატორიული სკოლა“ (ჯ. დიუი), „თამაშის სკოლა“ (კ. პრატი) მიმართული იყო ბავშვის აქტივობის რაციონალურ პედაგოგიურ მართვაზე. მათი მუშაობა ეფუძნებოდა თამაშის დიდაქტიკურ პოტენციალისა და სწავლების პროცესში დრამატიზაციის გამოყენებას.

➤ „საბავშვო სკოლა“ (მ. ნაუმბერგი) ხელმძღვანელობდა პრინციპით: ბავშვი უნიკალური ინდივიდია და უპირატესობას ანიჭებდა ინდივიდუალურ მეცადინეობებს.

➤ „ორგანული სკოლა“ (მ. ჯონსონი) ორიენტირებული იყო ჯგუფურ მეცადინეობებზე.

➤ გალდორფის სკოლა (რ. შტაინერი) მიზნად ისახავს ბავშვის ეოველმხრივ განვითარებას ინტენსიური სულიერი მოქმედიანობის საფუძველზე. სკოლა ორიენტირებულია სოციალური სამყაროდან გამოცალებებასა და სრულ ავტონომიაზე. სწავლების პროცესი ეფუძნება თვითმმართველობას. ამ მიზნით იქმნება საბჭო, რომელშიც შედიან მასწავლებლები, მოსწავლეები, მათი მშობლები და სკოლის მეგობრები. სწავლების პროცესში ჩართული არიან მშობლებიც. შეფასებისას გათვალისწინებულია მხოლოდ შესაფასებელი მოსწავლის ინდივიდუალური

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

წარმატებები.

ამ სკოლის საქმიანობის მთავარი მიმართულებაა ემოციურ-ესთეტიკური განვითარების ახალი ფორმების ძიება.

„ლია სკოლები“ გაჩნდა დიდ ბრიტანეთში 1970 წელს. ამ სკოლებში ამკვიდრებდნენ სწავლების ინდივიდუალურ შინაარსს, რაც ფაქტობრივად სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე უარის თქმას ნიშნავდა. ეს ასევე იყო საკლასო-საგაკვეთილო სისტემაზე ხელის აღება. ასეთ პირობებში სრულიად უსარგებლო ხდებოდა შეფასების სისტემა და კონტროლის სხვა მექანიზმები.

ასეთ სკოლებში გაპევთილების ტრადიციული ცხრილი არ არის და მეცადინეობების მოქნილი რიტმი არ ხებობს. მასწავლებელი და მოსწავლე ერთობლივად გეგმავენ შესასწავლ თემებსა და სხვა-დასხვა სახის სასწავლო მოქმედიანობის შესრულების ვადებს. ასეთმა მუშაობამ მიიღო სახელწოდება – „ინტეგრირებული დღე“. ამ ტიპის სკოლებში სწავლების ძირითადი ფორმაა აღმოჩნის ხერხები. ასეთ კლასებში გაერთიანებულ ბავშვთა ასაკში შეიძლება იყოს ორწლიანი განსხვავება. მსგავსი სკოლები, როგორც წესი, კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებად ითვლება.

„ლია სტავლების“ იდეა რეალიზებული იქნა მთელ რიგ ექსპერიმენტებში: „ქალაქი როგორც სკოლა“ (ბერლინი), სანკტ-პეტერბურგი, 1990-იანი წლები), „თოვლისა და საზღვაო კლასები“ (საფრანგეთი), „სკოლა კედლების გარეშე“ (დიდი ბრიტანეთი, აშშ), „არაგრაფირებული სკოლები“ (აშშ), ეს ისეთი სასწავლო დაწესებულებებია, სადაც ე.წ. კლასების წლიური დაყოფა არ ხდება.

თანამედროვე უმაღლეს სკოლაში.

თანამედროვე მსოფლიოს აერთიანებს პლანეტის მოქალაქის აღზრდაზე ზრუნვა. ინტენსიურად ვითარდება საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცე. ამიტომ, საერთაშორისო საზოგადოებრიობა ცდილობს შექმნას ადამიანის განათლების გლობალური სტრატეგია მისი საცხოვრებელი აღგილისა და განათლებულობის დონის მიუხედავად.

დღეს საუნივერსიტეტო განათლება პოლიკულტურული განათლების ნიშნებს იძნეს. იგი ავითარებს იმის უნარს, რომ ადამიანმა შეძლოს მოვლენების შეფასება სხვა ადამიანის პოზიციიდან. ეს სხვა ადამიანი შეიძლება განსხვავებული კულტურისა და სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის წარმომადგენელი იყოს.

მსოფლიოში შეიმჩნევა სხვადასხვა ტიპის უმაღლესი სასწავლებლების ინტეგრაციის ტენდენციები სამეცნიერო-საგანმანათლებლო მეგაპოლისებში; ეს მეგაპოლისები შეიძლება იყოს კონტინენტალური, რეგიონალური და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისა.

ბევრ ქვეყანაში შეინიშნება უნივერსიტეტების გაერთიანება სამრეწველო კომპლექსებთან. ასე იქმნება თანამედროვე წარმოების უნიკალური სპეციალისტების მოსამადებელი ბაზები.

როგორია დღევანდებულ საუნივერსიტეტო განათლების სისტემაში ინოვაციები? მაგალითად, რუსეთში უმაღლესი განათლების რეფორმირების პროცესი ხასიათდება ჩამოყალიბებულ ტრადიციებსა და სიახლეთა შორის ოპტიმალური თანაფარდობის ძიებით, რაც დაკავშირებულია მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში შესვლის პროცესთან. ამ გზაზე შეინიშნება რიგი ტენდენციებისა.

პირველი დაკავშირებულია მრავალდონიანი სისტემის განვითარებასთან რუსეთის ბევრ უნივერსიტეტში. ამ სისტემის უპირატესობა ის არის, რომ უმაღლესი განათლების მრავალდონიანობა უზრუნველყოფს სწავლების ტემატიკის მობილურობასა და მომავალი პროფესიის არჩევის საიმედობას. აქ სტუდენტებს უკალიბდებათ იმის უნარი, რომ უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის ბაზაზე აითვისონ ახალი სპეციალობები.

მეორე ტენდენცია არის უმაღლესი სასწავლებლების ორიენტაცია თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებზე, ინტერნეტში ფართო ჩართულობაზე და სტავლების დისტანციური ფორმების განვითარებაზე.

მესამე ტენდენციაა უმაღლესი განათლების უნივერსიტეტიზაცია და უმაღლესი სასწავლებლების ქვეყნის წამყვანა და მსოფლიოს მოწინავე უნივერსიტეტებთან ინტეგრაცია.

მეორე ტენდენციაა (რუსეთის მაგალითზე) უმაღლესი სასწავლებლების გადაყვანა თვითდაფინანსებაზე.

თანამედროვე მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცე.

მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცე აერთიანებს სხვადასხვა ტიპის ნაციონალურ საგანმანათლებლო სისტემებს, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ფილოსოფიური და კულტურული ტრადიციებით, მიზნებითა და ამოცანებით, თავიანთი ხარისხობრივი

პედაგოგთა ქვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

შემადგენლობით. ამიტომ, მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემაზე შეიძლება ვილაპარაკოთ, როგორც ერთიან თრგანიზმზე, სადაც თითოეულ საგანმანათლებლო სისტემას აქვს გლობალური ტენდენციები და ამავე დროს ინარჩუნებს მრავალფეროვანებას.

მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემას ახასიათებს განსაზღვრული გლობალური ტენდენციები:

1. განათლების დემოკრატიული სისტემისაკენ სწრაფვა, ე. ი. განათლების ხელმისაწვდომობა მთელი მოსახლეობისათვის, მისი საფეხურებისა და დონეების მემკვიდრეობითობა, სასწავლო დაწესებულებებისათვის ავტონომიისა და დამოუკიდებლობის მინიჭება;
2. ყველა მსურველისათვის განათლების უფლების უზრუნველყოფა (ყველა ადამიანისათვის განათლების თანაბარი შესაძლებლობებისა და შანსების შექმნა, მიუხედავად მათი ეროვნული, რასობრივი, რელიგიური და სხვა მიკუთხნებულობისა);
3. სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების მნიშვნელოვანი გავლენა განათლების მიღებაზე (ცალკეული ეთნიკური უმცირესობების კულტურულ-საგანმანათლებლო მონოპოლია, სწავლების ფასიანი ფორმები, შოგინიზმისა და რასიზმის გამოვლინებები);
4. მოსწავლეთა მრავალმხრივი ინტერესების დაკმაყოფილებაზე მიმართული სასწავლო-ორგანიზაციული ღონისძიებების სპექტრის გაფართოება;
5. საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის ზრდა;
6. უმაღლესი განათლების ქსელის გაფართოება და ცვლილებები სტუდენტთა სოციალურ შემადგენლობაში;
7. განათლების მართვის სფეროში მკაცრ ცენტრალიზაციასა და სრულ ავტონომიას შორის კომპრომისების ძიება;
8. მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში განათლების დარგის თანდათან გადაქცევა დაფინანსების პრიორიტეტულ ობიექტად;
9. სასკოლო და უმაღლესი სასწავლებლების საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი განახლება და კორექტირება;
10. „საშუალო მოსწავლეზე“ ორიენტაციიდან თანდათან განსვლა და ძირითადი უურადღების მიმართვა ნიჭიერ ბავშვებზე, მათი უნარების განვითარების ხელშეწყობაზე;
11. განვითარების ნორმალური დონიდან გადახრის მქონე ბავშვების განათლებისათვის დამატებითი რესურსების ძიება; ინვალიდი ბავშვებისადმი საგანგებო უურადღების დათმობა.

მსოფლიო განათლება პოლიკულტურულია; მისთვის დამახასიათებელია სივრცეული (ტერიტორიული) და ორგანიზაციული სტრუქტურები. მსოფლიო განათლების პრობლემების გადაწყვეტაში სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება მსხვილ საერთაშორისო პროექტებსა და პროგრამებს, რამდენადაც ისინი მოითხოვენ მათს განხორციელებაში საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების მონაწილეობას.

მსხვილ საერთაშორისო პროექტებს განეკუთვნება:

- **ერამუში.** რომლის მიზანია ევროსაბჭოს ქვეყნების სტუდენტთა მობილობის უზრუნველყოფა (მაგალითად, მისი პროგრამა ითვალისწინებს, რომ სტუდენტთა 10%-მა სწავლების კურსი უნდა და გაიაროს ევროსაბჭოს სხვა წევრი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებელში);
- **ლინგვა** უცხოური ენების შესწავლის უფასებიანობის ამაღლების პროგრამაა. პროგრამის განხორციელება იწყება უმცროს კლასებში;
- **ევრიკა** არის პროექტი, რომელიც მოწოდებულია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან სამეცნიერო-კულტურული საქმიანობის კოორდინაციას შეუწყოს ხელი;
- **ესპრიტი** წარმოადგენს საერთო ევროპულ პროგრამას, რომელიც გულისხმობს ევროპული უნივერსიტეტების, სამეცნიერო-კულტურული ინსტიტუტების, კომპიუტერული ფირმების საერთო ძალისხმეულის გაძლიერებას ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების შექმნის მიზნით;
- **ეპდასი** არაბულ ქვეყნებში განათლების დაგეგმვისა და მართვის გაუმჯობესების პროგრამაა;
- **ტემპურა** არის საუნივერსიტეტო განათლების მობილურობისაკენ მიმართული საერთო ევროპული პროგრამა;
- **ირისი** არის პროექტთა სისტემა, რომელიც მიმართულია ქალთა პროფესიული განათლების შესაძლებლობათა კვლევაზე.

უკანასკნელ ათწლეულში წარმოშვა ინტერნაციონალური შინაარსის ახალი ორგანიზაციული სტრუქტურები: საერთაშორისო და დია უნივერსიტეტები. მსოფლიო განათლების პოლისტრუქტურა

პედაგოგთა ქვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“ საშუალებას იძლევა განხორციელდეს მეტაბლოკების, მაკრორეგიონებისა და ცალკეულ ქვეყნებში განათლების მდგომარეობის ანალიზი.

მსოფლიოში გამოყოფებული რეგიონთა ტიპებს საგანმანათლებლო სისტემების ურთიერთდახლეობისა და ურთიერთზეგავლენის ნიშნით.

პირველ ტიპს შეადგენები ის რეგიონები, რომლებიც ინტეგრაციული პროცესების გენერატორებს წარმოადგენებ. ასეთი რეგიონის მაგალითია დასავლეთი ევროპა. ერთიანობის იდეა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში 1990-იანი წლების ყველა საგანმანათლებლო რეფორმის ქადაგებით გახდა. „ევროპული იდენტურობისა“ და „მოქალაქეობისაქების“ დამკვიდრებისაკენ სწრაფვა განმტკიცებულია მთელი რიგი ევროპული პროექტებით, რომლებიც განათლებისა და კულტურის სფეროებში ხორციელდება: ეროვნული ლიტერატურის პოპულარიზაცია, უცხოური ენების სწავლება, ბიბლიოთეკების ქსელის გაფართოება და სხვ.

ევროპული ინტეგრაციული პროცესების მნიშვნელობის არეალი არ ამოიწურება მხოლოდ დასავლეთ ევროპის ტერიტორიით. ინტერნაციონალიზაციის გამოცდილება და იმპულსები პოზიტიურ ზეგავლენას ახდენს მსოფლიოს სხვა ნაწილებზეც.

პირველი ტიპის რეგიონებს მიეკუთვნებიან, აგრეთვე, აშშ და კანადა, თუმცა, მათი ინტერნაციონალური ძალისხმეული განათლების სფეროში, სხვაგვარ სიტუაციაში რეალიზდება.

მსოფლიოში ყალიბდება ახალი აზია-ტრიარი ოკეანის რეგიონი - ინტეგრაციული პროცესების ახალი გენერატორი. მასში შედიან შემდეგი ქვეყნები: კორიეს რესპუბლიკა, ტაივანი, სინგაპური და პონკონგი, აგრეთვე, მალაიზია, ტაილანდი, ფილიპინები და ინდონეზია. ამ ქვეყნებისათვის დამახასიათებელია სწავლებისა და კადრების მომზადებისადმი მაღალი მომთხოვნელობის სტრატეგია.

მეორე ტიპს განეკუთვნებან ის რეგიონები, რომლებიც პოზიტიურად რეაგირებენ ინტეგრაციულ პროცესებზე. პირველ ყოვლისა, ეს არის ლათინური ამერიკის ქვეყნები.

ამჟამად, ლათინური ამერიკის ქვეყნები იმყოფებიან აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ინტეგრაციული იმპულსების მოქმედების ზონაში.

მესამე ტიპის ჯგუფს ის რეგიონები მიეკუთვნებიან, რომლებიც ინერტულები არიან ინტეგრაციული საგანმანათლებლო პროცესის მიმართ. ამ ჯგუფში შედიან აფრიკის ქვეყნები, რომლებიც ძირითადად საპარის უდაბნოს სამხრეთით მდებარეობენ (სამხრეთ აფრიკის კავშირის გარდა) და სამხრეთ და სამხრეთაღმოსავლეთ აზიის ქვეყნები.

XX საუკუნის ბოლოს გამოიჩინა ის რეგიონები, სადაც რიგი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური მიზეზების გამო, დაირღვა საგანმანათლებლო და ინტეგრაციული პროცესების თანმიმდევრობა. ასეთ რეგიონებს მიეკუთვნებიან არაბული ქვეყნები, აღმოსავლეთი ევროპა და ყოფილი სსრ კავშირის ქვეყნები.

ამ ქვეყნებში შეიმჩნევა უკიდურესი უთანაბრობა საშუალო და უმაღლესი საფეხური განათლების განვითარებაში. ეგვიპტეში, სუდანში, მავრიკიანისა და ალ-ეირში თავმოყრილია არაბული სამყაროს წერა-კითხვის უცოდინარი მოსახლეობის 2/3.

აშშ-სა და სხვა სახელმწიფოთა გავლენით ამ ქვეყნების განათლება თანდათან გადადის მრავალსაფეხურიან და მრავალდონიან განათლების სისტემაზე. აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი სსრე-ს ქვეყნებში განხორციელდა განათლების „გარდაქმნის“ პროცესი, რომლის მიზანი იყო სისტემის დემოკრატიზაცია. 1980-90-იან წლებში რუსეთში ჩამოყალიბდა მასობრივი ინოვაციური მოძრაობა სასკოლო განათლების სფეროში.

უმაღლესი განვითარების დონის საერთაშორისო შეფასების პროცესში გამოიყო ქვეყნების ჯგუფები შემდეგი მახასიათებლების მიხედვით: ერთიანი ნაციონალური პროდუქტის წილი ქვეყნის თითოეულ სულ მოსახლეზე და სტუდენტთა პროცენტული რაოდენობა 100 000 სულ მოსახლეზე. პრაქტიკულად, უმაღლესი განათლება შეუზღუდავად ხელმისწვდომია I ჯგუფის ქვეყნების მოსახლეობისათვის. ეს ქვეყნებია აშშ, კანადა, გვრ, იაპონია, ფინეთი.

XX საუკუნის ბოლოსათვის მოსწავლეობა მსოფლიოში 1060 მილიონია, წერა-კითხვის მცოდნები კი 15 წლის ასაკის ზევით - 75%. 1960 წლის მონაცემებთან შედარებით 1990 წელს უცხოელ სტუდენტთა, ასპირანტთა და სტაურორთა რაოდენობა ყველა ქვეყანაში თითქმის რვაჯერ გაიზარდა და მილიონ ორასიათას გადააჭარბა.

განვითარებული ქვეყნების პედაგოგიური სისტემებისათვის თანამედროვე ეტაპზე დამახასიათებელია მეცნიერების, განათლებისა და წარმოების სინთეზი, რაც მსხვილი ტექნოპოლისე-

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“
ბის საშუალებით ხორციელდება.

ლიტერატურა – References

1. გ. ი. ბრაჟნიკოვი, შედარებითი პედაგოგიის კვლევის მეთოდოლოგიის თავისებურებანი; მ., 2005 (რუსულ ენაზე).
2. ზ. ცუცქირიძე, ნ. ორჯონიკიძე, განათლების თანამედროვე თეორიები; თბ., 2005.
3. ა. ე. შირინსკი, განათლება განვითარებად ქვეყნებში; მ., 1977 (რუსულ ენაზე).
4. www.ef.kz/upa/education-systems

Murgulia T.

Modern Innovative Systems of Education

Summary

Modern world is united in the effort of upbringing the citizens of planet. The international educational space undergoes intensive development, hence the international community strives to work out a global strategy of education, not affected by the background or place of habitation of a person.

The innovative system of education will enable both the pupils of secondary schools and the students of high educational institutions to increase their educational level, build up a successful career and develop personally.

Innovations in the field of education are connected with basic changes. Nowadays university education acquires policultural features. It is aimed at the development of tolerance and understanding of the events from the perspective of other human being.

The world today is characterized by a marked tendency of integration of educational institutions in scientific-educational megapolises, which can be of continental, regional or state importance.

In many countries universities are merged with industrial complexes. This creates bases for the preparation of unique specialists of modern industry.

**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Akaki Tsereteli State University**

პედაგოგთა ქვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

ცაცა ნამჩვბამა, იამზე ბობიანი

სფავლების არატრადიციული უროჩა

სტატიაში განხილულია სწავლების არატრადიციული ფორმა – დისტანციური სწავლება. გაშექმნებულია დისტანციური სწავლების სხვადასხვა სახე, დისტანციური სწავლება ყველა მსურველს საშუალებას ძლიერ განუწყვეტლივ აიძლოთ პროფესიონალური დონე ინდივიდუალურობის მიხედვით. დისტანციური განათლების მიზანია იმ ადამიანების ინტელექტუალური და ზეორეგივი განვითარება, რომელიც პროდუქტიული აზროვნებებს და რომელთაც შეუძლიათ შემოქმედებითად გადაწყვიტონ წამოჭრილი პრობლემები. სტატიაში მოცემულია დისტანციური სწავლების დადგებითი მხარეები.

ცივილიზაციის თანამედროვე ეტაპზე როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქაუნები დიდ ყურადღებას უთმობენ ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების ჩამოყალიბებასა და განვითარებას. საბაზრო ეკონომიკაში ცოდნა ხდება კაპიტალი. წარმატებული კომპანიები აღიარებენ რა ცოდნას კაპიტალად, ხვდებიან, რომ ცოდნით მართვაზე უარის თქმა დაუშვებლად ძირი დაუჯდებათ.

დღეს მსოფლიო ხასიათდება განათლების დაუფლების მსურველთა სულ უფრო მზარდი რიცხვით. სწავლა მიზანმიმართულად განიხილება როგორც მუდმივი პროცესი. აშშ-ში სწავლის მსურველთა რიცხვი დაახლოებით 100 მილიონს შეადგინს. სახელმწიფო კი მსოფლი 15 მილიონს აკმაყიფილებს. თანამედროვე პირობებში, აუცილებელია ადამიანს პქონდეს ცოდნის განუწყვეტელი სრულყოფის, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების შესაძლებლობა. აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტის საუკეთესო საშუალებაა დისტანციური სწავლება. დისტანციური სწავლება ფართოდ არის გავრცელებული საზღვარგარეთ. დისტანციური სწავლების პროგრამით აშშ-ში სწავლობს მილიონზე მეტი სტუდენტი, დიდ ბრიტანეთში – 168 ათასი, ესანეთში – 120 ათასი.

დისტანციური სწავლება – სასწავლო ორგანიზაციის ახალი ფორმა, რომელიც ემყარება სტუდენტის დამოუკიდებლად სწავლის პრინციპს. თანამედროვე სასწავლო გარემოში სტუდენტი დაშორებულია პედაგოგისაგან დროსა და სივრცეში. იმავდროულად, მას აქვს შესაძლებლობა ნებისმიერ დროს აწარმოოს დიალოგი პედაგოგთან. ურთიერთკავშირისათვის გამოიყენება ელექტრონული და ტელეკომუნიკაციური საშუალებები, აუცილებლობის შემთხვევაში – პირისპირ შეხვედრა. ელექტრონულ და ტელეკომუნიკაციურ საშუალებებს მიეკუთვნება: ელექტრონული ფოსტა, სკაიპი, აუდიო და ვიდეო კონფერენციები, ტელეფონი, ფაქსი და სხვა. დისტანციური სწავლების პროცესში, სტუდენტი ინტერაქტიულ რეჟიმში დამოუკიდებლად ითვისებს სასწავლო-მეთოდურ მასალებს, გადის ტესტირებას და ასრულებს საკონტროლო დაგალებებს პედაგოგის ხელმძღვანელობით, ამჟარებს ურთიერთობას „ვირტუალური“ სასწავლო ჯგუფის სხვა მსმენელებთან, აბარებს ჩათვლებასა და გამოცდებს. სასწავლო კურსის გავლის შემდეგ გაიცემა განათლების დამადასტურებელი სერთიფიკაცია ან დიპლომი.

სტუდენტები, რომელებიც ირჩევენ სწავლების ამ ფორმას, ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვეულებრივ დაკავებული არიან სამუშაოთი, მივლინებებით, სპორტით, ბავშვების აღზრდით და სხვა საქმით. ამიტომ ყოველ მათგანს ჭირდება საქუთარი სასწავლო გეგმა. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტებს შეუძლიათ ისწავლონ ინდივიდუალური ტემპით და დროით, უძალეს სკოლაში სწავლების ორგანიზებისათვის, ისინი ვალდებული არიან, დროის კონკრეტულ პერიოდში, განსაზღვრული თანმიმდევრობით აითვისონ სასწავლო საგნები. დისტანციური სწავლების სასწავლო პროგრამა დაყოფილია კურსების მიხედვით ისე, როგორც დასწრებული სწავლებისას. სტუდენტები მას ითვისებენ თანმიმდევრულად – კონკრეტული გეგმის მიხედვით.

დისტანციური სწავლება – დაუსწრებელი ფორმით სწავლაა, მაგრამ არა თვითსწავლა. დისტანციური სწავლებისათვის განკუთვნილი მასალები განსხვავდება ტრადიციული სწავლების მასალებისაგან. ეს განსაკუთრებული მასალებია, რომელებიც მომზადებულია დისტანციური სწავლების საჭიროებისათვის: ელექტრონული სასწავლო წიგნები, ლუქციების, პრეზენტაციების აუდიო- და ვიდეოფილები, საგარჯოშოები თვითკონტროლისათვის, ტესტები და ამოცანები სასწავლო პროგრამის

პედაგოგთა ქვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“
ათვისებისათვის. აღნიშნული მასალები შემუშავებულია უნივერსიტეტის წამყვანი დეპტორ-მასწავლებების მიერ.

ტექნიკური უნივერსიტეტებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაბორატორიული სამუშაოების ჩატარების საკითხი. ამ საკითხის გადაწყვეტისათვის გამოიყენება:

1. იმიტაციური მოდელირება, რომელიც ცვლის ჩატარალურ ექსპრიმენტს;
2. ექსპერიმენტის შედეგებთან დაშორებული შედწევის რეალიზაცია;
3. ექსპერიმენტის ჩატარებასთან დაშორებული შედწევის რეალიზაცია.

იმიტაციური მოდელირება აპარატურული უზრუნველყოფისათვის საჭირო მინიმალური დანახარჯებით პრაქტიკულად ნებისმიერი ლაბორატორიული ექსპერიმენტის შექმნის საშუალებას იძლევა. ექსპერიმენტში აქტიური მონაწილეობისათვის უზრუნველყოფილია ექსპერიმენტის შედეგებთან დაშორებული შედწევის და ექსპერიმენტის დაშორებული მართვის შესაძლებლობა.

სტუდენტის მხრიდან დისტანციური სწავლებისათვის მოითხოვება შემდეგი: მოტივაცია, სწავლის ჩვევები, დროის დაგეგმვის ცოდნა, კომპიუტერი ინტერნეტში წვდომით, კომპიუტერზე მუშაობის ჩვევები. არსებობს დისტანციური სწავლების რამოდენიმე ფორმა.

დისტანციური სწავლების ერთ-ერთი ფორმაა საუზიგერსიტეტო სწავლება (ერთი უნივერსიტეტის ბაზაზე). ეს არის ერთიანი სასწავლო სისტემა სტუდენტებისათვის, რომელიც დაფუძნებულია საინფორმაციო ტექნოლოგიებზე, ტელეკომუნიკაციებზე და უზრუნველყოფს განათლების მიღებას დაუსწრებლად. სწავლების ასეთი სისტემა არსებობს მსოფლიოს მრავალ წამყვან უნივერსიტეტში. მაგალითად, სამხრეთ უელსის უნივერსიტეტში (ავსტრალია) ასეთი ფორმით სწავლობს 5000 სტუდენტი, სტაციონალურად კი – 3000.

დისტანციური სწავლების მეორე ფორმაა სწავლების პროგრამების მომზადებაში რამოდენიმე საგანმანათლებლო თრგანიზაციის თანამშრომლობა. აღნიშნული ფორმა სწავლების პროცესს უფრო ხარისხისა და ეფექტურს ხდის. დისტანციური სწავლების ასეთი პროგრამა შემუშავებულ და განხორციელებულ იქნა ბრიტანეთის თანამეგობრობის ქვეყნების მიერ. პროგრამის სახელია „თანამშრომლობა განათლებაში“. მისი მიზანია თანამეგობრობის წევრი ქვეყნის ნებისმიერმა მოქალაქეებმ მიიღოს განათლება ამ თანამეგობრობის ქვეყნებში არსებულ კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში – საკუთარი ქვეყნის დატოვების გარეშე.

დისტანციური სწავლების მესამე ფორმაა ავტონომიური საგანმანათლებლო დაწესებულებების არსებობა, რომლებიც სპეციალურად დისტანციური სწავლებისათვის არის შექმნილი. ისინი ორიენტირებული არიან სწავლების ორგანიზებაზე – მულტიმედიური კურსების გამოყენებით. ამ მხრივ ყველაზე მსხვილი დაწესებულებაა ლონდონის დაუსწრებელი უნივერსიტეტი, რომლის ბაზაზე უკანასკნელ წლებში დისტანციურად სწავლობს დიდი რაოდენობით სტუდენტები არა მარტო ბრიტანეთიდან, არამედ სხვა ქვეყნებიდანაც. ამერიკაში (კოლორადოს შტატი) ტექნოლოგიების ეროვნულმა უნივერსიტეტმა დისტანციური სწავლების ქსელში გააქრთიანა 40 საინჟინრო კოლეჯი და ამზადებს სტუდენტებს სხვადასხვა საინჟინრო სპეციალობაში.

განათლების მიღება საზღვარგარეთის ქვეყნების სასწავლებლებში დღეს იმაზე უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე ოდესმე. დისტანციური სწავლება – მინიმალური დანახარჯებით, განათლების მიღების საშუალებაა. ზოგიერთი დისტანციური სწავლება კი საერთოდ უფასოა.

დისტანციური სწავლების უპირატესობებია:

- **მოხერხებულობა** – მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში სწავლის შესაძლებლობა.
- **მოქნილობა** – სწავლის გრაფიკის დამოუკიდებლად შედგენის უფლება.
- **წვდომა** – დისტანციური სწავლება მისაწვდომია ყველასათვის ასაკის, განათლების, საქმიანობისა და ადგილმდებარეობის მიუხედავად. სწავლების ეს ფორმა განსაკუთრებით მოსახერხებელია გადაადგილების მიმართ უნარშეზღუდული სტუდენტებისათვის, სამხედრო სამსახურში მყოფი პიროვნებებისათვის და სხვა.
- **მოდულურობა** – დამოუკიდებელი სასწავლო კურსების ნაკრებიდან – მოდულიდან სასწავლო გეგმის ფორმირების შესაძლებლობა, რომელიც პასუხობს ინდივიდუალურ და ჯგუფურ მოთხოვნებს.
- **პარალელურობა** – სწავლის შესაძლებლობა სამსახურის, ოჯახური ცხოვრების, დასვენების და სხვა პარალელურად.

პედაგოგთა ქვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

➤ **ეპონომიურობა** – სასწავლო ფართებისა და ტექნიკური საშუალებების ეფექტური გამოყენება, სასწავლო ინფორმაციის კონცენტრირებული წარმოდგენა, მასზე მულტიმიდიურობა ამცირებს სპეციალისტის მომზადების ხარჯებს.

➤ **ტექნოლოგიურობა** – საგანმანათლებლო პროცესში ინფორმაციული და ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიების ახალი მიღწევების გამოყენება, თანამედროვე ვირტუალური ლაბორატორიების დანერგვა და სხვა.

➤ **ინტერნაციონალურობა** – საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე, მსოფლიო მიღწევების ექსპორტი და იმპორტი.

➤ **მასწავლებლის ახალი როლი** – დისტანციური სწავლება აფართოებს მასწავლებლისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. მასწავლებელმა კოორდინირება უნდა გაუწიოს შემცნებით პროცესს, მუდმივად სრულყოს მის მიერ გადასაცემი კურსი. ინვაციების შესაბამისად, აიმაღლოს აქტიურობა და კვალიფიკაცია.

➤ **ხარისხი** – დისტანციური სწავლების ხარისხი უზრუნველყოფილია საუკეთესო პროფესორ-მასწავლებლების მიზიდვით, სასწავლო პროცესში საუკეთესო მეთოდური გამოცემებისა და მაკრნტოლებელი ტესტების გამოყენებით.

საქართველოში დისტანციური სწავლება ახლა იყიდებს ფესტ. უახლოეს მომავალში, ელექტრონული სწავლების ბაზაზე შესაძლებელია განხორციელდეს სრულფასოვანი დისტანციური სწავლება. რისთვისაც საჭიროა შეიქმნას სპეციალური სასწავლო პროგრამები, რომლებიც უშუალოდ დისტანციური კურსებისთვის იქნება განკუთვნილი.

ჩვენს ქვეყანაში დისტანციური სწავლების სისტემა ჯერ-ჯერობით ნაკლებად პოპულარულია. გამოკითხული სტუდენტების ერთი ნაწილი, ონლაინ რეჟიმში სწავლას ამჯობინებს, განათლება მიიღოს სტაციონალურად. რასაც იმით ხსნიან, რომ ლექტორთან უშუალო კომუნიკაცია გაუადვილებთ სწავლის პროცესს, ამასთან სწავლასთან ერთად, უცხო ქალაქში ახალი მეგობრებისა და ნაცნობების გარემოში იცხოვრებენ. სტუდენტთა მეორე ნაწილი არ არის დისტანციური სწავლების წინააღმდეგი, მაგრამ არც მკაფიო წარმოდგენა აქვს მეთოდის მუშაობის შესახებ. სტუდენტთა მესამე ნაწილს კი არაფერი არ სმენია სწავლების აღნიშვნულ მეთოდთან დაკავშირებით და არც იცის, სად შეიძლება მოიძიოს ინფორმაცია. გამოკითხული სტუდენტების მცირე რაოდენობას მოწონს დისტანციური სწავლება.

დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ დისტანციური სწავლების მთავარი დირსებაა, თანამედროვე ინფორმაციური ტექნოლოგიების დანერგვის გზით, მოსახლეობის ფართო ფენებისათვის უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლებების გაზრდა. დისტანციური სწავლება საზოგადოებას საშუალებას აძლევს, მუდმივად მოახდინოს თავისი ცოდნის პროფესიული სრულყოფა სამუშაოსა და ოჯახისაგან მოუწყვეტლად. დღეისათვის საქართველოში ინერგება სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები. მიმდინარეობს დისტანციური სწავლების დახვეწია და განვითარება. სტუდენტების გამოკითხვით გამომდინარე, ჩვენს ქვეყანაში საზოგადოება განიცდის ინფორმაციის ნაკლებობას დისტანციურ სწავლასთან დაკავშირებით. ამიტომ, განათლებაში სწავლების არატრადიციული ფორმის დანერგვასთან დაკავშირებით, საჭიროა საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

ლიტერატურა – References

1. Красильникова В.А. Информационные и коммуникационные технологии в образовании, Москва, Дом педагогики, 2012.
2. www.teach.ge
3. www.informatika.ru
4. www.wikieducador.org
5. www.ehow.com

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

Namchevadze Ts., Gobiani I.

Teaching non-traditional form

Summary

In this article teaching non-traditional form-remote teaching is discussed. Several types of remote teaching are fixed. It is determined, that remote teaching gives all the wishing the opportunity permanently raise their professional level individually. The aim of remote teaching is to develop the intellectual and moral ability of the people, who think productively and who can creatively solve raised problems. The positive sides of the remote teaching are given in the article.

In the work it is noted, this type of tuition is widely spread abroad. As for Georgia, here it is the novelty. The forms of remote teaching are being improved and developed. In our country the society suffers with lack of information dealing with the remote teaching, so it is required to raise the public awareness in concerning to the implementation of non-traditional forms of teaching.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Akaki Tsereteli State Universit

პედაგოგთა ევალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

სოფიო უნივერსიტეტი

სწავლა, სწავლება – შეზასხის მეთოდები

განათლება მულტიდისციპლინური დარგია და შედგება ისეთი დისციპლინებისაგან, როგორიცაა: ფსიქოლოგია, სოციოლოგია, ფილოსოფია, გამოყენებითი ლინგვისტიკა, კურიკულუმის შემუშავება და ა.შ.. მასწავლებელთა განათლების შემთხვევაშიც – სხვადასხვა სასწავლო საგანი გამოიყენება სწავლების, სწავლის – შეფასების მეთოდების ბუნების ასახსხელად – სოციალური, კულტურული და ეკონომიკური მრავალფეროვნების კონტექსტში. იმისათვის რომ პედაგოგი იყოს სწავლა-სწავლების შეფასების კომპეტენციით მდიდარი, უნდა ითვალისწინებდეს და მზად იყოს ამ და სხვადასხვა სამუშაოების შესასრულებლად. მას უნდა გააჩნდეს:

1. საგანმანათლებლო ოქონის და სწავლების სისტემური ანალიზის უნარი;
2. საკუთარი ღირებულებების სისტემაზე რეფლექსის უნარი;
3. იმ თეორიებისა და სასწავლო შედეგების უნარი, რომელიც გვხვდება განათლების მეცნიერებაში;
4. სასწავლო პროცესის კომპლექსურობისა და მოსწავლეთა მრავალფეროვნების აღიარების უნარი;
5. იმ განსხვავებული კონტექსტების ცოდნა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს სასწავლო პროცესში;
6. საგანმანათლებლო სისტემის სტრუქტურისა და მიზნების გაგების უნარი;
7. სხვადასხვა კონტექტში საგანმანათლებლო კვლევის განხორციელების უნარი;
8. სკოლის გაუმჯობესების, სწავლისა და სწავლების მეთოდების, ასევე პროექტების მიმართ განვითარების უნარი;
9. საგანმანათლებლო პროგრამების მართვის უნარი;
10. ახალი საგანმანათლებლო საჭიროებებისა და მოთხოვნების დანერგვის/განგვრების უნარი.

ჩემი აზრით, განათლების მეცნიერებები, სერიოზული პრაქტიკული საფუძვლების მქონე მრავალი აკადემიურ პერსონალთან ერთად, ყველაზე მეტად არიან დაინტერესებული სწავლა-განათლების შეფასების მიღებით. სასწავლო პროცესში წარმატებული მაგალითების შეგნებული დემონსტრირება – განათლების მეცნიერებების დიდი ხნის ტრადიციას წარმოადგენს.

იმისათვის, რომ მე როგორც პედაგოგმა, სწავლების შეფასების მეთოდები წარმატებით განვახორციელო საგაევთოლო პროცესში, დაკვირვების უნარის განვითარების მიზნით, უნდა გავითვალისწინო რამდენიმე კომპეტენცია:

1. გარკვეულ კონტექსტში, ადამიანის სწავლისა და განვითარების კომპლექსური სიტუაციების ანალიზის უნარი;
2. საგნობრივად აღვწერო რა არის შესასწავლი, მოვახდინო მისი კატეგორიზაცია და ანალიზი, განვახორციელო მოვდენის დაკვირვებაზე დაფუძნებული, თეორიულად მყარი შეფასება;
3. ანალიზისა და შეფასების განვითარების ხელშესაწყობად გამოყიდვნო ფაქტები ლიტერატურიდან და კვლევებიდან.

ჩემი აზრით, სწავლა-სწავლების შეფასების მეთოდი ხშირად ასოცირებულია სწავლებისა და სწავლის საკითხებთან და პრობლემაზე დაფუძნებულ მიღებობასთან. დაპყირვება სამუშაო და სასკოლო პრაქტიკის ძირითადი ელემენტია. დაპყირვების უნარების გამომუშავებისათვის პრაქტიკა შეიძლება დაინახოს ძალიან კონკრეტული, ადვილად დასაკირვებელი და ადსაწერი მოვლენით და თანდათანობით ჩაერთოს უფრო გარულებულის „დასახახად“ და ადსაწერი ნაკლებად ადვილი მოვლენები, ისეთი როგორიცაა: რა როდეს თამაშობენ ადამიანები, როგორ სწავლობენ მოსწავლები, როგორ ასრულებენ საშინაო დავალებებს, პედაგოგის მითითებებს ან რა მიზანი აქვს კონკრეტულ საქმიანობას.

აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა ქმედის ბუნებისმეტყველების სფეროში სასწავლო გარემოს შესაქმნელად, სხვადასხვაგარი სისტემა არსებობს. ცხადია, რომ ყველა ეროვნულ სისტემას საკუთარი ლოგიკა და შიდა ბალანსი აქვს, რომელშიც სკოლის სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდები, ჩვეულებრივი წესების ფარგლებშია. ჩემი აზრით, თითოეულმა პედაგოგმა უნდა გამოსცადოს სწავლისა და სწავლების სხვადასხვა მიღებით, რადგან20ეს არის საუკეთესო გზა მოსწავლეებისთვის შესაბამისი გარემოს შესაქმნელად, რომლებიც მეტნაკლებად წარმატებით სწავლობენ სხვადასხვა სიტუაციაში.

პედაგოგთა ქვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“
აგრეთვე, იმიტომ რომ სხვადასხვა ზოგადი კომპეტენცია ყალიბდება სწორედ განსხვავებული სწავლისა და სასწავლო გარემოს პირობებში.

საგნების – ბუნებისმეტყველებისა და ბიოლოგიის სწავლა არ უნდა არსებობდეს პედაგოგისგან, ასევე ილუსტრაციებისაგან დამოუკიდებლად. უნდა შეისწავლოს ყველაზე ზოგადი და ელემენტარული პაროლი ბიოლოგიის კურსის ერთეულიდან და კვლევითი მომზადების ყველაზე მაღალ დონემდე.

ვფიქრობ, სპეციალობის ცნება პედაგოგის საქმეში გადამწყვეტია, იძლევა რა მოსწავლეებისა და მათი ახლობლების გარშემო უსაფრთხო პრაქტიკის განვითარების პროგრესისა და მიღწევის საშუალებებს. სწავლების მრავალი ტიპოლოგია არ ეთანხმება შეგირდობის როლს, საგნის ცოდნისა და უნარების შეძენას, რომლებიც ხშირად მოსწავლეებზე ორიენტირებული სწავლისათვის ფუნდამენტურ როლს თამაშობს.

როდესაც ხელმისაწვდომია ადამიანური და მატერიალური რესურსები, იზრდება მცირე ჯგუფში მუშაობის ხვედრითი წილი, ისევე უფრო ხშირად გამოიყენება სასწავლო ტექნოლოგიები. ეს მოიცავს კრიტიკული მიღომების გამოყენებას საინფორმაციო ტექნოლოგიებზე დაყრდნობით. პრაქტიკული უნარები ხშირად ვითარდება დაევირვების როლური თამაშის ხარჯზე, მაგრამ როგორც ვიცით, ცნობილია სირთულეებიც მოსწავლეთა პრაქტიკასთან დაკავშირებით, რომელიც კვალიფიცირებულ ზედამხედველობას და მიღომას გულისხმობს. არსებულის შემთხვევაში, რესურსები ისე უნდა იყოს გადანაწილებული, რომ პრაქტიკაში სწავლის საშუალებას იძლეოდეს, რათა მოსწავლეები მომზადენენ პრაქტიკული სამუშაოებისათვის, იყენებონ ილუსტრაციებს, ლიტერატურებს, ლაბორატორიებს. პრაქტიკის დროს, სწავლის შედეგები განისაზღვრება აკადემიური პერსონალის მიერ საგანმანათლებლო პროგრამისა და ცალკეული კურსის დონეზე. კომპეტენციები მიღწევა მოსწავლის მიერ. მოსწავლის მიღწეული დონე შეიძლება იყოს მაღალი ან დაბალი, გილრე ეს სწავლის შედეგებითაა განსაზღვრული, მოსწავლის მიღწევის დონე ფასდება ქულით, კომპეტენციები არაა დაკავშირებული ცალკეულ კურსთან, არამედ იგი სრული საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების პროცესში ვითარდება.

მაგალითად, ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში იან ამოს კომენიუსი დიდაქტიკის პირველ და უკანასკნელ მიზნად მიიჩნევდა, ეპოვნა და მიეტანა სწავლების ისეთი ხერხები და მეთოდები, რომელთა დახმარებითაც მოსწავლე – მასწავლებლის ნაკლები ჩარევით, ისწავლიდა მეტს და სკოლაც უწინდებურად მოსაწყინი აღარ მოეხვენებოდა. ამის მისაღწევად, კომენიუსი მოითხოვდა დიდაქტიკური აზროვნების შეცვლას, რაც იმას გულისხმობს, რომ მასწავლებლის უკურადღების ცენტრში უნდა ყოფილიყო არა მხოლოდ სწავლების შინაარსი, არამედ იმ ხერხების მეთოდების ძიება და პოვნაც, რომელთა მეშვეობითაც მოსწავლეები უფრო ადვილად და მეტი ხალისით აითვისებდნენ შინაარსს. აქ იბადება კითხვა: რა არის სწავლების მეთოდი და როგორ შევარჩიოთ იგი.

ცნება „მეთოდი“ სხვადასხვა ვითარებაში სხადასხაგვარად აღიქმება, მაგრამ ნებისმიერ ვითარებაში გულისხმობს მიზნის მისაღწევ გზებს. სწავლის მეთოდი არის მასწავლებლის მიზანმიმართული ქმედება მოსწავლეებში, შესაბამისი კომპეტენციის განსავითარებლად.

სწავლების მეთოდის შერჩევისას, მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს გაკვეთილის მიზანი და სავარაუდო შედეგი – სწორედ შედეგზე დამოკიდებული, რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება უნდა შეძლოს, მასწავლებელმა ასევე უნდა განსაზღვროს როგორც კურსის შინაარსი ასევე სწავლების მეთოდებიც. მეთოდის შერჩევისას უნდა დავფიქრდეთ:

- ✓ დაგვეხმარება თუ არა, ჩვენს მიერ შერჩეული მეთოდი დასახული შედეგის მიღწევაში;
- ✓ შესაბამება თუ არა, ჩვენს მიერ შერჩეულ აქტივობას;
- ✓ შესაბამება თუ არა, ჩვენს მიერ შერჩეული მეთოდი მოსწავლეთა შესაძლებლობებს;
- ✓ ტექნიკურად შესაძლებელია თუ არა მისი განხორციელება (ანუ ხელმისაწვდომია თუ არა რესურსები, გვეყოფა თუ არა დრო, შესაძლებელია თუ არა ამ რაოდენობის მოსწავლით მეთოდის ეფექტურად განხორციელება).

ჩემი აზრით, სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას, მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს ერთი რამ: მოსწავლეს მხოლოდ კონკრეტული საკითხის შესახებ ცოდნის მიღებაში კი არ დაეხმაროს, არამედ გამოუშებაოს მას ზოგადი უნარებიც (მაგალითად, კომუნიკაციის, პრეზენტაციის, თანამშრომლობისა და ინდივიდუალობის) სასურველი შედეგის მიღწევაში კი მას ადგევაბურად შერჩეული სწავლების მეთოდები დაეხმარება. მაშასადამე იმისათვის, რომ მოსწავლემ ეფექტურად გამოიყენოს სწავლების მეთოდები, იგი სწავლის ეფექტურ სტრატეგიებს უნდა ფლობდეს.

პედაგოგთა ევალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

გაშრა არის სტრატეგიები?

სწავლის სტრატეგიები გულისხმობს შემცნებითი პროცესების მიზანმიმართულ გამოყენებას სწავლის დროს. იგი აადვილებს ახალი მიღებული ინფორმაციის აღქმას, გადამუშავებას და გონებაში შენახვას. სწავლის ეფექტური სტრატეგიები, როგორიცაა მაგალითად, ინფორმაციის ორგანიზება, დამუშავება, შეჯამება და დასკვნების გამოტანა, ჩანაწერის გაკეთება, საკუთარი სწავლის პროცესის მონიტორინგ, სამუშაოს განაწილება, დაგეგმვა და სხვა. მოსწავლეს მაღალ სააზროვნო უნარებს, ანალიტიკურ შემოქმედებით და კრიტიკულ აზროვნებას უვითარებს და ბოლოს, ეფექტური სწავლა, შეფასება და მეთოდები დამოკიდებულია სწავლის ემოციურ მოტივაციურ სტრატეგიებზეც, რომლებიც სწავლის პროცესს მუხტავს და ენერგიას აძლევს. მოსწავლეს შესასწავლი საკითხისადმი დადებით განწყობას უქმნის.

ჩემი თემის დასკვნით ნაწილში შემიძლია ვთქვა, რომ სწავლების შეფასება, მეთოდები და სწავლის სტრატეგიები ერთი მედლის ორი მხარეა. სწავლების მეთოდების ეფექტური გამოყენების წინაპირობა, სწავლის ეფექტური სტრატეგიების დაუფლება.

ლიტერატურა – References

1. ნინო ნიუარაძე, თეონა ნოდია, ნინო გოგია. სასწავლო და პროფესიული გარემო გამომცემლობა „განათლება“ 2011წ.
2. naec.ge-ის მასალები

Uchaneishvili S.

Learning, Teaching, Assessment Methods

Summary

In conclusion of my theme, I can Say that The methods of teaching, it's strategies and appraisement are two sides of a medal. The first condition of using effective methods in teaching is to know effective teaching strategies.

ფოთის წმიდა ნიკოლოზის სახელობის ზ/ს სკოლა
Poti St. Nicholas School

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

მანანა ქარქაშაძე

თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ურთიერთიანების საბანანათლებლი

სამიანობაში

თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გააზრებული გამოყენებისათვის მასწავლებელს მუდმივად ეხატირება კვალიფიკაციის ამაღლება და სტრატეგიები, რომელიც დაეხმარება პედაგოგის საკვანძო კომპეტენციების განვითარებაში, რათა ცოდნა აღვევატურად გამოიყენოს ხასტაგლო პროცესში. მოწოდებული პროფესიული თეორიული მასალა იძლევა ცოდნას საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის მექანიზმების შესახებ, ხოლო პრაქტიკოს პედაგოგის, პროფესიული მოღვაწეობისათვის აუცილებლად ხჭირდებათ მყარი მეცნიერული საფუძველი.

აზროვნების ტიპებიდან მინდა, ყურადღება გავამახვილო თეორიულ და პრაქტიკულ აზროვნების სახეებზე და გამოვყო პრობლემა, რომელიც ეხება თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გააზრებულ გადატანას ექრძოდ – საგანმანათლებლო სფეროში. გავიხსენოთ, რომ ამ ორი სახის კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს გარევეულ ამოცანათა, გადასაჭრელ პრობლემათა ტიპი. მიუხედავად, იმისა რომ ხშირად ხდება აზროვნების ამ ორი სახის უპირატესობის ერთმანეთთან დაპირისპირება, რომელიმე მათგანის სასარგებლოდ, ვთანხმდებით, რომ თეორიული და პრაქტიკული აზროვნება განუყოფელია და სხვადასხვა პიროვნულ თვისებებს ითვალისწინებს. მათთან, აქვე დავაკავშირებ პროდუქტიულ და რეპროდუქტიულ აზროვნებას.

როგორც ვიციოთ, ეს უკანასკნელი იყენებს უკვე მზა ჩვევას, გამოცდილ სქემას, თეორიულ მასალას რაიმე პრობლემის გადასაჭრებლად. მაგრამ საგანმანათლებლო სივრცეში ხშირია, როდესაც ვდგებით ისეთი ამოცანის წინაშე, რომლის გადაწყვეტის გამოცდილება არ გავქვს, ან მსგავსი პრობლემა არ წამოჭრილა. აქ საჭიროა გადაწყვეტის ახალი, კრეატიული და შედეგისანი გზის ძიება, თეორიული და პრაქტიკული აზროვნების უნარების ჩართვა, ანუ პროდუქტიული აზროვნების გამოყენება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში საგანმანათლებლო სფეროში წარმოდგენილია თეორიული მასალა, რომელიც დაკავშირებულია სასწავლო პროცესთან და იძლევა პროფესიული ზრდის საშუალებას, ვაწყედები თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გააზრებული გამოყენების, გადატანის პრობლემას, რაც ხელს უშლის საგანმანათლებლო პროცესის ხარისხიან განხორციელებას. აღნიშნული საკითხს გადაწყვეტაზე დამოკიდებულია საგანმანათლებლო პროცესის განვითარება, პედაგოგიური ინოვაციებისა და სასწავლო პროცესის წარმატებული მოღვრიზაციის განხორციელება, რაც ჯამში სისტემის ეფექტიანობას განსაზღვრავს. არის შემთხვევები, როდესაც პედაგოგისაგან არის მოთხოვნა, რომ კონკრეტული თეორიული მასალით გადაჭრას თითქმის ყველა კონკრეტული სირთულე, რომელსაც კი აწყდება სასწავლო პროცესში (მაგალითთად, ხშირად, მიუხედავად იმისა რომ განვლილი და გარჩეული აქვს კოლებერგის მორალური განვითარების თეორია, ის კრიტიკულად და დრამატულად აფასებს მოსწავლის უნარებს, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის განვითარება სრულად ემორჩილება ასაკობრივ დონეს). სხვა შემთხვევებში პედაგოგები თვლიან, რომ მსგავსი მასალები ხელს უშლის მასწავლებლის ინიციატივობის, ინოვაციურობისა და შემოქმედებითობის ხარისხს.

თეორიულმა, მეცნიერულმა მასალამ უნდა გადმოსცეს პედაგოგიური პროცესის არსი და მოსწავლეთა განვითარების კანონზომიერებანი, ხოლო მასწავლებელი თვითონ გაერკვევა, როგორ გამოიყენოს ეს მასალა პრაქტიკაში და ეს მის პროფესიონალიზმზე იქნება დამოკიდებული. თუმცა, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გააზრებული გამოყენებისათვის, მასწავლებელს მუდმივად სჭირდება კვალიფიკაციის ამაღლება და სტრატეგიები, რომელიც დაეხმარება პედაგოგის საკვანძო კომპეტენციების განვითარებაში, რათა ცოდნა აღვევატურად გამოიყენონ სასწავლო პროცესში. მოწოდებული პროფესიული თეორიული მასალა იძლევა ცოდნას საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის მექანიზმების შესახებ, ხოლო პრაქტიკოს პედაგოგის აუცილებლად ხჭირდებათ მყარი, მეცნიერული საფუძველი საკუთარი პროფესიული მოღვაწეობისათვის.

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

**Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“
ლიტერატურა – References**

1. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი
2. ხწავლისა და ხწავლების ორიენტი

Karkashadze M.

Theoretical and practical knowledge of the relationship between the educational activities

Summary

Despite the fact that the theoretical material, which is presented in the educational field and is related to the educational process, gives opportunity for professional develop, we meet problem such as ,sensible use of theoretical knowledge in practice which interferes quality of educational process and attention should be paid to this issue, because development of educational process, pedagogical innovation and process of education depend on this issue, that finally determine effectiveness of the system.

*პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Kutaisi Regional Teacher Training Institute
Akaki Tsereteli State University*

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

ლაშა ბავაშვილაშვილი


ინტერნეტ მიების ალბორითმები

90-იანი წლებიდან, როდესაც ინტერნეტ მომხმარებელთა რაოდენობამ თანდათანაბით დაიწყო ზრდა, აუცილებელი გახდა ინტერნეტ-ში ინფორმაციის ძიების ალგორითმების შემცვევება. უფასებურია ძიების ის ალგორითმი, რომელიც გვთავაზობს ჩვენთვის საჭირო ინფორმაციას მსოფლიო ქსელში არსებული $11,5$ მილიარდზე მეტი კვებ-გვერდიდან. დღეისათვის მძლავრ სამიერო სისტემას გვთავაზობს კომპანია გუგლი და მისი რუსული ანალოგი იანდუქსი.

1988 წელს ცერნის ლაბორატორიაში სერ ტიმ ბერნერს ლიმ ახალი პროექტი წამოიწყო. პროექტის მთავარი იდეა მდგრმარეობდა ისეთი ინტერნეტ გვერდების შექმნაში, რომლებიც ერთმანეთთან ჰაპირეტექსტული ბმულების (link-ების) მეშვეობით იქნებოდნენ დაკავშირებული. 1992 წელს World Wide Web კველასათვის ხელმისაწვდომი გახდა. ამ დროისთვის ინტერნეტთან დაკავშირება უკვე ტელეფონის კაბელით (Dial-Up-ით) იყო შესაძლებელი, რაც უამრავ ადამიანს ინტერნეტ-ში ჩართვის საშუალებას აძლევდა. ინფორმაციის ამხელა მასივში ორიენტირება საკმაოდ რთული გახდა. პირველი საძიებო სისტემა იყო „Wandex“. დღეისათვის იგი აღარ არსებობს. იგი 1993 წელს შექმნა მეთიუ გრეიმ (ინგლ. Matthew Gray), მასაზუსტების ტექნოლოგიური უნივერსიტეტიდან. ამ წელს ვე შეიქმნა საძიებო სისტემა „Aliweb“, რომელიც დღემდე მუშაობს. თუმცა პირველი საძიებო სისტემა, რომელიც მთლიანად „კითხულობდა“ ვებ გვერდზე განთავსებულ ტექსტებს, იყო „WebCrawler“, რომელიც 1994 წელს გაეშვა. მისი წინამორბედებისგან განსხვავებით, იგი ნებისმიერი საკვანძო სიტყვით, ნებისმიერ საიტზე ძებნის საშუალებას იძლეოდა. რაც დღეისათვის თითქმის ყველა საძიებო სისტემისთვის ერთგვარ სტანდარტადაა ქცეული. 1994 წელს გაეშვა საძიებო სისტემა Lycos-იც, რომელიც კარნევი მეოდინის უნივერსიტეტში შეიქმნა. მაღლე სხვა საძიებო სისტემებიც გამოჩნდნენ და დაიწყეს პოპულარობისთვის ბრძოლა. ესენი იყვნენ Magellan, Excite, Infoseek, Inktomi, Northern Light, da AltaVista. ასევე საგმაოდ პოპულარული იყო Yahoo!-ც, თუმცა იმ დროისათვეს მისი საძიებო ფუნქცია მხოლოდ ვებ დირექტორით შემოიფარგლებოდა. მას არ შეეძლო სხვა საიტების ინდექსირება. 1998 წელს შეიქმნა გუგლი, რომელიც დღეისათვის ყველაზე პოპულარული საძიებო სისტემაა. იგი იყენებდა და იყენებს საიტების შეფასების ინოვატორულ ფუნქციას, რომელსაც PageRank ეწოდება. 2000 წელს Yahoo!-მ წარმოადგინა ძიების სერვისი, რომელიც Inktomi საძიებო სისტემის ბაზას იყენებდა. Yahoo!-მ შეიძინა Inktomi და verture (რომელიც ფლობდა AlltheWeb-ს და AltaVista-ს) 2003 წელს. 2004 წლამდე Yahoo! გუგლის ბაზას იყენებდა, 2004 წელს კი მან თავისი საძიებო სისტემა შექმნა.

SEO-ს დროს გასათვალისწინებელია, თუ როგორ მუშაობს საძიებო სისტემა და როგორ ეძებენ მომხმარებლები. ოპტიმიზაცია პირველ რიგში მოიცავს ვებ-გვერდის კონტენტისა და HTML კოდის რედაქტორებას, რაც აუცილებელია გარკვეული საკვანძო სიტყვების რანგის გასაზრდელად და ყველა იმ ბარიერის გასაქრობად, რომელიც საძიებო სისტემებში ინდექსირებას უშძის სელს. ეს არის პროცესი, როდესაც ვებ-გვერდისთვის გამოიყენება ისეთი სტრუქტურა, ტექნოლოგია და კონტენტი, რომ საძიებო მანქანები ხელს უწყობენ და ვებ-გვერდს აძლევენ მაღალ რეიტინგს გარკვეულ საკვანძო სიტყვებზე.

გუგლის საძიებო სისტემა იყენებს ალგორითმს PageRank. ეს არის ვებ ბმულების რანჯირების და ანალიზის ერთერთი ალგორითმი. ეს ალგორითმი გამოიყენება ერთმანეთთან ჰაპირეტმულებით დაკავშირებული დოკუმენტების კრებულების მიმართებაში და ანიჭებს მათ გარკვეულ ციფრულ მაჩვენებელს 1-დან 10-მდე, რომელიც აღნიშნავს მათ „მნიშვნელობას“ და „ავტორიტეტულობას“ სხვა დოკუმენტებთან შედარებით. საერთოდ, ეს ალგორითმი შეიძლება გამოიყენებულ იქნას არა მხოლოდ ვებ გვერდებისათვის, არამედ ნებისმიერი სახის დოკუმენტების კრებულობათვის, რომლებიც დაკავშირებულია ერთმანეთთან ურთიერთმიმართვებით. ეს არის ვებ გვერდის „მნიშვნელობის“ აღმნიშვნელი ციფრული მაჩვენებელი. რაც უფრო მეტია შემომავალი ბმული, მით უფრო მაღალი ხდება მისი „მნიშვნელობა“. გარდა ამისა, გვერდის „წონა“ განისაზღვრება მასზე მიმმართავი გვერდის „წონით“. შესაბამისად, PageRank არის გვერდის „წონის“ კალკულაციის მეთოდი, მასზე მიმმართავი ბმულების „მნიშვნელობის“ მიხედვით (სურ.1).



სურ.1 მათემატიკური pagerank

С გვერდს აქვს E გვერდზე მაღალი PageRank-ი. მიუხედავად იმისა, რომ მას აქვს ნაკლები მომმართავი ბმულები; ისინი გაცილებით მაღალი მაჩვენებლის არის. ვებ დამთვალიერებელი (სერფერი) რომელიც შემთხვევითად ირჩევს გვერდებს, E გვერდზე მოხვდება 8.1% შემთხვევაში. მაშინ როდესაც C ან B გვერდების ეს მაჩვენებელი გაცილებით მეტია. B გვერდის მაჩვენებელი მაღალია იმიტომ რომ, მას გააჩნია უამრავი მომმართავი (შემომავალი) ბმული (ანუ მისი მისამართი განთავსებულია ბევრ სხვა საიტზე). ხოლო C გვერდის მაღალი მაჩვენებელი განპირობებულია თავის რიგში, გვერდის მაღალი მაჩვენებლით. გვერდი, როგორც აღინიშნება, უკავშირდება სხვა გვერდებს, ვინაიდან მას არ აქვს გამავალი ბმულები.

გუგლის რუსული ანალოგი – იანდექსი იყენებს ძიების ალგორითმს სახელად MatrixNet. ეს არის ასალი მანქანური სწავლების ალგორითმი, რომელიც დაახლოებით 10 000 კრიტერიუმის მიხედვით აფასებს საიტს და ანიჭებს მას სასარგებლობის კოეფიციენტს, რომ მოთხოვნილ ინფორმაციაზე შედეგი იყოს მაქსიმალურად სასარგებლო. იანდექსმა 2010 წელს მომხმარებელს შესთავაზა ტექნოლოგია სახელად Spectrum, რომლის არსი მდგომარეობს შემდეგში: ოუ საძიებო სისტემაზე დასმული კითხვა არაერთგვაროვანია, ის გამოიყენებს მეთოდს რომ გამოიცნოს მომხმარებლის მოთხოვნა და ამ მიზნით, მას შესთავაზებს ძიებას, მის მოთხოვნილ ინფორმაციაზე სხვა სემანტიკური ფორმით. გარდა ამისა, MatrixNet იყენებს საიტების რანჟირების მეთოდს, როდესაც მოხდება მოთხოვნა ინფორმაციაზე. მანქანა იწყებს მიღიონობით ვებ-გვერდის შემოწმებას სხვადასხვა სერვერებზე. აფასებს მათ აქტუალობასა და ალაგებს მათ. ბოლოს კი ახდენს უკვე მოძიებული საიტების დახარისხებას ზემოთ ნახსენები კრიტერიუმების მიხედვით და წარუდგენს მომხმარებელს რანჟირებული ვებ-გვერდების სიას. სადაც სათავეში იქნება ის საიტი რომელსაც ყველაზე უფრო სასარგებლოდ ჩათვლის სისტემა.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ძიება ხდება დროის რეალურ რეჟიმში, სწრაფად, წამებში. ცხადია ძიების ალგორითმები ყოველდღიურად განიცდიან მოდიფიკაციას, იხვეწებიან და ხდებიან უფრო „ჰქონიანები“. საბოლოოდ, მივაღთ ხელოვნური ინტელექტის მქონე საძიებო სისტემაზე, რომელიც გაიგებს მოთხოვნის აზრს და შემოგვთავაზებს 90-100%-ით სასარგებლო ინტერნეტ-რესურსს.

ლიტერატურა – References

- „A Survey of Ranking Algorithms“ Alessio Signorini. Department of Computer Science. University of Iowa
- „The Ongoing Search for Efficient Web Search Algorithms“ Sara Robinson
- <http://en.wikipedia.org/wiki/PageRank#History>
- <http://mor.ge/>

პედაგოგთა ევალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

5. <http://www.zrabo.com/seo-services/>
6. http://en.wikipedia.org/wiki/Search_engine_optimization
7. <http://en.wikipedia.org/wiki/Yandex>
8. <http://company.yandex.com/technologies/matrixnet.xml>

Gavashelashvili L.

Internet-search algorithms

Summary

in 90's, when the number of the Internet users has gradually started to grow . It was necessary to develop algorithms for searching information on the Internet . Efficient search algorithm, which provides us with the necessary information on the World Wide Web 11.5 billion over the web - page. At present, the system provides a powerful search engine company Google and its Russian analogue Yandeks

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Georgian Technical University*

პედაგოგთა ქვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

მზია დეპარტამენტი

05 ფორმაციული და საპომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება გუნდების მიერ მოწვევების გარეშე დღეს წარმოუდგენელია

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (იხტ) გარეშე დღეს წარმოუდგენელია პროგრესის საზოგადოებრივი მოღაწეობის ნებისმიერ სფეროში. შესაბამისი ინფორმაციულ ურის განვითარება, ინფორმაციული საზოგადოების შექმნა და საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად, მსოფლიო ინფორმაციულ სივრცეში აქტიურად ჩართვა, მასშავლებლებისათვისაც პრიორიტეტი ამოცანად არის მისწერული. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამ საგანმა არა მხოლოდ ტექნიკური უნარ-ჩვევები უნდა შესძინოს მოხსევლებს, არამედ შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრით ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოსაყალიბებლად.

სასწავლო პროცესში ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება ხელს უწყობს საგანმა შორის კავშირების წარმოჩენას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩემთვის, როგორც ბუნებისმეტყველების მასწავლებლისათვის. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიზანია, განვითაროს მოსწავლეებს კვლევის უნარ-ჩვევები. გააცნოს მას სამყაროს უნივერსალური კანონები, აუსნას მის გარშემო მიმდინარე მოვლენები.

თანამედროვე ზოგადსაგანმანათლებლო სტანდარტი გულისხმობს მოსწავლის აღჭურვას იმ ცოდნითა და უნარ-ჩვევებით, რომლებიც მას საშუალებას მისცემს, ალღო აუღოს კაცობრიობის სწრაფ პროგრესს, გამოიყენოს თანამედროვე მეცნიერების მიღწევები, გახდეს საზოგადოების სრულფასოვანი წევრი. ცოდნის პასიური მიმღებიდან მოსწავლე უნდა ჩამოყალიბდეს აქტიურ შემმეცნებლად, რომელიც შეძლებს მიღებული ცოდნა გამოიყენოს, როგორ პროფესიული წარმატების მისაღწევად, ასევე საზოგადოების სასიკეთოდ.

იმისათვის, რათა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლებამ დააკმაყოფილოს აღნიშნული კრიტერიუმები, საჭიროა მოსწავლეს:

- გაუჩნდეს ინტერესი გარემომცველი სამყაროს კვლევის, სიახლეთა აღმოჩენისა და შეცნობის მიმართ;
- განვითარდეს ბუნებისმეტყველისათვის საჭირო ელემენტარული კვლევა-ძიებითი უნარ-ჩვევები და შეძლოს მათი სხვადასხვა სიტუაციაში გამოყენება;
- გაცნობიერებული ჰქონდეს სამყაროში მიმდინარე პროცესების ერთიანობა;
- ჩამოუყალიბდეს გარემომცველ სამყაროზე ზრუნვის უნარ-ჩვევები;
- გამოუმუშავდეს კრიტიკული აზროვნებისა და კომუნიკაციის უნარი;
- განვითარდეს თვითშეფასების და თვითკონტროლის, განსხვავებული აზრის მოსმენისა და შეფასების უნარი, შეეძლოს საზოგადოებაში თავისი ადგილის განსაზღვრა;
- მიეცეს ჯანსაღი და უსაფრთხო ცხოვრების წესის დაუფლების შესაძლებლობა;
- გაცნობიერებული ჰქონდეს მეცნიერების როლი კაცობრიობის პროგრესში;
- გააზრებული ჰქონდეს კაცობრიობის განვითარების პროცესში, ადამიანთა თანამშრომლობის აუცილებლობა.

თანამედროვე განათლების სფეროში სწავლა-სწავლება განიხილება, როგორც პროცესი, რომლის დროსაც უბრალოდ ცოდნის გადაცემა კი არ ხდება, არამედ ცოდნა კონსტრუირდება თავად მოსწავლის მიერ, სოციალური გარემოს ხელშეწყობით. როგორ გამოვიყენოთ თანამედროვე ტექნოლოგიები სწავლის შედეგის გასაუმჯობესებლად? – XXI საუკუნის სკოლა იძლევა ახალ იდეებსა და რესურსებს მასწავლებლებისათვის.

სწავლა არის გაზრებული კომპეტენციების ჩამოყალიბების პროცესი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ეს გამოცდილება მოსწავლის ინტერესებს შეესაბამებოდეს და ხელს უწყობდეს აქტიურ სწავლას. აქედან გამომდინარე, სასწავლო პროცესში ფოკუსი გადატანილი უნდა იყოს ისეთი გარემოს შექმნაზე, რომელიც ცოდნის კონსტრუირების პროცესს დაეხმარება. ამგვარ გარემოში მოსწავლეს – კვლევისა და ექსპერიმენტის საშუალებით, უნდა მიეცეს სტიმული, დამოუკიდებლად იპოვოს პრობლემის გადაჭრის გზები. იგი უნდა წახალისდეს, რათა დასვას შეიკითხვები, შეისწავლოს

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“ და ერთმანეთთან დააკავშიროს სხვადასხვა ობიექტი, ან ერთი და იგივე ობიექტი წარმოიდგინოს სხვადასხვაგვარად; მუშაობის პროცესში ჩამოაყალიბოს და წარმოადგინოს არგუმენტები.

ცოდნის კონსტრუირებისთვის ხელშემწყობი სასწავლო გარემოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ისტ). გარდა იმისა, რომ ისტ ხელს უწყობს მოსწავლის მოტივაციის ამაღლებას, იგი საშუალებას იძლევა, სასწავლო პროცესი დროშიც და სივრცეშიც გასცდეს საკლასო ოთახის ფარგლებს და გახდეს მაქსიმალურად დია. საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დახმარებით, მოსწავლეს და მასწავლებელს შეუძლიათ მოიპოვონ რეალური მონაცემები, რომლებიც საჭიროა ცოდნის გასაღრმავებლად ასევე შეუძლიათ სასწავლო პროცესში ჩართონ ის პიროვნებები, რომლებსაც უშუალო კავშირი არ აქვთ მიმდინარე სასწავლო აქტივობასთან (მაგალითად, კოლეგები სხვა სკოლებიდან, სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები და ისინი, ვინც ანალოგიურ პრობლემებზე მუშაობენ).

ცოდნის კონსტრუირების დროს მნიშვნელოვანია, რომ ახალი ცნების, ობიექტის, თუ პროცედურის შემოტანა და ათვისება მოხდეს რეალისტურ კონტექსტში. ეს კი არც ისე მარტივია. რეალური ვითარების გადმოტანა საკლასო გარემოში ყოველთვის არ არის შესაძლებელი. ამის მაგალითია თვალსაჩინოებებისა და ლაბორატორიული ცდების გამოყენება სასწავლო პროცესში. გარდა იმისა, რომ ეს ყოველივე მატერიალურ რესურსებს მოითხოვს, ასეთი საშუალებების დახმარებით, შესაძლებელია მხოლოდ ძალიან შეზღუდული რაოდენობის და მცირე მასშტაბის მქონე მოვლენების რეალიზაცია. სწორედ ამ პრობლემის გადაჭრას ემსახურება სიმულაციის ტიპის საგანმანათლებლო კომპიუტერული პროგრამები. სიმულაციის ტიპის პროგრამული უზრუნველყოფა რეალური მოვლენების იმიტაციას ახდენს. იგი საშუალებას აძლევს მომხმარებელს, შეისწავლოს მოვლენა - რეალურ ვითარებაში მასზე დაკვირვების გარეშე. უფრო მეტიც, დაკვირვების პროცესი შესაძლებელია იმდენჯერ განმეორდეს, რამდენჯერაც აუცილებელი იქნება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ სფეროებში, რომლებშიც რეალური ექსპერიმენტის ჩატარება და მისი მრავალჯერადი განმეორება რთულია და ზოგჯერ შეუძლებელიც (მაგალითად, ეკონომიკაში, სოციალურ მეცნიერებებში, ბიოლოგიაში). ვიზუალური დაკვირვების გამარტივების გარდა, სიმულაციურ პროგრამულ უზრუნველყოფას ის უპირატესობაც აქვს, რომ მისი საშუალებით შესაძლებელია რაოდენობრივი პარამეტრების აღნუსხვა და მათი გამოყენება მოვლენის უკეთ შესასწავლად. სასწავლო პროცესში სიმულაციის ტიპის კომპიუტერული პროგრამების გამოყენებას გააჩნია შემდეგი უპირატესობები:

- მოვლენის შესწავლა რეალურ ვითარებაში, დაკვირვების გარეშე;
- განმეორებადობა - შესაძლებელია შეზღუდვის გარეშე, მოვლენის სიმულაცია / განმეორება;
- პარამეტრების ცვლილების საშუალება - შესაძლებელია პარამეტრების ისეთი ცვლილება, რაც რეალობაში ხშირად ძალიან რთულია, ან შეუძლებელია;

➤ მონაცემების აღნუსხვა - რეალური მოვლენის, ან ლაბორატორიული ექსპერიმენტის ჩატარებისას, მონაცემების აღწერა მოითხოვს სპეციალურ საშუალებებს და საკმაოდ შრომატევადია. ეს კი ძალიან გაადვილებულია კომპონიუტერული სიმულაციების გამოყენების დროს;

➤ უსაფრთხოება - ლაბორატორიული ცდები და რეალურ მოვლენებზე დაკვირვება ზოგჯერ გარევულ რისკს უპავშირდება.

ჩამოითვლილი უპირატესობების მოუხედავად, შევნიშნავთ, რომ ამგვარ პროგრამულ უზრუნველყოფას მხოლოდ დამხმარე დანიშნულება აქვს და იგი მთლიანად ვერ შეცვლის რეალურ ექსპერიმენტსა თუ რეალურ მოვლენაზე დაკვირვებას. ეს უკანასკნელი ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლის კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარებისათვის.

ის, თუ როგორ იყენებს მოსწავლე სასწავლო პროცესში ისტ-ინსტრუმენტებს, ისევე მნიშვნელოვანია, როგორც თვით ეს ინსტრუმენტები. ისინი ყველაზე ეფექტურია მაშინ, როდესაც ინტეგრირებულია მოსწავლის მიერ საქუთარი ცოდნის კონსტრუირებასთან დაკავშირებულ აქტივობასთან. ამასთან, ცოდნის კონსტრუირების პროცესი არ უნდა შეფერხდეს მოსწავლის (ისევე, როგორც მასწავლებლის) არასაკმარისი კომპეტენციის გამო. მას უნდა შეეძლოს არა მხოლოდ პედაგოგის მიერ მითითებული ისტ-საშუალებების გამოყენება, არამედ ამოცანის შესაფერისი ინსტრუმენტების დამოუკიდებლად შერჩევაც. მოსწავლემ უნდა განსაზღვროს, საჭიროა ისტ-საშუალების გამოყენება, თუ პრობლემის გადაჭრა უფრო ადგილია კომპიუტერის გარეშე (მაგალითად, უბრალო ფურცლითა და ფანქრით).

პედაგოგთა ქვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების კომპეტენციები შეიძლება დაიყოს სამ დონეები:

1. სამომხმარებლო კომპიუტერული პროგრამების ცოდნა იმ დონეზე, რომ მოსწავლეს შეგძლოს მითითებული ინსტრუმენტის გამოყენება მასალის დასამუშავებლად. მაგალითად, ტექსტის შეტანა და შენახვა, სურათის ჩასმა დოკუმენტში, რიცხვითი მონაცემების შეტანა და მარტივი გამოთვლების ჩატარება წინასწარ მითითებული სქემის მიხედვით;

2. მითითებული ინსტრუმენტის საშუალებით მარტივი მოდელის დამოუკიდებლად შექმნის უნარი. მაგალითად, გრაფიკით გამდიდრებული ტექსტური მასალის შექმნისას, დიზაინის დამოუკიდებლად მოფიქრება და რეალიზაცია; მონაცემების ორგანიზების შესაფერისი ფორმის მოფიქრება და რეალიზაცია მითითებული ინსტრუმენტის გამოყენებით (მაგალითად ცხრილის, დიაგრამის, გრაფიკის შედგენა);

3. პრობლემის გადაჭრისას შესაფერისი ისტ-საშუალების დამოუკიდებელი შერჩევა და გამოყენება, პროგრამული უზრუნველყოფის მოცემული ამოცანისადმი ადექვატურობის განსაზღვრა, მაგალითად, იმის განსაზღვრა, თუ მონაცემების შენახვის და დამუშავების დროს რომელი უკეთესია – უბრალო ელექტრონული ცხრილი თუ მონაცემთა ბაზა; გრაფიკული მასალის დამუშავების დროს, რომელი გრაფიკული რედაქტორის გამოყენება სჯობს, ან საერთოდ, საჭიროა თუ არა მოცემულ შემთხვევაში გრაფიკული მასალის გამოყენება; პრეზენტაციის შექმნისას რა დოზით არის უკეთესი ვიზუალური ეფექტების გამოყენება, ისე, რომ ამან არ მოახდინოს მირითადი საკითხიდან უურადღების გადატანა.

ინსტრუმენტის გამოყენებამ მოსწავლეს დაფიქრებისა და გააზრებისაკენ უნდა უბიძოს. აღნიშნულმა აქტივობამ მას სწავლის განწყობა უნდა შეუქმნას: რა შეუძლია აღმოაჩინოს? რა აგვშირებს ხედავს? რა დასკვნის გამოტანა შეუძლია? როგორ ახსნის ახალ აღმოჩენას? ინსტრუმენტის გამოყენება უნდა ეფუძნებოდეს მოსწავლის ცოდნასა და უნარებს: ისტ-საშუალებების გამოყენების საწყის ეტაპზე, მოსწავლემ მისი საშუალებით უნდა მოახდინოს იმის რეალიზაცია, რაც უკვე იცის. ინსტრუმენტის დახმარებით უნდა მოხდეს რეალურ ვითარებასთან კავშირის წარმოჩენა და გააზრება. ის ხელს უნდა უწყობდეს თანამშრომლობითი სახის აქტივობების ორგანიზებას და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ისტ-საშუალებების გამოყენებისას მოსწავლეს უნდა მიეცეს რაც შეიძლება, ცოტა მითითება: სასურველია, იგი აღმოჩენის გზით დაეუფლოს ისტ-საშუალებების ფუნქციონალური ელემენტების გამოყენებას. ეს ხელს უწყობს აქტიურ აზროვნებას, აღმოჩენის უნარის ჩამოყალიბებას და ამასთანავე, ისტ-კომპეტენციების განვითარებას.

სასწავლო პროცესის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სფერო, რომელშიც შესაძლებელია ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება, არის შეფასება.

შეფასების პროცესის ავტომატიზაცია მოიცავს მოსწავლის შეფასებას სტანდარტული ტესტური დავალებების გამოყენებით. ამგარი დავალებების შექმნა შესაძლებელია როგორც გავრცელებული საოფისე პროგრამების დახმარებით, ასევე სპეციალური ტესტური დავალებების შესაქმნელი კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით. ისინი საშუალებას იძლევა, შეიქმნას მონაცემთა ბაზა, რომელშიც ტესტური დავალებები სტრუქტურიზებული სახით ინახება. ბევრი პროგრამული უზრუნველყოფა ასევე იძლევა შეფასების შედეგების ანალიზის საშუალებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია განმსაზღვრელი შეფასების დროს. ანალიზის შედეგების საფუძველზე მასწავლებელს შეუძლია მოახდინოს სტრატეგიის კორექცია მოსწავლის ძლიერი და სუსტი მსარეების მიხედვით.

სამყაროს, რომელიც ჩვენს ირგვლივ არსებობს და რომლის ნაწილიც ჩვენ ვართ, ბუნებას ვუწოდებთ. ბუნება ჩვენამდევ არსებობდა და ჩვენს შემდეგაც იარსებებს. ჩვენს თვალწინ ბევრი რამ ხდება. ზოგს ვაკირდებით, ზოგს უბრალოდ ვამჩნევთ. ზოგის შესახებ სხვისგან, ან საინფორმაციო წყაროებიდან (რადიო, ტელევიზიი, კომპიუტერი) გვესმის. სწორედ აქ ვხედავ კომპიუტერის უდიდეს როლს ინფორმაციის მოძიებისა და გადამუშავების საკითხში. არის ინფორმაციის ნაწილი, რომელიც ახლობელი და გასაგებია ყველა ასაკის ადამიანისათვის. გვესმის, ვუყურებთ, მოვიპოვებთ, დღეს დამეცვლის, შემოდგომას ზამთარი, ზამთარს – გაზაფხული და ა. შ. წვიმს, თოვს, მზიანი ამინდია, ქარი უბერავს. ყველაფერი მოწესრიგებულია – გარკვეული წესრიგით მიმდინარეობს. მსგავსი მოვლენების შესწავლის დროს აღვილია მოსწავლის წარმოდგენითი უნარის განვითარება. ვთხოვთ, გაიხსენონ ესა თუ ის მოვლენა და ჩამოგვითვალონ. პასუხიც არ დააყოვნებს და გვესმის: მზე ანათებს, წვიმს, თოვს, მიწისძვრაა, წყალდიდობაა, მეწყერი ჩამოწვა, ხანდარი გაჩნდა... თუ იგივე შეკითხვას დაგვსამთ და ინტერენტის დახმარებით მოძიებულ მასალას დაგურთავთ, პირველ რიგში მოსწავლეების

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

გაფართოებულ და ინტერესით მომზირალ თვალებს ვხედავთ. ბუნებას გააჩნია უდიდესი ძალა. მას აყვავებასა და აღზევებასთან ერთად, შეუძლია მრავალი დამანგრევები მახე დაუგოს დედამიწას და მასზე მცხოვრებ ადამიანებს. თუ ბუნებას არ მოუფრთხილდებით, თვითონაც არ დაგინდობს. ახლა წარმოგიდგნოთ რამდენიმე ფოტოს, რომელიც ნათლად აფიქსირებს, თუ რა დაუნდობელი შეიძლება იყოს ბუნება!

გთხოვ, მოსწავლეებს, გაუზიარონ ერთმანეთს შთაბეჭდილებები ნანახის შესახებ, გამოთქვან აზრი ადამიანისა და ბუნების გავლენაზე ერთმანეთის მიმართ. ადამიანისა და ბუნების ურთიერთობა ჩვენს პლანეტაზე, ადამიანის გაჩენის დღიდან იწყება. ის გავლენას ახდენდა და ახლაც ახდენს გარემომცველ ბუნებაზე. თავდაპირველად, ადამიანი უძლური იყო და შესაბამისად, მისი გავლენაც უმნიშვნელო. დედამიწის მოსახლეობის რაოდენობრივმა ზრდამ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაშ ადამიანს ბუნებრივი რესურსების გამოყენება გაუადვილა, ცხოვრების პირობები გაუმჯობესდა, შეიცვალა პლანეტის პირველადი სახე. სასიკეთო ცელილებებთან ერთად, თავი იჩინა უარყოფითმა მოვლენებმაც. შეიცვალა პაერში უაგბადის რაოდენობა, დაბინძურდა მდინარეები, ზღვები, ოკეანეები. არის მოვლენები, რომლებსაც ადამიანი ვერ აკონტროლებს, აქ არაფრის გაკეთება არ შეიძლება, თუმცა, არის მოვლენები, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელია. მოსწავლე იწყებს ფიქრს, როგორ შეიძლება ვუშველოთ პლანეტას.

საგანი ბუნებისებურებულება ზუსტად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, ეფუძნება მასში გაწერილ მეთოდიკურ ორიენტირებს და პრიორიტეტებს, იძლევა დაწყებით საფეხურზე ბუნებისებურებულებაში ინტეგრირებული მიმართულებების შედეგების მიღწევის შესაძლებლობას, ებმარება მოსწავლეს საბუნებისებურებულო მეცნიერების შესწავლისათვის უნარ-ჩვევების განვითარებაში. აჩვენს მოსწავლეს დამოუკიდებელ მუშაობას, ებმარება ინფორმაციის მოპოვებაში და მის სწორად გაგებაში. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება ხელს უწყობს შემოქმედებითობისა და ინოვაციური მიღებობების განვითარებას, რაც ძალზე მნიშვნელოვანია პრობლემებზე დაფუძნებული კონსტრუქტივისტული საკლასო გარემოს შესაქმნელად, რათა მოსწავლებ მიღებული ცოდნის გამოყენებით, ახსნას მოვლენათა არსი.

გარდა იმისა, რომ ისტ-ის გამოყენება მოსწავლეებს ებმარება სხვადასხვა სასწავლო საგნით გათვალისწინებული შედეგების მიღწევაში, იგი ხელს უწყობს თვით ისტ-თან დაკავშირებული კომპეტენციების განვითარებასაც. ეს კი მნიშვნელოვანია თანამედროვე ცხოვრებაში, აუცილებელი ციფრული წიგნიერების შესაძნად. შეიძლება ითქვას, რომ დღეს ციფრული, ისევე, როგორც რაოდენობრივი წიგნიერება, არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე წიგნიერება ტრადიციული გაგებით. ამგარად, დაწყებით საფეხურზე, ისტ-ის გამოყენებისას, არანაკლები ყურადღება უნდა მიექცეს ისეთი კომპეტენციების ჩამოყალიბებასა და განვითარებას, როგორიცაა კომპიუტერის შეტანა-გამოტანის მოწყობილობების გამოყენება (კლავიატურა, თაგვი, კერანი); ციფრული მოწყობილობისა თუ ელექტრონული რესურსის პარამეტრების გააზრება (მაგალითად, მეხსიერება, ფერების რაოდენობა, საჭირო აპარატული რესურსები); ციფრული მოწყობილობის მუშაობის პრინციპებისა და ინფორმაციის შენახვა, დამუშავება და მისი გადაცემის შესახებ წარმოდგენის შექმნა.

სწავლის პროცესში ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას. გარდა იმისა, რომ ისტ-ის გამოყენებით შესაძლებელია უფრო მდიდარი, მრავალფეროვანი და დინამიური სასწავლო მასალის შექმნა და გამოყენება, მისი საშუალებით შესაძლებელია, სასწავლო შინაარსი გავხადოთ ინტერაქტიული. შედეგად, მოსწავლე ინფორმაციის პასიური მიმღები კი არ არის, არამედ მას თავად შეუძლია სასწავლო შინაარსის როგორც მოდიფიცირება, ასევე შექმნა. ყოველივე ეს კი სრულად შეესაბამება სასწავლო პროცესისადმი თანამედროვე, კონსტრუქტივისტურ მიდგომას, რომელიც ითვალისწინებს ცოდნის მიგნებასა და შექმნას თვით მოსწავლის მიერ.

ლიტერატურა – References

1. ლი სასწავლო გეგმა 2011-2016 ეროვნულ
2. გოჯიაშვილი – საინფორმაციო ტექნოლოგიების საფუძვლები 2011წ. ჯ.

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

3.

ქ.

ჩიკაშვილი, თ. შალვაშვილი – ინფორმაციული & საკომუნიკაციო ტექნოლოგიები 2012წ

Dekanoidze M.

Information and communication technologies for use in Natural Science

Summary

Information and communication technologies, it is impossible to progress in any field of public life. The development of infrastructure, creation of information society and other members of society , the global information system is involved , the teacher is a priority. ICT training helps to highlight the connections between things.

*საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ გამოგამის სკოლა
Municipality of Sachkhere, the village „gamogma argveta's“ school*

პედაგოგთა ევალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

ცოტვე მარბველაშვილი

„ISP“ (In-System Programing) პროგრამირების გამოყენების უპირატესობა რბილების სივრცელად აღმართდება პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებისას. „ISP“ (In-System Programing) ტექნიკის განვითარების მიზანი არის მოწოდებული უზრუნველყოფის უფრო და უძლიერი განვითარების მიზანი.

ხელმისაწვდომი „ISP“ პროგრამირების ტექნიკური გამოყენების უპირატესობა და მისი გამოყენება ობიექტის სივრცელად აღმის პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებისას. კერძოდ, პროგრამირებისა და ტექნიკის პროცესების გაერთიანების შესაძლებლობა. „ISP“ (In-System Programing) ტექნიკის მიზანი არის მოწოდებული უზრუნველყოფის უფრო და უძლიერი განვითარების მიზანი. „ISP“ ტექნიკის გამოყენება აქვთ, პირველ რიგში, მას იყენებს თავად მწარმოებელი, მოწყობილობის ტესტირებისათვის, რაც სრულყოფილი მიკროკონტროლერის შექმნის საშუალებას აძლევს. „ISP“ პროგრამირების პრაქტიკული გამოყენება ჩემს 3 განზომილების კუბშიც აქვთ, რაც მეხმარება „ობიექტის სივრცელად აღმის პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებაში“. პროგრამული მახასიათებლები დაწერილია „C“ ენაზე და კომპილირდება „Open-Source“ კომპილიატორით „AVR-GCC“-ზე. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ ვიყენებ ATMEL AVR მიკროკონტროლერს. PIC სერიის მიკროკონტროლერიც ოპტიმალური შესაძლებლობისაა, მაგრამ უმეტესობა „C“-ის კომპილიატორები მასზე ძირი ფასიანია და უფასო ვერსიები შეზღუდულია კოდის ზომაში. „AVR“-ში ჩაშენებული პროგრამული ალგორითმი შეიცავს ორ კომპონენტს: Interrupt Routine და ანიმაციურ ეფექტებს. კავშირი მათ შორის ხდება მასივში. ეს მასივი იკავებს ცალ-ცალკე აღებული დიოდის (LED) სტატუსს. ამ მოქმედისათვის მე მას მოვისევნიებ კუბის მასივად. კუბის მასივი შედგება 8*8 მოცემული ბაიტისაგან და თითოეული ბაიტი თავისმեრივ 8 ბიტის ინფორმაციას იკავებს. დოგიკურად ეს მასივი ჩვენ გვაძლევს კუბის „ციფრულად აღმის“ საშუალებას, რომელშიც ამოიკითხება კუბის სიგანის, სიმაღლის და სიგრძის სტატუსები.

unsigned char cube [8][8]; // „Interrupt Routine“-ში იგულისხმება, კუბის მასივში ასახული ინფორმაციის გამოტანა დროის განსხვავებულ ინტერვალში (POV ოპტიკური ილუზია). რაც შეეხება მასივში ასახულ ინფორმაციას, თითოეული ელემენტი იკავებს LED-ის ორ ძირითად სტატუსს 1 ან 0 (ანთებული ან ჩამქრალი). მიკროკონტროლერებთან მუშაობისას კოდის ზომას გადამწევები მნიშვნელობა აქვთ, ამისათვის გამოყენებული მაქვს ჩანაწერთა ბიბლიოთეკები, რომლებსაც მთავარი main() ფუნქცია იძახებს სხვადასხვა ჩანაწერში. პირველ რიგში რაც უნდა გავაკეთოთ ATmega-ზე ჩატვირთვის შემდეგ, ეს არის ფუნქციის ioinit()-ის გამოძახება. ეს ფუნქცია IO პორტებს აძლევს მნიშვნელობებს, განსაზღვრავს Timer-ს, Interrupt Routine-ს და სერიალებს შორის კავშირს. ყველა IO პორტის ATmega-ზე აქვს თავისი დანიშნულება.

ტექნიკური განვითარების მთავარ უპირატესობას წარმოადგენს პროგრამირებისა და ტექნიკის პროცესების გაერთიანების შესაძლებლობა. „ISP“ (In-System Programing) ტექნიკური განვითარების მიზანი არის მოწოდებული უზრუნველყოფის უფრო და უძლიერი განვითარების მიზანი. რაც ამარტივებს მოდელის აგების პროცესს.

პედაგოგთა ევალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

Margvelashvili Ts.

„ISP“ (In-System Programming) programming the use of the advantages of object spatial perception of the software development process

Summary

Advantage of technology is possibility to associate programming process and testing by producing, except a separate phase of components' programming before final assembly. The technology also allows producers to do without beforehand programmed components, In the process of producing. It allows to reduce the cost of production and to make changes to programmable part of the device without stopping production. Practical use of „ISP“ programming has my three dimensional cube, which helps in the developing spatial object perception of software. The software features are wrote on ‘C’ language and is compiled by ‘Open-Source’ compiler on „AVR-Gcc“. This is one of the reasons why we use ATMEL AVR microcontroller.

საპაერო ნაგიგაციის ქუთაისის ობიექტის ქსელის აღმინისტრატორი.
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
*Administrator of LTD Air Navigation Network
Georgian Technical University*

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

ცოტნე მარგველაშვილი

მხედველობითი ილუსიების შემთხვევაში საგითხეანი

ჩემი მიზანი იყო შემძლებელი მომენტი, რომელზეც აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით შევძლებით, მასზე არსებული გამოსახულებები ყოფილიყო სიგრცელად აღქმადი. გამოსახულების სიგრცელად აღსაქმელად გამოვიყენე „მანათოდებელი“ (LED-light-emitting diode), რომელთა გარკვეული წესით გადაერთებით მივიღე 3D LED Display ანუ LED კუბი, რომელიც კონტროლდება „ფუნქციონალური“ და „AVR“ დაფებით აპარატურულ დონეზე, ხოლო ამ კვლავების მართავს C ენაზე დაწერილი პროგრამული კოდი

ადამიანის თვალს შეუძლია ნებისმიერ მოიქმედის სივრცულად აღქმა. ჩემი მიზანი იყო შემძლებელი მოიქმედი, რომელზეც აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფით შევძლებით სივრცულად აღქმადი მოიქმედის შექმნას. გამოსახულების სივრცულად აღსაქმელად გამოვიყენე „მნათოდებელი“ (LED Light-Emiting Diode) რომელთა გარკვეული წესით გადაერთებით მივიღე სამგანზომილებიანი კუბი, რომელიც კონტროლდება „ფუნქციონალური“ და „AVR“ დაფებით აპარატურულ დონეზე, ხოლო თავის მხრივ, ამ კვლავების მართავს C-ი ენაზე დაწერილი პროგრამული კოდი.

LED Cube-ი LED კურანის მსგავსია, მაგრამ მას დამატებით აქვს მესამე განზომილება, როთაც გამოისატება მისი განსაკუთრებულობა და ქმნის 3D უვალებელი. LED კურანის შემთხვევაში მნიშვნელოვანია ფიქსელები ერთმანეთის გვერდით მჭიდრო იყვნენ განლაგებულნი, რაც ჩვენების ხარისხზე აისახება. ხოლო LED Cube-ის შემთხვევაში საჭიროა სკეტჩის შორის ხედავდე გამოსახულებას, ამისათვის მეტი დაშორებაა საჭირო LED ნათურებს შორის (Voxel). ჩვეულებრივ მონიტორთან შედარებით, გამოსახულებას რა თქმა უნდა, ნაკლები ხარისხი აქვს, მაგრამ რაც მთავარია, მას აქვს 3D უვალებელი. LED დისფლები 8*8 ფიქსელით საჭიროებს მხოლოდ 64 LED ნათურას, ხოლო LED Cube-ი 8*8*8-ზე საჭიროებს 512 LED ნათურას, რაც შრომატევადს ხდის Cube-ის აწყობას. 512 ნათურიდან გამომდინარე საჭიროა თითოეულ Voxel-ზე გვქონდეს კონტროლი, რომელიც LED ნათურების catode და anode-ის ფენების გარკვეული წესის გადაერთებით „ფუნქციონალური“ და „AVR“ დაფებით იმართება. LED Cube-ი შედგება 8 ფენისგან, თითოეული ფენი შეერთებულია „ფუნქციონალურ“ დაფაზე არსებულ ტრანზისტორთან, რომლითაც რთავს და გამორთავს წრედს ყოველ ფენაზე. ე. ი. თითოეული ფენი ცალ-ცალკე კონტროლირებადია, რომელსაც ტრანზისტორი აკონტროლებს. აქედან დასკვნა: იმ 64 Voxel-ის მართვა შეგვიძლია, რომლის ფენაც არის მონიშნული. ფენიდან ფენაზე გადასვლა ხდება ძალიან სწრაფად, რომელიც გამოსახულების სრული სურათის წარმოსახვის საშუალებას გაძლიერებს. მიმდინარე ფენის 64 Voxel-ის სტატუსი „ფუნქციონალურ“ დაფაზე არსებულ ტრიგერებში ინახება, რომელსაც თავის მხრივ „AVR“ დაფა მართავს. „AVR“ დაფაზე კი მთავარი კომპონენტები არის ATmel Atmega32 სერიის მიკროკონტროლერი. ეს არის 8 ბიტიანი მიკროკონტროლერი 32 კბ-იანი მებსიერებით და 2 კბ ოპერატიული მებსიერებით. Atmega32 აქვს 4 პორტი Port A, Port B, Port C, Port D. Port A დაკავშირებულია Data Bus-თან ტრიგერების მასივთან. Port B დაკავშირებულია ტრანზისტორების წყვილთან, რომლებიც შესაბამისად მართავენ Cube-ის ფენებს. ISP პროგრამირების გამოყენებით ხდება Atmega32-ზე პროგრამის ჩაწერა, რომლის მიხედვითაც იმართება ეს თითოეული პორტი, რომელიც თავის მხრივ მართავს „ფუნქციონალურ“ დაფას და საერთო ჯამში, LED Cube-ის თითოეულ Voxel-ს, რომლის განათებით მივიღებთ პროგრამულად გაწერილ ეფექტებს.

Margvelashvili Ts.
Creation of visual illusions

Summary

LED Cube-with devices (SDU) programmed algorithms allow to create big variety effects and to operate according to the program a large number of light elements. SDU with linear (smooth) management of brightness, unlike SDU with discrete management of brightness, demand application separate hardware ShIM-kontrollera on each canal. Therefore complexity of such device increases in proportion to number of light elements. In this work it is considered such light-emitting diode cube? It is a cube on which all volume light-emitting diodes are located. And each light-emitting diode (it is possible color) - copes separately. By means of a light-emitting diode cube it is possible to create various light shows and animation. The light-emitting diode cube can display various light animation which is already programmed in is mute. Difficult schemes 3D light-emitting diode cubes even can display various volume words and inscriptions. In other words the light-emitting diode cube in essence is the volume monitor, only with low permission which allows to display spatial structures and graphics. in given the project 3D of a light-emitting diode cube (LED Cube) with a matrix 8x8x8 is represented to a subject.

*საპარტნერო ნაგიგაციის ქუთაისის ობიექტის ქსელის აღმინისტრატორი.
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Administrator of LTD Air Navigation Network
Georgian Technical University*

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

ცაცა ნამჩევამა, გ080 ლობჟანიძე

ახალი ტექნოლოგიების გამოყენება სწავლების პროცესში

სტატიაში განხილულია კომპანიის Mimio ინტერაქტიული მოწყობილობების ინტეგრირებული კომპლექტის MimioClassroom შემადგენელი მოწყობილობები. აღნიშნულია, რომ სწავლების პროცესში ახალი ტექნოლოგიების დანერგვა პრინციპულად ცვლის სწავლების მეთოდოლოგიას, უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის დაინტერესებას და ჩართულობას მეცანიერების მსვლელობაში. ინტელექტუალური ტექნოლოგიების გამოყენება მასწავლებლებს საქუთარი იდეას რეალიზაციის საშუალებას აძლევთ.

ყოველწლიურად სულ უფრო მეტად იზრდება ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების როლი სწავლების პროცესში. ჩვენს ქვეყანაში დღის წესრიგში დგას საკითხი იმის შესახებ, რომ შემეცნებითი პროცესი მოსწავლეებისათვის გახდეს რაც შეიძლება საინტერესო, მრავალფეროვანი და სახალისო. ამ მიზნით, განათლების სამინისტრო ახდენს სკოლების აღჭურვას სხვადასხვა სახის ახალი ტექნოლოგიური პროდუქტით.

სტატიაში განხილულია ერთ-ერთი ახალი ტექნოლოგიური პროდუქტი – ინტერაქტიული მოწყობილობების ინტეგრირებული კომპლექტი MimioClassroom. იგი შექმნილია 2010 წელს ამერიკული კომპანიის DYMO/Mimio მიერ. კომპლექტის შემადგენლობაში შედის: ინტერაქტიული სადგამი MimioTeach, დაფაზე მიმდინარე პროცესის ასლის ჩამწერი MimioCapture, გამოსახულების ასლის დაფაზე გადამტანი მოწყობილობა MimioView, პლანშეტი MimioPad და ტესტირების ავტომატიზაციური MimiVote. კომპლექტის თითოეული მოწყობილობა დამოუკიდებელ მოწყობილობას წარმოადგენს, მაგრამ მათი გაერთიანება შესაძლებელია სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის Mimostudio საშუალებით, რაც მომხმარებელს აძლევს დამატებით შესაძლებლობებს.

MimioClassroom-ის ყველაზე მთავარი და პოპულარული მოწყობილობა არის ინტერაქტიული სადგამი MimioTeach (სურ. 1). იგი ჩვეულებრივი ინტერაქტიული დაფისაგან განსხვავება იმით, რომ მისთვის დაფას მომხმარებელი არჩევს. ინტერაქტიულ სადგამს შეუძლია ინტერაქტიულ დაფად გარდაქმნას ნებისმიერი მყარი და სწორი ზედაპირი: დაფა (სასურველია, მაგრამ არა აუცილებელი თეთრი ფერის), კედლის ნაწილი, დიდი მაგიდა, იატაკი და სხვა. სადგამს ამაგრებენ მისთვის შერჩეულ ზედაპირზე. იგი მუშაობს პორიზონტისადმი ნებისმიერი აუთხით დამაგრებისას. სადგამი შეერთებულია კომპიუტერთან და პროექტორთან, რაც გადააქცევს მას სრულ ინტერაქტიულ სისტემად. პროგრამული უზრუნველყოფა იძლევა მიმზიდველი, მოსწავლეზე ორიგინალური, ინტერაქტიული გავრცელების ჩატარების საშუალებას.

სადგამი MimioTeach კომფორტულია ხელში დასაჭრად. ადვილად გადასატანია საკლასო ოთახებში. ინტერაქტიული სადგამით შეგიძლიათ:

- კომპიუტერში შეინახოთ დაფაზე დაფაზე მოახდინოთ არსებული გაკვეთილები;
- Adobe Acrobat-იდან;
- როგორც მოგეხსურვებათ, კომპიუტერში შეინახოთ აუდიო ფაი-



წერილი შენიშვნები და ნახაზები; ბის იმპორტირება Ms PowerPoint-იდან და ტერში შეინახოთ ვიდეო გაკვეთილები; დები.

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

სურ. 1. სადგამი MimioTeach

ინტერაქტიული სადგამის ჩართვის შემდეგ ეკრანზე გამოიტანება შემდეგი პანელები: MimioStudio Tools, MimioStudio Gallery, MimioStudio Notebook.

პანელი MimioStudio Tools უზრუნველყოფს ინტერაქტიულ ხელსაწყოებს ინფორმაციის შექმნისა და ცვლილებისათვის.

პანელი MimioStudio Gallery შეიცავს ელემენტებს, რომლებიც შესაძლებელია გამოვიყენოთ გაკვეთილებისა და პრეზენტაციების შექმნისათვის, როგორიცაა სურათები, შაბლონები, ფილტები და სხვა. შესაძლებელია პანელის გადაწყობა საკუთარი ელემენტების დამატებით. იგი შეიცავს 4 მთავარ ფოლდერს: ექრანის შენიშვნები, იმპორტირებული შინაარსის პაკეტი, შეკითხვები და შედეგები, გალურება.

ექრანის შენიშვნების ფოლდერი შეიცავს ეკრანის ყველა შენახულ შენიშვნას.

იმპორტირებული შინაარსის პაკეტი შეიცავს იმპორტირებულ შინაარს, თუ იგი არ არის დამატებული ფოლდერზე – Gallery.

შეკითხვებისა და შედეგების ფოლდერი შეიცავს სხვადასხვა ობიექტებს, რომელთათვისაც იყენებს მოწყობილობას – MomioVobe.

ფოლდერი – Gallery შეიცავს სხვადასხვა სახის ფოლდერებს. მაგალითად, როგორიცაა გეოგრაფიის, მათემატიკის და ა.შ. ყოველი ფოლდერი შეიძლება შეიცავდეს 5 სახის ობიექტებს:

- 1) Images – შეიცავს სურათებს და გრაფიკებს;
- 2) Templates – შეიცავს ფონებს;
- 3) Multimedia – შეიცავს ფილტებს, ანიმაციებს და სიმღერებს;
- 4) Questions and Results – შეიცავს ობიექტებს MimioVote-ის შედეგების ჩვენებისათვის;
- 5) Lessons – შეიცავს გაკვეთილებს, რომლებიც შექმნილია MimioStudio Notebook-ის მიერ და იმპორტირებულ ფაილებს.

პანელი MimioStudio Notebook შედგება მენიუს პუნქტებისაგან: File, View, Insert, Format, Tools, Help.

პუნქტი File საშუალებას იძლება გახსნათ, შეინახოთ და შექმნათ ახალი გაკვეთილი; შესაძლებელია დაბჭყლოთ გერედი და სხვა.

პუნქტი Edit შესაძლებელია, შეცვლის დაშვების შემთხვევაში, ურყოთ მოქმედება; ამოჭრათ, მოახდინოთ კოპირება, ჩასვათ, წაშალოთ და მონიშნოთ ობიექტები.

პუნქტი Insert საშუალებას იძლევა დამატოთ გაკვეთილს სურათები და სხვა ფაილები; შეხვიდეთ ინტერნეტში.

პუნქტი Format შესაძლებელია გაათანაბროთ და დააჯგუფოთ ობიექტები, გადაადგილოთ ობიექტები სხვა ობიექტის წინ ან უპარ და სხვა.

პუნქტი Tools საშუალებას იძლევა გამოიტანოთ Mimio ხელსაწყოები. შესაძლებელია მათი გადაწყობა.

პუნქტი Help გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა გვჭირდება დახმარება რაიმეს გაკვებისთვის.

დაფაზე მიმდინარე პროცესების ასლის ჩამწერი MimioCapture (სურ. 2) აფართოებს სადგამის MimioTeach ფუნქციონალურ შესაძლებლობებს. იგი საშუალებას იძლევა, დაფაზე დაწერილი ტექსტი და გაკვებელი ნახაზები ავტომატურად შენახულ იქნას კომპიუტერში, სხვადასხვა ფორმატში (მათ შორის: PDF, JPEG, HTML), 4 ფერში. მასწავლებელს შეუძლია შენახული ინფორმაცია გადასცეს მოსწავლეებს შემდეგში განსახილველად, ან გადასცეს იმ მოსწავლეებს, რომლებიც არ ესწრებოდნენ მეცადინეობას. აღნიშნული მოწყობილობის გამოყენება, მოსწავლეებს მეცადინეობის მსვლელობაში აქტიური ჩართვის საშუალებას მისცემს, რადგან მათ არ დასჭირდებათ რაიმეს ჩაწერა. არდამსწრე მოსწავლეები კი დაამუშავებენ გამოტოვებულ მასალას.



პედაგოგთა ევალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

**სურ. 2. დაფაზე მიმდინარე პროცესების
ასლის ჩამწერი MimioCapture**

MimioCapture კომფორტული და გამოსაყენებლად ადვილია. მოწყობილობა სწრაფად იტენება მაგნიტურ დარში მოთავსებისას და დატენილია მოელი კვირის განმავლობაში. მაგნიტური დარი მიმაგრებულია სადგამის MimioTeach ქვემოთ. MimioCapture-ს არ ჭირდება პროექტორი.

გამოსახულების დაფაზე გადამტანი მოწყობილობის MimioView (სურ. 3) საშუალებით შესაძლებელია დოკუმენტების, სამგანზომილებიანი ობიექტების და მიკროსკოპული გამოსახულებების გადატანა დაფაზე და კომპიუტერში. კამერა აღჭურვილია 5,5-ჯერადი თატიკური და 16-ჯერადი ციფრული გადიდებით. საჩეკნებელი ნიშუშები განათებულია შუქლიოდური ნათურებით, რომლებიც უზრუნველყოფს მკვეთრ განათებას, დაბალ ტემპერატურას და არ საჭიროებს პერიოდულ გამოცვლას. მონაცემთა გადაცემა ხორციელდება ერთადერთი USB კაბელით.



**სურ. 3. გამოსახულების დაფაზე გადამტანი
მოწყობილობა MimioView**

უსადენო პლანშეტით MimioPad (სურ. 4) მასწავლებელს შეუძლია აკონტროლოს ინტერაქტიული დაფა საკლასო ოთახის ნებისმიერი წერტილიდან. პლანშეტი უსადენო მიმღებით ავტომატურად დაკავშირებულია ინტერაქტიულ დაფასთან. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელსაწყოთა პანელი MimioStudio და მენიუ ერთი და იგივეა ორივე მოწყობილობაზე.

პლანშეტის MimioPad გამოყენება მასწავლებელს საშუალებას აძლევს ყურადღება მიაქციოს მოსწავლეებს ინდივიდუალურად და ეფექტურად წაიყვანოს გაპეტიოლი. პლანშეტზე დაწერა და დატეკაცუნება შესაძლებელია MimioPad-ის სტილუსით (საწერკალმით). დასაშვებია რამოდენიმე პლანშეტი დაუკავშირდეს ერთ კომპიუტერს, რის შედეგადაც მოსწავლეებს შეეძლებათ ადგილიდან მართონ ინტერაქტიული დაფის შინაარსი. ეს განსაკუთრებით სასარგებლოა გადაადგილების მიმართ უნარშეზღუდული მოსწავლეებისათვის.



პედაგოგთა ევალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

სურ. 4. უსადენო პლანშეტი MimioPad

ტესტირების ავტომატიზაციის სისტემა MimioVote (სურ. 5) უზრუნველყოფს ტესტების მომზადებას და ტესტირების ჩატარებას, ტესტირების შედეგების ავტომატიზირებულ შემოწმებას. მას გააჩნია მზა შაბლონები ყველა ტიპის ტესტებისათვის. შაბლონების გამოყენება სასარგებლობის დროის ეკონომიის მიზნით. მასწავლებელს შეუძლია თვითონ მოამზადოს ტესტები MimioStudio-სა და PowerPoint-ის გამოყენებით.



სურ. 5. ტესტირების ავტომატიზაციის
სისტემა MimioVote

ტესტებზე პასუხების გასაცემად გამოიყენება უსადენო პულტები. პულტები დაპროექტებულია ისე, რომ მოსწავლეების მათთან მუშაობა არა მარტო მოსახერხებელია, არამედ საინტერესოცაა. კომპლექტში შედის 24 ან 32 პულტი

ინტერაქტიული მოწყობილობების გამოყენება სწავლების პროცესში მხოლოდ რამოდენიმე დამატებითი ფუნქციის პრეზენტაცია არ არის. სწორად შერჩეული ინტერაქტიული კომპლექტის გამოყენების ცოდნა პრინციპულურ ცვლის სწავლების მეთოდოლოგიას, მასწავლებელს ეხმარება მეცადინების ჩატარების დაგეგმვაში და ეძლევა ჯგუფური მუშაობის ფაროვ შესაძლებლობები. სწავლების პროცესი ხდება მიმზიდველი. ყოველივე ეს განაპირობებს მოსწავლეების დაინტერესების ზრდას და ცოდნის გაღრმავებას.

ლიტერატურა – References

1. www.mimio.com
2. www.mimioclass.ru
3. www.itnovations.ge
4. www.learningexchange.net
5. www.touchboards.com
6. www.ccisd.com.

Namchevadze Ts., Lobzhanidze G.

Application of New Technologies in the Process of Teaching

Summary

The article discusses MimioClassroom equipments of integrated complete set of the company Mimio interactive equipments. They are: interactive support MimioTeach, copy capture of the process on the board –MimioCapture, transferring equipment of the view copy on the board –MimioView, Pad MimioPad and testing automation MimioVote.

In the article there is mentioned that introduction of new technologies in the process of teaching principally changes teaching methodology, provides growing interest and involvement of each pupil in the process of instruction. Application of intellectual technologies gives opportunity to teachers to realize their ideas.

პედაგოგთა ქვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Akaki Tsereteli State University

ნანა ონიანი-სალინაძე

საინფორმაციო საზოგადოების განვითარების კონცეფცია

ნამრთმშე განხილულია საინფორმაციო საზოგადოების ძირითადი არხი, მისთვის დამახასიათებელი თვისებები, ნიშები და განვითარების კონცეფცია. საინფორმაციო საზოგადოების კონცეფციებიდან აღსანიშავია „მესამე ტალღის თეორია“.

უმცელესი პერიოდიდან დღემდე კაცობრიობამ განვითარების მნიშვნელოვანი საფეხურები გაიარა. XXI საუკუნის ადამიანი კი, ცხოვრობს სრულიად ახალ ფორმაციაში, რომელსაც საინფორმაციო საზოგადოება პქვია და რომლის ფორმირებაც გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო.

XI საუკუნის შუახანებში აშკარად თვალსაჩინო გახდა, რომ დასავლური საზოგადოების ცხოვრების წესი შეიცვალა და ყალიბდებოდა ახალი ფორმა ცივილიზაციის განვითარებისა, რომელსაც შემდეგ საინფორმაციო საზოგადოება უწოდეს. საინფორმაციო საზოგადოება ცივილიზაციის ისეთი ახალი ფაზაა, რომელშიც ინფორმაციასა და ცოდნას განსაკუთრებული პრიორიტეტი ენიჭება. სპეციალურ ლიტერატურაში გვხვდება ტერმინები, რომლებიც გამოხატავენ საინფორმაციო საზოგადოების ძირითად არსეს. ესენია: გათვითცნობიერებული საზოგადოება (the knowledgeable society), მცოდნე საზოგადოება (the knowledgesociety) ან საზოგადოება, რომლისთვისაც ცოდნა უმთავრესია (the knowledge-valuesociety).

რამ გამოიწვია ახალი სოციალური ფორმაციის ჩამოყალიბება? რა იყო მისი წანამძღვრები?

1. მიკროკომპიუტერული რევოლუცია. XX საუკუნის ტექნიკურმა პროგრესმა 80-იანწლებში განსაკუთრებულ ეტაპს მიაღწია. განხდა პირსონალური კომპიუტერები, რომელთა ეტაპობრივმა დანერგვამ დანერგვამ საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში გარდატეხა მოახდინა და რადიკალურად შეცვალა ადამიანის საქმიანობის ფორმა.
2. დიდი რაოდენობით დაგროვდა ინფორმაცია და ცოდნა. ინფორმაციულმა აფეთქებამ უკუპროცესი-ინფორმაციული შიმშილი გამოიწვია. განხდა წინააღმდეგობა, დაგროვილ ცოდნასა და მის გაცველება-გამოყენებას შორის. ამიტომ მათი მოძიება, დამუშავება და გამოყენება ტრადიციული მეთოდებით უკვე ვეღარ მოხერხდებოდა. ამ პრობლემის გადაჭრა შესაძლებელი გახდა საინფორმაციო ტექნოლოგიების დახმარებით.
3. თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება გახდა საფუძველი საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბებისა.

ტერმინი „საინფორმაციო საზოგადოება“ (Informationsociety) ეკუთვნის ტოკიოს ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესიონალის ი. ჰაიაშის.

ახალ საზოგადოებას თავისი იდეოლოგია და იდეოლოგები სჭირდებოდა. XX საუკუნის 70-80-იანიწლებიდან გამოქვეყნდა ნაშრომები, რომელთა ავტორებიც ადასტურებდნენ კაცობრიობის ისტორიაში ახალი ფაზის დადგომას.

საინფორმაციო საზოგადოების კონცეფციებიდან აღსანიშავია "მესამე ტალღის თეორია" ("The Third Wave Theory"). მისი ავტორია ამერიკელი სოციოლოგი ელვინ ტოფლერი. ე. თოფლერის აზრით, კაცობრიობამ განვითარების სამი ეტაპი-ტალღა გაიარა: აგრარული, ინდუსტრიული და ტექნოლოგიური. აგრარულმა რევოლუციამ შეცვალა პირველყოფილი ადამიანის ცხოვრება, რომელიც ნადირობითა და საკვების მოძიებით ირჩებდა თავს, განვითარდა მიწათმოქმედება. მეორე ტალღა გამოიწვია ინდუსტრიულმა რევოლუციამ, ინდუსტრიალიზაციამ, XIX საუკუნის მეცნიერულმა პროგრესმა. მისთვის დამახასიათებელია მძლავრი მანქანური წარმოება. ხოლო მესამე ტალღა არის ინტელექტუალური რევულუციის შედეგი, როდესაც მეცნიერებასა და განათლებას უპირველესი როლი მიერჩია.

პედაგოგთა ქვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

საინფორმაციო საზოგადოების დამახასიათებელი თვისებებია:

1. ინფორმაციის, ცოდნის და საინფორმაციო ტექნოლოგიების როლის ზრდა საზოგადოებრივ საქმიანობაში;
2. იმ ადამიანთა რაოდენობის ზრდა, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში იყენებენ საინფორმაციო ტექნოლოგიებს;
3. საინფორმაციო პროდუქტის წარმოების ზრდა და სხვადასხვა სფეროს სერვისის გაუმჯობესება;
4. საინფორმაციო სივრცის შექმნა;
5. ელექტრონული დემოკრატიის, ელექტრონული სახელმწიფოს, ელექტრონული მთავრობის, ინფორმაციული ეპონომიკის განვითარება. ციფრული ბაზის შექმნა, ელექტრონული, სოციალური და საყოფაცხოვრებო ქსელების გაფართოება.

საინფორმაციო საზოგადოებაში იცვლება არამარტო წარმოების ფორმები, არამედ ცხოვრების წესი, ღირებულებათა სისტემა. კულტურულ ცხოვრებას გაცილებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე მატერიალურ ღირებულებებს. ინდუსტრიული საზოგადოებისაგან განსხვავებით, სადაც ყველაფერი მიმართული იყო წარმოებასა და საქონლის მოხმარებაზე, საინფორმაციო საზოგადოებაში, მთავარი ცოდნის წარმოებაა, რაც იწვევს გონიერივი შრომის ზრდას და ადამიანისგან მოითხოვს კრეტიულობას, შემოქმედებითი უნარის გამოვლენას. რითაც იზრდება ინტერესი ცოდნისადმი. კომპიუტერული სისტემები და კომპიუტერული ქსელები, ტელესაკომუნიკაციო კავშირები და საინფორმაციო ტექნოლოგიები წარმოადგენს საინფორმაციო საზოგადოების მატერიალურ და ტექნოლოგიურ ბაზას.

საინფორმაციო საზოგადოების ძირითადი ნიშნებია:

1. ინფორმაციის პრიორიტეტი სხვა სახის პროდუქტებთან შედარებით;
2. ინფორმაცია წარმოადგენს უმთავრეს ადამიანის საქმიანობის უველა სფეროსთვის (ეპონომიკა, წარმოება, პოლიტიკა, განათლება, მეცნიერება, ხელოვნება, კულტურა და ა.შ);
3. ინფორმაცია არის თანამედროვე ადამიანის საქმიანობის პროდუქტი;
4. ინფორმაცია არის ყიდვა-გაყიდვის საგანი;
5. ინფორმაციის წვდომა უველასთვის თანაბარია;
6. ინფორმაციის, საინფორმაციო საზოგადოების უსაფრთხოება;
7. ინტელექტუალური საკუთრების დაცვა;
8. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით სახელმწიფოსა და სახელმწიფოების სხვადასხვა სტრუქტურებს შორის კავშირი;
9. საინფორმაციო საზოგადოების მართვა სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ.

დასავლეთის ქვეყნებში საინფორმაციო საზოგადოება მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, რასაც გერ ვიტყვით მსოფლიოს ბევრ ქვეყანასა და მათ შორის, საქართველოზეც. საქართველოში ინფორმატიზაციის პროცესი ნელა, მაგრამ მაინც მიმდინარეობს, რადგან ის როლი სოციალური პროცესია. ინფორმატიზაციის ერთიანი რეცეპტი არ არსებობს. მისი განხორციელება ქვეყანაში არსებულ მოელ რიგ ფაქტორებზეა დამოკიდებული: ენერგეტიკული ბაზა, საზოგადოებრივი სტრუქტურა და ა.შ.

ისტორიულად საქართველო დასავლერი ორიენტაციის ქვეყანაა. ჩვენი მიზანი და სურვილი ურველთვის იყო, კულტივილიყვანით ციფრული ქსელებით მსოფლიოს სრულუფლებიანი და თანაბარი წევრი. ზოგჯერ ამას წარმატებით ვახერხებთ, ზოგჯერ ვერა. როდესაც თანამედროვე მსოფლიოში ასეთი გამოწვევები არსებობს, შეუძლებელია ჩვენც აქტიურად არ ჩავერთოთ ამ გლობალურ პროცესში. ნებისმიერი დარგის სპეციალისტის მიზანი უნდა იყოს საინფორმაციო რესურსების თავმოყრა, სისტემატიზაცია და ორგანიზაცია საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

საინფორმაციო საზოგადოების მშენებლობა სრული სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელია. საქართველოს ციფრული მოდერნიზაცია სახელმწიფო პროგრამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენს, თუმცა დღეს ინფორმატიზაცია და ტელეკომუნიკაციი მმართველობა საკმარისად მაინც არ არის განვითარებული. ჩვენს ქვეყანას გააჩნია საკმარისი ადამიანური რესურსი, მაგრამ მნელად ხორციელდება თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების

პედაგოგთა ევალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“
დანერგვა, რაც მიანიშნებს იმას, რომ ამ კუთხით ქვეყანას მეტად როგორი გზა აქვს გასავლელი. ამასთანავე, ინტელექტუალური და ფინანსური ინვესტიციების განხორციელებაა საჭირო, რათა შეძლოთ დასავლეთის სტანდარტებთან მიახლოება.

ლიტერატურა – References

1. Красильникова В.А., Информационные и коммуникационные технологии в образовании: учебное пособие/ В.А. Красильникова. – М.: Дом педагогики, 2011.
2. Новые педагогические и информационные технологии в системе образования: учебное пособие /Под ред. Е.С. Полат. – М.: Академия, 2011
3. Информационные и коммуникационные технологии в образовании /И.В. Роберт [и др.]. – М.: Дрофа, 2008.

Oniani-Saginadze N.

Information Society Development Concept

Summary

It is impossible to construct informative society without support of the government. Digital modernization of Georgia is one of the most important governmental program, though information and electronic governance today is not still well developed. Our country has enough human resources, but realization of modern informative technologies is difficult to approach, foreshadowing that country has to overcome obstacles. Herewith intellectual and financial investments are necessary, in order to reach the standards of the west.

*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Akaki Tsereteli State University*

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

მარინა აბულაძე

მიმოწერის დღიურების ეფექტურობა

ბაგშვებთან მუშაობა დიდი პასუხისმგებლობაა. მასწავლებელი ძერწავს პატარას სულხა და გონებას, ამიტომ მასზეა დამოკიდებული, რამდენად სწორად და მიგნებულად გამოიყენებს ამა თუ იმ მეთოდს იმისათვის, რომ მოსწავლე და მასწავლებელი „დამეტობრდნებ“. მინდა ერთ-ერთ ასეთ მეთოდზე – მიმოწერის დღიურებზე გესაუბროთ, რომლის საშუალებით იმართება დიალოგი ორ ადამიანს შორის, სადაც აქ არა აქვს მნიშვნელობა უფროს-უმცროსობის ზღვარს. დღიურებს სხვადასხვა ფორმა, მიმართულება, მიზანი შეიძლება პქონდეს. ეს დამოკიდებულია მასწავლებლის და მოსწავლის უნარზე, ინტერესზე, და საგანზე, რომელსაც ეს დამოკიდებული ასწავლის.

ჩემი პედაგოგიური პრაქტიკიდან გამომდინარე, აღნიშნული მეთოდი დამეხმარა ერთ-ერთი პრობლემის მოგვარებაში. ბაგშვები, რომლებიც გაურბოდნენ კომუნიკაციას, კონტაქტს, „მიმოწერის დღიურების“ გზით დამიახლოვდნენ და ნამდვილ მეგობრად მიმიჩინებ. ამ მეთოდმა საშუალება მომცა, გამეგო მათი სურვილები და მისწრაფებები. ჩემთვის გასაგები გახდა, როგორ ჩამერთო კონკრეტული მოსწავლე სასწავლო პროცესში.

სკოლის ასაკის ბაგშვებს დღიურის წერა ძალიან მოსწონთ. ალბათ ყველას გინახავთ ურნალებიდან ამოჭრილი, სურათებით აჭრებებული ბლოკობი. რვეულის პატრონი ფურცელზე შეკითხვებს ჩამოწერს, მისი ამხანაგები კი წერილობით პასუხობენ. ბაგშვებს ერთმანეთთან ურთიერთობა როდი აკლიათ. ისინი სკოლაში ყველდღე ხვდებიან, მეგობრობენ და ერთმანეთის შესახებ ყველაფერი იციან, მაგრამ ურთიერთობის ეს ფორმა განსაკუთრებით მოსწონთ.

„მიმოწერის დღიური“ არის სასწავლო მეთოდი, რომელიც დიდად არ განსხვავდება ზემოხსენებული რვეულისაგან. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ამ საქმიანობაში ჩართულია მასწავლებელი და პროცესს სწორედ ის ხელმძღვანელობს და მართავს.

რატომ ანიჭებენ მეთოდისტები ერთი შეხედვით „არასერიოზულ“ გართობას ასეთ მნიშვნელობას? მათი აზრით, ბაგშვის აზროვნების ჩამოყალიბების, წერის ჩემების და კიდევ სხვა მრავალი უნარის განსავითარებლად, დღიური საუცხოო საშუალებაა. ამ შეხედულებას ბევრი მასწავლებლის გამოცდილებაც ადასტურებს.

პირვენების, თავისუფალი აზროვნების მქონე ადამიანების აღზრდა სკოლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი უნდა იყოს. თავისუფლად მოაზროვნე ინდივიდუალისტი არ ნიშნავს საზოგადოებიდან გარიყელ პიროვნებას. მას უნდა ჰქონდეს უნარი, სხვადასხვა ფორმით გამოხატოს საკუთარი აზრი, შეუთანხმდეს, ან დაეთანხმოს სხვას, შეჯერებით მივიდეს დასკვნამდე, ან დარჩეს საკუთარ აზრ ზე, შეძლოს შეხედულებების მკაფიოდ ჩამოყალიბება და დასბუთება. მასწავლებლის მიზანი ის კი არ უნდა იყოს, რომ გარკვეულ ჩარჩოში მოათავსოს ბაგშვის აზრი, შეხედულება, ან „მოცელოს“ „არასასურველი“ იდეა, არამედ მონაცემებიდან, ცოდნიდან, უნარიდან და ინტერესიდან გამომდინარე, მისცეს მათ განვითარებას მიმართულება, რათა „არასასურველი ტენდენციები“ „სასურველისაკენ“ წარმართოს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არსებული არ ჩაახშოს. ეს უნდა მოხდეს ძალიან ფრთხილად, არა „პრდაპირი“ დირექტივებით, არამედ „შეთავაზებით“ – არ დააზიანოს ძირითადი, „დირექტული“ საფუძვლები.

მიმოწერის დღიური არის რვეულარული ინდივიდუალური მიმოწერა მოსწავლესა და მასწავლებელს შორის, შესაძლოა, მოსწავლეებს შორისაც. ყველა მოსწავლეს თავისი რვეული, დღიური აქვს. მოსწავლის წერილები და მასწავლებლის პასუხები მთელი წლის განმავლობაში ამ რვეულში იწერება. ეს არის დიალოგი ორ თანასწორუფლებიან ადამიანს და არა უფროსსა და უმცროსს შორის. ბაგშვი წერილში თავის აზრებს, შეხედულებებს, გრძნობებს აღწერს. მასწავლებელი

პედაგოგთა ქვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“
პასუხობს ყოველ წერილს და თავის დამოკიდებულებას უზიარებს, რჩევებს აძლევს და აზრს ეკითხება.

წერილის შინაარსი და თემა მასშავლებელზე და კლასზეა დამოკიდებული. ზოგიერთი მასშავლებელი ბავშვებს თავისუფლებას აძლევს და ბავშვები სურვილისამებრ წერენ, ზოგი კი გარკვეულ მიმართულებას აძლევს. მაგალითად, მასშავლებელი მოსწავლეს ასეთ კითხვას უსვამს:

- 1) როგორ მოიქცევი, უნი დაბადების დღე არავის რომ არ გაახსენდეს?
- 2) რას გააკეთებ, გაუჩინარება რომ შეექცოდოს?
- 3) წარმოიდგინე, რომ გაიზარდე და მშობელი გახდი. რას შეცვლიდი და რას გააკეთებდი უნი მშობლისაგან განსხვავებით?

4) გინდა, ტექნიკური გეგმები? რა იქნება ამაში კარგი და რა ცუდი?

პროცესი არ უნდა იყოს ბავშვისათვის მომაბეზრებელი, შრომატევადი, დამდლელი, ამიტომ წერილი შეიძლება ერთი ან ორი წინადაღებისაგან შედგებოდეს. ბავშვი თანდათან უჩვევა დღიურის წერას, მერე კი მოთხოვნილებად ექცევა.

მიმოწერას ნებისმიერი ფორმა და მიმართულება შეიძლება მივცეთ მასშავლებლის და მოსწავლეთა მონაცემების, უნარის, ინტერესის გათვალისწინებით, საგნისა და ასაკის შესაბამისად.

პირველკლასებებმა შეიძლება წერილების წერა ნახატებით დაიწყონ, რომელსაც თითო-ოროლა სიტყვას დაუმატებენ. ნელ-ნელა ნახატებს სიტყვები შეცვლის და წლის ბოლოს უკვე მოედ ფურცელს ავსებენ.

დღიურის შევსება შეიძლება მოხდეს კვირაში ერთხელ ან ორჯერ. ეს მასშავლებელზე ან მოსწავლეზე დამოკიდებული. აქაც მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებს ზედმეტ ტვირთად არ დააწევს დღიურების წერა.

მიმოწერის დღიურის შეფასებისას, ქულა არ უნდა დაიწეროს თუ გავითვალისწინებოთ იმას, რომ მიმოწერას თავისი ხასიათი უნდა ჰქონდეს, ვალდებულებას არ უნდა გულისხმობდეს. ასეთ შემთხვევაში, დღიური, წერილი მორიგ სასკოლო დავალებად იქცევა. ბავშვის სურვილის შემთხვევაში, წერილი შეიძლება ხმამაღლაც წავიკითხოთ. მისი სურვილი არ უნდა ჩავასრულოთ, მაგრამ ძალაც არ უნდა დავატანოთ. მიმოწერის დღიურის შეუფასებლობა არ ნიშნავს, რომ მოსწავლის შეცდომები უგულვებელვეოთ ან ურადღება არ მივაქციოთ. შეცდომები უნდა გასწორდეს, მაგრამ შეუმჩნევლად, ძალდაუტანებლად, შეიძლება შემდეგი გაკვეთილის თემადაც გამოვიყენოთ, მაგრამ წერილზე მითითების გარეშე, ტაქტიიანად.

დღიური მოსწავლეთა გაცნობის, მათთან ურთიერთობის საუკეთესო საშუალებაა. ის პირადი კონფიდენციალური საუბრის საშუალებას გვაძლევს. სულ ერთი ორი წინადაღება და ყველა მოსწავლესთან პირადი ურთიერთობა გაქვს. ბავშვი წერილში ისეთ რამეს გატყობინებს, რასაც ხმამაღლა არასოდეს გატყვის. დღიური მასშავლებელს საშუალებას აძლევს, გაიცნოს ბავშვის სულიერი სამყარო, ამის ცოდნა კი ძალზე მნიშვნელოვანია. ყოველივე ეს მასშავლებელს ადამიანური ურთიერთობის დამყარების საშუალებას აძლევს, რაც მნიშვნელოვანია როგორც ბავშვებისათვის, ასევე საზოგადოებისათვის.

დღიურს კიდევ ერთი პოზიტიური მხარე ის აქვს, რომ მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, წლის ბოლოს ხელახლა გადახედონ საკუთარი ზრდის, განვითარების პროცესს. პროგრესის დანახვა ყველაზე დიდი სტიმულია – ყველა შეფასებაზე და ქულაზე უფრო დიდი ჯილდო.

ეს მეორე მოსწავლეს უფრო კონცენტრირებულს, მობილიზებულს ხდის, აიდულებს იფიქროს – სულ რამდენიმე წუთოთ ტვინი ავარჯიშოს. რეგულარული ვარჯიში ავითარებს წერის უნარს. ყოველდღე ერთი-ორი წინადაღება საოცარ შედეგს იძლევა. გარდა ამისა, ბავშვს სხვისი აზრის მოსმენის, გაგების და შეფასების უნარი უჩნდება.

ამ პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს მასშავლებლის როლს, გამოცდილებას, ბავშვთან ურთიერთობის უნარს, ბავშვის ენაზე ლაპარაკს, ბავშვის თვალით დანახულ ფანტაზიას.

ბავშვი ფაქტი არსებაა. რამდენადაც დადებითი შედეგი შეიძლება გამოიღოს ამ პროცესში, იმდენად მასშავლებლის შეცდომამ უარყოფითი, დამანგრეველი როლი შეასრულოს. ამ პროცესში ის ძალდაუტანებლად, შეუმჩნევლად, მხოლოდ მიმართულებას წარმოაჩენს. მასშავლებლის მითითება სავალდებულო კი არ არის, არამედ ერთ-ერთი გზაა. ეს არის დიალოგი ორ თანასწორულებიან ადამიანს შორის, რომ ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება.

პედაგოგთა ევალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

Abuladze M.

The effectiveness of the messaging blog

Summary

Teachers only present direction with an invisible way. A task given by teachers is not the obligation, but it is one way. This is the dialogue between two tolerant people who share their experience.

A child is a gentle creature. This method can give us both positive and negative sides. It all depends on teachers, how well they manage the process.


*ვოთის წმიდა ნიკოლოზის სახელობის ზ/ს სკოლა
Poti St. Nicholas School*

თამარ ადეიშვილი

ბეზრზე ბეზრი

თანამედროვე განათლების სფეროში სწავლა-სწავლება განხილულება, როგორც პროცესი, რომლის დროსაც მხოლოდ ცოდნის მიღება კი არ ხდება, არამედ ცოდნა კონსტრუირდება თავად მოსწავლის მიერ, სასწავლო გარემოს ხელშეწყობით. სწავლა არის გააზრებული კომპეტენციების ჩამოყალიბება რეალისტურ კონტექსტში. განსაკუთრებით მიშვნელოვანია, სწავლის შედეგად მიღებული გამოცდილება, რომელიც ხელს შეუწყობს ცოდნის მიღებას. აქედან გამომდინარე, გაკვეთილის დროს უნდა შეიქმნას გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს აქტიურ სწავლას.

აქტიური სწავლისა და ცოდნის კონსტრუირების მიზნით, გადავწყვიტე დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთათვის, კერძოდ პირებულისებრისათვის ჩამტარებინა ინტეგრირებული გაეკეთილი. დამებადა იდეა: თემა – ნატურალური რიცხვები, პირველ კლასში განხილულიყო შემდეგი კუთხით: მათემატიკაში თემა – სხვადასხვა რაოდენობების შედარება, ქართულ ში – მხატვრული ტექსტის ანალიზი. შევარჩიე მარიჯანის მოთხოვა – „ბევრზე ბევრი“ და შევქმნი საგანთაშორისი ინტეგრირების შემდეგი თემატური სქემა:



- საგაკვეთილო გეგმის შედგენამდე განვსაზღვრე შემდეგი მიზნები:
- ✓ მოსწავლემ ერთმანეთთან დააკავშიროს თვლა და თვლის შედეგად წარმოსახული რეალური რაოდენობა. მოსწავლემ განასხვაოს ბევრი და ცოტა. მოსწავლეს გაუადვილდეს გროვებით თვლა;
 - ✓ მოსწავლეებმა გაიაზრონ ნატურალური რიცხვების ცნება და უმცირესი და უდიდესი ნატურალური რიცხვი;
 - ✓ მოსწავლემ შეძლოს საბავშვო ნაწარმოების გააზრება, შინაარსის რეალურ ფაქტებთან დაკავშირება; დასახული მიზნები შესაბამისობაში მოდის ეროვნული საგანმანათლებლო გეგმით განსაზღვრულ მისაღწევ მიზნებთან და შედეგებთან.

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

ქართული I.1. მოსწავლეს შეუძლია მოისმინოს და ადეკვატურად აღიქვას მარტივი ინფორმაცია; შეუძლია სწორად რეაგირება ნაცნობ სამეტყველო სიტუაციებში;

ქართული I.2. მოსწავლეს შეუძლია გადმოსცეს მარტივი ინფორმაცია მისთვის ნაცნობ თვემებზე;

ქართული I.3. მოსწავლეს შეუძლია მართლმეტყველების ელემენტარული წესების დაცვა;

მათემატიკა I.1. მოსწავლეს შეუძლია ერთმანეთთან დააკავშიროს თველა, რიცხვებს შორის დამოკიდებულებები და შეკრება-გამოკლებების მოქმედებები.

დავგვებმე აქტივობები, რომელთა განხორციელებაც ხელს უწყობს ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების განხორციელებასა და მოსწავლეებში შემდეგი კომუნიკაციური უნარ-ჩვევები:

- კვლევითი, შემოქმედებითი და ეფექტური კომუნიკაციური უნარ-ჩვევები;
- მიღებული ცოდნისა და გამოცდილების რეალურ ცხოვრებაში გამოყენების უნარ-ჩვევები;
- სწავლის პროცესში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება;
- პრობლემების გადაჭრის უნარის გამომუშავება.

გაკვეთილზე ძირითადად გამოვიყენ ინტერაქტიული სასწავლო აქტივობები და პელევითი აქტივობები, როგორიცაა: ინფორმაციის მოძიება, ინფორმაციის შედარება, ანალიზი.

სასწავლო გარემოს ორგანიზება:

მოცემული თემის მიხედვით, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და საკითხის კარგად დამუშავებისათვის საჭირო იყო შემქმნე სასწავლო პროცესის წარმატებით განსახორციელებლად საჭირო გარემო. დახმარება ვთხოვე ქართულისა და ისტ-ის პედაგოგობებს.

შერჩეული თემაზე ვარგლებში თითოეული საგნისათვის ერთობლივად შევარჩიეთ ეროვნული საგანმანათლებლო გეგმით განსაზღვრული მისაღწევი შედეგები, განვსაზღვრეთ კლასის ძლიერი და სუსტი მხარეები, მოსწავლეთა მდგომარეობები, საჭიროებები და პრობლემები, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელი იქნებოდა შედეგების მისაღწევად.

დასახული სასწავლო მიზნების მიღწევისათვის წინასწარ შევარჩიე მრავალფეროვანი სასწავლო სტრატეგიები, დაგვეგმე ადეკვატური და ეფექტური აქტივობები, რომლებმაც დასახული საგაკეთილო მიზნების განხორციელების საშუალება მომცა.

გაკვეთილზე გამოვიყენ საინტერესო თვალსაჩინო მასალები: ორი სხვადასხვა ფერის, თხილიანი ლანგარი; პლაკატი ორი განყოფილებით; ორი ყუთი, ერთში მოთავსებულია 10 მუჟავის თხილი, მეორეში 1; ქადალდის წებო; სხვადასხვა ფერის ბარათები; აუდიო და ვიდეო მასალები; საინფორმაციო ტექნოლოგიები.

გაკვეთილზე ისტ-ის გამოყენების მთავარი მიზანი იყო, მოსწავლეთა მიერ ინფორმაციის მოძიების უნარ-ჩვევების განვითარება.

ისტ. I.4. მოსწავლეს შეუძლია კომუნიკაციის ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენება.

მოსწავლეებს წინასწარ მიცემული პქნონდათ დაგლება, ისტ-ის მასწავლებლის დახმარებით მოეძიათ განმარტება მესიერეების ბარათზე წინასწარ ჩაწერილი ინფორმაციის მიხედვით „რომელ რიცხვებს ეწოდება ნატურალური რიცხვები“, მოსწავლეთა მიერ ამ წესის ცოდნა აუცილებელი პირობა იყო გაკვეთილის წარმატებულად ჩატარებისათვის.

გამგეოდილის შევლელობა:

აქტივობა №1 (მოთელვა)

მოსწავლეებს მონიტორის დახმარებით ვაჩვენე თხილი და დავეკითხე, თუ ვის უყვარდა თხილი, მოსწავლეებმა სხვადასხვა პასუხები წამოიძახეს (თაგვს, მე...).

მოსწავლეებს ვაჩვენე ორი სხვადასხვა ფერის ლანგარი, ერთში ცოტა თხილი იყო, მეორეში ბევრი. და მიგმაროე მათ შეკითხეთ:

- დაასახელეთ რომელი ფერის ლანგარზეა მეტი თხილი?

აქტივობა №2 (ჯგუფური მუშაობა)

მოსწავლეებს ჯგუფური დაგალების შესასრულებლად ჩამოვურიგე შემდეგი რესურსები:

1. პლაკატი – რომელზეც დახაზული იყო ორგანულფილებიანი ცხრილი. ერთ განყოფილებას წითლად ეწერა – ბევრი, მეორეს მწვანედ – ცოტა.

2. ორი ყუთი: ერთ ყუთში 10 მუჟავისაგან გამოჭრილი თხილი, მეორეში ერთი წებო.

პედაგოგთა ქვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

მოსწავლეებს მივეცი დავალების შესრულების ინსტრუქცია: „წითლად აღნიშნულ განვითარებაში ჩააწებეთ მუყაოს თხილები იმ კუთიდან, რომელშიც თქვენი აზრით ბევრი თხილია, ხოლო თხილები იმ კუთიდან რომელშიც ცოტა თხილია ჩააწებეთ მწვანედ აღნიშნულ განვითარებაში, განვუსაზღვრე დავალების შესრულების დრო, დროის დასანიშნად გამოვიყენე ქვიშის სათი.“

დროის ამოწურვის შემდეგ მოსწავლეებმა წარმოადგინეს ნამუშევრის პრეზენტაცია ჩემს მიერ დასმული კითხვების მიხედვით: თქვენი აზრით, რამდენია ბევრი? რამდენია ცოტა? შეიძლებოდა თუ არა ერთხე ცოტა თხილის დაწებება? შეიძლებოდა თუ არა 10-ზე მეტი თხილის დაწებება? თქვენი აზრით რომელი რიცხვია კველაზე ცოტა, კველაზე მცირე? კველა რიცხვზე დიდი? უდიდესი?

იმ შემთხვევაში, თუ უდიდეს რიცხვებად ბავშვები დაიწყებენ სხვადასხვა რიცხვების დასახელებას, დავაფიქრებდი კიდევ უფრო დიდი რიცხვის არსებობაზე, და მოსწავლეებს მივიყვანდი იმ აზრამდე, რომ უდიდესი რიცხვი არ არსებობს.

აქტივობა №3 საშინაო დავალების გამოყითხვა და საგაკვეთილო თემის გაცნობა.

გამოვიყითხე დავალებად მიცემული წესი, დავასახელებინე მათვის ნაცნობი ნატურალური რიცხვები. თითოეულ მოსწავლეს დავურიგე თრი სხვადასხვა ფერის (მწვანე და ლურჯი) ბარათი და ვთხოვ, ერთ ბარათზე (მწვანე) დაეწერათ რიცხვი, რომელიც მათი აზრით უდიდესი ნატურალური რიცხვია. ხოლო მეორე (ლურჯი) ბარათზე რიცხვი, რომელიც მათი აზრით უმცირესი ნატურალური რიცხვია. დავალების შესრულების შემდეგ, მოსწავლეებმა მაჩვენეს ბარათები. ერთად გამოვიტანეთ დასკვნა, რომ უმცირესი ნატურალური რიცხვია 1, უდიდესი არ არსებობს.

დავხვი შეკითხვა:

– თქვენ შეისწავლეთ ციფრი 0, რატომ არ არის 0 უმცირესი ნატურალური რიცხვი? (მსჯელობა წარიმართა ისე, რომ განმარტებიდან გამომდინარე, მოსწავლეებმა დაასკვნეს, რომ საგნების დათვლა 1 დან იწყება.)

აქტივობა №4 (ქართულის მასწავლებლის აქტივობა)

მოწავლეებს აუდიოტექნიკის გამოყენებით მოვასმენინე მარიჯანის მოთხრობის პატარ-პატარა ნაწყვეტები (მოთხრობა წინასწარ ჩავწერე, თხრობის დროს გამოვიყენე უფროს კლასელები). ისინი კითხულობენ ნაწყვეტებს, რომელიც ისტ-ის მასწავლებელმა კომპაქტურ დისკზე ჩაწერა). თითოეული ნაწილის მოსმენის შემდეგ მოსწავლეებმა თვითონ გადმოსცეს მოსმენილი ნაწილის შინაარსი, შინაარსის გადმოცემა გაუადვილათ სურათებმა, რომლებიც ნაწვენები იყო მონიტორზე.

აქტივობის ბოლოს, მოსწავლეებმა უპასუხეს შეკითხვებს: ადამიანს რა აქცს ერთი? (ცხვირი, პირი, თავი);

ერთი ნატურალური რიცხვია? (დიახ); როგორი ნატურალური რიცხვია ერთი? (უმცირესი); რა აქცს ადამიანს კველაზე ბევრი? (თმა); რამდენი თმის დერი აქცს ადამიანს (უამრავი); კიდევ თუ იციო უამრავი რა შეიძლება იყოს ამ ქვენად, ბუნებაში?

გავიხსენე აკაკი წერეთლის ლექსის „თორნიკე ერისთავის“ ნაწყვეტი: „ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები..“ და შევეკითხე მოსწავლეებს: დაგითვლიათ თუ არა ზღვაში ქვიშა ან ცაზე ვარსკვლავთა რაოდენობა?

აქტივობა №5 გაკვეთილის შეჯამებისათვის დავხვი შეკითხვები: რას ეწოდება ნატურალური რიცხვები? რომელია უმცირესი ნატურალური რიცხვი? რომელია უდიდესი ნატურალური რიცხვი? რა გვაქს ბევრზე ბევრი? რამდენი ვარსკვლავია ცაზე? რამდენი ფიფქი ჩამოვარდა ზამთარში ციდან? რამდენი თუთუში გვეავს სკოლაში? (ორი) არის თუ არა ორი უმცირესი ნატურალური რიცხვი? რატომ?

აქტივობა №6 გაკვეთილის მხიარულ განწყობაზე დამთავრებისათვის მონიტორზე ვაჩვენე მხიარული ნივთების სურათები და ბავშვებმა მუსიკის ფონზე დაასახელეს მათი რაოდენობები.

აქტივობა №7 (საშინაო დავალების მიცემა)

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

მოსწავლეებს დავურიგე ფერადი ბარათები და მივეცი საშინაო დავალება: „სახლში მისვლისას მოიძიეთ ინფორმაცია (პკითხეთ ახლობლებსა და ოჯახის წევრებს) რა შეიძლება იყოს „ბევრზე ბევრი“ და ჩამოწერეთ ეს ინფორმაცია დარიგებულ ბარათებზე.

აქტივობა №8

მოსწავლეები შევაფასე წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით

შეფასების რუბრიკა:

მოსწავლის სახელი გგარი-----

კრიტერიუმები	შესანიშნავად	კარგად	საშუალოდ	უჭირს
მოსწავლე აკაგშირებს ერთმანეთთან თვლას და თვლის შედეგად წარმოსახულ რეალურ რაოდენობას.				
მოსწავლე განასხვავებს ბევრსა და ცოტას.				
მოსწავლემ გაიაზრა ნატურალური რიცხვების ცნება				
მოსწავლე ასახელებს უმცირეს და უდიდეს ნატურალურ რიცხვს.				
მოსწავლემ შეძლო საბავშვო ნაწარმოების შინაარსის გაგება-გააზრება				
მოსწავლემ შეძლო მოთხოვნის შინაარსის რეალურ ფაქტებთან დაკავშირება.				

როგორც გამოიქვეთა, სასწავლო პროცესში რამდენიმე სასწავლო აქტივობის გაერთიანება, ცოდნის კონსტრუირებისათვის ხელშემწყობი სასწავლო გარემოს შექმნას უწყობს ხელს, ისტ-ისა და ქართული ენის აქტივობებმა საშუალება მომცა, ხელი შემეწყო მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისათვის. ცოდნის კონსტრუირების დროს მნიშვნელოვანია, ახალი ცნების, ობიექტის თუ პროცედურის შემოტანა მოხდეს რეალისტურ კონტექსში. ინტეგრირებული გაკვეთილები პედაგოგთა დისკუსიის თემას წარმოადგენს, ჩემს მიერ ჩატარებულ გაკვეთილზე გამოიკვეთა მისი ეფექტურობა, ვიზუალური დაწყებით საფეხურზე ინტეგრირებული გაკვეთილების ხშირი გამოყენება ხელს შეუწყობს მოსწავლეს, მოახდინოს ცოდნის ტრანსფერი და ერთ საგანში მიღებული ცოდნა ადვილად გამოიყენოს სხვა დისციპლინებში.

ლიტერატურა – References

1. ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016
2. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

Adeishvili T.

More than many

Summary

In the field of Modern education – teaching and learning is viewed as a process in which knowledge is not only taking,supported but knowledge is constructed by the learner,supported by the learning environment .Learning is the development of thoughtful competencies in a realistic context. The most important is the experience gained in result of learning that will contribute to knowledge. Therefore during the lesson there must be created the environment that will promote active learning. Active learning and knowledge construction in order to decide the initial stages of the pupils.

Integrated lessons for educators, is the topic of discussion; in my class was shown its effectiveness; I think that at the primary level integrated lessons frequent use will help pupils to transfer knowledge and skills from one subject could easily apply to other disciplines.

თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის უნივერსიტეტი
პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი.

Telavi State University

The teacher's professional development zonal institute

პედაგოგთა ევალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

ეთორ ბრებაძე

პილების სწავლება I პლასტი თანამედროვე მოდელების გამოყენებით

ეროვნული სახწავლო გეგმის მიხედვით გათვალისწინებული სწავლების უახლების მეთოდების უმრავლესობა ორიენტირებულია მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე. იგი ხელს უწყობს ინფორმაციის მიღებას და მის გადამუშავებას. უხრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას საგაკვეთოლო პროცესში. მაქსიმალურად ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს.

დაწყებით საფეხურზე, კლასების მიხედვით ტექსტზე მუშაობა ხდება უახლების მეთოდებით, რომელებიც მასწავლებლისაგან მუგ პროფესიულ კომუნიკაციებს მოითხოვენ.

ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი სტანდარტი სამი მიმართულებით მიმდინარეობს: ზეპირმეტყველება, კითხვა, წერა.

სხვა მრავალი უნარისაგან განსხვავებით, კითხვის უნარი მიზანმიმართული სწავლის შედეგად ყალიბდება. დაწყებით კლასებში კითხვის დაუფლების პროცესი საქმაოდ როგორც და ხანგრძლივია, რადგანაც კითხვის სხვადასხვა საბაზო უნარია საჭირო. შესაბამისად, კითხვის სწავლებისათვის მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ როგორია კითხვის სწავლების პროცესი და როგორია მისი სწავლების საუკათხესო სტრატეგიები და მეთოდები.

კითხვა მრავალმხრივი უნარია, რომელიც გულისხმობს გამოხატული სიმბოლოების დეკოდირებას აზრის გაგების მიზნით. საამისოდ, გარკვეულ ეტაპს ბავშვი სკოლამდელ ასაკში გადის. იგი ცნობს ასოებს და სიტყვებს, როგორც ხატებსა და გამოსახულებას. ბავშვს შეუძლია სიტყვებში ბგერების გამორჩევა, დაწერილი სიტყვების ცნობა.

დაწყებით კლასებში მასწავლებლებს დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ, რათა მოსწავლეები წარმატებულად დააუფლონ კითხვის უნარს. ამისათვის საჭიროა ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც მოსწავლეებში აღძრავს სწავლის სურვილს და შეუქმნის მათ შესაბამის მოტივაციას. ბავშვის მზაობას, შეისწავლოს კითხვა, განსაზღვრავს: მშობლები, ოჯახური გარემო, ბავშვის დამოკიდებულებები და რა თქმა უნდა, მასწავლებლები.

I კლასში კითხვის სწავლა გულისხმობს, ასოს ბგერასთან შესატყვისობის გაგებას და ამ შესატყვისობის დადგენის შესწავლას.

როგორც ცნობილია, ქართულ ენაში სამეტყველო ბგერას შეესაბამება გრაფიკული გამოსახულება – ასო. ასოსა და სიტყვის ცნობის გარეშე შეუძლებელია კითხვა. ეს დებულება უდევს საფუძლად კითხვის ე.წ. „აღმაგალ მოდელებს“, რომლის მიხედვით კითხვა იწყება ასოების გარჩევით და გრძელდება მათი ბგერით შესატყვისობასთან დაკავშირებით. მოსწავლემ უნდა ისწავლოს ანბანი, შემდეგ ივარჯიშოს ასოების ბგერებად დეკოდირებაში, რომ დაწერილი სიტყვა აღვიდად იცნოს.

პირველად მოსწავლე სწავლობს ასოების მხედველობით გარჩევას და მათ დაკავშირებას შესაბამის ბგერებთან, შემდეგ – ასო-ბგერებს აერთიანებს სიტყვაში, ბოლოს სიტყვებს წინადადებაში.

ამრიგად, მიმდინარეობს ინფორმაციის მიღება ქვემოდან ზემოთ, ასო-ბგერიდან სიტყვისკენ, ნაწილიდან მოედისკენ.

მოსწავლე ერ შემოიფარგლება მხოლოდ ასო-ბგერებით. ერთდროულად უნდა მოხდეს სიტყვის მნიშვნელობებისა და მათი გრამატიკული დაკავშირების წესების გაბება. ეს დებულება უდევს საფუძლად ე.წ. „დაღმაგალ მოდელებს“, რომლის მიხედვით, კითხვა მნიშვნელობაზე დაფუძნებული პროცესია. ინფორმაციის ტრანსფორმაცია მიმდინარეობს ზემოდან ქვემო, მთელიდან (აზრიდან) ნაწილისაკენ (სიტყვა, ფონემა).

პედაგოგთა ევალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

„აღმავალი მოდელების“ ხარვეზია ის, რომ კითხვა წარმოდგენილია, როგორც მხოლოდ ერთი მიმართულებით მიმდინარე პროცესი. „დაღმავალი“ კი უგულვებელყოფს სიტყვის დეკოდირების პროცესს.

მესამე თვალსაზრისია – ინტერაქტიული მოდელი, ანუ ბალანსის თეორია, რომლის მიხედვით, კითხვის პროცესი ინფორმაციის გადამუშავების ორივე მიმართულებას თანაბრად მოიცავს.

კითხვის შესასწავლის პროგრამა უნდა ასახავდეს ბაგშის იდენტობას, მასში შემავალი დავალებები უნდა უკავშირდებოდეს და ავრცობდეს მოსწავლების არსებულ ცოდნას, მოიცავდეს ცხოვრებისეულ საკითხებს და ინტერესებს და ინტერესის სფეროს.

კითხვის წინა პერიოდისათვის საჭიროა, მოსწავლებმა აღიქვან სივრცე სიტყვებს შორის და სტრიქონის მიმართულება მარცხნიდან მარჯვნივ.

სწავლება ორიენტირებულია ზეპირი გამოხატვის ფორმებზე – იწყება ლექსიკის გამდიდრება პირობითი ნიშნების და სხვა გამოხატულებების გამოყენებით. მასწავლებელი კითხულობს ზღაპრებს, მოთხოვდებს და კურადღების შესანარჩუნებლად კითხვის პროცესში დასვამს შეკითხვებს წაკითხულის სიუჟეტზე, რომ გაიგოს, როგორ ესმით მოსწავლებს ტექსტის შინაარსი.

თანამედროვე მიდგომის მიხედვით, მოსწავლე ანბანს სწავლობს კონტექსტში, სიტყვის მნიშვნელობასთან ერთად. მაგალითად, ბარათი, რომელზეც დახატულია ია და წერია ასო „ი“, მოსწავლებს ეხმარება, გაიაზროს ბერა „ი“-ს მნიშვნელობა.

ანბანის დაზეპირება არ ხდება ავტომატურად, არამედ ესმით ასების მნიშვნელობა კონტექსტში. მას შემდეგ, რაც მოსწავლე საფუძვლიანად დაოსტატდება ანბანის ცოდნაში, მზადაა კითხვისთვის.

მასწავლებლები უნდა უდვიძებდნენ მოსწავლეებს კითხვის მოტივაციას. საამისოდ ის ტექსტები გამოიყენება, რომელიც მოსწავლეთა ინტერესსა და გარემოს ეხება. მაგალითის მიმცემი, მოდელი – თავად მასწავლებელი უნდა იყოს, მოსწავლეებმა უნდა იპოვონ ის ბარათები, რომელზეც მათი სიტყვების მსგავს ბერებზე დაწყებული და დამთავრებული სიტყვებია დაწერილი.

ბ) მოდელირება – თითოეულ მოსწავლეს შეიძლება მისცეს რომელიმე სიტყვის პირველი ასო, მაგალითად: „ბ“ (ბურთი), მათ უნდა ასწავლოს დანარჩენებს ეს ასო-ბერა, ან ნახატით, ან რაიმე მოქმედების იმიტირებით (განასახიეროს ბურთით თამაში).

გ) მოსმენა და კითხვა: მასწავლებელმა უნდა ჩაწეროს დისკზე, პარალელურად წაკითხოს იგივე ტექსტი მოსწავლეებს, თან მოთხოვოს მათ შინაარსის იმიტაცია, მაგალითად, ზღაპრის მოსმენისას ტექსტში მოცემულ სურათზე უჩვენოს რომელი ცხოველია ან რას მოქმედებს ის.

დ) შესაძლებელია ცხრილის გამოყენება, რომელზეც ასები ან სიტყვები წერია. თითოეულ მოსწავლეს ურიგდება პატარა ფერადი ბარათები, მასწავლებელი ხმამაღლა კითხულობს რომელიმე სიტყვას ან ასოს, მოსწავლეები კი ბარათით ფარავენ ცხრილის იმ უჯრას, სადაც ამოკითხული სიტყვა ან ასო დაწერილი:

მზე – დედა – წიგნი

ხე – რვეული – სკამი

ოთახი – დაფა – პეპელა

(დაფარული სიტყვა „რვეული“).

განვითარების შემდგომ ეტაპზე ხდება კითხვის დახვეწა. მოსწავლეები მზად არიან, ამოიკითხონ სიტყვები, გამოთქვან ისინი ხმამაღლა, მასწავლებლის დახმარებით გაიგონ მათი მნიშვნელობა. კითხვის სწავლების პროცესი უნდა მოერგოს მოსწავლის განსხვავებულ შესაძლებლობებს.

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

ყურადღება უნდა მიექცეს იმ მოსწავლეებს, რომლებიც ამა თუ იმ დიალექტზე საუბრობენ, მათ მეტი დრო უნდა დაეთმოთ კითხვის მოსამზადებელ პერიოდში. უნდა დაინახონ, რომ კითხვა და წერა ერთმანეთის შესატყვიის პროცესია და საერთო ცოდნას ემყარება.

ტექსტის წაკითხვამდე მასწავლებელმა უნდა გაარკვიოს მოსწავლეთა ცოდნა იმ ტექსტის შესახებ, რასაც ეხება ტექსტის შინაარსი. მაგალითად, მოთხოვთ სოფლის შესახებ. მოსწავლეებმა უნდა აღწერონ თავიანთი სოფელი – როგორია ის, რომელი მთა, მდინარე არის სოფელში. შემდეგ მასწავლებელი ხმამაღლა კითხულობს ტექსტს, გზადაგზა ჩერდება, ამოწმებს, რამდენად ესმით მოსწავლეებს ტექსტი და ცდილობს შეინარჩუნოს მათი ყურადღება. მასწავლებლის ტონი და ინტონაცია უნდა შეესაბამებოდეს წაკითხული ტექსტის შინაარსს. მოსწავლეები თვალს აყოლებენ ტექსტს. მასწავლებელმა შეიძლება წასაკითხო ტექსტი მთელ კლასს აჩვნონ პროექტორზეც. ბოლოს უნდა დაისხავს კითხვები, წაკითხულის ინფორმაციის გააზრებისათვის და ავალებს მათ იპოვონ ტექსტში ის წინადადება, რომელიც იმ შეკითხვაზე პასუხობს, შემდეგ ცდილობს სხვა სიტყვებით გადმოსცეს აღნიშნული ფრაზების, ან წინადადებების აზრი. მასწავლებელი წინასწარ განმარტავს ტექსტში გამოყენებულ ახალ სიტყვათა მნიშვნელობებს.

მნიშვნელოვანია ერთობლივი კითხვა. მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად კითხულობს ტექსტს, ვიდრე თავად მოსწავლეები არ შეძლებენ ტექსტის დამოუკიდებლად წაკითხვას. ეს აქტივობა შეიძლება დამოუკიდებლადაც განხორციელდეს – დისკის გამოყენებით.

განმეორებით წაკითხვისას მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს გამოყონ ტექსტიდან მნიშვნელოვანი აზრი რამოვნებით, რაც შეეხება გამეორებას კითხვაში, ერთობლივ კითხვასა და ტექსტის მონიშნას, მასწავლებელი იყენებს ინდივიდუალურ მუშაობაში სუსტი მკითხველის დასახმარებლად. სუსტი მკითხველისათვის მნიშვნელოვანია თანატოლის უშუალო კავშირი უკუკავშირი ტექსტის კითხვისას, რომელიც მასწავლებლის მიერ უნდა დაიგეგმოს.

ხმამაღლი კითხვის დროს მასწავლებელი მინიშნებებს და კარნას იყენებს მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში, რაც მოსწავლეს ეხმარება, თვითონ გაასწოროს ან დაძლიოს პრობლემა.

მასწავლებელი არ ერევა მოსწავლის მიერ კითხვისას დაშებული ყველა შეცდომის შემთხვევაში. თუ ისეთი შეცდომაა, რომ არ ირღვევა წინადადების აზრი, კითხვის დამთავრების შემდეგ განიხილავს მოსწავლესთან ერთად.

აუცილებელია მასწავლებლის კომენტარი, ზუსტი და მოქნილი კითხვისათვის, მინიშნების წარმატებით გამოენებისათვის. მასწავლებელმა ჯერ უნდა აღნიშნოს მოსწავლის წარმატება და დაღებითი მხარეები, შემდეგ აღნიშნოს ზოგიერთი შეცდომა.

პირველი კლასის დასრულების შემდეგ, მოსწავლეს შეუძლია: წაიკითხოს მარტივი ტექსტი, იმსჯელოს ტექსტის შინაარსზე, დასხას კითხვები, საკუთარი სიტყვებით გადმოსცეს წაკითხული ამბები, გააკონტროლოს თავისი საუბარი, საუბრის დროს გამოიყენოს ახალი სიტყვები. მოსწავლეს ესმის, რომ წინადადებაში სხვადასხვა სიტყვას სხვადასხვა როლი ეკისრება. ხმამაღლა კითხულობს პირველკლასელთათვის განკუთვნილ წიგნებს და ესმის მათი შინაარსი.

ლიტერატურა – References

1. ვ. რამიშვილი, ექსპლიანთა წერა-კითხვის სწავლებისა და მეტყველების განვითარების საკითხები, 1989წ.
2. 6. მაღლაკელიძე, ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, ობ, 2013 წ.
3. თ. გაგოშიძე, კითხვის თანამედროვე მოდელები და სწავლების პრაქტიკა, 2011 წ

Bregadze E.

Teaching reading with the use of modern models in first class

Summary

The use of modern methods in the process of teaching reading is given particular attention in first class. Working on the text requires teacher's professional competence. Each student's individual abilities must be considered.

პედაგოგთა ქვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

The subject standard of Georgian language and literature contains three skills: reading, writing and speaking. Unlike many other skills, good skill of reading is the result of purposeful teaching. The process of reading mastering is a complex and takes quite a long time, because variety basic skills are necessary. Reading is multilateral skill, which means decoding depicted symbols to reveal opinion. So for mastering reading skill it is necessary to use best strategies and methods.

**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Akaki Tsereteli State University**

მარათ ზიზიძამა-ნიკოლეიშვილი

აშშ-ის ელემენტარული სკოლის I კლასი მათემატიკის გაპრეტიდის ჩატარების ასპექტები

სტატიაში საუბარია აშშ-ის ელემენტარული სკოლის I კლასში მათემატიკის გაპრეტიდის ჩატარების მიზანის უზრუნველყოფის შესახებ. გადმოცემულია მათემატიკის ურთი რიგითი გაკვეთილის მიზანიანურება. სტატიაში აგრძივე საუბარია ამერიკული სკოლის სტრუქტურასა და საუკუნეებურებზე. ამერიკის დაწყებით კლასში ჩატარებული გაკვეთილი ატარებდა შემცნებით ხასიათს. იგი ფორმით საინტერესო და შინაარსით მიმზიდვებით იყო და მოხსევლებში იწვევდა დადგებით გმოცემებს. სტატიაში უწევდება გამასულებულია გაკვეთილზე გამოყენებულ ტექნიკურ და მულტიმედიურ საშუალებებზე, როგორებიცაა გრაფიკორუექტორი და კომპიუტერი.

ამ რამდენიმე წლის წინათ, სამი თვის განმავლობაში, სამეცნიერო მივლინებით ვიმუოფებოდი აშშ-ში, მისურის შტატის ქალაქ კოლუმბიაში, რომელიც საუნივერსიტეტო ქალაქს წარმოადგენს. იქ კოფის პერიოდში საშუალება მქონდა, ახლოს გავცნობოდი ამერიკის საუნივერსიტეტო და საკოლო განათლების სისტემას. ჩემი ინტერესების არეალში განსაკუთრებით მოექცა დაწყებითი, ანუ როგორც იქ უწოდებენ, ელემენტარული სკოლა. სამეცნიერო პრაქტიკა გავიარე კოლუმბის იმ ელემენტარულ სკოლაში, რომელიც დამეგობრებულია ქუთაისის დაწყებით სკოლასთან და რომელსაც შენობის აბრაზე ქართულ ენაზე აწერია სიტყვა „გამარჯობა“.

საინტერესოა, რომ ამერიკული სკოლის ყოველი საფეხური ცალ-ცალკე შენობაშია განთავსებული და ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელია. ეს საფეხურებია: ელემენტარული სკოლა (I-V კლასები), საშუალო სკოლა (VI-VII კლასები), მაღალი ანუ ახალგაზრდული სკოლა (VIII-IX კლასები) და უმაღლესი სკოლა ანუ „პასექული“ (X-XII კლასები). ბავშვი სწავლას 5 წლის ასაკიდან იწყებს. „პასექულში“ მოსწავლე ვალდებულია აუცილებლად შეისწავლოს შემდეგი საგნები: ინგლისური ენა და ლიტერატურა, სახელმწიფოს ისტორია, მათემატიკა, მეცნიერება (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) და ფიზკულტურა. ამათ გარდა, იგი საქალარო ინტერესების გათვალისწინებით, დამატებით ირჩევს მისოვის სასურველ სხვა საგანის.

უნივერსიტეტში ჩარიცხვის მსურველები, დასახელებული 5 სავალდებულო საგნიდან ოთხში (გარდა ფიზკულტურისა), მე-12 კლასში ან სკოლის დამთავრების შემდეგ, სათანადოდ დაწესებებული თანხის გადახდის საფუძველზე, სპეციალურად შექმნილ სახელმწიფო კომისიასთან, ტესტირებას გადიან. ასეთი ტესტირებები წელიწადში 5-ჯერ ტარდება. ტესტირებაზე მსურველთა გასვლა დამიტირებული არ არის. ის მოსწავლეები, რომლებიც მინიმალურად ნიშნულ ქულაზე ნაკლებს დააგროვებენ, უნივერსიტეტში არ მიიღებან, დანარჩენები კი თავიანთ მონაცემებს მათვის სასურველ უნივერსიტეტში დაგზავნიან. ცხადია, ამ უნივერსიტეტებში პირველ რიგში უფრო მაღალი ქულების მქონე მოსწავლეები ირიცხებიან.

ადსანიშნავია, რომ მოსწავლეების ცოდნა ელემენტარული სკოლიდან მოყოლებული, ბოლო მე-12 კლასის ჩათვლით, არა მარტო ყოველწლიურად, არამედ ყოველ სემესტრში, ყოველ თვეში, ყოველ კვირასა და ყოველდღიურად ფასდება სათანადო ქულებით. ელემენტარულ სკოლებში არსებობს მოსწავლეთა წახალისების ორიგინალური ფორმებიც. მაგალითად, სკოლის დირექტორის ანუ პრინციპალის (როგორც მათ ამერიკაში უწოდებენ) მიერ, სემესტრის ბოლოს, ხდება წარჩინებულ მოსწავლეთა მიწვევა ლანჩზე. ეს მოსწავლისათვის უდიდესი პატივია. ამერიკელ მოსწავლეებს პატარაობიდანვე აქვთ გაცნობიერებული, რისთვის ან რატომ სწავლობენ. იქაური მასწავლებლები,

პედაგოგთა ქვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“
ჩვენგან განსხვავებით, მოსწავლეებს არ აძლებენ გაკვეთილის მოსმენას და ყურადღებას. მოსწავლეს უფლება აქვს, გაკვეთილიდან უკითხავად გავიდეს, ან საკლასო ოთახის რომელიმე კუთხეში დადგმულ კომპიუტერზე ითამაშო.

გარდა სახელმწიფო სკოლებისა, ქვეყანაში კერძო სკოლებიც არსებობს, სადაც სწავლის უველვლიური გადასახადი საკმაოდ დიდია (საშუალოდ 5-6 ათასი დოლარი). ელემენტარულ სკოლებში მოსწავლეებს სპეციალურად გამოყოფილი უფასო ავტობუსებით დაატარებენ. ეკონომიკურად – შედარებით ხელმოქლე ბავშვებისათვის სკოლაში კვება უფასოა, დანარჩენები კი დღეში სამისოდ 1,25 დოლარს იხდიან.

მასწავლებელს ამერიკულ სკოლაში საქმაოდ დიდი დატვირთვა აქვს. კერძოდ, სრული შტატით მომუშავე მასწავლებელი კვირაში, როგორც წესი, 25 გაკვეთილს ატარებს. მისი წლიური ხელფასი 21 ათასი დოლარიდან იწყება და მუშაობის სტაჟისა და სხვა მონაცემების გათვალისწინებით, 45 ათას დოლარამდე ადის. გარდა დიპლომისა, მას აუცილებლად უნდა პქონდეს სათანადო სერტიფიკატიც. სკოლაში მასწავლებლად მიღება თავდაპირველად საცდელი ვადით ხდება. თუ იგი წარმატებით გაართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას, უფორმდება სამსახურებრივი კონტრაქტი, რომელიც დროში შეზღუდული არ ის. ჯაუფებში მოსწავლეთა რაოდენობა 30-ს არ უნდა აჭარბებდეს. დიდი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ინტერნაციონალურ აღზრდას, რადგანაც ამერიკაში უამრავი სხვადასხვა ეროვნების მოქალაქე ცხოვრობს. ჩვენ საშუალება გვქონდა, მონაწილეობა მიგველო ეროვნებათა ფესტივალში. სკოლის უზარმაზარ დარბაზში წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ქვეყნის ისეთი ექსპონატები, როგორებიცაა: ეროვნული ტანსაცმელები, ფოტო-ალბომები, ვიდეო-კლიპები, სამზარეულო და ა.შ.

საკლასო ოთახი წარმოდგენს დიდ, ნათელ ოთახს, სადაც მერხების ნაცვლად პატარა მაგიდები დგას თავისი სკამებით. პატარები თავს ლადად, თავისუფლად და კომფორტულად გრძნობენ. საკლასო ოთახის კედლები უამრავი სტერილური, პლაკატით, მოსწავლეთა ნახატებითა და სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებით არის დაფარული. საკლასო ოთახში მრავლადაა სხვადასხვა სახის ტექნიკური საშუალებები, კომპიუტერი.

საკლასო ოთახში ზოოლოგიური კუთხეც არის მოწყობილი. ბავშვები განსაკუთრებული მზრუნველობით ეპერობინ ცხოველებს: ციყვებს, კურდღლებს, პატარა კუებს.

როგორც აღვნიშნეთ, კედლები შემცნებითი ხასიათის უამრავი საგნითაა მორთული. აქ არის საათები, სხვადასხვა მასშტაბების მქონე სახაზავები, ბანერები და სხვ. ოთახის კუთხეებში კი ყუთებით უამრავი გეომეტრიული ფიგურა, სათამაშო, ფლომასტერები და ბავშვებისათვის საინტერესო საგანი ინახება. ასევე უამრავი წიგნი და საბავშვო ჟურნალი არის მოთავსებული თაროებზე. ყველაფერი, რაც კი მოსწავლეებისათვის არის საჭირო და აუცილებელი, უხვად მოიპოვება საკლასო ოთახში.

კოლუმბის ელემენტარული სკოლის პირველი კლასის მასწავლებელია ლური ქრამი. იგი ახალგაზრდა, ენერგიული ქალბატონია. წელზე პატარა კალთა აქვს მიმაგრებული, რაშიც გაკვეთილისათვის საჭირო საგნები უწყვია. ერთ-ერთ გაკვეთილს იგი შეკითხვებით იწყებს. ბავშვებს დარიგებული აქვთ გაკვეთილის თემის შესაბამისი გეომეტრიული ფიგურები. მასწავლებლის კითხვების საპასუხოდ ისინი მაღლა სწევენ სამკუთხედებს, კადრატებს, წრეებს, კუბებს და ა. შ.

ამის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს კუბს და სოხოვს მათ ჩახატონ კუბის ის მხარე, რომელსაც ხედავენ. ბავშვები დიდ ფურცლებზე აკოტებენ კუბის წინა მხარის იმ ჩახატებს, რომელსაც თითოეული ხედავს. ეს ჩახატები ასეთ სახეს დებულობს:



როგორც ვხედავთ, დახატული ფიგურები ერთმანეთისაგან განსხვავდება, რადგან მოსწავლეები თავიანთი მაგიდიდან ეუბს სხვადასხვანაირად ხედავენ.

პედაგოგთა ევალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

ამის შემდეგ მასწავლებელი გრაფოპროექტორის საშუალებით მოსწავლეებს თავად ასწავლის ამ ფიგურის დახატვას (და არა დახაზვას). მერე კი აძლევს დავალებას, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: მან ბავშვებს ჩამოურიგო შემდეგი სახის ფიგურები:



და მისცა ასეთი დაგალება: 6 დასახელების ფიგურისაგან აეგოთ შენობა და შემდეგ ჩაეხატათ. მასწავლებელმა მაგიდაზე დააწყო 10 ფიგურა და მოსწავლეებს შეკითხვა დაუსვა: „გამოვიყენეთ ოუ არა 10 ფიგურა შენობის ასაგებად?“ – პასუხი – „არა, რადგან $10 > 6$ -ზე“ შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს 3 ფიგურას აჩვენებს, და იგივე შეკითხვას უსვამს მათ. პასუხი კვლავ უარყოფითა – „არა, რადგან $3 < 10$ “.

დასრულებულ ნახატებს პატარები პაერში აფრიალებენ და ცდილობენ, მასწავლებელს შეფასებინონ. მასწავლებელი ყველას კეთილად უდიმის და მათ ნაშრომს მაღალ შეფასებას აძლევს. გაკვეთილი 40 წუთი გაგრძელდა. ამის შემდეგ პატარები დასასევნებლად გაემართნენ.

მომდევნო გაკვეთილი ეთმობა აღნიშნული გაკვეთილის კომპიუტერული ვერსიის განხილვას. იგი მეტად საინტერესოდ და შინაარსიანად მიმდინარეობს. მოსწავლეები მონიტორზე გამოსახული ფიგურების სიმრავლიდან მიუთითებენ იმ ფიგურას, რომელსაც ისინი წინა გაკვეთილზე თვითონ ხატავდნენ. შემდეგი გაკვეთილი ეთმობა კომპიუტერულ გრაფიკას, სადაც მოსწავლეები „თაგვის“ დახმარებით, კომპიუტერის მონიტორზე ხატავენ ფიგურებს, ამ პროცესს თან ერთვის მულტიმედია, ანიმაციური კლიპები და ა. შ.

როგორც ვხედავთ, მათემატიკის გაკვეთილი ატარებს შემეცნებით ხასიათს, ფორმით საინტერესოა და შინაარსით მიმზიდველი, რაც მოსწავლეებში დადგებით ემოციებს იწვევს.

Zivzivadze-Nikoleishvili M.

Organizational aspects of math teaching in the first grade of USA elementary school

Summary

The article is about the organizational aspects of math teaching in the first grade of USA elementary school. Here is described ordinary math lesson. The article also discusses structure and stages of American school. Lesson which was held in American schools' primary classes had cognitive nature. Form of the lesson was very interesting and provoked positive emotions within students. The article focuses on the technical and multimedia facilities, such as computer and projector, which are used during lessons.

**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Akaki Tsereteli State University**

პედაგოგთა ევალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

მანანა ჩარჩაშაძე

აზოვნების უორმების განვითარება საზოგადო და საზოგადო საზოგადო

დაწყებით საფეხურზე განათლება ითვალისწინებს მოსწავლის შესაძლებლობებისა და პოტენციალის განსაზღვრას, რეალიზებას და აღსაზრდელის ინდივიდუალური განვითარებისათვის პირობების შექმნას. რაც უფრო მრავალმხრივი და მრავალფეროვანია საგანმანათლებლო გარემო, მით უფრო იხსნება მოსწავლის პიროვნეული უნარები და ინტელექტუალური წინამდებარე სტატიაში, უკარის უფრო გამახილებულია პრობლემაზე, რომელიც ეხება დაწყებითი საფეხურის აღსაზრდებლებში აზროვნების ფორმების განვითარების საკითხებს. აზროვნება შემცნებითი პროცესია და იმისათვის, რათა შესაძლებელი გახდეს მოსწავლის შესაძლებლობების რეალიზება, მისი ინტერესებისა და უნარების გათვალისწინებით, აუცილებელია სასწავლო პროცესში სხვადასხვა სტრატეგიების, მეთოდებისა და აქტივობების მზანდასახული გამოყენება.

თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესში, მნიშვნელოვანი უკარის უფრო გამახილებული აზროვნების კომპეტენციების განვითარებაზე, რაც ხელს შეუწყობს აღსაზრდელის მაქსიმალურად ჩართვას საგანმანათლებლო პროცესში. იმისათვის, რომ აზროვნების პროცესის ჩამოყალიბება წარმომართოს, აუცილებელია სასწავლო პროცესი დაიტვირთოს აქტივობებით, რომელიც წარმოქმნის ამოცანის გადაჭრის, გაგების მოთხოვნილებას.

დაწყებითი საფეხურზე განათლება ითვალისწინებს მოსწავლის შესაძლებლობებისა და პოტენციალის განსაზღვრას, რეალიზებას და აღსაზრდელის ინდივიდუალური განვითარებისათვის პირობების შექმნას. კერძოდ, რაც უფრო მრავალმხრივი და მრავალფეროვანია საგანმანათლებლო გარემო, მით უფრო იხსნება მოსწავლის პიროვნეული უნარები და ინტელექტუალური გარემო, მინდა უკარის უფრო გამახილო პრობლემაზე, რაც დაწყებითი საფეხურის აღსაზრდებლებში აზროვნების ფორმების განვითარების საკითხებს ეხება. აზროვნება შემცნებითი პროცესია და იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს მოსწავლის შესაძლებლობების რეალიზება მისი ინტერესებისა და უნარების გათვალისწინებით, აუცილებელია სასწავლო პროცესში, აზროვნების სახეების განვითარებისათვის მიზანდასახულად გამოყენებული იქნას სხვადასხვა სტრატეგიები, მეთოდები და აქტივობები. როგორც ცნობილია, დარგობრივი და ზოგადი უნარ-ჩვევების კომპეტენციების საკითხები განუყოფელია. მიმართია რომ დღეს, თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესში მნიშვნელოვანი უკარის უფრო გამახილებული აზროვნების კომპეტენციების განვითარებაზე, რაც ხელს შეუწყობს აღსაზრდელის მაქსიმალურად ჩართვას საკუთარ საგანმანათლებლო პროცესში, მათ შორის დარგობრივ კომპეტენციებში სასურველი შედეგის მიღებაში. როგორც ვიცით, აზროვნება პიროვნების განუყოფელი თვისებაა, პიროვნებისეული ხასიათის მატარებელია. აზროვნებს და შეიმცნებს პიროვნება. იმისათვის, რომ აზროვნების პროცესის ჩამოყალიბება წარმომართოს, აუცილებელია სასწავლო პროცესი დაიტვირთოს აქტივობებით, რომელიც წარმოქმნის ამოცანის გადაჭრის, გაგების მოთხოვნილებას. კლასიკურ ფსიქოლოგიაში გამოყოფილი აზროვნების სახეებიდან, დაწყებით საფეხურზე აქტივურია პრაქტიკული და ხატოვანი აზროვნება, რომელიც უნდა გამოვიყენოთ ვერბალურ-ლოგიკური აზროვნების განვითარებისათვის. უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეები სწავლისა და სწავლების მეთოდების გამოყენების შედეგად სწავლობები თვითით აზროვნების მართვას. გაკვეთილზე პედაგოგი ამ პროცესის ფორმირებას ახდენს იმ დავალებების მეშვეობით, რომელიც ბავშვებში გაანალიზების, ცნობისმოყვარეობის, აზროვნების პროცესის გაშლას უწყობს ხელს.

კერძო დაწყებით სკოლაში „დონე ქვეყნისა“, დაწყებით კლასებში პროგრამირების ელემენტების სწავლება ეფექტურია აზროვნების სახეების განვითარების თვალსაზრისით. აზროვნების ტიპები მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან და მათი სრულფასოვანი ფორმირება მხოლოდ კომპლექსურადაა შესაძლებელი. ვინაიდნ, აზროვნება მჭიდროდაა დაკავშირებული პიროვნების გამოცდილებასთან, აუცილებელია სწავლების დაწყებით საფეხურზე მიზანმიმართულად

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

განვახოვდოთ სააზროვნო უნარების ჩართვა გამოცდილებისა და ახალი ცოდნის, ახალი ამოცანის გადაჭრის გამოყენებით, ვინაიდან მოზარდები მსგავსი ამოცანების წინაშე დადგომისას, პრობლემას წევეტები გამოცდილებით გამდიდრებული ცოდნის მეშვეობით. პროგრამირების ელექტრონული დაწყებითი კლასის მოსწავლეებში ორიენტირებულია სხვადასხვა ტიპის აზროვნების კომპლექსურად განვითარებაზე, მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. მოვიყვანოთ ინფორმაციის ორგანიზების სწავლების მაგალითი დაწყებით საფეხურზე.

მაგალითი 1. მოსწავლეებს ვაჩვენებთ, რუკას. უკასით, რომ თვალსაჩინოებაზე ნაჩვენებია მდინარე რიონი, რომელიც მიედინება სხვადასხვა ქალაქებისა და სოფლების გავლით და უქსინით, რომ ზოგი ქალაქი და სოფელი შენდება მდინარის განაპირობის განვითარების მდინარე რიონი და ვნახოთ, რომელი ქალაქებია გაშენებული ამ მდინარეზე. ვთხოვთ მოსწავლეებს ჩამოთვალის რიონის პირას გაშენებული ის ქალაქები და სოფლები, რომელიც უნდა გაიარონ რათა ჩავიდნენ ამბოლაურიდან ფოთში. რუკის მეშვეობით ვახდენთ ინფორმაციის ორგანიზებას. ინფორმაციის ორგანიზება ასევე შეიძლება ცხრილების, გრაფის, კატალოგის და სხვა სახით.

მაგალითი 2. მოსწავლეებით ერთად შევადგინოთ სქემა: ბებია-ბაბუა-დვდა; ბებია-ბაბუა-მამა; შვილები. შევადგინოთ გრაფი.

მაგალითი 3. ვალაგებინებთ წიგნებს ბიბლიოთეკაში და უქსინით კატალოგის მნიშვნელობას. მოსწავლეები ადგენენ კატალოგს სხვადასხვა კრიტერიუმებით. ახდენენ ინფორმაციის ორგანიზებას.

ამ მაგალითების მიხედვით, მოსწავლეს უფითარდება პრაქტიკული აზროვნება, რადგან ის პრობლემას წყვეტა, როდესაც ფიქრობს, როგორ შეიძლება მოხვდეს ერთი ქალაქიდან მეორეში რუკის დახმარებით. ამასთანავე ჩართულია ხატოვანი და ლოგიკური აზროვნება, ვინაიდან მას უწევს პრობლემის გადაჭრა (გზის გატენბა, კატალოგის დალაგება, ნათესავების სქემის შედგენა).

ზემოთ მოცემული დავალებების შესახრულებლად, მოსწავლე იყენებს:

- ✓ ხატოვანი აზროვნებას, (ცხრილი, გრაფი და რუკა, კატალოგის ფორმა);
- ✓ ლოგიკურ აზროვნებას, ვინაიდან უწევს ცნებების (ოჯახის წევრები, წიგნები, ქალაქები და სხვ) გამოყენება;
- ✓ პრაქტიკულ აზროვნებას (ინფორმაციის ორგანიზების გზით, ადგენს კატალოგს, ქალაქებს შორის მოძრაობის რუკას და ა.შ.);
- ✓ თეორიულ აზროვნებას, ვინაიდან მან იცის, როგორ მოახდინოს ინფორმაციის ორგანიზება სხვადასხვა კრიტერიუმებით;
- ✓ პრაქტიკულ აზროვნებას, როდესაც ის პრაქტიკულად ასრულებს დავალებას;
- ✓ ანალიტიკურ აზროვნებას, მაგალითთან, მას ზემოთ მოცემული დავალებების შესახრულებლად, ინფორმაციის ორგანიზებისათვის სჭირდება განსაზღვროს, რომელი კრიტერიუმებით სჯობს ინფორმაციის ორგანიზება ბიბლიოთეკაში; აქ ჩართულია ასევე ინტუიციური ტიპის აზროვნება;
- ✓ შემოქმედებით აზროვნებას, რუკისა და კატალოგის შედგენისას;
- ✓ რეალისტურ აზროვნებას, რომელიც როგორც ვიცით, მიმართულია გარე სამყაროზე. მისი მიზანია რაიმეს შემეცნება, იგი ემყარება ლოგიკურ კანონებს. ასეთი ტიპის აზროვნებასთან საქმე გვაქს ნებისმიერი წამოჭრილი პრობლემის გადაწყვეტისას, როდესაც საჭიროა ანალიზი და აბსტრაქცია;
- ✓ რეპროდუქტულ აზროვნებას. ვიცით, რომ ეს უკანასკნელი იყენებს უკვე მზა ჩვევას, გამოცდილ სქემას რაიმე პრობლემის გადასაჭრელად. ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩშირია, როდესაც ჩვენს წინაშე წამოჭრილ პრობლემას ჩვეული, გამოცდილებაში არსებული წესით გწვევტო; როდესაც მოსწავლე შეისწავლის რუკას, სქემის და კატალოგის მეშვეობით ინფორმაციის ორგანიზებას, იგი მხგავს შემთხვევაში, იოლად გადაჭრის ამოცანას;
- ✓ პროდუქტულ აზროვნებას. ზემოთ აღნიშნული შემთხვევებიდან გამომდინარე, მოსწავლე შეძლებს იმ დავალებების შესრულებას, რომლის გადაწყვეტის გამოცდილება არ ჰქონია და საჭიროა გადაწყვეტის ახალი გზების მიება, რასაც პროდუქტული აზროვნება ემსახურება.

ზემოთ აღნიშნულ დავალებებთან მუშაობას მივყაროთ კრიტიკული აზროვნების განვითარებამდე, რომლის მიზანია უკვე მიღებული გადაწყვეტილებების შემოწმება და ახალი მისა, თუ პრაქტიკულად როგორ და სად შეიძლება მათი გამოყენება. ადამიანის წინაშე დასმულ ამოცანათა ეფექტური გადაწყვეტისთვის აუცილებელია სხვადასხვა სახის აზროვნების ჩართვა. აუცილებელია, შევეხოთ აუტისტურ, ეგოცენტრულ აზროვნებას, რომელიც მიმართულია პიროვნების

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“
მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, მისი სურვილების რეალიზაციაზე, ასეთი ტიპის აზროვნება თავს ვერ აღწევს აფექტური სფეროს გავლენას და მთლიანად არის განპირობებული პიროვნების სურვილებით, მისი ძლიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით. რაიმე რეალურ ობიექტებს შორის მიმართების დამყარება, რაიმე პრობლემის გადაჭრა ხდება არა რეალურად არსებული ამ მიმართებების ან სიტუაციის ანალიზის, განკუნების საფუძველზე, არამედ, საკუთარი სურვილის შესაბამისად [უკიდურესად გამოხატული აუტისტური აზროვნების მაგალითია ფსიქიკური აშლილობის მქონე პიროვნების აზროვნება]. აუცილებელია ყურადღება მიექცეს მოზარდის აზროვნებისადმი განწყობას, აზროვნების უნარს. რომელიც ინტელექტანაა დაკავშირებული, რაც აზროვნების შედეგად ახალი ამოცანების გადაჭრას გულისხმობს.

ლიტერატურა – References

1. ეროვნული სახწავლო გეგმა.
2. Немов Р. С., Психология. 4-е изд. – М.: ВЛАДОС, 2003.

Karkashadze M.

Thought forms of teaching at the primary level

Summary

At the beginning level education provides students' opportunities and potential, their realization and creates conditions for pupils' individual development. In particular, the more versatile and diverse is educational environment, the more abilities have students to show their individual ability and intellect. I want to pay attention on the problem that is connected with the development of students' thinking formation at the beginning level. Thinking is cognitive process and to make possible to realize students' abilities and take into consideration their interests and skills, it is necessary to use various purposeful strategies, methods and activities in the teaching process for thinking types development.

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Kutaisi Regional Teacher Training Institute
Akaki Tsereteli State University

პედაგოგთა ევალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

01 დაგითიშვილი

მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეზოველების განვითარების ზობაზი გზები

ჩვენი ეპოქა მეცნიერებისა და ტექნიკის აღმავლობის ეპოქაა და ახალი წარმატებები დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი იქნება მომავალი თაობის ინტელექტუალური შესაძლებლობა, აზროვნების დონე, კვლევა-ძიების უნარი და სხვა მოქალაქეობრივი თვისებები.

ტექნიკური რევოლუციის ეპოქის კეთილისმყოფელი გავლენა შეიქრა მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში და შეუძლებელია მას ჩამოვრჩეთ. სასკოლო რეფორმის ერთ-ერთი მოთხოვნაც სწორედ ესაა. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოვწყდეთ წიგნს. კითხვას, სწორად წერას და მეტყველებას სათანადო უკრადღება სჭირდება.

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების პროცესში სისტემატიკურად უნდა ვიზრუნოთ, რომ მოსწავლეებში ჩამოვაყალიბოთ ჩვენი დროისა და ეპოქის შესაფერისი ესთეტიკური იდეალები, განვევითაროთ სათანადო მხატვრული გემოვნება, სილამაზისა და მშვენიერებისაკენ მისწრაფების გრძნობა, ზეპირი და წერითი მეტყველების აულტურა.

თანამედროვე იტალიელი მწერალი და მეცნიერი უმბერტო ეკო წერს: „წიგნიერების ახალი სახეა კომპიუტერი, რომელსაც შეუძლია ათასგარი ინფორმაციის მოწოდება, მაგრამ წიგნის შეცვლა არა. კომპიუტერის გამოყენებით, ადამიანმა დიდი ხნის ოცნება აისრულა. მას შეუძლია სურვილისამებრ ცვალოს და შეავსოს ტექსტები, მაგრამ მთავარი „მანქანა“, რომელიც ურიცხვი ტექსტის შექმნის საშუალებას იძლევა, ათასწლეულის წინ არის გამოგონებული და მას ანბანი ეწოდება. ჭეშმარიტი თავისუფლების მოსაპოვებლად, ადამიანმა უნდა გაიაროს სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული გაკვეთილები. ამ არაჩვეულებრივ ცოდნას კი წიგნები იძლევა“.

მოსწავლეთა ყოველმხრივი აღზრდისათვის, მათი ინტელექტუალური ძალების განვითარებისათვის, თანამედროვე ტექნოლოგიების აოგისებასთან ერთად, მნიშვნელოვანია წიგნიერება.

რა არის დღეს ჩვენს სკოლებში მოსწავლეთა წერითი და ზეპირი მეტყველების განვითარების ძირითადი საწინდარი? – ეს არის ერთიანი, სწორი ლიტერატურულ-ენობრივი გარემოს შექმნა.

მეტყველების ამ ორ სხვადასხვა ფორმას შორის მსგავსება იმაშია, რომ ორივე შემთხვევაში მოსწავლეს მოეთხოვება აზრების სწორად, გამართულად გადმოცემა. ამიტომ, ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე, მართლწერისა და მეტყველების კულტურის შესწავლით და სათანადო პრაქტიკული ჩვევების გამომუშავებით, ხელი შევუწყოთ მოსწავლეთა ინტელექტის ინტენსიურ განვითარებასა და წიგნიერების დონის ამაღლებას, მეტყველებაზე დაკვირვების უნარს.

დღეს მოსწავლეთა ზეპირ და წერით მეტყველებაში არსებული პრობლემები წარმოადგენს პედაგოგთა ყოველდღიური ზრუნვისა და უკრადღების საგანის.

ერთიანი, სწორი ლიტერატურულ-ენობრივი გარემოს შექმნა – ეს არის ჩვენს სკოლებში მოსწავლეთა სწორი მეტყველების განვითარების საწინდარი.

ზეპირი და წერითი მეტყველება არის ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული, ურთიერთგანმანაბირობებებით მოვლენა. ორივე შემთხვევაში, მოვითხოვთ მოსწავლისაგან აზრების სწორად გადმოცემას. გაუმართდებელია ბუნდოვანი, დაულაგებელი საუბარი იმის გამო, რომ იყი ზეპირად იყო წარმოთქმული, ისევე, როგორ არ შეიძლება აზრის დამახინჯებით გადმოცემა წერილობითი სახით. ლიტერატურის სწავლების ყოველდღიურ პროცესს თან უნდა ახლდეს კონტროლი ზეპირ მეტყველებაზე.

მოსწავლეთა წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურის ამაღლებისათვის

გასათვალისწინებელია სამი მთავარი ფაქტორი:

- მასწავლებლის სანიმუშო მეტყველება;
- გრამატიკული ცოდნა და სტილისტური ვარჯიში;
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება.

გარდა ამისა, აუცილებელია ქართული ენისა და ლიტერატურის კომპლექსური სწავლება.

პედაგოგთა ქვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

ამ ბოლო წლების სასკოლო გამოცდილებამ ნათელყო რომ, გრამატიკული ნორმებისა და კატეგორიების ცოდნა მნიშვნელოვანი პირობაა აზრის წერილობით თუ ზეპირ ფორმებში სწორად გამოსახატავად. ენობრივ-გრამატიკული წესებისა და კანონების შესწავლა ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ ლიტერატურული ტექსტების სწორად და შეგნებულად ათვისებას და პირიქით, ნებისმიერი ლიტერატურულ-მხატვრული მასალის შესწავლა ხელს უწყობს ენობრივი ცოდნის ცხოვრებაში გამოყენებას. ამ ცოდნის განმტკიცებას და გაღრმავებას, პრაქტიკული ჩვევების გამომუშავებას. ლიტერატურის სწავლების მთელი პროცესი ბუნებრივად უნდა დაგუავავშიროვ ქართული ენის გრამატიკის სწავლებას. ენის გაკვეთილზე ამ ტექსტებიდან უნდა შევარჩიოთ პრაქტიკული მაგალითები სტილისტური სავარჯიშოების ჩასატარებლად, ხოლო ლიტერატურის გაკვეთილებზე ყოველთვის უნდა ვიყრებდეთ ენის გაკვეთილებიდან მიღებულ ცოდნას. გარდა ამისა, საჭიროა მოსწავლეებმა შეძლონ აზრი ჩამოაყალიბონ ნათლად, ემოციურად, ექსპრესიულად. ამ მიზნით, როგორც ზეპირ, ისე წერითი მეტყველების დროს ვეძებთ ყველაზე დამაჯერებელ, სწორ და უკეთეს გამომსახველობით-ენობრივ შესაძლებლობებს.

სწავლების ეს მხარე არის – სტილისტიკა, რომელიც მოსწავლეს აძლევს თეორიულ ცოდნას რიგი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, უკითხებს ესთეტიკურ დამოკიდებულებას მეტყველებისადმი და პასუხისმგებლობას ენის სიწმინდის დაცვისა და კულტურის ამაღლების მიზნით.

მოსწავლეთა ზეპირ და წერით მეტყველებაზე მუშაობის დროს, აუცილებელია გავითვალისწინოთ შემდეგი საორიენტაციო საკითხები: მხატვრული, სამეცნიერო-პუბლიცისტური ტექსტების სწრაფი, ხმამაღლალი კითხვა; ზეპირად შესასწავლი მხატვრული ნაწარმოების გამომეტყველებით კითხვა, მცირე ზომის ეპიკური ნაწარმოების, ან მისი ნაწილის შინაარსის ზეპირი და წერილობით გაღმოცემა (აღწერის ელემენტებით); ზეპირი და წერილობითი თხზულება, მსჯელობა, ნაწარმოების გეგმის შედგენა, დამოუკიდებლად წაკითხული ლიტერატურული ნაწარმოების ზეპირი შეფასება-პრეზენტაცია. განსაკუთრებულ შედეგს იძლევა მხატვრული-შემოქმედებითი თხრობა და ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი მეთოდი – როლური თამაში, რომლის წყაროდ სწორედ ლიტერატურა გამოიყენება.

ეს მეთოდი მოსწავლეებს აძლევს იმის საშუალებას, რომ მათ განავითარონ და შეამოწმონ საკუთარი ცოდნა, უნარები და გამოცდილება მოცემულ სიტუაციაში მოქმედი პირების აზრებისა და გრძნობების გათავისებით. ამ მეთოდს შეუძლია, მოსწავლეებში დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებისა და სწავლის ხელშემწყობის როლი შეასრულოს. მოსწავლეები განიხილავენ და ითვისებენ სხვების აზრებს და თვალსაზრისებრს; ისინი იყენებენ მეტყველებას იმისთვის რომ გადმოსცენ ემოციები; ცხოვრებისეული სიტუაციების გათამაშებისას ისინი იღებენ უნიკალურ გამოცდილებას, უკითარდებათ ზეპირმეტყველება და მოსმენის უნარი. განსჯითი დისკუსიის შემდგა კი მოსწავლეები საექსარ შთაბეჭდილებებს გადმოსცემენ წერილობით. ასეთ შემთხვევაში, პასიური მოსწავლეც კი ცდილობს დაწეროს ამ გამოცდილების შესახებ.

ზეპირმეტყველებაში არსებული პრობლემების აღმოსაფეხრებულად ყურადღება უნდა გავამახვილოთ სხვა ხერხებსა და საშუალებებზეც, როგორიცაა: მხატვრულ-შემოქმედებითი თხრობა გაკვეთილზე, როცა მოსწავლეს ტექსტების სიუსტის დაცვით, თხრობის პროცესში უხდება მასალის გადაკეთება, მაგალითად, პირის შეცვლა. სასურველია, რომ თხრობას წინ უსწრებდეს მოსწავლის მიერ საკითხების წინასწარ გარკვეული თანმიმდევრობით წარმოდგენა, გამომეტყველებით კითხვა და სხვა. ყველა ეს საკითხი მოსწავლეთა ლექსიური მარაგის გამდიდრების საუკეთესო საშუალებაა. ავსებს მათ ლექსიკას როგორც ლიტერატურულ-თეორიული, ისე უოველდდიურად გამოსაყენებელი ტერმინოლოგით.

მეტყველების კულტურის სრულყოფისათვის მთავრია სინონიმური გამოთქმების დაუფლება. ქართული ენა ამ მხრივ, თავისი დაუმრეტებელი სიმდიდრით ფართო შემოქმედებით გზას იძლევა. მოსწავლეებს ტექსტურ მასალაზე მუშაობის პროცესში ყურადღება გავამახვილებინოთ სინონიმებზე. სისტემატურად ვავარჯიშოთ სინონიმური მონაცემები სიტყვების ძიების, კონტექსტში მათი ჩასმისა და წინადაღების აგების მიმართულებით.

ზეპირი მეტყველების დროს მოსწავლეთა ლოგიკური, წარმოსახვითი აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარის გამოსამუშავებლად ყურადღებას ვაქცევთ ლიტერატურული პერსონაჟების დასასიათებას, რადგან მოსწავლემ უნდა იმსჯელოს. მსჯელობა კი აზროვნების ყველაზე განვითარებული ფორმაა.

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

ზეპირ მეტყველებასთან ერთად, მნიშვნელოვანია წერითი მეტყველების როლი. მოსწავლეთა წერითი ნამუშევრების შედეგები გვიჩვენებს, რომ ზეპირი მეტყველების კულტურისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანებიანი თითქმის საერთოა მოსწავლეთა წერითი მეტყველების კულტურისათვისაც. წერის პროცესი აერთიანებს მოსწავლეთა შემოქმედებით ძალებს, ააქტიურებს მესიერებას, გრძნობს სიტყვის ძალას, დაინახავს შედგენილი წინადადებების სიზუსტეს. მხოლოდ ტესტური მასალის შესრულება ვერ მისცემს მასწავლებელს იმის საშუალებას, რომ დროზე მიიღოს გადამტკრელი ზომები წერის სარვეზების გამოსასაწორებლად.

წერითი მუშაობის სისტემაში ყველაზე დიდ ინტერესს მოსწავლეებში იწვევს უცნობი ტექსტის შინაარსის წერილობით გადმოცემა. ამ სამუშაოს წინ უნდა უძლოდეს მასწავლებლის მიერ ჩატარებული მოსამზადებელი სამუშაო. კერძოდ, წაკითხული ტექსტის შინაარსის გაგება აბზაცობრივი გარჩევით, უცნობი სიტყვების განმარტებებით.

მოსწავლეთა ლიტერატურული წარმოსახვითი უნარის განვითარების საქმეში დიდ როლს ასრულებს თავისუფალი-შემოქმედებითი ხასიათის თხზულებები. თხზულებების წერას საფუძვლად ედება მოსწავლეთა მიერ ნანახი და განცდილი ან რომელიმე საინტერესო ლიტერატურული ნაწარმოების წაკითხვის შედეგად მიღებული შთაბეჭდილებანი. ამ დროს მოსწავლე გულმოდგინედ ემზადება, კითხულობს დამხმარე კრიტიკულ ლიტერატურას, ეუფლება გრამატიკულ ნორმებსა და წერის წესებს, ეზევვა აზრების ლოგიკურად და თანმიმდევრობით გადმოცემას. თემის სწორად გასააზრებლად, თხზულებაში უნდა ჩანდეს მოფიქრებულად შედგენილი გეგმა, იგრძნობოდეს ფაქტობრივი მასალების ცოდნა, რათა გააკეთონ სათანადო დასკვნა-განწირება. მნიშვნელოვანია კალიგრაფიული ხარისხი, რაც ადამიანის კულტურის გამოხატულებაა. ჩვევები და ზრუნვა კალიგრაფიაზე სწავლების ყველა ეტაზზე უნდა ხდებოდეს.

გასათვალისწინებელია თხზულებათა ტიპები თემატური თვალსაზრისითაც: თხზულება ლიტერატურულ თემებზე; თხზულება ლიტერატურულ-პუბლიცისტურ თემებზე; თხზულება შემოქმედებით ან ზოგადად თავისუფალ თემებზე. მე ვფიქრობ, რომ წერის დროს მოსწავლემ უნდა განიცადოს და იგრძნოს თხზულების თითოეული სიტყვის ძალა. აქ კი დაგეხმარება დიმიტრი უზნაძის „განწყობის თეორია“ და მისი გამოყენებითი მნიშვნელობა. შინაგანი განცდა თან უნდა ახლდეს თხზულების წერის პროცესს.

დიმიტრი უზნაძე განწყობის პირველ ასახვას განცდებში, გმოციას უწოდებს. „გმოცია კი არის განცდა, რომელშიც ასახულია სუბიექტის გარემოსთან შეხვედრის პირველი შედეგი“. წერითი ნამუშევრის ანალიზი კლასში მნიშვნელოვანი ფაქტორია. ვასწავლოთ მოსწავლეებს პირველ რიგში წერის სტრატეგიები: გეგმის შედგენა, მონახაზის გაკეთება, ნაწერის კორექტურა, გაეცნონ ერთმანეთის ნაწერებს, იმსჯელო და დასახო ამ ხარვეზების გამოსწორების ვზები. გამოვიყენოთ ანალიტიკური შეფასების სქემები. თხზულებას ვაფასებთ ორი კრიტერიუმით: დავალების მოთხოვნასთან შესაბამისობის და გრამატიკულ-ლექსიკური კომპენტეციის მიხედვით. (იხ. სქემა)

ქლება	დავალების მოთხოვნასთან შესაბამისობა	გრამატიკულ-ლექსიკური კომპენტეცია	ქლება
3	დავალების მოთხოვნას სრულად პასუხობს; აზრი მეაფიოდ და თანმიმდევრულად არის გადმოცემული;	გრამატიკა და ლექსიკა მოთხოვნის შესაბამისა; შეცდომების რაოდენობა უმნიშვნელოა	3
2	დავალების მოთხოვნას სრულად პასუხობს; აზრი მეაფიოდ და თანმიმდევრულად არის გადმოცემული; მხოლოდ ზოგ შემთხვევაშია გადმოცემული	გრამატიკა და ლექსიკა მოთხოვნაზე მარტივია; შეცდომების რაოდენობა ზოგ შემთხვევაში ხელს უშლის აზრის გაგებას.	2
1	დავალების მოთხოვნას პასუხობს მხოლოდ ნაწილობრივ; უმეტეს შემთხვევაში აზრის გაგება ჭირს.	გრამატიკული და ლექსიკური შეცდომები წინადადების დიდ ნაწილშია დაშვებული	1
0	ნაწერი დავალებას არ პასუხობს, ან ფურცელი ცარიელია		0

პედაგოგთა ევალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

მასწავლებლებმა მოსწავლეებს უნდა ვასწავლოთ სწავლების და სწავლის სტრატეგიებით სარგებლობა, რათა დამოუკიდებლად მოახერხონ მათი გამოყენება. ამ შემთხვევაში, ისინი უფრო მაღალ აკადემიურ მოთხოვნებს უპასუხებენ. მაგალითად, ვასწავლოთ სტრატეგიები აქტიური კითხვისა და წერითი მეტყველების რედაქტირებისათვის, სტრატეგიები ფაქტებისა და მოვლენების ანალიზისა და შეჯამებისათვის.

ლიტერატურა – References

1. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება, 2007წ
2. რ. ტყემალაძე „სწავლება და შეფასება“, 2008წ
3. დ. უზნაძე „განწყობის თეორია“

Davitishvili I.

Students' oral and written speech development of roads

Summary

General methodical recommendation presented direction to teachers to develop their students written and oral speech. A teachers should be a novator who changes the strategies systematically ,studies the process of students senses and discusses the ways of solving problems with them.

ფოთის წმიდა ნიკოლოზის სახელობის ზ/ს სკოლა
Poti St. Nicholas School

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

მათე ხვედელიძე

პომუნიკაციური გარემო და პომუნიკაციის სურვები

მასობრივი კომუნიკაცია გავლენას ახდენს ჯგუფისა და პიროვნების საზოგადოებრივი შემეცნების ჩამოყალიბებაზე, საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე და სოციალური სტერეოტიპების შექმნაზე. აქეთ იმადება საზოგადოებრივი ცნობიერების მართვის შესაძლებლობები. ადამიანები, როგორც წესი, იღებენ ქცევის იმ სოციალურ ნორმებს, ეთიკურ მოთხოვნებს, ესოებიკურ პრინციპებს, რომლებიც დამაჯერებლად პროპაგანდირდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, როგორც ცხოველების წესი, ჩატის სტილის, ურთიერთობის ფორმებისა და სხვა დადგებითი სტერეოტიპი. ასე ხდება ინდივიდის სოციალიზაცია მოცემულ ისტორიულ პერიოდში, საზოგადოებისათვის სახურველი ნორმების შესაბამისად.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია პოლიტიკური, რელიგიური, პედაგოგიური, საქმიანი, საწარმოო, სამუნიკიურო და სხვ. დისკურსის სფეროები. კომუნიკაციის ტიპები და ფორმები; კომუნიკაციის ტიპოდომოგიური მიღების მასობრივი კომუნიკაციების თეორიები; წარმოდგენილია კომუნიკაციური საქმიანობის ფუნქციონალური ანალიზი; განხილულია კომუნიკაციის ფუნქციონალური მოდელები.

პრაქტიკულად ყველაფერი, რაც ადამიანის გარშემო და შეადგენს მის საარსებო გარემოს, წარმოადგენს ასევე კომუნიკაციურ გარემოსაც. ამასთან, ამ გარემოს ნაწილს შეადგენს საგნები და მოვლენები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას კომუნიკაციური ფუნქციით, ხოლო ნაწილი – საკუთრივ კომუნიკაციური გარემოა, რომლის მთავარი დანიშნულებაა შეტყობინების გადაცემა. შეტყობინება არასდროს არ იგზავნება მხოლოდ შეტყობინებისათვის. მისი მიზანია, მიმღების (ან თავად გამგზავნის, რომელიც იაზრებს საკუთარ მოქმედებებს) მოქმედების გამოწვევა. სიტყვა – ყოველთვის საქციელია (იდეა, რომელიც გამომდინარეობს მ. ბახტინის „თანამონაწილეობის ფილოსოფიიდან“). შეიძლება ვისაუბროთ კომუნიკაციისა და მოქმედების შეუდლებაზე.

უკანასკნელ სანქტში, პოლიტოლოგიაში, სოციოლინგვისტიკასა და კომუნიკაციის თეორიაში გავრცელება პორვა ტერმინმა „დისკურსი“ (იგი პირობითად შეიძლება გაიშიფროს ფორმულის დახმარებით: სიტყვას+მოქმედება). რადგან მოქმედება და ინდივიდებს შორის ურთიერთქმედება ხდება გარკვეულ კომუნიკაციურ გარემოში, კომუნიკაციის გარკვეულ საზოგადოებრივ სფეროში, ამიტომ საუბრობენ ინსტიტუციონალურ დისკურსზე (პოლიტიკური დისკურსი, რელიგიური დისკურსი, პედაგოგიური დისკურსი, საქმიანი დისკურსი, საწარმოო დისკურსი და ა.შ.).

კომუნიკაციური აქტების კომპლექსს, რომლებიც გაერთიანებულია საერთო ამოცანით და სიტუაციური პირობებით, შეიძლება გუწოდოთ კომუნიკაციური მოვლენა. მაგალითად, ბიზნეს-კომუნიკაციის სფეროში ასეთ კომუნიკაციურ მოვლენებად შეიძლება ჩაითვალოს პრეზენტაციები და გამოყენები. პოლიტიკურ სფეროში კომუნიკაციური მოვლენის მაგალითია სახელმწიფოს ვიზიტი (დაგეგმილი და ორგანიზებული მოვლენა) და ტერორისტული აქტი (სამთავრობო სტრუქტურების მიერ დაუგეგმავი მოვლენა, რომელიც საჭიროებს გარკვეულ რეაქციას). დაუგეგმავი კომუნიკაციური მოვლენის შემთხვევაში ხშირად გაწყდებით კრიზისული კომუნიკაციის აუცილებლობას.

კომუნიკაცია წარმოებს სხვადასხვა სფეროებში. ზოგიერთ მათგანში (მაგალითად, არქიტექტურა, მუსიკა) საკმაოდ რთულია კომუნიკაციური კონტინუუმის დისკრეტულ ერთეულებად დაყოფა. ცნობილმა იტალიელმა მეცნიერმა, უმბერტო ემ, რომელიც მიიჩნევდა, რომ „აულტურა უპირატესად არის კომუნიკაცია“, შემოგვთავაზა მთელი რიგი კომუნიკაციური სფეროების: კინოს, ფერწერის, არქიტექტურის, რეკლამისა და სხვა, საკუთარი, საინტერესო და საფუძვლიანი ანალიზი.

პედაგოგთა ქვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“ სარეკლამო, სავაჭრო, პოლიტიკური სფეროს, კინოსა და ფოტოგრაფიის კომუნიკაციის ღრმა ანალიზი შეიძლება ვიპოვოთ როლან ბარტის შრომებშიც.

კომუნიკაციის სფეროები მეცნიერობა ყურადღებას იპყრობდა სხვადასხვა ხარისხით. საქმიანო ტრადიციელად ითვლება საყოფაცხოვრებო (უპირატესად, პიროვნებათაშორისი) კომუნიკაციის სფერო.

მაგრამ აქაც, ერთის მხრივ, ფსიქოანალიზის, ნეიროლინგვისტური პროგრამირების განვითარებასთან დაკავშირებით, მეორეს მხრივ, ოჯახისა და მოზარდთა ფსიქოლოგიური დახმარების სამსახურების გამოწენასთან ერთად, წარმოიშვა ახალი კომუნიკაციური პრობლემები და ამოცანები. როგორ ვისაუბროთ ნარკომან მოზარდთან? – კითხვა, რომელზეც პასუხი უნდა გაგვცეს არა მარტო ფსიქოლოგიამ და სოციოლოგიამ, არამედ ლინგვისტიკამ.

საწარმოო კომუნიკაცია ძირითადად განიხილება საინჟინრო ფსიქოლოგიის ფარგლებში. უკანასკნელ წლებში მიმდინარეობს მუშაობა კომუნიკაციური მენეჯმენტის და გამოყენებითი რიტორიკის მიმართულებით. ხელმძღვანელის ხელქვეითთან ურთიერთობის (სიტყვიერი და არავერბალური) სტილმა, მუშაობის პროცესში თანამშრომელთა ურთიერთობამ, სამუშაო დოქუმენტების შექმნამ და სხვა ასპექტებმა შეიძლება როგორც გააუმჯობესოს, ასევე გააუარესოს წარმოების მუშაობა. ქვეყნის კადრების განყოფილების მუშაობა უნდა მოიცავდეს მსგავსი პრობლემების გადაწყვეტასაც. ამჟამად ასეთი განყოფილებები, დასავლეთის ქვეყნების ანალოგიური განყოფილებებისა და დაწესებულებებისაგან განსხვავებით, დაკავებული არიან „ქადალდომანიით“. ტოტალიტარიზმის პერიოდში აღნიშნული განყოფილებების ფუნქცია იყო თანამშრომლებზე ზედამხედველობა, ცნობების შეგროვება მათ წარმოშობისა და „საიმედოობის“ შესახებ.

საბაზრო ურთიერთობების სწრაფ განვითარებასთან დაკავშირებით, საწარმოო კომუნიკაციას გამოყო ბიზნეს-კომუნიკაციის, ანუ საქმიანი ურთიერთობის სფერო. ბიზნესის სფეროში გამოჩნდა სასწავლო და საცნობარო ლიტერატურის პუბლიკაციები, რომლებიც თუმცა გამარტივებული ფორმით, მაგრამ მაინც შეეხება კომუნიკაციასა და ურთიერთობის კულტურას, კომუნიკაციური ცოდნისა და ხერხების გავრცელებას და სხვა.

საკმაოდ ფართო კვლევები მიმდინარეობს პოლიტიკური დისკურსის სფეროში. მრავალი პარტიისა და პოლიტიკური ორგანიზაციის, მიმდინარეობებისა და ჯგუფების არსებობა საჭიროებს პოლიტიკურ კომუნიკაციურ სფეროში სწორ ორიენტაციას.

სამეცნიერო დისკურსის სფერო, საკვლევი ინტერესის ასევე საქმაოდ ტრადიციული ობიექტია. ამავე დროს, თუ უწინ იკვლევდნენ სამეცნიერო პუბლიკაციების სპეციფიკურ ენას, ამჟამად მკვლევარებს იზიდავთ სხვადასხვა პრობლემები: ვირტუალური, გლობალური სამეცნიერო საზოგადოების შექმნიდან (ინტერნეტით) დაწესებული, სამეცნიერო კონფერენციებისა და კონგრესების ტიპის კომუნიკაციური მოვლენების ორგანიზებით დამთავრებული. მთელ რიგ ქვეყნებში სამეცნიერო კომუნიკაციის ორგანიზება ბიზნესის საგანი გახდა.

საგანმანათლებლო დისკურსის სფერო ასევე სხნის ახალ წახნაგებს ჩვეულების საგანმანათლებლო დიფერენციაციასთან, საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის გამოჩნდასთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ახლოს რეკლამის საჭიროების და „public relations“ აღდერასთან დაკავშირებით. უმაღლესი სასწავლებლის დაკომპლექტება, მომავალ სტუდენტებთან შეხვედრა, პროფესიული ორიენტაცია, კონსულტაციური მომსახურება, ტესტირება – წარმოადგენს საგანმანათლებლო დაწესებულებების მომსახურებელთან კომუნიკაციის ძირითად მიმართულებებს.

ლექტორის საუბარი სტუდენტთან – პედაგოგიური დისკურსის სფეროა და იგი ცალკე განხილვას საჭიროებს.

მოუ-ბიზნესისა და სპორტული ბიზნესის კომუნიკაციური სფეროები ასევე საქმაოდ ახალგაზრდაა, თუმცა მას ჩვენს ქვეყანაში გააჩნია გარკვეული პრედისტორია. დასავლეთში კი ესტრადის ვარსკვლავებისა და სპორტის გმირების public image-ს ელემენტები იქმნება კომუნიკაციის და იმიჯმენიერობის პროფესიონალთა მიერ.

კომუნიკაციური მოვლენებისა და ინფორმაციის გადაცემის თვალსაზრისით, საქმაოდ ნაყოფიერია ტურისტული ბიზნესის სფერო. მთელ რიგ შემთხვევებში იგი იკვეთება საერთაშორისო და კულტურათაშორისის სფეროსთან.

საერთაშორისო კომუნიკაცია ხორციელდება სხვადასხვა დონეზე, როგორც ოფიციალური (ტრადიციული), ასევე სახალხო დიპლომატიის სახით. არსებობს მდიდარი ლიტერატურა –

პედაგოგთა ევალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“ კულტურათ შორისი ურთიერთობის, დიპლომატიური ეთიკის, დიპლომატიური პროტოკოლის და სხვა თავისებურებების შესახებ.

არც ისე დიდი ხანია, რაც კომუნიკაციის თეორიის, ლინგვისტიკის, ფიქტოლოგიისა და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებების სპეციალისტები „ჩაწვდნენ“ სამედიცინო და იურიდიულ დისკურსებს. „სიტყვა არჩენს“ – ამ საზოგადოებრივ ჰემმარიტებას მივყავართ იმის გააზრებამდე, როგორ ხდება ეს და როგორ უნდა ვიმუშავოთ „სიტყვაზე“. ექიმისა და ავაღმყოფის საუბარი უნდა მიმდინარეობდეს სპონტანურად, სხვაგვარად შესაძლებელია ფატალური შემთხვევითობის აღმვრა. მაგალითად, ცნობილ კინოკრომედიაში, ავაღმყოფმა, რომელმაც არასწორად გაიგო ექიმის სიტყვები, გადაწყვიტა, რომ მას დარჩა ერთი თვის სიცოცხლე. კანონების განმარტებამ ასევე საბედისწერო როლი შეიძლება შეასრულოს ადამიანის, ან ორგანიზაციის არსებობაში.

რელიგიური დისკურსის სფერო ემსახურება კომუნიკაციის საჭიროებებს ეპლესიაში. აქ ძალიან მნიშვნელოვანია ინტერპრეტაციისა და გაგების პროცესი. აღსანიშნავია, რომ მეცნიერება გერმენეგტიკა (ინტერპრეტაციის თეორია) წარმოიშვა სწორედ წმინდა წერილის ძველი ტექსტების განმარტების აუცილებლობის შედეგად.

არსებობს კომუნიკაციის შემდეგი ტიპები: პიროვნებათაშორისი, ჯგუფური, მასობრივი კომუნიკაცია. ისინი შეიძლება ხორციელდებოდეს სხვადასხვა სფეროში (კულტურულ-სულიერი, სამეცნიერო, სასწავლო, საწარმო), სხვადასხვა ასაკის, სქესის, ეროვნების, ეთნოსის, რასის (გერონტოგრამუნიკაციები, ჯენდერული, ნაციონალურ-ეთნიკური, რასათაშორისი კომუნიკაციები) ადამიანებს შორის; სხვადასხვა კატეგორიის მოსახლეობას (ახალგაზრდული, ქალთა, რელიგიური) შორის; კონტინენტებს, ქვეყნებს, სახელმწიფოებს, ხალხებს, ტერიტორიებს (კონტინენტობაშორისი, სახელმწიფოთაშორისი, საერთაშორისო, ტერიტორიათშორისი) შორის და სხვა.

კომუნიკაციის ტიპები გამოიყოფა კომუნიკანტების შემადგენლობის მიხედვით: პიროვნებათშორისი, ჯგუფური და მასობრივი კომუნიკაცია.

კონტაქტის დამყარებისა და შენარჩუნების საშუალებების მიხედვით კომუნიკაციები ორი სახისაა: უშუალო (პირდაპირი) და შუალობითი (დისტანციური) კომუნიკაციები; კომუნიკატორების ინიციატიურობის მიხედვით განასხვავებებ აქტიურ და აასიურ კომუნიკაციებს; ორგანიზებულობის ხარისხის მიხედვით კი გამოარჩევენ შემთხვევით და ორგანიზებულ კომუნიკაციებს; გამოყენებული ნიშანთა სისტემის მიხედვით კომუნიკაციებს ყოფენ ვერბალურ და არავერბალურ სახეებად.

კომუნიკაციის ფორმებს მიეკუთვნება დისკუსიები, საუბრები, თათბირები, სხდომები, მოლაპარაკებები, ბრიფინგები, პრეს-კონფერენციები, პრეზენტაციები, მიღებები პირად საკითხებზე, სატელეფონო საუბრები, საქმიანი მიმოწერა და სხვა.

კომუნიკაციის სფეროები ერთიანდებიან სპეციალიზირებული კომუნიკაციების ცნებაში. ტრადიციულად გამოიყოფა: საყოფაცხოვრებო, პოლიტიკური, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, პედაგოგიური, იურიდიული, სამედიცინო, რელიგიური, საწარმოო კომუნიკაციის სფეროები.

განვიხილოთ კომუნიკაციის ძირითადი ტიპები:

პიროვნებათაშორისი კომუნიკაცია – ერთმანეთთან უშუალო კონტაქტში შემავალი ორი, ან რამდენიმე ინდივიდის მიერ ინფორმაციების გაცვლის პროცესი და მათი ინტერპრეტაციაა.

წარმატებული პიროვნებათაშორისი კომუნიკაციის პირობა დაკავშირებულია მონაწილეობით მიერ „საერთო სოციალური სინამდვილის“, საერთო „აქ და ახლავე“-ს შექმნასთან, რომლის გარეშე, კომუნიკაცია შეიძლება საერთოდ არ შედგეს. მოცემულ წინაპირობას მკლევარები ზოგჯერ უწოდებენ პიროვნებათაშორისი კომუნიკაციის ხელშეკრულებით ასპექტს.

პიროვნებათაშორისი კომუნიკაციის ეფექტურობას განსაზღვრავს ინდივიდების, როგორც კომუნიკაციური პირების პარამეტრები. კომუნიკაციური პიროვნებისათვის განმსაზღვრელი პარამეტრებია: მოტივაციური, კონტაქტური და ფუნქციონალური.

მოტივაციური პარამეტრი განისაზღვრება კომუნიკაციური მოთხოვნილებით. თუ მოთხოვნილება არ არსებობს, მაშინ არ არსებობს კომუნიკაცია, ან ადგილი აქვს ფსევდოკომუნიკაციას.

კონტაქტური პარამეტრი მოიცავს მრავალ მახასიათებელს, რომელიც შემცნებითი გამოცდილების დაგროვების პროცესში აყალიბებს ინდივიდის შინაგან სამყაროს: კომუნიკაციური კოდების ცოდნა, თვითდაკვირვება და თვითშემეცნება, მეტაკომუნიკაციური უნარები, პარტნიორის კოგნიტური და

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“ კომუნიკაციური პორიტონების ადექვატური შეფასების უნარი, მითები და ცრურწმენები, სტერეოტიპები და სარწმუნოება.

ვუნქციონალური პარამეტრიც მოიცავს სამ მახასიათებელს, რომელიც განსაზღვრავს ინდივიდის კომუნიკაციურ კომპეტენტურობას: კომუნიკაციის ვერბალური და არავერბალური საშუალებების პრაქტიკული ფლობა; კომუნიკაციის პროცესში, სიტუაციის ცვლილების შემთხვევაში, კომუნიკაციური საშუალებების გარიზების უნარი; დისკურსის აგება კოდის ნორმებისა და ეტიკეტის წესების შესაბამისად.

საკუთარი კომუნიკაციური პოტენციალის გამოყენების ხერხებზე და საშუალებებზე დამოკიდებულებით, პიროვნება შეიძლება მივაკუთვნოთ ამა თუ იმ ტიპს:

ღომინანგრებული კომუნიკაცია: ცდილობს ინიციატივის ხელში ადებას, არ უყვარს, როცა აწვეტინებებს, მკაცრია, დამცინავი, საუბრობს სხვებზე ხმამაღლა.

მობილური კომუნიკაცია: ადგილიდ შედის საუბარში, გადადის თემიდან თემაზე, საუბრობს ბევრს, საინტერესოდ და სიამოვნებით, არ იბნება ურთიერთობის უცნობ სიტუაციაში.

რიგიდული კომუნიკაცია: სიძნეების აწყდება ურთიერთობის კონტაქტდამამყარებელ ფაზაზე, თუმცა ლაპონური და ლოგიკურია.

ინტროვერტული კომუნიკაცია: არ ცდილობს ინიციატივის ხელში ადებას – სხვას უთმობს, მორცხვი და თავმდაბალია, შებოჭილია ურთიერთობის მოულოდნელი სიტუაციებისას.

ჯგუფური კომუნიკაცია აღიძერება რამდენიმე ადამიანის უშუალო ურთიერთობისას, რომლებიც კარგად იცნობენ ერთმანეთს და მუდმივად ურთიერთობენ ერთმანეთთან.

ჯგუფის ქვედა ზღვარს ჩვეულებრივად უწოდებენ დიადას (ორი ადამიანის ურთიერთობა) ან ტრიადას (სამი ადამიანის ურთიერთობა); ზედა ზღვარი დამოკიდებულია მისი მოღვაწეობის სასიათზე. მცირე ჯგუფში კომუნიკაციის ვუნქციებია: თანხმობის ფორმირება, შეთანხმებული მოქმედებების უზრუნველყოფა, ჯგუფის განსაკუთრებული კულტურის ჩამოყალიბება.

მცირე ჯგუფში სხვადასხვა ინფორმაცია ვრცელდება კომუნიკაციური ქსელებით. აღნიშნული ქსელები შეიძლება იყოს ცენტრალიზებული, ან დეცენტრალიზებული. ცენტრალიზებულ ქსელებში ერთი ადამიანი ავრცელებს თავის ირგვლივ ჯგუფისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას. ცენტრალიზებული კომუნიკაციური ქსელი სამი სახისაა: 1. ფრონტალური, 2. რადიალური და 3. იერარქიული. ფრონტალური ქსელის მონაწილეები არ შედიან ერთმანეთთან კონტაქტში, მაგრამ ერთმანეთის თვალთახედვის არეში რჩებიან; რადიალური ქსელში ჯგუფის წევრებს მთელი ინფორმაცია გადაეცემა მხოლოდ ცენტრალური პირისგან; იერარქიული ქსელი ჯგუფის წევრების თანადაქვემდებრების ორ და მეტ ღონიანი სტრუქტურაა.

დეცენტრალიზებულ ქსელებში მონაწილეები თანაბარი უფლებებისანი არიან. თითოეულ მათგანს შეუძლია ინფორმაციის მიღება, გადამუშავება და გადაცემა და ქსელის დანარჩენ მონაწილეებთან პირდაპირი კავშირის დამყარება. დეცენტრალიზებული კომუნიკაციური სტრუქტურები ასევე სამი სახისაა: 1. ჯაჭვი, 2. წრიული, 3. სრული. ჯაჭვის სტრუქტურაში ინფორმაცია გადაეცემა თანმიმდევრულად ჯგუფის ერთი წევრიდან მეორეს. წრიულ სტრუქტურაში ჯგუფის აბსოლუტურად ყველა წევრი სარგებლობს ერთნაირი შესაძლებლობებით. ინფორმაცია შეიძლება ხანგრძლივად ცირკულირებდეს ჯგუფის წევრებს შორის. ამასთან, იგი თანდათან მდიდრდება და ზუსტდება. სრულ სტრუქტურაში არავითარი დაბრკოლება არ არსებობს თავისუფალი ურთიერთობისა და ინფორმაციის გადაცემისათვის.

ამა თუ იმ კომუნიკაციური წესის არჩევანი დამოკიდებულია ურთიერთქმედების სახეებსა და მიზნებზე. ცენტრალიზებული ქსელებით ინფორმაციის გადაცემა მიზანშეწონილია იმ შემთხვევებში, როცა ერთი და იგივე ინფორმაცია, დამახინჯების გარეშე უნდა გადაეცეს ყველა ადამიანს, როცა აუცილებელია ლიდერობის განვითარების სტიმულირება, ჯგუფის ორგანიზებულად შეაგრძნოს. თუმცა მხედველობაშია მისაღები, რომ ამგვარი ქსელების ფარგლებში გაძნელებულია რთული და შემოქმედებითი ამოცანების გადაწყვეტა. მათმა ფართო გამოყენებამ ასევე შეიძლება შეამციროს რომელიმე წევრის კმაყოფილება – ამ ჯგუფში მონაწილეობის გამო.

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

დეველოპმენტული ქსელები გამოიყენება, როგორც აუცილებელია: დროში არალიმიტირებული, შემოქმედებითი, მაღალი სირთულის ამოცანის გადაჭრა; პიროვნებათშორის ურთიერთობების განვითარება; ჯაზუს წევრების დამაქალიფიციებლობის ამაღლება.

ორგანიზაციებში, ინფორმაციის გაცელის ჯგუფური პროცესი შეიძლება დაგვით თრ კატეგორიად: ინფორმაციის დაგეგმილი, ანუ ფორმალური გადაცემა და ინფორმაციის დაუგეგმავი, ანუ არაფორმალური გადაცემა.

ინფორმაციის ფორმალური გადაცემა ხორციელდება სანდარტიზებული ფორმების (ბლანკების) მეშვეობით, რომელშიც შეიტანება ინფორმაცია. სტანდარტული ფორმები უპირატესობას აძლევს გადაცემადი ინფორმაციის ინიციატორს: შესაბამისი ბლანკის მიმოქცევაში შეტანა დროის მიზნებით ეკონომიას იძლევა. ბლანკები გამოსადგენი ასევე ინფორმაციის მიმღებისათვის: ფორმის გამოყენებისას, მას შეუძლია დააზუსტოს, რომელი მონაცემები სჭირდება მუშაობისათვის. ნებისმიერი სტანდარტული ფორმის მთავარი ნაკლია, მოქნილობის არარსებობა.

არაფორმალური კომუნიკაციის არხს შეიძლება გუწოდოთ მოსმენილის/ჭორების გავრცელების არხი. ხშირად, არაფორმალური არხები მოქმედებს ფორმალურთან შედარებით უფრო სწრაფად და თითქმის ყოველთვის, კომუნიკაციების ნდობა არაფორმალური ინფორმაციისადმი უფრო დიდია, ვიდრე ფორმალური წყაროსადმი.

ორგანიზაციაში მოქმედი კომუნიკაციური პროცესები შეიძლება დაიყოს თრ მსხვილ სფეროდ: კომუნიკაცია ორგანიზაციის შიგნით და გარე კომუნიკაცია. შიდაორგანიზაციული კომუნიკაციები მოიცავს ურთიერთობებს ორგანიზაციის ფარგლებში. გარე კომუნიკაციები წარმოადგენს ნებისმიერი სოციალური სისტემის – გარე სოციალურ წარმონაქმნებთან კავშირის ერთობლიობას.

ინფორმაციის ნაკადის მიმართულებაზე დამოკიდებულებით კომუნიკაციები იყოფა პორიზონტალურ და ვერტიკალურ კომუნიკაციებად. თავის მხრივ, ვერტიკალური მიმართულება იყოფა დაღმავალ და აღმავალ კომუნიკაციებად.

დაღმავალია კომუნიკაციური ნაკადი, რომელიც გადაინაცვლებს ჯგუფის, ან ორგანიზაციის ერთი დონიდან მეორე, შედარებით დაბალ დონეზე. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ხელმძღვანელის ხელქვეითობან ურთიერთობა.

შედარებით დაბალიდან მაღალი დონისაკენ აღმავალი ინფორმაცია გამოიყენება ხელქვეითების ხელმძღვანელთან შექცევადი კავშირისათვის – მუშაობის შედეგებისა და მიმღინარე პრობლემების შესახებ ინფორმირების მიზნით.

პორიზონტალური მიმართულება მიმღინარეობს თანაბარი რანგის მქონე ჯგუფის წევრებს აგრეთვე თანაბარი მნიშვნელობის ჯგუფებს შორის. პორიზონტალური კომუნიკაცია აყალიბებს თანაბარუფლებიან ურთიერთობებს.

აღნიშნული ძირითადი კომუნიკაციური ნაკადის გარდა, ორგანიზაციაში შეიძლება შეინიშნებოდეს დამატებითი (ხელმძღვანელსა და სხვადასხვა ქვეგანყოფილებების თანამშრომლებს შორის, ანუ „დიაგნოსტიკურ“; თანამშრომლებსა და სხვადასხვა ორგანიზაციის ხელმძღვანელებს შორის, ანუ „გერმანიურ“) ურთიერთობები.

მასობრივი კომუნიკაცია – ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, ინფორმაციის (ცოდნის, სულიერი ფასეულობების, მორალური და სამართლებრივი ნორმების) გავრცელების პროცესია, რომელიც გათვლილია რიცხობრივად დიდ, ერთმანეთისგან დაშორებული აუდიტორიისათვის.

შეიძლება გამოყოფილი კონცეპტუალური მიღებობა მასობრივი კომუნიკაციის აღმართობა. ერთ-ერთი მიღებობის (ი. ბუდანცევი) თანახმად, მასობრივი კომუნიკაციის აღდვრა და კომუნიკაციის საშუალებების განვითარება ადამიანთა საზოგადოების წარმოქმნისა და განვითარების სინქრონულია. მეორე მიღებობის თანახმად (გ. ტარდი, უ. გვრ) მასობრივი კომუნიკაცია ჩნდება იმ შემთხვევაში, თუ გვაქს: ინდუსტრიული ტიპის საზოგადოება, რომელიც გარეგნულად ბალანსირებულია, მაგრამ სინამდვილეში გაჯერებულია მრავალფეროვნებითა და კონტრასტებით; კომუნიკაციის არხები, რომლებიც უზრუნველყოფს მის მიღებას არა განსაზღვრული ჯგუფებით, არამედ აღრესატების განუსაზღვრელი წრით, რომლებსაც უკავიათ სხვადასხვა საზოგადოებრივი მდგომარეობა;

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“ მწარმოებელთა ჯგუფები, რომლებიც გამოიმუშავებენ და გამოსცემენ შეტყობინებებს წარმოების საშუალებით.

მასობრივი კომუნიკაცია ხასიათდება:

- ტექნიკური საშუალებების არსებობით, რომელიც უზრუნველყოფს რეგულარულობასა და ტირაჟირებულობას;

- ინფორმაციის სოციალური მნიშვნელობით;

- აუდიტორიის მასობრიობით;

- კომუნიკაციური საშუალებების მრავალარხიანობითა და კომუნიკაციური საშუალებების არჩევის შესაძლებლობით.

ურთიერთობის პროცესის მონაწილეები ხდებიან არა ცალკეული ინდივიდები, არამედ მითოლოგიზებული კრებითი სერიებში ხალხი, პარტია, სახელმწიფო, არმია, ოლიგარქები.

მასობრივი კომუნიკაციის სოციალური მნიშვნელობა ფასდება გარკვეულ სოციალური მოთხოვნებთან და მოლოდინებთან შესაბამისობით. თანამედროვე ეპოქის მასობრივ კომუნიკაციას ახასიათებს მრავალარხიანობა: გამოიყენება ვიზუალური, აუდიო-ვიზუალური არხი, კომუნიკაციის სიტყვიერი, ან წერილობითი ფორმა და სხვა. ინფორმაციის გამზადების როლში გამოიის საზოგადოებრივი ინსტიტუტი, ან მორფოლოგიზებული ინდივიდი. მიმღები არის მიზნობრივი ჯგუფები, რომლებსაც ერთიანებს ერთგვარი, სოციალურად მნიშვნელოვანი ნიშნები.

მასობრივ კომუნიკაციას გააჩნია: ინფორმაციული, მარეგულირებელი, კულტუროლოგიური და პიროვნების სოციალიზაციის ფუნქცია.

ინფორმაციული ფუნქცია მდგომარეობს მასობრივი მკითხველის, მსმენელისა და მაყურებლისათვის – მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროების შესახებ აქტუალური ინფორმაციის გადაცემაში.

მასობრივი კომუნიკაცია გავლენას ახდენს ჯგუფისა და პიროვნების საზოგადოებრივი შემცნების ჩამოყალიბებაზე, საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე და სოციალური სტერეოტიპების შექმნაზე. აქვე იმაღლება საზოგადოებრივი ცნობიერების მართვის შესაძლებლობები. ადამიანები, როგორც წესი, იღებენ ქცევის იმ სოციალურ ნორმებს, ეთიკურ მოთხოვნებს, ესთეტიკურ პრინციპებს, რომლებიც დამაჯერებლად პროპაგანდირდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, როგორც ცხოველების წესის, ჩატის სტილის, ურთიერთობის ფორმებისა და სხვა დადებითი სტერეოტიპი. ასე ხდება ინდივიდის სოციალიზაცია მოცემულ ისტორიულ პერიოდში, საზოგადოებისათვის სასურველი ნორმების შესაბამისად.

კულტუროლოგიური ფუნქცია გულისხმობს კულტურისა და ხელოვნების მიღწევების გაცნობას, რაც განაპირობებს საზოგადოების თვითშეგნებაში კულტურული მემკვიდრეობისა და კულტურის ტრადიციების შენარჩუნების აუცილებლობის ამაღლებას.

მასობრივი კომუნიკაციის შინაარსს წარმოადგენს მასობრივი ინფორმაცია, რომელიც არის სოციალური ინფორმაცია. იგი ხელოვნური არხებით გადაეცემა დროსა და სივრცეში გაფანტულ ფართო აუდიოტორიებს.

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები – სოციალური არხები და გადამცემებია, რომელთა მეშვეობით ხდება ინფორმაციული შეტყობინებების გავრცელება დიდ ტერიტორიებზე. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა თანამედროვე სისტემა იყოფა სამ ჯგუფად: მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ტელეგრამუნიკაცია და ინფორმატიკა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, მასობრივი აუდიტორიისათვის განკუთვნილი – ტექსტების ფიქსაციის, კოპირების, ტირაჟირების, შენახვისა და დიდი მოცულობის სიტყვიერი, გამომსახველობითი და მუსიკალური ინფორმაციის მუდმივი გავრცელების ტექნიკური საშუალებებია. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თანამედროვე სისტემის სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყერება: პრესა (გაზეთები, ურნალები, დაიჯესტები, ურველკვირეული ურნალები და სხვა); აუდიოვიზუალური საშუალებები (რადიო, ტელევიზია, ტელეტექსტები და სხვა); საინფორმაციო საშუალებები. ტელეკომუნიკაცია – ტექნიკური საშუალებებია, რომლებიც უზრუნველყოფენ შეტყობინებების გადაცემასა და მიღებას. ტელეკომუნიკაციის სპეციალისტები ძირითადად მუშაობენ კოდებთან, სიგნალებთან, ხმაურებთან.

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

მასობრივი კომუნიკაციის შეტყობინების მიღებისას, აუდიტორიის რეაქციაზე დამოკიდებულებით, მასობრივი კომუნიკაციების თეორიაში გამოიკვეთა ორი ძირითადი მიმართულება:

1. ადამიანზე ორიენტირებული მიღვომა. აღნიშნული მიღვომის მთხოვები გამომდინარებები იქდან, რომ ადამიანები შერჩევითად აღიქვამენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან შემოსულ ინფორმაციას. ისინი ირჩევენ ინფორმაციის იმ ნაწილს, რომელიც ემთხვევა მათ აზრს, და უარყოფენ, უკუაგდებენ იმ ნაწილს, რომელიც ამ შეხედულებებში ვერ ჯდება. ე. ნოელ-ნომანის მიერ

განვითარებული თეორია, რომელსაც უწოდეს „დუმილის სპირალი“, შეგვახსენებს „ხმის მიცემის პარადოქსის“ მოვლენას, რომლის თანახმად, მრავალი ადამიანი არ მონაწილეობს არჩევნებში, რადგან ვარაუდობს, რომ მათი „ხმა“ არ არის გადამწყვეტი. ამგვარ სიტუაციაში იქმნება საზოგადოებრივი აზრისა და „პოლიტიკური კლასის“ ერთმანეთისაგან იზოლაციის საშიშროება.

ს. ბოლ-როკეშისა და მ. ღე ფლერის მიერ ფორმულირებული დამოკიდებულების თეორია, ყურადღებას ამახვილების ინფორმაციის საშუალებებს, მათ აუდიტორიასა და მთლიანდ საზოგადოებას შორის ურთიერთობათა რთული სისტემის არსებობაზე და აანალიზებს მიმდინარე მოვლენებისადმი ადამიანის დამოკიდებულების ჩამოყალიბების პროცესს; ადამიანის შეხედულებების ფორმირებას, ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ნორმების, ფასეულობების შეთანხმებულობას და სხვა.

2. მედია-ორიენტირებული მიღვომა. აღნიშნული მიღვომა ეფუძნება იმ ფაქტს, რომ ადამიანი ემორნილება მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა ზემოქმედებას. ისინი მოქმედებენ ადამიანზე, როგორც ნარკოტიკი, რომელთანაც შეწინააღმდეგება შეუძლებელია. ლასუელის „ტყვიის თეორია“ ამტკიცებს, რომ კომუნიკაცია მაგიური ტყვიის მსგავსია, რომლის წინაშეც მაყურებელი, როგორც სამიზნე, დაუცველი და უდონო. მედია-ორიენტირებული მიღვომის თვალსაჩინო წარმომადგენერაცია ჰქონდება მაკლუენი. მისი თეორიის ძირითადი თეზისი ამგვარია: ურთიერთობის საშუალებით გადაცემული შეტყობინება არის თავად ეს საშუალება. ინფორმაციის გადაცემისას ტექნიკური საშუალება არ არის ნეიტრალური, არამედ გადასცემს შეტყობინებას საპუთარ თვისებებს. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების მოღვაწეობა ადარ არის ადამიანისთვის რომელიმე მოვლენისგან გამომდინარე მოქმედება. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები ადამიანის ცნობიერებაში იწყებს მოქმედებას, როგორც საწყისი მიზეზი, რომელიც რეალობას ანიჭებს თვისებებს, ანუ ახდენს რეალობის კონსტრუირებას.

რატომ გმონაწილეობთ კომუნიკაციაში? კომუნიკაციის საშუალებებისა და არხებისაგან დამოუკიდებლად, ჩვენ შეტყობინებას გადავცემთ იმისათვის, რათა გავაფრთხილოთ სხვა ადამიანები (საგზაო ნიშნები, ან დაყენირება), ინფორმაცია მოვაწოდოთ სხვა ადამიანებს (ტელეტექნიკი, ან პრეს-რელიზი), აეჭისნათ რაიმე (სახელმძღვანელო, ან ექსპრესიმენტის გეგმა), გავართოთ (ანგაღღობი, ან მხატვრული ფილმი), აღვწეროთ რაიმე (დოკუმენტური ფილმი, ან ზეპირი თხრობა), დავარწმუნოთ ვინმე (პლაკატი, რომელიც მოგვიწოდება: შეინახეთ ფული ბანკებში! არ შეტერდე - წაუსინიკერსეს; ადვოკატის, ან პროერორის სიტყვა სასამართლოში). ეს

- კომუნიკაციის მიზნებია. ნშირად, მიზეზი შეიძლება რამდენიმე იყოს (ფილმმა ერთდღოულად შეიძლება კიდეც გაართოს, ინფორმაციაც მიაწოდოს, აღწეროს, გააფრთხილოს და აუცხსნას).

მიზეზი, რის გამოც ადამიანებს სჭირდებათ კომუნიკაცია, არის ადამიანის, ან ადამიანთა ჯგუფების მოთხოვნილებები. კომუნიკაციის მიზნები ემსახურება ამა თუ იმ მოთხოვნილებებს: გადარჩენას, სხვა ადამიანებთან თანამშრომლობას, პირადი საჭიროებების შეტყობინებას, სტუდენტთა სტუდენტთა კურსობრივი, მონაცემები, ხანძისებრობის, საკუთრების უსაფრთხოებას, სტუდენტთა სტუდენტთა კურსობრივი, კურსობრივი, მონაცემები, ხანძისებრობის, საკუთრების უსაფრთხოება - იმოქმედონ, ან იფიქრონ რაიმე სახით, სხვა ადამიანებზე მმართველობის განხორციელება (აქვე მიეკუთვნება პროპაგანდა), ორგანიზაციებისა და საზოგადოებების გაერთიანება ერთ მთლიანობად, ინფორმაციის მიღება და გადაცემა, სამყაროს შემეცნება



პედაგოგთა ქვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“
და სამყაროში ჩვენი გამოცდილების გაცნობიერება (რისი გვწამს, რას ვფიქრობთ საკუთარ თავზე, სხვა ადამიანებთან ურთიერთობაზე, რას ვფიქრობთ ჭეშმარიტებაზე), შემოქმედებითი ბუნებისა და წარმოსახვის გამოვლინება.

ამერიკელი მეცნიერები რ. დიმბლიძე და გ. ბერტონი ჩვენს მოთხოვნილებებს ანაწილებენ ოთხ ჯგუფში: პირადი, სოციალური, ეკონომიკური და შემოქმედებითი (artistic expression).

ხშირად, ადამიანის მოთხოვნილებების აღსაწერად მოჰყავთ ამერიკელი ფსიქოლოგის, აბრაჟამ მასლოუს სქემა-პირამიდა. მისი კონცეფციის თანახმად, ჩვენი მოთხოვნილებები წარმოადგენს იერარქიას, ანუ არსებობს საბაზისო – ბიოლოგიური და უმაღლესი მოთხოვნილებები, პიროვნების თვითრეალიზაციის მოთხოვნილებები. მასლოუს პირამიდაში ხუთი დონეა. რა თქმა უნდა, უმაღლესი დონების განვითარებისას ქვედა დონეები არ ქრება, არამედ, როგორდაც გარდაიქმნება (კულინარია, კვების კულტურა, „ჯანსაღი სექსი“, საცხოვრებელის არქიტექტურა და დიზაინი).

რეალურ კომუნიკაციურ პროცესში, ან ერთ, ცალკე აღებულ კომუნიკაციურ აქტში შესაძლებელია რამდენიმე ფუნქციის შეხამება, რომელთაგან ერთი, ან ორი იქნება ძირითადი, განმსაზღვრელი. იმის მიხედვით, თუ რომელი ფუნქცია იქნება წამყვანი, შეიძლება ავაგორ კომუნიკაციური აქტების კლასიფიკაცია.

ტრადიციულად, გამოყოფებ ენისა და კომუნიკაციის ორ, ან სამ ფუნქციას, რომლებიც შეიძლება ითქვას, გადაიკვეთება ერთმანეთთან. ითვლებოდა, რომ ენა პირველ რიგში ასრულებს შემეცნებით (კოგნიტურ) ან ინფორმაციულ ფუნქციას: იდეების, შეხედულებების, აზრების გამოხატვა და მათი სხვა კომუნიკანტებისათვის გადაცემა. მეორე ფუნქცია, რომელსაც ჩვეულებრივ გამოჰყოფნენ, იყო შეფასებითი: პირადი შეფასებებისა და დამოკიდებულებების გამოხატვა, მესამე იყო აფექტური: ემოციებისა და გრძნობების გადაცემა.

კომუნიკაციის ერთ-ერთი, შედარებით მარტივი ფუნქციონალური მოდელი იყო ცნობილი ფსიქოლოგისა და ლინგვისტის გარღ ბიულერის მოდელი. მასში ენისა და შეტყობინების სამი ფუნქცია შეეფარდებოდა ორ კომუნიკანტს და შეტყობინებას – კომუნიკაციური აქტის ელემენტებს.

1. ექსპრესიული ფუნქცია, რომელიც ეფარდება მოსაუბრებს,
2. აპელაციური ფუნქცია, მიმართვის ფუნქცია, რომელიც ეფარდება მსმენელს,
3. რეპრეზენტაციული ფუნქცია, ინფორმაციის გადაცემის ფუნქცია.

რ. იაკობსონმა შეიმუშავა მოდელი, რომელიც გამოიყენება როგორც ენისა და ზოგადად, კომუნიკაციური სისტემების ანალიზისათვის, ასევე ცალკეული სიტყვიერი და კომუნიკაციური აქტებისა და მოვლენების ფუნქციური კვლევისათვის. მოდელში გამოიყოფა ექვსი ფუნქცია: 1. ემოციური, 2. კონატიური, 3. რევერენტული, 4. პოეტური, 5. ფატიური, 6. მეტანობრივი.

მის მიერ შემოთავაზებული ფუნქციებიდან, თითოეული დაკავშირებულია კომუნიკაციის ამა თუ იმ მონაწილესთან, ან ელემენტთან.

ლიტერატურა – References

1. Кашкин П. Б. Основы теории коммуникации. М., 2007.
2. Бориснёв, С В. Социология коммуникации. М., 2003.
3. Моисеева А.П. Основы теории коммуникации, Томск: Томский политехн.ун-т, 2004.
4. Барт Р. Избранные работы. Семиотика. Поэтика. М.: Прогресс, 1994.
5. Зверинцев А.Б. Коммуникационный менеджмент. СПб.: Изд-во Буковского, 1995.
6. Почепцов Г.Г. Теория и практика коммуникации. М.: Центр, 1998.
7. Сепир Э. Коммуникация // Избранные труды по языкоznанию и культурологии. М.: Прогресс, 1993.
8. Стернин И.А. Понятие коммуникативного поведения и методы его исследования // Русское и финское коммуникативное поведение. Вып. Воронеж: Изд-во ВГТУ, 2000.
9. Эко У. Семиология визуальных сообщений. Семиология архитектуры // Отсутствующая структура. СПб.: Петрополис, 1998.

Khvedelidze M.

Communicational environment and fields

Summary

Mass communication makes an influence on development of public cognition, formation of public ideas of the group and individual and making social stereotypes. Here are concealed abilities to manage public consciousness. As a rule, people accept those social standards of conduct, ethic requests, esthetic principles, which are convincingly propagandized by mass media, as a positive stereotype of lifestyle, dressing style, formation of relation and others. Like this way is happened socialization of the individual in the historical period in accordance with desired standards of the society.

In the present article there is discussed the political, religious, pedagogical, business, industrial, scientific and other fields of discussion, types and forms of communication; methodological approaches of constructing communication typology. Theories of mass media; there are given functional analysis of communication activity; there are discussed functional models of communication.

*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Akaki Tsereteli State University*

პედაგოგთა ევალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

მანანა ზიგნიგარე-ნიკოლეიშვილი

საქართველოში მათემატიკის სფავლების ისტორიის მოძღვა მიმოხილვა და დღვენადები მიმართულებები

სტატიაში მოკლედ არის მიმოხილული საქართველოში მათემატიკის სწავლების ისტორია და სწავლების დაცვანადები მიმართულებები. საუბარია, როგორი იყო მათემატიკის სწავლება ძველ საქართველოში, საბჭოთა საქართველოში და როგორ ხდება მისი განვითარება დღეს. დღეს საქართველოში მრავალი სასწავლო და მეთოდური სახელმძღვანელოა მოქმედებაში. განსხვავებულია მათემატიკის სწავლების მიზნები, მოთხოვნები, შინაარსი, მეთოდები, ორგანიზაციის ფორმები. თანამედროვე სკოლა მოიცნიერებულია განათლების ჰუმანიზაციის, მოსწავლის პიროვნების მრავალმხრივ განვითარებაზე, აგრძელებს მათემატიკური, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე. საუბარია დაწყებით კლასებში მათემატიკის სწავლის მუდმივი მიმართულების მიზნით საქართველოში მოქმედი მუდმივი მიმართულების მიზნით საუბარია და განვითარება VI-ის პერიოდიში. პირველს თავის განმარტებაში მოჰყავს ქართული ანბანური ნუმერაციისა და რიცხვითი ნუმერაციის ცხრილი, წერტილის, სიბრტყის, წირისა და სხვადასხვა გეომეტრიული განსაზღვრებების განმარტებები, ძველი ქართული ზომის ერთეულები და სხვა. ვახტანგ VI-ის ან მისი ხელმძღვანელობით თარგმნილ პერიოდიში კი მრავლადაა გადმოცემული არითმეტიკის, გეომეტრიისა და ტრიგონომეტრიის განმარტებები. როგორც ავტორი აღნიშნავს, ქართული მათემატიკის ხელნაწერებიდან ყველაზე კრცხვილი იოანე ბატონიშვილს (17⁸-1830) ეკუთხის, რომელიც სავარაუდო რუსულიდან უნდა იყოს ნათარგმნი. საინტერესოა, რომ ხელნაწერი სხვა მასალებთან ერთად შეიცავს ანალიზური გეომეტრიის ელემენტებსაც. ვახტანგ VI-ის შემდეგ განათლების დარგში ეს საქმე ანტონ პირველმა განაგრძო. ხელნაწერთა მუზეუმში შემონახულია უცნობ ავტორისა და მათემატიკიაში.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ქართული სკოლები რუსული განათლების სისტემის ქვეშ იყო მოქცეული და ამიტომ გარკვეულ ზეგავლენას ახდენდა საგანმანათლებლო პროცესზე. დაწყებითი სკოლები დაყოფილი იყო სხვადასხვა ტიპებად, როგორიცაა სამრეწველო სასწავლებელი, კავკასიის მხარის დაწყებითი სასწავლებელი, ნორმალური დაწყებითი სასწავლებლები, ერთწლიანი და ორწლიანი საექსლესიო და სამრეწველო სკოლები და სხვ. ამ სასწავლებლებში სწავლება საგალდებულოც იყო რუსულ ენაზე. ცნობილია, რომ იმ პერიოდის საქართველოში ჩამოყალიბდა წერა-კითხვის გამარცვლებელი საზოგადოება, რომელმაც შეძლო გაეხსნა რამდენიმე სკოლა, სადაც სწავლება მთლიანად ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. 1830 წელს თბილისში გახსნილ გიმნაზიაში მრავალ სხვა საგანთან ერთად ისწავლებოდა ალგებრა, არითმეტიკა, გეომეტრია. ამ წლიდან მოყოლებული, დიდი მასშტაბით დაიწყო დაწყებითი განათლების ქსელის განვითარება. სკოლები გაიხსნა თბილისში, გორში, თელავში, დუშეთში, ქუთაისში და სხვ. სხვადასხვა ტიპის დაწყებითი სკოლების რაოდენობამ 1920 წლისათვის 800-ს გადააჭარბა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ სკოლებში სასწავლო საგნებს შორის საღვთო სჯულს, რუსულ ენას, ქართულ ენასა და არითმეტიკას დათმობილი პერიოდისა და მეტადან საგრძნობი რაოდენობის საათები. საინტერესოა, ისეთ საკითხებს, როგორებიცაა პროცენტები, პროპორციები, თამასუქების ანგარიში, ჯაჭვური წესი და ა. შ. რაც შეეხება ალგებრას, მისი სწავლება იწყებოდა III კლასიდან და შეიცავდა შემდეგ საკითხებს: ალგებრული გამოსახულებები, ერთწევრები, მრავალწევრები და მათზე მოქმედებები.

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

საქართველოში მათემატიკის სწავლება და აქედან გამომდინარე, მათემატიკის სწავლების მეთოდიკის წინსკლა მჭიდროდ უკაშირდება რუსეთის მოწინავე პედაგოგიური აზროვნების განვითარებას, რაც, ცხადია, გამოწვეულია რუსეთთან ჩვენი სახელმწიფოებრივი ურთიერთობით. განსაკუთრებით ესება ეს საბჭოთა პერიოდს, როდესაც გაწყვეტილი იყო ყოველგარი ურთიერთობა უცხოეთთან. მათემატიკის სწავლების მეთოდიკა შემთიფარგლა მხოლოდ სახელმძღვანელოების შექმნით. ოუმცა ეს, რადა თქმა უნდა, პატარა საქმე არ იყო – პედაგოგიური აზრის განვითარებისა და მეთოდური დახელოვნებისთვის ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, აქვს და ექნება კარგ სახელმძღვანელოს, ურომლისოდაც შეუძლებელია საგნის სწავლების სისტემატიზება და მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლება, ტერმინოლოგიის შექმნა და დადგენა.

XX საუკუნის 30-იან წლებში ყველაფერი ძირიელად შეიცვალა. გამოვიდა სპეციალური დადგენილება, რომლის ძალითაც მთელ საბჭოთა კავშირში სასკოლო განათლების ერთიანი სისტემა შეიქმნა. დაისვა საკითხი სტაბილური პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შექმნის შესახებ. სასკოლო ცხოვრებაში ასალი ეტაპი დაიწყო. დაცული იყო მკაცრი ცენტრალიზმი. სახელმძღვანელოები ყველა საგნიში გამოდიოდა მხოლოდ რუსულ ენაზე. მოკავშირე რესპუბლიკური მათი თარგმანებით სარგებლობდნენ. მიუხედავად ამისა, საქართველოში დაწყებით სკოლაში I, II, III და IV კლასებში საკუთარი სახელმძღვანელოები გვქონდა არითმეტიკაში.

პროფ. ვ. კუპრაძემ, როცა ის განათლების მინისტრის პოსტზე იმყოფებოდა, დაარწმუნა განათლების საკავშირო სამინისტრო, რომ საქართველოში და რუსეთში დაწყებით სკოლაში არ შეიძლებოდა არითმეტიკა ერთნაირი პროგრამით ყოფილიყო შესწავლილი. ამის მიზეზად ქართული ოცნებითი თვლა სახელდებოდა. ამ მდგომარეობას უსათუოდ უნდა გამოეწვია დაწყებით კლასებში არითმეტიკის სწავლებაში განსხვავებული მეთოდიკის არსებობა. საკავშირო სამინისტრო დააქმაყოფილა პროფ. ვ. კუპრაძის მოთხოვნა. ასე განდა ჩვენში არითმეტიკის საკუთარი სახელმძღვანელოები: I და II კლასებში – „არითმეტიკა“ – შ. ბაკურაძისა და შ. იაშვილის, ხოლო III და IV კლასებში – „არითმეტიკა“ ტ. ტემალაძის ავტორობით.

1970 წელს ჩატარდა მათემატიკის სწავლების საკავშირო რეფორმა და დაწყებით სკოლაში შევიდა ალგებრისა და გეომეტრიის ელემენტები. ამის გამო, სასწავლო საგანს „არითმეტიკის“ ნაცვლად ეწოდა „მათემატიკა“. დიდია ქართველ პედაგოგ-მეცნიერთა დავაწლი ქართული მათემატიკურ-მეთოდიკური აზროვნების განვითარების საქმეში. მათ შექმნეს უმდიდრესი მეთოდიკური მემკვიდრეობა. ესენი არიან: ტერენტი ტემალაძე, ნინო თოფურიძე, შოთა ბაკურაძე, შოთა იაშვილი, ალექსანდრე წერეთელი, ათანასე ხარაბაძე და სხვა.

დღეს საქართველოში მრავალი სასწავლო და მეთოდური სახელმძღვანელოა მოქმედებაში. განსხვავებულია მათემატიკის სწავლების მიზნები, მოთხოვნები, შინარსი, მეთოდები, ორგანიზაციის ფორმები. თანამედროვე სკოლა ორიენტირებულია განათლების პუბლიკურიზაციის, მოსწავლის პიროვნების მრავალმხრივ განვითარებაზე, აგრეთვე, მათემატიკური, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე. დღევანდელი სასკოლო სახელმძღვანელოები მათემატიკაში, ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით, შედგენილია შემდეგი ოთხი მიმართულებით:

- რიცხვები და მოქმედებები;
- კანონზომიერება და ალგებრა;
- გეომეტრია და სიგრცის აღქმა;
- მონაცემთა ანალიზი, ალბათობა და სტატისტიკა.

მათემატიკა, როგორც ფუნდამენტური მეცნიერება, წარმოადგენს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განვითარებისა და ქვეყნის მართვის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოდელირების ძირითად ბერკეტს. მათემატიკა იყო და რჩება ინტელექტუალური განათლების მიღების, ლოგიკური აზროვნების განვითარებისა და ჩვენს გარშემო მიმდინარე პროცესებში შესაძლებლობათა საშუალებად.

მათემატიკის სწავლების არსებული მეთოდები და ხერხები, ქართველი მათემატიკოსების ეროვნული ტრადიციების სწორად გააზრება და რეალურ სინამდვილესთან შეპირისპირება, თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან შეჯერება და შეხამება, საშუალებას იძლევა სწორად გავიაზროთ და დავსახოთ ახალი მიმართულებები, მათემატიკის სწავლების მეთოდური სრულყოფის გზები, გამოვყოთ რთული და სპეციფიკური პრობლემები, მივუსადაგოთ შესაბამისი მეცნიერული კვლევები, რაც ხელს შეუწოდს ეროვნული სკოლის სწორი გზით სკლას და განვითარებას.

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“
მათემატიკის სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიური და დიდაქტიკური მიმართულებების განვითარებისათვის საჭიროა „ძველი“ და „ახალი“ მიღვომების შეჯერება, „ძველი“ ტრადიციულ მეთოდოლოგიაზე „ახლის“ დაშენება.

არ შეიძლება ორიოდე სიტყვით არ შევეხოთ დაწყებით კლასებში თანამედროვე მულტიმედიური ტექნოლოგიების გამოყენების უდიდეს მნიშვნელობას. დაწყებითი მათემატიკური განათლების პრობლემები ვლინდება მის შინაარსში მარტივიდან როგორისაკენ, ცნობილიდან უცნობისაკენ მიმართებაში, თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიების გამოყენების აუცილებლობაში. სწავლების დონის ამაღლების მუდმივი მოთხოვნა და სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის აღმავლობა დღის წესრიგში აყენებს სწავლების პროცესის მართვის ეფექტური ორგანიზაციის გზების ძიებას. ერთ-ერთ ასეთ დონისძიებად მივიჩნევთ შემოქმედებითი ამოცანების შედგენისა და ამოხნის კრეატიულ მიღგომას, ანუ ამ პროცესის რეალიზებისათვის თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და პირველ რიგში, მისი აუცილებელი ტექნიკური საშუალების, კომპიუტერის გამოყენებას. განუზომელია მისი როლი თანამედროვე სწავლებაში, მათ შორის დაწყებით საფეხურზე მათემატიკის სწავლებაში.

ლიტერატურა – References

- ლ. ბერიძე, მათემატიკის სწავლება XIX საუკუნის საქართველოში და ილია ქლენტის სახელმძღვანელო. საკანდიდატო დისერტაცია მათემატიკის სწავლების მეთოდიკაში. თბილისი, 1995წ.
- კ. ჯინჯიხაძე, მათემატიკის დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდიკა და ტექნოლოგია, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2011წ.

Zivzividze-Nikoleishvili M.

Brief overview of math teaching history and its present directions

Summary

The article discusses history of math teaching in Georgia and directions of present teaching. In the article it is shown how the math was taught in soviet Georgia and how the process of teaching is developing nowadays. Today there are many tutorial and methodological guidebooks in Georgia. The aims, needs, methods, contents and forms of math teaching organization are different. Modern schools are oriented to make education more humanize, develop students' personality, and develop mathematical, critical and creative thinking. The article also discusses the role of multimedia technology during math teaching in primary classes.

**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Akaki Tsereteli State University**

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

ნაცილი ჰორიზონიანი

სთივათიძერი და ეთიმური აარამეტრები მათემატიკის სფავლებაში

ეს არის მცდელობა იმისა, ვაჩვენო „მკითხველებს“, თუ რაოდენ დიდია სიყვარული საგნისა, რომელსაც ახტავდი და გულის შენი სიყვარული გადახდო შენს მოსწავლეებს და გაუადგილო სწავლა ამ დისციპლინისა, რათა შეიყვაროს იგი და გამოიყენოს ყოფიერების უველა სვეროში, რამეთუ მათემატიკა თავადაა არა მარტო ზუსტი, არამედ ჭეშმარიტი (ამდენად რელიგიური!) მეცნიერება და თუ ანრი სტენდალს დაგესტებდით, „მათემატიკა მისთვის მიუვარს, რომ იგი არ უშევებს ორ თვისებას: თვალთმაქცობასა და გაუგებრობას, რომელიც მძულს უკიდურესობამდე“. ამ

„ჩემი ფარდობითობის თეორიის შექმნაში უდიდესი როლი ითამაშა არა ფიზიკოსების შრომებმა, არამედ დოსტოევსკის რომანებმა“

/ა. აინშტაინი/

ამ გენოსის ნაუბარს მეორე გენიოსის (ლევ ტოლსტოის) მოსაზრებაც ამტკიცებს: „მეცნიერება და ხელოვნება ისევეა დაკავშირებული ერთმანეთთან – როგორც ფილტვები და გული. ასე რომ, თუ ერთი ორგანო დაზიანებულია, მაშინ მეორეს არ შეუძლია ნორმალურად მუშაობა“. უდიდესია როლი მათემატიკის მასტავლებლისა, რადგან ეს ულამაზესი საგანი ხშირად ბეჭრთა შორის მნელ და მშრალ საგნად მოისხიება; ყოველი გაკვეთილი ისე უნდა იქნას წარმართული, იოლი და პოპულარული ენით ასენილი, მოსტავლისათვის სიყვარულით და მშვენიერებით წარმოსახული, რომ მსმენელმა ვერ უნდა იგრძნოს სირთულე; შიგადაშიგ სასურველია, სახალისო მათემატიკით დაინტერესება, მათემატიკური კალებოსკოპები, მოსაზრებანი რიცხვითი სიმბოლიის შესახებ, მათემატიკის კავშირებზე ლიტერატურასთან, ხელოვნებასთან, იმ დიდ როლზე, რომელიც მათემატიკას აკისრებს ცხოვრების ნებისმიერ სფეროში; სასურველია წელიწადში ერთხელ მაინც ჩატარდეს მათემატიკური საღამოები, ზეიმები. ჩემი მრავალწლიანი გამოცდილებიდან, შემიძლია შემოგთავაზოთ ნაწყვეტები რამდენიმე ღონისძიებიდან, სადაც სიყვარულით დანახული ულამაზესი ფორმულები სავსეა ესთეტიკური და ეთიკური ფორმებით; შემოგთავაზებთ ფრაგმენტებს სხვადასხვა ასაკისა და სხვადასხვა უანრის მათემატიკური საღამოებიდან.

„ნულიდან – უსასრულობამდე“ – აი, ასეთია ჩვენი საღამოს სახელწოდება და იცით რატომ? ჩვენი ცხოვრების საწყისში ხომ ცნობიერება ნულის ტოლი იყო და... ჩვენს ზრდასთან ერთად იზრდება ცნობიერება ცხოვრების შეცნობისა – უსასრულობამდე; ცხოვრებისა, რომლის ყოველი წერილმანი თუ მსხვილმანი მაინც მათემატიკით სუნთქავს.

დიახ, მათემატიკით სუნთქავს მეცნიერების, თუ ტექნიკის ყოველი დარგი; მაგრამ დღეს ჩვენი მიზანი სულაც არ არის წაკითხვა იმ გრძელი სიისა, თუ მეცნიერების რომელ დარგს რამდენჯერ უსარგებლია მათემატიკის სიკეთით.

როცა რიცხვთა სიმბოლიკით დავინტერესდი, გავიგე რომ სრულიად სხვადასხვა ზნე-ჩვეულებების და ათასობით კილომეტრის დაშორებით მყოფი ადამიანებისათვის „შვიდის მაგია“ საერთოა.

პედაგოგთა ევალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

შვიდი ეგვიპტის ქურუმთათვისაც წმინდა რიცხვად ითვლებოდა – როგორც ჩანს, იმ დროს უკვე ცნობილი შვიდი მნათობის (მზე, მთვარე, მერქური, ვენერა, მარსი, იუპიტერი, სატურნი) ასოციაციით, თუ ანალოგით.

ასე, რომ რიცხვთა მისტიკა პითაგორამდეც დიდი ხნით ადრე იყო გავრცელებული; პითაგორაზე კი უკვე ტრადიციაც ახდენდა გავლენას. ეს ტრადიცია ეყრდნობოდა რიცხვთა, განსაკუთრებით კი შვიდის „იდუმალებით მოსილი ხასიათის“ რწმენას.

სპეციალურ ლიტერატურაში მითოთებულია, რომ შემომონახულია ფრაგმენტები ტრაქტატისა, შვიდი რიცხვის უნივერსალური ხასიათის შესახებ.

როგორც ჩანს, ამგვარ შეხედულებათა ზეგავლენით ჩამოყალიბდა პითაგორასა და მისი მოწაფეების შეხედულებებიც; მათი აზრით – „რიცხვი და რიცხვითი ურთიერთობანი წარმოადგენენ სამართოსა და საგანთო წმიდათა წმიდა საფუძველს.“

გადმოცემის მიხედვით, თვით პითაგორას, შვიდი უზენაეს რიცხვად, სამყაროს გამგებელ საწყისად მიაჩნდა და ამტკიცებდა, ყველაფერი რაც არსებობს შვიდეულია: სფეროთა მიმოქცევა, განმეორებათა პროცესები, ცხოვრების პერიოდები – ყველაფერი ექვემდებარება შვიდს.

ასახელებენ არა მარტო „მაგიურ“ შვიდსა და ცხრას, არამედ სხვა რიცხვებსაც (ციფრებსაც), რომელთა „ხასიათში“ უცნაური ნიშნებია აღმოჩენილი.

ასე მაგალითად: ფიზიკოსები ცდილობენ ამოიცნონ, კვანტურ ფიზიკაში ასეთი „გასაოცარი“ სიჯირით რატომ მეორდება 137.

სხვა ციფრებთან ურთიერთობაში 41-ც გასაოცარ თვისებებს ამჟღავნებს. თურმე, რომ ავიღოთ ნებისმიერი ხუთინშნა რიცხვი, მაგალითად 14965 (რაც მიიღება 365-ის 41-ზე გამრავლებით), როგორც არ უნდა დავსვათ ციფრები (41956; 96514; 56149...), ყოველი მათგანი უნაშოოდ იყოფა 41-ზე. (იქნებ ქვეცნებულად „ქართულმა ოცნებამ“ ამიტომაც აირჩია ნომრად მაგიური „41“).

რაც შეეხება აღრეულ წლებში, რიცხვთა გამრავლებისა და გაყოფის ნიშნების შესახებ ინფორმაციას: მოსწავლეებს ყოველთვის ძველი ბერძნების თქმულებებით ვუხსნი:

$$(+)(+) = + \text{ ჩემი } \text{ მეგობრის } \text{ მეგობარი } \text{ ჩემი } \text{ მეგობარია.}$$

$$(+)(-) = - \text{ ჩემი } \text{ მეგობრის } \text{ მტერი } \text{ ჩემი } \text{ მტერია.}$$

$$(-)(+) = - \text{ ჩემი } \text{ მტერის } \text{ მეგობარი } \text{ ჩემი } \text{ მტერია.}$$

$$(-)(-) = + \text{ ჩემი } \text{ მტერის } \text{ მტერი } \text{ ჩემი } \text{ მეგობარია.}$$

ადამიანთა შორის ურთიერთობაც განა ამ მორალურ პრინციპებზე არაა დამოკიდებული. მარტო ცალქეული ადამიანები კი არა, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებიც, დიპლომატიაც ხომ ამ პრინციპების ერთგულია.

დღეს, როცა მეცნიერება და ტექნიკა დიდი სისტემატიკით მიდის წინ, კაცთა მოდგმას საფიქრალი გაუნდა, ხომ არ ჩამორჩა ადამიანის ფსიქოლოგიური მომზადება ამ „წინსვლას“?

მიხეილ ქვლივიძის ერთი ლამაზი ლექსი – „ფიზიკოსების და ლირიკოსების“ გაბაასებისა, როცა გაუდერდება:

თანამედროვე ბალადა

რუსთველი დანტე მოგზაურობდნენ ფეხით ან ურმით

პირველყოფილი ადამიანი აიღებს ყურმილს,

უხმობს მანქანას, რომ არ დაკარგოსარც ერთი წუთი

და ორ საათში ის გაფრინდება მოსკოვში „ტუ“-თი

პირველყოფილი ადამიანი სულ მუდამ ჩეარობს,

რაღაცას ეძებს ან აწესრიგებს რიცხვების ქაოსს,

სულ იმას ცდილობს, როგორ გაფრინდეს მთვარეზე მაღლა,

რა დროს დანტე და რუსთაველი, სხვა დროა ახლა,

„სხვა დროა“ – ამბობს, თითქო დიდი სიმართლე პპრვა,

ლოგარითმების – ამბობს – და არა რითმების დროა

მოძველდა შოთა, დანტე მოძველდა, მკითხველიც მათი

პედაგოგთა ქვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

ტექნიკის დროში ვის რადად უნდა რითმების ჯართი?
ვაგლას, მგოსნებო, რა გაეწყობა, მოვეშვათ ლექსებს,
თავების ნაცვლად, რეინის ყუთები შევიდგათ მხრებზე
გულების ნაცვლად, მკერდში ჩავიდგათ ამპერიმეტრი...
ტექნიკის დროში რა დაგვრჩნია ამაზე მეტი?!
გაველურება გადამდებია და ... სხვათა შორის
ცხოვრება ისე გასაგებია, ვით ორჯერ-ორი
ცნობილი არი, მაგალითისთვის ასაკი მიწის
დადგენილია ყველა საზღვარი დროის და სივრცის,

მარადისობა, უსასრულობა, თავი და ბოლო...

ეს ყველაფერი, როგორც ამბობენ

რ ი ც ხ ი ა მ ხ თ ლ თ დ ! ...

და ქმარა, ქმარა, ვის ვასულელებთ ზღაპრებით ჩვენით
თითქო ხე სუნთქავს, ან ქა მეტყველებს, სულდგმულის ენით
თითქოს კაცს ძალუბს გაესაუბროს გარდაცვლილ დედას
და მგოსნის თვალი, ცის კაბადონზე ანგელოზს ხედავს...
ქმარა! მოვეშვათ მოწოდებებით აღსავსე ლექსებს,
უაზრო ზრუნვას მტკავლისოდენა მამულის ბედზე
მოვეშვათ თორემ... კისერს მოვიტებო ამ ჩვენი ზრუნვით
პირველყოფილი ადამიანი აიღებს ყურმილს

უხმობს მანქანას... აწკრიალდება ელექტრო ზარი...

და ჩვენს ზურგს უკან მოიხურება ლითონის კარი.

ჩვენ იმასაც ვვრმნობთ რომ ზოგიერთი პოეტი, თუ ხელოვანი სკეპტიკურადაა განწყობილი
ტექნიკის განვითარებისადმი, აშინებთ – ადამიანთა გრმნობანი ცივი ხდებიანო, მაგრამ ჭეშმარიტი
მათემატიკოსი სულით პოეტიცაა, მუსიკოსიც და ხელოვანიც. ჩვენ გვიყვარს პოეზია და მუსიკა და
ვიცით რომ:

„ნიუტონი რომ არ გაჩენილიყო

ადრე თუ გვიან, სხვა აღმოაჩენდა

მსოფლიო მიზიდულობის კანონს.

ოპენაიმერი რომ არ გაჩენილიყო

ადრე თუ გვიან, სხვა ამოსსნიდა

ატომგულის საიდუმლოებს.

რუსთაველი რომ არ გაჩენილიყო

არ დაიწერებოდა “ვეფხისტყაოსანი“

ა რ ა ს თ დ ე ს !!!

მათემატიკის „მშეგნიერებაზე“, მის მრავალმხრივობაზე დიალოგი მაქს – პერვანაზირება
შორენასი და არსაკიძისა:

„შორენა – რას ჩაციებიხარ ამ ტიალ მაგალითებს უტა? ამოცანა ხომ გაქვს დასრულებული
აკა?

განა ვინმე დაგიფასებს დგაწლს?

უტა – განა ვინმეს წყალობის მოლოდინში შევალიე მათემატიკას ჯანი? მე ჩემი საგანი
სიცოცხლეზე მეტად შემყვარებია ჩემო, ამიტომაც განწირული მაქს თავი.

შორენა – მაშ უტა სიცოცხლე საგანზე ნაკლებად გყვარებია უტა?

უტა – განა საგანია მათემატიკა ჩემო? საგანყოფილია იგი ამჟამად. მათემატიკა მეცნიერებაა,
მხატვრობაა, პოეზიაა, მუსიკაა.“

ადამიანთა მოდგმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დირსება – მეგობრობის გრძნობაა და აქ კი
„მეგობარი რიცხვების“ შესახებ „ვისაუბრებთ“.

პედაგოგთა ევალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

როცა პითაგორას ჰქონდეს რა არის მეგობრობაო, მან უპასუხა – „მეგობარი“ ეს მეორე მეა, ხოლო მეგობრობა ეს დამოკიდებულებაა 220-სა და 284-ს შორისო.

ორ – A და B რიცხვს მეგობარი ეწოდება, თუ A-ს გამყოფების ჯამი გვაძლევს B-ს, და B-ს გამყოფების ჯამი A-ს. ამ პირობებს აქმაყოფილებენ ეს რიცხვები. რაც შეეხება ესთეტიკურ სიამოვნების, თვით ფორტეპიანოს კლავიატურის აგებულებაც მათემატიკურ გამოთვლებთან არის დაკავშირებული. ბუნებასა და არქიტექტურაში სიმეტრიის პრინციპებზე არის დამოკიდებული მშვენიერების აღქმა. თუნდაც ფოთლისა და რტოს აგებულებაც კი ოქროს კვეთის პრეროგატივაა, მშვენიერების ეტალონი – აპოლონ ბელვედერსკის სკულპტურაც ხომ ოქროს კვეთის პრინციპებზეა აგებული.

ეს ფორმულა კი სტატიის აგზორის კუთვნილებაა:

$$\int_0^{\infty} (\text{სიცოცხლის}) d(\text{შემეცნებით}) = \text{ცხოვრებას}$$

აღნიშნული სტატია წარმოადგენს თეზისს იმ დიდი მასალისა, რომელიც დაგროვდა მათემატიკის სწავლების პროცესში, ყოველწლიურად ჩატარებული ღონისძიებებიდან. თუმცა ვერ მივაღწიე, მოკლედ მიმედვნა „პიმზი მათემატიკისადმი“, მაგრამ სრულადაა გაცნობიერებული გენიოსების გამონათქვამები, რომ „ბუნება ლაპარაკობს მათემატიკის ენით“, „მათემატიკა საგანთა შორის მეფეა, არითმეტიკა მისი დედოფალი“.

ლიტერატურა – References

1. მიხეილ ავასელავა – „პოეტური ინტეგრალები“.
2. მიხეილ ქვლივიძე – (ლექსი – „თანამედროვე ბალადა“)
3. შევინაუზი – მათემატიკური კალეიდოსკოპი.
4. Перелман Я. И., Живая Математика

Zhorzhiani N.

Aesthetic and ethical parameters of Mathematics Teaching

Summary

Science and Art are connected with each other, like lungs and the heart. If one organ is injured, the second one can't carry on working as usual." - Lev Tolstoy. The math's teacher plays an important role because mathematics is one of the major subjects but is also one of the most difficult and dry to learn. Each lesson should be directed so that it is understandable, the teacher should use ordinary and popular language, and finally, lessons should be directed perfectly and with love so that students don't find them too difficult. I can offer some examples from my own experience where mathematical formulas are shown to be beautiful and lovely as well as full of aesthetical and ethical forms. I suggest using passages for different ages and different genres discussed at mathematical evenings.

**ქუთაისის იოსებ ოცხელის სახელობის №2 საჯარო სკოლა
The Joseph Otskheli Public School №2**

3. Пурцеладзе

Кривая роста дерева

Настоящая работа является попыткой составить математическую модель роста дерева и изучая кривую роста вычислить точную верхнюю границу.

Постановка задачи

Исследования, в которых биологические проблемы решались на основе принципов математики, стали появляться еще в прошлом веке. Их авторами были математики и биологи. Всякая грамотная обработка биологических наблюдений базируется на математике. Биолог планирует эксперимент, проводит сам эксперимент и делает из него выводы. А дело математика установление связи между величинами входящими в эксперимент.

Следовательно, изучив математически модель биологического процесса, мы тем самым изучим интересующее нас биологическое явление.

В модели роста дерева математическим соотношением может быть дифференциальное уравнение, выражающее закон сохранения энергии. Приток энергии солнца, почвы, должен быть равен расходу энергии на рост дерева. В качестве неизвестного переменного в этом уравнении будет высота дерева, а в качестве независимого переменного - время.

Решение дифференциального уравнения дает функцию роста дерева одного независимого переменного в первом приближении. Изучение этой функции (приближенной функции) дает качественную характеристику природы роста дерева как такого.

Решение задачи

Очевидно, что с ростом кроны, увеличивается приток солнечной энергии благодаря фотосинтезу, а с другой стороны увеличиваются трудности перекачивания питательных веществ в дереве по мере роста высоты из-за гравитации. Следовательно увеличивается расход энергии на подобные нужды. Практически в конце концов, притока энергии уже не хватает для расходов и дерево перестает расти в высоту, однако оно увеличивается в объеме.

პედაგოგთა ევალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

Наша задача составить математическую модель этого гипотетического соображения.

Составим баланс энергии в математическом выражении.

Пусть $y = y(x)$ функция роста дерева, где x независимая переменная означает время.

Это означает, что высоту дерева мы будем измерять переменной величиной y зависящей от времени, площадь поверхности величиной y^2 , а объем $-y^3$.

Энергия образуется фотосинтезом в зеленой части растения. Чем больше поверхность зеленой части, тем больше энергии, т.е. энергия E пропорциональна поверхности $y^2(x)$ т.е.

$$E = AY^2$$

где A положительная постоянная зависит от форм и вида растений.

Поступающая энергия расходуется на передвижение питательного раствора. Чем больше объем растения, тем больше будет расход энергии. этот расход будет пропорционален к объему растения $y^2(x)$ и высоте $y(x)$ т.е.

$$By^3y = By^4(x)$$

где $B > 0$ коэффициент пропорциональности.

Поступающая энергия в основном расходуется на рост дерева, т.е. пропорциональна скорости роста или производной по времени от массы $m = \rho y^3(x)$ где ρ –

плотность растений, т.е. расход роста будет:

$$K \frac{d}{dx} \rho y^3 = 3K\rho y^2 \frac{dy}{dx}$$

В силу закона сохранения энергии

$$Ay^2 = By^4(x) + 3K\rho y^2(x) \frac{dy}{dx}$$

или

$$Ay^2 = By^4 + Cy^2 \frac{dy}{dx}$$

პედაგოგთა ევალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“
где $C = 3K\rho > 0$

или

$$\frac{dy}{dx} = \frac{A}{C} - \frac{B}{C} - \frac{B}{E}y^2(x)$$

где А, В, С положительные коэффициенты

введем обозначения

$$\frac{A}{C} = a^2, \frac{B}{C} = b^2$$

Получаем диф. уравнения I степени

$$\frac{dy}{dx} = a^2 - b^2y^2$$

или

$$\frac{dy}{a^2 - b^2y^2} = dx$$

откуда

$$\ln \frac{a+by}{a-by} = 2ab(x - xo)$$


тогда очевидно что

$$y(x) = \frac{a e^{2ab(x-x_0)} - 1}{b e^{2ab(x-x_0)} + 1}$$

Заключение:

Легко поверить что:

- 1) $\lim_{x \rightarrow \infty} y(x) = \frac{a}{b}$ функция ограничена горизонтальным асимптотом $y = \frac{a}{b}$
- 2) $\frac{dy}{dx} > 0$ функция возрастающая
- 3) $\frac{d^2y}{dx^2} < 0$ кривая роста дерева вогнут



პედაგოგთა ევალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია
„ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

Литература – References

- 1.Smirnov V. “Cours de mathematiques superieures”; Editions Mir, 1972.

Purtseladze Z.

The growth curve of the tree

Summary

The present work is an attempt to create a mathematical model of tree growth and studying the growth curve to calculate the exact upper bound.

*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Akaki Tsereteli State University*

პედაგოგთა ევალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

დარჩან დარჯანია

ლაპორატორიული გეცაღინერობის სასწავლო-აღმზრდელობით პროცესი

მეცნიერთა ნაწილი დახმარებას სწავლებისაგან არ გამოჰყოფს, როგორც დამოუკიდებელ ფენომენს, რადგან ფიქრობენ, რომ ეს არის ერთიანი პროცესი, რომლის ელემენტების ცალ-ცალკე წარმოდგენა შეუძლებელია. რა თქმა უნდა, სწავლების პროცესში დახმარება ამ პროცესის განვითარების ელემენტია, მაგრამ სწავლების / მასწავლებლის მოქმედიანობის / და დახმარების /მოსწავლის მოქმედიანობის/ მათობრავებელი ძალები სხვადასხვაა, როგორც ფსიქოლოგიური ისე სოცილოგიური თვალსაზრისით, ანუ სწავლებისა და სწავლის ფსიქოლოგიური და სოციალური მოტივები ერთნაირი არ არის.

მოსწავლეთა დამოუკიდებელ პრაქტიკულ სამუშაოებს დიდი სასწავლო-აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. მათგან უპირველეს ყოვლისა, ადსანიშნავია ლაბორატორიული მეცადინება, როდესაც მოსწავლები მასწავლებლის საერთო ხელმძღვანელობით აწარმოებენ ცდებსა და დაკვირვებებს.

ლაბორატორიული მეცადინებების მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მოსწავლეები ბუნებრივი მასალების გამოყენებისას იყენებენ მყარ, კონკრეტულ ცოდნას, ეუფლებიან სხვადასხვა უნარ-ჩვევებს. უძლიერდებათ ინტერესი ბუნების შესწავლისადმი, ეზვევიან დამოუკიდებელ მუშაობას. სწორად დაუწენებული ლაბორატორიული მეცადინება მოსწავლეებს აჩვევს შრომას, პასუხისმგებლობას დავალებული სამუშაოს შესრულებისადმი და ა. შ.

ლაბორატორიული მეცადინებების წარმატებით ჩატარების მიზნით, საჭიროა წინასწარ შევადგინოთ სამუშაო ინსტრუქცია, რომლითაც იხელმძღვანელებენ მოსწავლეები.

მეცადინებლისათვის საჭირო მოწყობილობის და მასალების მომზადებაში მასწავლებელს დახმარებას უწევენ ასისტენტები, რომლებსაც ყოველ კლასში თვითონ მოსწავლეები ირჩევენ ორი-სამი მოსწავლის შემადგენლობით.

პირველი გაკვეთილიდანვე, მოსწავლეებს უნდა გავაცნოთ ლაბორატორიაში მუშაობის წესები, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდნენ მოსწავლეები ლაბორატორიული მუშაობის დროს. კარგი იქნება, თუ მათ თვალსაზრისით ადგილზე გამოვაკრავთ. მუშაობას ვიწყებთ ამოცანებსა და მათ თანმიმდევრობაში კარგად გარკვევის შემდეგ, რისთვისაც გულმოდგინედ უნდა იქნას მოსმენილი მასწავლებლის ახსნა-განმარტება.

1. მუშაობის დროს ან მის შემდეგ, მოკლედ და გარკვევით უნდა ჩაიწეროს მუშაობის მსგლელობა და დასკვნები. ცდების სქემები ან დასაკვირვებელი საგნები უნდა ჩაიხაზოს.

პედაგოგთა ქვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

2. თითოეულ ჯგუფში ისე უნდა განაწილდეს მუშაობა, რომ მასში მორიგეობით, ყველა მოსწავლე მონაწილეობდეს.
3. არ შეიძლება, მუშაობის დროს კდასში სიარული. ყველაფერი მომზადებულია და არის მაგიდაზე, რაც არ არის, „ასისტენტები“ მოიტანებ.
4. ლაბორატორიაში უნდა იყოს სიჭირო საუბარი შეიძლება ხმადაბლა, როდესაც საჭიროა ამხანაგებთან მოთათბირება სამუშაოს თაობაზე.
5. აუცილებელია სიფრთხით ყველა იმ ხელსაწყოსა და მასალასთან, რომელიც საჭიროა მუშაობის დროს.

6. მუშაობის დამთავრების შემდეგ სამუშაო ადგილი უნდა მოწერილდეს.

ლაბორატორიული მუშაობისათვის კლასი იყოფა ჯგუფებად. ჯგუფში შემავალი მოსწავლეები ერთად ემზადებიან, წყვეტები მეცადინეობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს და ერთად მოჰყავთ წესრიგში სამუშაო ადგილი ცდის დამთავრების შემდეგ.

წარმოგიდგენთ ლაბორატორიული მეცადინეობას ბოტანიკაში, რომელიც შეიძლება ჩატარდეს როგორც ფრონტალურად, ისე მონაცემებით.

ფრონტალური ლაბორატორიული მუშაობის დროს მთელი სამუშაო წინასწარ იყოფა ცალკეულ ნაწილებად. მასწავლებელი თანმიმდევრულად იძლევა თითოეული მოსწავლის მიერ სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო მითითებებს. მაგალითად, ორლებლიანი მცენარის თესლის აგებულების შესწავლისას, ვუთითებთ გარედან დაათვალიერონ ლობიოს თესლი, ყურადღება მიაქციონ მის ფორმას, ჭიას. ამასთან, მოსწავლეები არკვევენ შერალი და დამბალი თესლის სიდიდეთა განსხვავების მიხეზს. აგრეთვე კანის დანიშნულებას. ამის შემდეგ ვუთითებთ, შემოაცალონ კანი დალბობილ თესლს, გადასწიონ დაგნები, დაათვალიერონ ჩანასახის ნაწილები.

ჩანასახის აგებულებაში უკეთ გარკვევის მიზნით, დაფაზე კეთდება ლობიოს თესლის აგებულების ნახაზი სათანადო წარწერით. მოსწავლეები რვეულებში ჩახაზავენ, რაც ნახეს ბუნებრივ მასალაზე დაკირვებისას. ასეთ თანმიმდევრულ მითითებათა მიხედვით შესრულებული პრაქტიკული მუშაობის შედეგად, მოსწავლეები ერკვევიან ორლებლიანი მცენარის თესლის ცალკეულ ნაწილებსა და მათ დანიშნულებაში.

ამგარად ორგანიზებული ლაბორატორიული მუშაობის დადებითი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ მისი ჩატარება უფრო ადგილია. ყველა მოსწავლე ერთდროულად ამთავრებს მუშაობას და დისციპლინის დარღვევების შემთხვევა ნაკლებადაა მოსალოდნელი. ფრონტალური ლაბორატორიული მუშაობის ნაკლად ის შეიძლება ჩაითვალოს, რომ ამ შემთხვევაში მოსწავლეების დამოუკიდებლობა რამდენადმე შეკვეცილია.

რაც შეეხება ლაბორატორიულ მუშაობას **მონაცემებით**, აქ მასწავლებელი წინასწარ იძლევა მითითებებს სამუშაოს ჩატარების შესახებ და მოსწავლეები მას დამოუკიდებლად ასრულებენ. მუშაობის ასეთი ორგანიზაციისას მოსწავლეთა დამოუკიდებლობა შედარებით მეტია, მას თან ახლავს ზოგიერთი მოსწავლის ჩამორჩენა, რამაც შეიძლება დისციპლინის დარღვევა გამოიწვიოს.

ლაბორატორიაში თავმოყრილი უნდა იყოს ლაბორატორიული სამუშაოებისათვის და დემონსტრირებისათვის აუცილებელი რეაქტივები და ხელსაწყოები.

აქეთ უნდა აღინიშნოს თვითნაკეთი ხელსაწყოების დამზადებაში მოსწავლეთა ჩართვის დიდი სასწავლო-სააღმზრდელო მნიშვნელობა. მასწავლებელს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ კაბინეტის კარგად მოწყობა უფრო გამარტივდება, თუ ამით დავაინტერესებოთ მოსწავლეებს.

ლაბორატორიული მუშაობის სწორი ორგანიზებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მასწავლებლის წინასწარ მომზადებას, რაც უპირველის ყოვლისა, გამოიხატება გაკვეთილის გეგმის შედგენაში. მასში მოცემული უნდა იყოს პრაქტიკული მუშაობის შინაარსი, თანმიმდევრობა, მოსწავლეთათვის მისაცემი დავალებები და ა. შ.

ლაბორატორიული მუშაობისათვის მზადება ითვალისწინებს აგრეთვე, იმას რომ სისტემაში იქნეს მოყვანილი ყველა ხელსაწყო და მასალა რომელიც საჭიროა გაკვეთილზე. ასეთი წინასწარი მზადება მოიხოვეს როგორც ჩასატარებელი ცდების შემოწმებას გაკვეთილადე, ისე გაკვეთილის დაწყების წინ.

წარმოგიდგენთ საგაკვეთილო მასალას – „**ნიადაგი და მიხი შედგენილობა**“

ახალი მასალის ახსნას ვიწყებ იმით, რომ მოსწავლეებს მოვაგონებ თესლის გადივებისათვის აუცილებელი პირობების წყლის, სითბოსა და ჟანგბადის შესახებ. ამასთან აღინიშნება, რომ ზრდა-განვითარებისათვის პირველ ხანში, ჩანასახი იყენებს თესლში მომარაგებულ საკვებ ნივთიერებებს

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

(ორგანულს, არაორგანულს, მინერალურს), რის გამოც, ღივს შეუძლია იარსებოს ნიადაგის გარეშე. აღნიშვნული მარაგის გამოლევის შემდეგ, ახლად აღმოცენებული მცენარისათვის აუცილებელია ნიადაგში არსებობდეს საკები ნივთიერებები, რომლებსაც ფესვებით შეიწოვს.

ნიადაგიდან მცენარის კვების გასაცნობად, პირველ რიგში, საჭიროა ნიადაგისა და მისი შედგენილობის განხილვა. მოსწავლეებს მოვაგონებ შესწავლიდ მასალას (კერძოდ, განიხილება გაშიშვლებული ნიადაგის დასათვალიერებლად მოწყობილი ექსკურსის დროს მიღებული ცოდნა). ამასთან ერთად, გამოვიყენებ ნიადაგის ჭრილის ტაბულას. მოსწავლეები დაბულობენ წარმოდგენას ნიადაგზე – როგორც დედამიწის ზედაპირულ ფენაზე, რომელიც მცენარებით არის დაფარული და დაქსელილია მათი ფესვებით.

ნიადაგის შედგნილობის გასაცნობად ტარდება ლაბორატორიული მუშაობა. მუშაობის პროცესში მეხმარება „ლაბორანტი“ მოსწავლეები.

პრაქტიკულ სამუშაოს მოსწავლეები დამოუკიდებლად ასრულებენ.

საჭირო მასალა: ცოტაოდენი ნიადაგი, სპირტქურა, ფილტრი, მინა, კოვზი, თეფში.

პრკული ჯგუფი:

დაკვირვება 1. აიღეს ორი კოვზი ნიადაგი და ჩაყარეს წყლიან ჭიქაში.

დაკვირვების შედეგი: წყალში ჰაერის ბუშტულები გამოვიდა, რაც იმას ადასტურებს, რომ ნიადაგში არის ჰაერი. ცდის შედეგი მთელი კლასისათვის იყო თვალსაჩინო.

მეორე ჯგუფი:

დაკვირვება 2. ცოტაოდენი ნიადაგი მოათავსეს მინის თეფშე და ქვემოდან გაახურეს სპირტქურის ალიო და ნიადაგის ზემოთ სპეციალური დამჭერით დაიჭირეს მინა.

დაკვირვების შედეგი: მინა დაიორთქლა, რაც იმას ადასტურებს, რომ ნიადაგში არის წყალი. შედეგი მთელი კლასისათვის გაანალიზდა.

მესამე ჯგუფი:

დაკვირვება 3. გავაგრძელოთ ნიადაგის გახურება.

შედეგი: ვიღორქნით უსიამოვნო სუნი. ეს ნეშომპალა იწვის. იგი მცენარეთა და ცხოველთა ნარჩენებისაგან წარმოიქმნება და ნიადაგს მუქ ფერს აძლევს. რაც უფრო მეტია ნეშომპალა ნიადაგში, მით უფრო ნაყოფიერია იგი. ამგვარად, ნიადაგი შეიცავს ნეშომპალას. ცდის შედეგი მთელი კლასისათვის გახდა მისაწვდომი.

მეორე ჯგუფი:

დაკვირვება 4. გახურებული ნიადაგი, რომელშიც ნეშომპალა უკვე დაიწვა, ჩავყაროთ წყლიან ჭიქაში. მოვურიოთ კოვზით.

შედეგი: რამდენიმე სხის შემდეგ ჭიქის ფსკერზე დაიღექა ჯერ ქვიშა, ხოლო შემდეგ თიხა, რაც იმას ადასტურებს, რომ ნიადაგი შეიცავს ქვიშასა და თიხას. შედეგი ლაბორანტი მოსწავლეების მიერ მთელი კლასისათვის განხორციელდა.

მესამე ჯგუფი:

დაკვირვება 5. ფილტრის საშუალებით, გავფილტროთ წყალი. რამდენიმე წვეთი წყალი დავაწვეთოთ მინაზე. მინა გავაჩროთ სპირტქურის ალზე.

შედეგი: წყალი სწრაფად აორთქლდა. მინაზე დარჩა თეთრი ნადები – ეს მარილია. ნიადაგი შეიცავს მარილს რომელიც წყალში ისხნება. შედეგი განზოგადოებული იქნა კლასის წინაშე.

მოსწავლეები დამოუკიდებლად, დამაჯვრებულად, თანმიმდევრული თხრობით, ლოგიკური აზროვნებით საკუთარი თვალით ნანახი პრაქტიკული სამუშაოს შედეგს აანალიზებენ, რომ ნიადაგი შედეგი ჰაერის, წყლის, ქვიშის, თიხის, ნეშომპალასა და მარილებისაგან.

ასეთი ტიპის სწავლების პროცესში მოსწავლეები მიღიან თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის გაგებამდე, პროცესი საშუალებას იძლევა მოსწავლეებმა გაიცნონ პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტისათვის ცოცხალი ბუნების კანონების ცოდნის მნიშვნელობა.

თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის პრინციპის განხორციელება ნათელ წარმოდგენას მისცემს მოსწავლეებს დასახული ამოცანების, მასში გამოყენებული ხერხების გასაგებად, რაც ახალგაზრდობას შეაიძრაღებს სათანადო პრაქტიკული უნარ-ჩვევებით.

პრაქტიკასთან მოსწავლეთა ცოდნის დაკავშირების საქმეში მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი სოფლის მეურნეობის მიღწევებისა და ამოცანების გაცნობას, რაც ხელს შეუწყობს ცოდნის განმტკიცებას და გაღრმავებას.

პედაგოგთა ევალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“
და ბოლოს, უნდა ითქვას რომ, დასწავლის სწორი ხელმძღვანელობა მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის წარმატების საწინდარია.

ლიტერატურა – References

1. ვ. კაპანაძე, ბიოლოგიის სწავლების მეთოდიების ძირითადი საკითხები. სასწავლო-პედაგოგიური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა „ცოდნა“ 2001წ.
2. ლ. შალვაშვილი, მ. მაჭავარიანი, ნ. ტაბიძე, გამომცემლობა „მერიდიანი“ 2011წ.
3. ზ. ცუცქირიძე, დასწავლა. 2004წ. გაერთიანებული სამსახურო აკადემიის პედაგოგ-ფსიქოლოგი
4. Боровоцки П., Методика преподавания естествознания. Москва, Просвещение 1999г

Darjania D.

Laboratory exercises in the learning process

Summary

Learning is one of the most important elements of teaching. In fact, it is the second side of a medal in learning process. In ideal condition, learning means systematic study of the environment surrounded us. The process is organised according to human learning principles via their opportunities.

We have to mean one of the most important condition, the role of teachers in learning process, their act and ability to teach the materials in a way to be understanding to students.

*ფოთის წმიდა ნიკოლოზის სახელობის ზ/ს სკოლა
Poti St. Nicholas School*

პედაგოგთა ევალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“


Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

მაცნებარ პიპალიშვილი, ნარბიზა შალამიშვილი-ხაბურიძენია

დელოპალიზებული π ბმა აზოფშაგას მოლეკულაში


წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია π ბმის დელოკალიზაცია აზოტმჟავას მოლეკულაში. აზოტი აზოტმჟავაში იმყოფება SP^2 პიბრიდულ მდგომარეობაში. აზოტის სამი SP^2 პიბრიდული ორბიტალი სამ უანგბადთან, $SP^2 - P$ გადაფარვის შედეგად, წარმოქმნის სამ ს ბმას. აზოტის ძეოთხე არაპიბრიდული P ორბიტალი განიცდის π გადაფარვას ერთდროულად ორივე უანგბადის P ორბიტალთან. აზოტის კავშირი ორივე უანგბადთან აბსოლუტურად იდენტურია.

ხშირად, აზოტმჟავას სტრუქტურულ ფორმულას შემდეგნაირად გამოსახავენ:




ეს ფორმულა – ხუთვალენტიანი აზოტით, არ არის სწორი. აზოტს, როგორც მეორე პერიოდის ელემენტს, გარე ენერგეტიკულ დონეზე მხოლოდ ოთხი ორბიტალი აქვს (ერთი S და სამი P). თავისუფალი d-ორბიტალების უქონლობის გამო, აზოტს არ შეუძლია აგზებულ მდგომარეობაში გადასვლით ვალენტური შესაძლებლობების გაზრდა. აზოტი გარე შრეზე რვა ელექტრონზე მეტს ვერ დაიტევს და მაშასადამე, მისი მაქსიმალური ვალენტობაც არ შეიძლება აღემატებოდეს ოთხს.

აზოტმჟავას ელექტრონული სტრუქტურის უკეთ გააზრების მიზნით, მისი ფორმირება შეიძლება წარმოვიდგინოთ ცალკეულ სტადიებად. აზოტმჟავაში წყალბადი უანგბადთან დაკავშირებულია კოვალენტური ბმით:




დარჩენილი გაუწყვილებელი ელექტრონით, უანგბადი უკავშირდება აზოტს:




პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“


აზოტის ორი გაუწყვილებელი ელექტრონი ჟანგბადის ორ გაუწყვილებელ ელექტრონთან იძლევა ორ კოვალენტურ ბმას:



აზოტის აქვს ერთი გაუზიარებელი ელექტრონული წყვილი. ამდენად, აზოტის შეუძლია ერთი დონორულ-აქცეპტორული ბმის წარმოქმნა. ამ ელექტრონული წყვილის აქცეპტორია ჟანგბადის მესამე ატომი. ჟანგბადის ელექტრონული კონფიგურაციაა $1S^2 2S^2 2P^4$. პუნდის წესის თანახმად, ძირითად მდგრმარეობაში ჟანგბადის ოთხი ელექტრონი მოთავსებულია სამ P ორბიტალზე. ჟანგბადი გადადის აგზნებულ მდგრმარეობაში:



ატომის აგზნება ამ შემთხვევაში, გამოიხატება არა ელექტრონული გათიშვაში, არამედ გაუწყვილებელი $2 Pz$ -ელექტრონის $2 Py$ ორბიტალზე გადასვლაში, სადაც ასევე გაუწყვილებელი ელექტრონი იყო მოთავსებული. ასეთი გადასვლა საჭიროებს ენერგიის ხარჯვას, რადგან ორბიტალებზე ელექტრონების აღმიშნული განაწილება არ ემორჩილება პუნდის წესს და ამიტომ, ეს მდგრმარეობა ნაკლებ მდგრადი იქნება. აგზნებულ ჟანგბადს უჩნდება თავისუფალი $2 Pz$ ორბიტალი, რომელიც აზოტის გაუზიარებელ ელექტრონულ წყვილთან წარმოქმნის დონორულ-აქცეპტორულ ბმას. ამის შედეგად, აზოტმჟავას მოლეკულის ვალენტური სქემა ასეთი უნდა იყოს:



ამ ვალენტური სქემის მიხედვით, პირველი და მეორე ჟანგბადის ატომების კავშირი აზოტთან ტოლფასი არ არის. სინამდვილეში, ბმები აბსოლუტურად იდენტურია. ორივე ბმის სიგრძე $\ell_{\text{NO}} = 0.12166$ მ, ამიტომ, აღნიშნულ ვალენტურ სქემებს მოლეკულის ჭეშმარიტი აგებულების გამოსახვის თვალსაზრისით, არავითარი უპირატესობა არ ექნება შემდეგ ვალენტურ სქემასთან, რომელშიც აზოტთან ორმაგი ბმით დაკავშირებულია ჟანგბადის მეორე ატომი:



დავუშვათ, ბმების აღნიშვნა: – კოვალენტური ბმა ერთმაგი, = კოვალენტური ბმა ორმაგი, \rightarrow კოორდინაციული ბმა.


წარმოდგენილი სქემების თანახმად, მოლეკული პირველი და მეორე ბმები ურთიერთგანსხვავებულია. პირველი ბმა ორმაგია, ხოლო მეორე – ერთმაგი, ანუ მარტივი, ან პირიქით. სინამდვილეში, ეს ბმები ყოველმხრივ (ბმის ენერგიით, ბირთვებს შორის მანძილით და ა.შ.) თანაბარია. სქემა (II)-ის თანახმად, პირველი ბმა ერთმაგია, ხოლო მეორე ბმა ორმაგია.

အေဂါလာဘဏ္ဍတဲ့ ဒုက္ခရိုဘာပြုပေးပါသော မှတ်တမ်းများ ဖြစ်ပေးလိုက်နိုင်ပါ။ ဒုက္ခရိုဘာပြုပေးပါသော မှတ်တမ်းများ ဖြစ်ပေးလိုက်နိုင်ပါ။

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

აზოგმებას მოლექულის აგებულებასა და თვისებებს, არც ერთი აქ წარმოდგენილი ვალენტური სქემა სწორად არ ასახავს. მოლექულის ჰეშმარიტი სტრუქტურა ამ ორი ვალენტური სქემის შუალედურია, ამიტომ იგი შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ორი ვალენტური სქემის შერწყმის, ან ზედდების შედეგი. ამის გამო, აზოგმებას მოლექულის ელექტრონული აგებულება გამოისახება ერთდროულად ორი ვალენტური სქემით. სწორედ ამაში მდგომარეობს ვალენტური სქემის ზედდების მეთოდი.


აზოტმეავაში არსებული ქიმიური პმების წარმოქმნა ხდება ატომური ორბიტალების გადაფარვით. აზოტმეავაში აზოტი იმყოფება SP^2 ჰიბრიდულ მდგრმარეობაში. აზოტის სამი SP^2 – ორბიტალი სამ ჟანგბადთან წარმოქმნის სამ $S-P$ გადაფარვა. ერთ-ერთი ჟანგბადი წყალბადთან წარმოქმნის $S-P$ გადაფარვა. აზოტის მეოთხე არაპიბრიდული P – ორბიტალი განიცდის π -გადაფარვას ერთდროულად, ორივე ჟანგბადის ორი P -ორბიტალთან, რაც პუნქტირით გამოისახება:



აზოტმეავას მოლექულის აქ ნაჩვენები სქემის თანახმად, აზოტის კავშირი ორივე ჟანგბადთან, ასევე გრძელ იდენტურობაზე იდენტურობაზე.


ბმის სიგრძე $\ell_N = 0,211$ ნმ, გაცილებით მცირება, აზოტსა და უანგბადს შორის მარტივი ბმის სიგრძეზე $\ell_N = 0,141$ ნმ. π -ბმას, რომელიც საერთოა ორი ატომისათვის (ე. ი. ორცენტრიანია), ეწოდება ლოკალურზებული. π -ბმას, რომელიც საერთოა ორზე მეტი ატომისათვის, (ე. ი. მრავალცენტრიანია), არალოკალურზებული ანუ დელოკალურზებული ეწოდება.

აზოგმუავაში პ-ბმა არ არის ლოგიკული თექნიკული ორ ატომს შორის. იგი დელოკალიზებულია. აზოგმუავაში პ- ბმა სამცნებრიანია და წარმოქმნილია ორი ელექტრონის გასაშუალებით.




ნახ. 1 აზოტმჟავას მოლეკულის სტრუქტურა

აზოვტოვას დისოციაციის შედეგად მიღებულ ნიტრატ-იონებს შემდეგი სტრუქტურა აქვა:




სინამდვილეში ნიტრატ-იონში ყველა ბმა იდენტურია ($\mathfrak{t}_n=0,1216\delta$) ამიტომ ნიტრატიონის ალექტრონული აგებულების გამოსახვა ხდება ერთორულად ექვსი ვალენტური სქემის საშუალებით:



გამოსახვის ასეთი ხერხი სრულდებოთ არ ნიშნავს, რომ ნიტრატიონი არსებობს ექვსი სხვადასხვა ფრაგმით და ამ ფრაგმებს შეაძლიათ ერთმანეთში გადასვლა. ნიტრატ-იონის ჭამარიგი


პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“
სტრუქტურა ექვსი ვალენტური სქემის შუალედურია და გამოისახება ამ სქემების ზედდებით. კოვალენტური ბმა დელოკალიზებულია ნიტრატინშიც. აზოტის სამი SP^2 ჰიბრიდული ლრუბელი ჟანგბადთან წარმოქმნის სამ ს-ბმას. ამავე დროს, სამივე <ONO = 120°. აზოტის მეოთხე არაჰიბრიდული P ორბიტალი იძლევა π-ბმას, რომელიც დელოკალიზებული იქნება ჟანგბადის სამ ატომს შორის, რაც გამოისახება პუნქტირით.



აქ π-ბმა ოთხცენტრიანია და წარმოქმნილია ორი ელექტრონის გასაშუალებით. π-ბმის წარმოქმნები ელექტრონული ლრუბელი განაწილებულია ოთხ ატომს შორის. ელექტრონული სიმკვრივის თანაბარი განაწილება იწვევს ელექტრონული მუხტის თანაბარ განაწილებას, რის გამოც, უარყოფითი მუხტი მიერტება მთლიანად ნიტრატ-იონს.

ასეთი მსჯელობა სამართლიანია სხვა როგორი იონებისთვისაც. მაგალითად, კარბონატ-იონში (CO_3) ნახშირბადი იმყოფება SP^2 ჰიბრიდულ მდგომარეობაში. სამი SP^2 ჰიბრიდული ორბიტალი სამი ჟანგბადის სამ P-ორბიტალთან იძლევა სამ ს-ბმას. ნახშირბადის მეოთხე არაჰიბრიდული P-ორბიტალი სამი ჟანგბადის დანარჩენ სამ P-ორბიტალთან წარმოქმნის ოთხცენტრიან π-ბმას. ნიტრატ-იონის მსგავსად, π-ბმა აქაც თრი ელექტრონის საშუალებით მიიღება. დელოკალიზებული ბმის სიგრძე ($\ell_c = 0,129\text{ nm}$) შუალედურია მარტივი ($\ell_{C-O} = 0,143\text{ nm}$) და ორმაგი ($\ell_{C=O} = 0,122\text{ nm}$) ბმების სიგრძისა.



მთელ რიგ შემთხვევაში, სტრუქტურული ფორმულები არასწორად გამოსახავს მოლეკულის ელექტრონულ სტრუქტურას – ატომებს შორის ელექტრონის განაწილებას. რის გამოც, შეუძლებელია ნივთიერებათა თვისებების სწორი ინტერპრეტაცია.

ლიტერატურა – References

1. გარაპეტიანცი, ს. დრაკინი. ნივთიერებათა აღნაგობა. თსუ 1977წ
2. ი. ვაშაკიძე, ვ. მამასახლისვი, გ. ჭილაშვილი, კვანტური მექანიკა. თსუ. 1978წ
3. ვ. კოკოხაშვილი, გ. ცინცაძე, თ. ცეცხლაძე, ზოგადი და არაორგანული ქიმიის კურსი I ნაწილი 1988წ
4. Ахметов С., Общая и неорганическая химия М., 1981.
5. Глинка Л., Общая химия. 1984.
6. Угай А., Общая химия. 1984.

Kikalishvili M., Shalamberidze-Khaburdzania N.

Delocalised π Bonds in Nitric Acid Molecule

Summary

Here is represented the delocalization of Pi bonds in the nitric acid molecule. Nitrogen in nitric acid is SP^2 hybridised condition. Three sp^2 hybridised orbital of nitrogen with three oxygen makes three 6 bonds by overlapping sp^2-p . The fourth non-hybridised p orbital of nitrogen suffers overlapping at the same time together with both p orbital of oxygen. Therefore nitrogen relationship together with both oxygen is identical.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“
Akaki Tsereteli State University

ნანა მებრძობილი

მჩხამრიმენტის მნიშვნელობა მიმის საზღვაუში

განხილულია ქიმიური ექსპერიმენტის როლი ქიმიის შესწავლის საქმეში, ექსპერიმენტის სახეები, კერძოდ, სასწავლო, პრეპარატული და კვლევითი. ექსპერიმენტი ნივთიერებათა შედგენილობის დასაღვენებად და რაოდენობითი ანალიზის მონაცემების მიხედვით ქიმიური ფორმულების გასარტვებად.

ამჟამად მიღებული სწავლების მეთოდების სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა პრაქტიკულ მეთოდებს, რომელთა შორის, ქიმიის შესწავლაში დიდი მნიშვნელობა აქვს სასწავლო ქიმიურ ექსპერიმენტებს. მისი, როგორც შემცნების მნიშვნელოვანი თავისებურება არის ის, რომ დაკვირვების პროცესში და დამოუკიდებლად ცდების ჩატარებისას, მოსწავლეები ეცნობიან არა მხოლოდ მეცნიერების კონკრეტულ ფაქტებს, არამედ შეუძლიათ დაინახონ და განახორციელონ ნივთიერებათა თვისებრივი ცვლილებები.

ქიმია ექსპერიმენტული მეცნიერებაა, რომლის ძირითადი თეორიები, კანონები და დასკვნები ცდებით დადასტურებულ ფაქტებზეა დამყარებული. აქედან გამომდინარე, ქიმიის სწავლება მხოლოდ მაშინ იქნება ნაყოფიერი, თუ ის თვალსაჩინოა და ექსპერიმენტებზეა დამყარებული. ლაბორატორიული ექსპერიმენტის შედეგად მიღებული თვალსაჩინო ფაქტები თეორიული მასალის უფრო ღრმად და მტკიცებ შეთვისების საშუალებას იძლევა. გარდა ამისა, ასეთი პრაქტიკული ხელს უწყობს სტუდენტს და მოსწავლეს ლაბორატორიული მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და დაკვირვების უნარის განვითარებაში.

ცდებითა და დაკვირვებებით, სტუდენტები და მოსწავლეები ეცნობიან ნივთიერებათა მრავალფეროვან ბუნებას, აგროვებენ ფაქტებს შესაღარებლად, განზოგადებისა და დასკვნებისათვის. სასწავლო ექსპერიმენტი წარმოადგენს სწავლებაში ექსპერიმენტული მეთოდის თავისებურ გამოყენებას, როგორც შეცნიერებაში ფართოდ მიმართავენ კანონზომიერი კავშირებისა და ქიმიური პროცესების არსის გარკვევისას და მათი მიმდინარეობის პროცესების გაშუქებისას. სასწავლო-საკვლევი ექსპერიმენტის დროს, მოსწავლეები ყოველთვის დებულობენ მასწავლებლისაგან შესაფერის შემცნებითი ხასიათის ამოცანას, რომლის ამოსსნაც შესაძლებელია ცდის მეშვეობით. ვიდრე მოსწავლეები აითვისებენ ცნებას დაშლის რეაქციის შესახებ, მასწავლებელი შეეკითხება მათ, რა მოხდება, სპილენის ფუძე კარბონატის (მალაქიტის მწვანე ფხვნილის) გახურებისას? დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ ცდის ჩატარებით. მასწავლებელი წინასწარ ამზადებს ცდისათვის საჭირო რეაქტივებსა და მოწყობილობებს, მიუთითებს მოსწავლეებს, განიხილონ ხელსაწყოს მოწყობილობა სახელმძღვანელოში მოცემული სურათის მიხედვით, აზარებს ცდას, ან ხელმძღვანელობს ცდის ჩატარებას სამუშაო ადგილებზე, განმარტავს აუცილებელ ხერხებს. მოსწავლეები აღნიშნავენ რეაქციის პროცესში, ნივთიერებებში მიმდინარე ცვლილებებს, უურადღებას მიაკურობენ ცდის შედეგებს და მასწავლებლის დამხმარე შეკითხვების მიხედვით, განმარტავენ მოვლენას ატომურ-მოლებულური მოძღვრების მიხედვით.

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

დაშლის რეაქციის შესახებ ცოდნის გამოყენების მიხედვით, მასწავლებელი შემდგომ გაკეთილზე განიხილავს ახალ ამოცანას. ცდების შედეგად ირკვევა, რომ ერთი ნივთიერებიდან შეიძლება მივიღოთ ორი, ან მეტი ახალი ნივთიერება. მაგრამ ბუნებაში მხოლოდ დაშლის რეაქციები რომ მიმდინარეობდეს, მაშინ ყველა რთული ნივთიერება დაიშლებოდა. შეიძლება თუ არა, ორი ნივთიერებისგან მივიღოთ ერთი ნივთიერება? ეს ამოცანაც ცდის მეშვეობით შეიძლება ამოიხსნას – რეინასთან გოგირდის შეერთება და სხვა. მაგალითად, უცნობი აირის, წყალბადის თვისებების შესწავლა შეიძლება მარტივი ექსპერიმენტული ამოცანის ამოხსნით: მოსწავლის მაგიდაზე აწყობენ განზავებული მარილმავიან სინჯარებს და თუთის ნატეხებს. მასწავლებელი მიუთითებს, ჩაუშვან თუთის ნატეხები მჟავიან სინჯარებში და დაკვირდება, რა მოხდება, ხოლო სინჯარის პირთან მიიჩნონ ჯერ მბუტავი კვარი (არ ინთება, ე. ი. გამოყოფილი აირი არ არის უანგბადი), შემდეგ ალმოდებული ჩხირით შეეხებიან სინჯარის პირს (ალი არ ქრება, მაშასადამე, ეს არ არის უანგბადი, ნახირბადის ოქსიდი, მაგრამ ხდება თვით აირის აალება, მაშასადამე ეს ახალი, ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობი აირია). მასწავლებელი განმარტავს, რომ აირს ეწოდება წყალბადი, რომელსაც შევისწავლით შემდეგ გაკვეთილზე. ამ მეთოდით შესაძლებელია სასკოლო კურსის სხვა საკითხების შესწავლა.

სასწავლო-საკვლევი ექსპერიმენტის უფრო რთული სახეა ექსპერიმენტები, რომელსაც თვით მოსწავლეები ამუშავებენ. ამ სახის მუშაობა მისაწვდომია უფროს კლასებში. მასწავლებელი დასაწყისში აცნობს მოსწავლეებს ჩასატარებელი ცდის მიზანს – იმის დადგენა, თუ რა ნივთიერებები შეიძლება წარმოიქმნას ურთიერთქმედების შედეგად, როგორ შეგროვდეს და გამოიცნონ რეაქციის აირადი და თხევადი პროდუქტები, როგორ შეიძლება ნარევიდან საჭირო პროდუქტის გამოყოფა და ა.შ. შემდეგ მოუწოდებს მოსწავლეებს, მოიფიქრონ ექსპერიმენტის ჩატარება, კერძოდ, რა სახით უნდა აიღონ საწყისი ნივთიერებები, რომელ ხელსაწყოში და როგორი თანმიმდევრობით ჩატარონ ცდა. სასწავლო საკვლევი ექსპერიმენტის კიდევ უფრო რთული სახეა ექსპერიმენტები, რომლებიც დაკავშირებულია პიკოთეზის წინასწარ დამუშავებასთან. მაგალითად, ამა თუ იმ ნივთიერების მიღება გარკვეული ხერხით. ნივთიერებათა შორის ურთიერთკავშირი, ორგანული ნივთიერებების თვისებები, რომელთა მოლექულები მოიცავენ სხვადასხვა ფუნქციონალურ ჯგუფებს, მარტივი, ან რთული ნაერთების თვისებების კანონზომიერი ცვლილებები დ. ი. მენდელევის სისტემის პერიოდებსა და ჯგუფებში. დაისახება რა ჩასატარებელი სამუშაოს მიზანი, მასწავლებელი სოხოვს მოსწავლეებს, გამორქვან შესაბამისი წინადაღებები პრობლემის გადაწყვეტის შესახებ, გაითვალისწინონ აუცილებელი თეორიული დასაბუთება, შეადგინონ რეაქციათა განტოლებები, აღნიშნონ მათი განხორციელების პირობები, გაარკვიონ ხელსაწყოების კონსტრუქცია, ჩატარონ ექსპერიმენტი გათვალისწინებული გეგმის შესაბამისად, გამოიტანონ დასკვნები.

ძირითადი სასწავლო-საკვლევი ექსპერიმენტის ფორმები ხორციელდება სხვადასხვა სირთულის ექსპერიმენტული ამოცანების სახით, მოსწავლეთა მომზადების დონის შესაბამისად.

მიზნებულოვან შემცნებით როლს ასრულებს ექსპერიმენტი ნივთიერებათა შედგენილობის დასადგენად და რაოდენობითი ანალიზის მონაცემების მიხედვით ქიმიური ფორმულების გასარკვევად. ამ დროს, ექსპერიმენტი არის იმის აუცილებელი დადასტურება, რომ ქიმიური ფორმულების შედეგნა არ შეიძლება ნებისმიერად, რომ მათ ადგენენ ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე. ეს არ გამორიცხავს ფორმულების შედეგნას ელემენტის ვალენტობის შესახებ უკე ცნობილი მონაცემების მიხედვით, ან ანალოგიის საფუძველზე. მაგალითად, მოსწავლეებმა იციან რა კალციუმის კარბონატის შედგენილობა და თვისებები, უნდა მოახერხონ ბარიუმის კარბონატის ფორმულის დაწერა და „იწინასწარმეტყველონ“ ზოგიერთი თვისებები იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მათ ეს ნაერთი არ უნახავთ.

ცდების შესრულებისა და დაკვირვების დროს, ზოგჯერ მოსწავლეებს არამართებული დასკვნები გამოაქვთ, აითვისებენ რა მხოლოდ მოვლენის გარეგნულ მხარეს. მაგალითად: აკვირდებიან რა თუთაზე მარილმავას სხნარის მოქმედებისას აირის ბუნებრივი ცდების გამოყოფას თუთის ზედაპირიდან, ამის მიხედვით გამოაქვთ არასწორი დასკვნა, რომ თითქოს წყალბადი გამოიყოფა თუთისაგან. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს მასწავლებლის მითითებებს და ცდების ინსტრუქციებს, რომელიც მოსწავლეთა ყურადღებას მიაპყრობს სწორი მიმართულებით – თუ რა უნდა დაინახონ და რას უნდა დაუკვირდნენ.

საილუსტრაციო ექსპერიმენტი, რომელიც ჩვეულებრივ ადასტურებს შესწავლილ ფაქტიურ მასალას, ითვლება სწავლების მეთოდიკაში მეცნიერული ექსპერიმენტისაგან დაშორებულ

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“
ექსპერიმენტის სახედ, რომელიც აცნობს მოსწავლეებს ქიმიური რეაქციების არსეს, პირობებს და მათი მიმდინარეობის კანონზომიერებების. სასწავლო პროცესში მას ეთმობა დიდაქტიკურად დასაბუთებული ადგილი და შეადგენს სიტყვისა და ოვალსაჩინოების შეხამების საერთო სისტემის ნაწილს. სასწავლო პროცესის მრავალ ეტაპზე, საილუსტრაციო მიზნით, ცალკეული ცდების გამოყენება სავსებით მისაღებია. წყალბადის თვისებების შესწავლისას, როდესაც მოსწავლეები დარწმუნდებიან, რომ ეს წვალი აირია, მასწავლებელი წინასწარ აცნობს, რომ წყალბადისა და ჰაერის ნარევი შეიძლება ანთებისას ძლიერ აფეთქდეს და შემდეგ დაასაბუთოს ეს შესაბამისი ცდით. ეს დიდაქტიკურად უფრო გამართლებულია, ვიდრე ცდისეული პასუხი დასმულ კითხვაზე: რა მოხდება, წყალბადისა და ჰაერის ნარევის ანთებისას? რადესაც მოულოდნელი აფეთქება შეაშინებს მოსწავლეებს.

ამჟამად დაზუსტებულია საშუალო სკოლაში ოთხი სახის სასწავლო-ქიმიური ექსპერიმენტი, რომელთაგან თითოეულს აქვს დამოუკიდებელი დიდაქტიკური მნიშვნელობა: სადემონსტრაციო ცდები, ლაბორატორიული ცდები, პრაქტიკული მეცანიერებები, თემატური პრაქტიკუმები. ჩატარების მეორდიგისა და მნიშვნელობის მიხედვით სწავლების პროცესში საჭიროა გამოიყოს აგრეთვე ექსპერიმენტი კლასგარეშე მუშაობისა და ზოგიერთი სახეები საშინაო ექსპერიმენტული სამუშაოებისა და დაკავირვებისათვის. ნებისმიერი ქიმიური ექსპერიმენტი, სხვებისაგან განცალკევებულად, ვერ უზრუნველყოფს საშუალო სკოლის ქიმიის კურსის წინაშე დასახული სასწავლო-აღმზრდელობითი ამოცანების გადაწყვეტას, მხოლოდ კველა სახის ექსპერიმენტის შეხამებისას სიტყვიერ განმარტებასთან და ოვალსაჩინოების სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით, შესაძლებელია ქიმიური საფუძვლების გააზრებული, მტკიცე ათვისება.

ლიტერატურა – References

- დ. გვარამაძე, ზოგადი ქიმიის ლაბორატორიული პრაქტიკული, თბილისი, 1968წ
- ვ. ნ. ვერხოვესკი, ქიმიური ექსპერიმენტის ტექნიკა ტ. 1, თბილისი, 1973წ
- ლ. ცვეტკოვი, ორგანული ქიმიის სწავლება მე-10 კლასში, თბილისი, 1973წ

Megrelishvili N.

The chemical experiment to study chemistry

Summary

The article discusses the role of chemical experiment in the study of chemistry, types of experiment, namely, training, formulation and scientific experiment, the experiment for the quantitative analysis to determine the chemical composition and chemical formulas of substances.

**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Akaki Tsereteli State University**

პედაგოგთა ევალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

ნახა მეზობლიშვილი

ინდოლური ნაერთების გამოყენება მედიცინაში

ნაშრომში განხილულია ინდოლური ნაერთების ფარმაკოლოგიური თვისებები, კერძოდ, მათი ტკივილგამაყუჩებელი, ანალგეტიკური, ანესთეზიური, პიპოთეზიური და ა. შ. მოქმედება, ასევე მათი გამოყენება სხვადასხვა წარმოშობის სიმსივნეებისა და სხვა მრავალი დაავადებების სამკურნალოდ.

დაახლოებით 50 წლის წინ, ქიმიკოს მკვლევართა განსაკუთრებული კურადღების ქვეშ მოექცა ინდოლი. აღმოჩნდა, რომ მრავალი ბუნებრივი ალკალინიდი შეიცავს ინდოლურ ბირთვს. შემდგომი კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ინდოლის ზოგიერთ ნაწარმს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მცენარეთა და განსაკუთრებით ცხოველური ორგანიზმების სიცოცხლისათვის. ინდოლის მრავალი ნაწარმი სასიათება მაღალი აქტივობით, ისინი ასრულებენ საშენი მასალების როლს სხვადასხვა ბიოლოგიური ნივთიერებების სინთეზში. მაგალითად, ამინომჟავა ტრიპტოფანი, მცენარეთა ზრდის ჰორმონი ჰეტეროაუქსინი, ეპიფიზის ჰორმონე მელატონინი, ნეირომედიატორი სეროტონინი და სხვა. აღმოჩნდილ იქნა, რომ ინდოლის ნაწარმს აქვს მრავალმხრივი ფარმაკოლოგიური აქტივობა და ბევრი მათგანი წარმატებით გამოიყენება სამკურნალო პრეპარატების სახით. მედიცინაში ინდოლური ნაერთები გამოიყენებიან გულ-სისხლძარღვთა დაავადებების (რეზერპინი, ალმალინი) ავთვისებიანი წარმონაქმნების (ვინძლასტინე, ვინკრისტინი), ფსიქიკური დაავადებების (ინდიფანი, პირაზიდი, ინკაზანი) სამკურნალოდ. ინდოლური ნაერთები აგრეთვე გამოიყენება სოფლის მეურნეობაში პესტიციდებად და მცენარეთა ზრდის რეგულატორად (ჰეტეროაუქსინი).

ინდოლი, ანუ ბენზაპიროლი ჰეტეროციკლური ნაერთია, რომელიც ბუნებრივი სახით გვხვდება ქვანახშირის კუპრში, ფორთოხლისა და ჟასმინის ყვავილების ზეთში. თავისთავად, ინდოლს არ ახასიათებს მნიშვნელოვანი სამედიცინო მოქმედება, მაგრამ მისი ნაწარმებიდან ზოგიერთს აღმოაჩნდა საუკეთესო თვისებები, კერძოდ ინდოლის 2 და 3 ჩანაცვლებულ ნაწარმებს აღმოაჩნდა ტკივილგამაყუჩებელი მოქმედების უნარი. ტკივილგამაყუჩებელი თვისებები აღმოაჩნდა 5-ბრომიზატინს. აღსანიშნავია, რომ ერთნაირი, სანდახან კი უფრო ეფექტური მოქმედებისას სხვა ანალგეტიკებთან (მაგალითად, ასპირინთან) შედარებით, მას არ გააჩნია გვერდითი მოქმედება.

ცნობილია, რომ ზოგიერთი ინდოლილგარბონმევას ნაწარმები ავლენენ ანალგეტიკურ აქტივობას. მათ შორის, შესწავლილია 5-ამინო-2-ეთოქსიკარბონილ-ინდოლი; 3,2-(დიმეთილამინო-ეთოლ)-ინდოლი და მისი შესაბამისი დიეთილ- და დიპროპილ- ნაწარმები; 6-ამინო-3,2-(დიმეთილამინო-ეთოლ)-ოქსიკარბონილ-ინდოლი; 4,2-(დიეთილამინო-ეთოლ)-ოქსიკარბონილ-ინდოლი და მათი ჰიდროქლორიდები. (დიმეთილამინო-ეთოლ)-ოქსიკარბონილ-ინდოლი და მისი შესაბამისი დიეთილ- და დიარილ- ნაწარმები უფრო ძლიერი საშუალებელია, ვიდრე კოკაინი და ქსილოკაინი.

ელექტრო და მილერმა აღმოაჩნეს, რომ ინდოლის ზოგიერთ ნაწარმს ახასიათებს ტკივილგამაყუჩებელი და ანესთეზიური მოქმედება, ამასთან ინდოლის მე-2 მდგომარეობაში

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“
ჩამნაცვლებლის შეყვანა ამცირებს მათ აქტივობას. აღმოჩნდა, რომ ინდოლის ზოგიერთ ნაწარმს შეუძლია ანესთეზიის გახანგრძლივება. ცხოველებზე ჩატარებული ცდების შედეგად აღმოჩნდა, რომ 5-პიდროქსიტრიპტამინის მარილების ინგეცია ახანგრძლივებს ძილს ნარკოზის სარისხის გაღრმავების გარეშე. პექების განვითარების ანესთეზია ხანგრძლივება რეზეპინით, რომელიც თავის ტვინში გარდაიქმნება სეროტონინად. მუცლის ჭიის საწინააღმდეგო მოქმედება აღმოჩნდა 5-ნიტრო ინდოლს და 5-ნიტროიზატინს. ანტიქროლესტრინული საშუალებებიდან აღსანიშნავია 5-ქლორ-2-პიდროქსიკარბონილინდოლი, რომელსაც ახასიათებს უფრო ეფექტური მოქმედება, ვიდრე 5-ბრომ-5-მეთილ- და 5-ეთილ- ანალოგებს.

გამოკვლევების შედეგად აღმოჩნდა, რომ ინდოლის ნაწარმებს ახასიათებს პიპოტენზიური ეფექტი. ამ მხრივ, აღსანიშნავია 2-მეთილ-3-(დიეთილამინომეთილ)-ინდოლი; 2-მეთილ-3,3-(პირომეთილ)-

ინდოლი; 2-მეთილ-3-(პიპოტენომეთილ)-5-ქლორინდოლი; 2,5-დიმეთილ-3-(პიპოტენომეთილ)-ინდოლი; 2-ფენილ-3-(პიპოტენომეთილ)-ინდოლი.

ცნობილია, რომ ინდოლის ზოგიერთ ამინო-ნაწარმს და მათ ჰიდროქლორიდებს აქვთ სისხლის წნევის დამწევი უნარი, ძალიან სუსტი თანმდევი ეფექტებით: ინდოლის 5-ჰიდროქსი- და 5-მეთოლინაწარმები 1,2, და 3 მდგომარეობაში ჩანაცვლებული ჯგუფებით, ავლენენ მაღალ პიპოტენზიურ ეფექტს ხანგრძლივი მოქმედებით (ცდები ჩატარებული იყო თაგვებზე, კურდლებზე და ძაღლებზე). აღმოჩნდა, რომ ვენაში სეროტონინის (5მგ – 2გგ-ზე) შეყვანა, არითმიის განახლებას იწვევს. ამ თვისებებით გამოირჩევა 5-მეთოქსი-ტრიპტამინიც (2,7მგ – 2გგ-ზე).

სწავლობდნენ რა ინდოლის ნაწარმების ანტიპიპორტონულ მოქმედებას, ლაპერ და მისმა თანამშრომლებმა აღმოაჩინეს, რომ ინდოლ-1-აცეტამიდოქსინის ყოველდღიური მიღება 2-8 მგ/კგ დოზით, ძაღლებში იწვევდა ხანგრძლივ ანტიპიპორტონულ მოქმედებას. ანალოგიური მოქმედებით ხასიათდება დიმეკარბინიც – დღის განმავლობაში სისტემატიური მიღებისას. ტრიპტამინზე ჩატარებულმა უახლესმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ აღნიშნული ნივთიერების თაგვისა და ძაღლის ვენაში ინგვიამ გამოიწვია ჯერ წნევის მომატება, ხოლო შემდეგ კი კლება.

1-ფენილ-2-მეტალ-3-ამინომეთილ-5-მეთოქსინდოლებთან მუშაობამ ცხადყო, რომ ინდოლის ნაწარმები ხასიათდებიან ანტიარითმიული, ანტიდეპრესიული, სპაზმოლიზური და გამაყუჩებელი თვისებებით.

ქალის ჯანმრთელების პრობლემების ძირითადი მიზეზი არის პორმონალური დისბალანსი და თუ ეს ადრე აიხსნებოდა გენეტიკური ფაქტორებით, ამჟამად, ამის მიზეზად, მნიშვნელოვანწილად ითვლება გარემო ფაქტორების გავლენა, პორმონალური პრეპარატები და სტრესი. მსოფლიოს წამყვანი მეცნიერები ხანგრძლივი დროის მანძილზე იკვლევდნენ ფიტონუტრიენტების გავლენას იმუნურ სისტემაზე და ქალთა ჯანმრთელობაზე. რიგ ქვეყნებში ინდოლის რიგის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველი პრეპარატების მიღება ითვლის ათ წელზე მეტს. ინდოლი არის ძლიერი ფიტონუტრიენტი (მიეკუთვნება ფიტოესტროგენებს). ინდოლის შემცველი საკვები დანამატები ფართოდ გამოიყენება სიმსივნის საწინააღმდეგო პრეპარატებში. ინდოლის შემცველი ბიოლოგიურად აქტიური დანამატები უშუალოდ ზემოქმედებენ სიმსივნურ უჯრედებზე და იმუნოციტების უუნქციონირებაზე, როთაც ანეტრალებენ ნებისმიერი ანომალური უჯრედის შეტევას აღმაინის ორგანიზმზე.

ინდოლ-3-კარბინოლი- ძლიერი ბუნებრივი ანტიოქსიდანტია, რომელიც ასკორბინთან კომბინაციაში, იცავს ორგანიზმს თავისუფალი რადიკალების მავნე ზემოქმედებისაგან. მცენარეული ინდოლები სიმსივნურ უჯრედებში ბლოკავენ ესტროგენული რეცეპტორების ბიოქიმიურ აქტივობას და აჩერებები მათ ზრდას. ფიტონუტრიენტები (საკვები ინდოლები) ასტაბილურებენ და არეგულირებენ ადამიანის იმუნურ სისტემას. მათ შეიცავს კომბოსტო, სალათი, ბოლოკი, ყაბაყი, გოგრა, პატიოსნი.

ინდოლურ ნაწარმებს, როგორც საკვების ბიოლოგიურად აქტიურ დანამატს, იყენებენ ფიტოროზულ-კისტოზური მასტოპათიოების სამკურნალოდ, მძიმე დაავადებების, მოწამვლების, ქიმიო- და სხივური თერაპიის და ორგანიზმის სხვადასხვა ინტექსიკაციების, ქრონიკული ავადმყოფობების, პორმონალური დარღვევების, აუტოიმუნური დარღვევების დროს. მისი ნაწარმები ასევე გამოიყენება ისეთი პრეპარატების წარმოებაში, რომლებიც ანელებენ დაბერების პროცესს.

ინდოლური ნაერთების მიღების უკუჩვენებაა ცალკეული კომპონენტების ინდივიდუალური აუტანლობა, ფეხმძიმობა, ასევე მისი მიღება არ არის რეკომენდებული ჩასახვის საწინააღმდეგო

პედაგოგთა ევალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“ პორტონალური პრეპარატების გამოყენებისას, ანტიციდურ პრეპარატებთან კომბინაციაში (ტუბექი, რანიტიდინე, ომეზი, ალმაგელი), რადგან ისინი ხელს უშლიან პრეპარატის ჟეწოვას.

საკეთი ინდოლები შეიცავენ ნატურალურ მცენარეებს კომპონენტებს და არ ახასიათებთ გვერდითი არასასურველი ეფექტები, რაც განაპირობებს მათ შეუცვლელ ხანგრძლივ გამოყენებას, როგორც პროფილაქტიკური, ისე სამკურნალო მიზნით.

ლიტერატურა – References

1. Машковский М.Д., Лекарственные средства, М. „Медицина“ 1988. Т1.
2. Чикваидзе И. Ш., Мегрелишвили Н. Ш., Самсония Ш.А., Суворов Н.Н., Гуськова Т.А., Радкевич Т.П., Балканова О.В., Синтез и противомикробная активность новых производных индола. //Химико-фармацевтический журнал. №16 том 32. 2009
3. <http://zdravplus.ru/ru/stativ/lekarstvennie-rasteniya/285-indoli>

Megrelishvili N.

Indole compounds in medicine

Summary

Consideration of the pharmacological properties of indole compounds, in particular, their analgesic, hypotensive, analgetiknoe, anesthesia and other action, the application for the treatment of various diseases.

*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Akaki Tsereteli State University*

პედაგოგთა ევალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

ხათუნა პურაშვილი, ნარბიზა შალამბარიძე-ხაბურანია

ნარკოტიკების მოქმედების ხეირობიმიშრი მემანიზმი და პირნარპოტიკები – ორგორც იაზვასიანი ხელმისაწვდომი „ნაბავი“

ნარკოტიკების სხვადასხვანირად ზემოქმედებები რა ტესნებ, მათი მოქმედების მექანიზმები უფერდოების არის ორგანიზმის ნორმალური უცნების მიზნის დამახასიათებელი პროცესების მსგავსი. ნარკოტიკი ააქტიურებს ან ასუსტებს ტესნის ზოგიერთი ნაწილის უცნების მიზნის მსგავსი მუნიციპალიტეტის მედიუმით. სხვადასხვა ნარკოტიკის მოქმედებას შორის განსხვავება შეიძლება აიხსნას იმ ნეირომედიატორების შესწავლით, რომლებზეც ისინი ახდენენ გავლენას.

ბიოლოგიაში ნარკოტიკულად ითვლება ის საშუალებები, რომლებიც იწვევენ ცხოველური და მცენარეული წარმოშობის ორგანიზმების ცხოველმყოფელობის დაქვეითებას. მე-19 საუკუნის მე-2 ნახევრიდან ფარმაკოლოგის განვითარების და ნეიროტროპულ სამკურნალო საშუალებების თვისებებზე წარმოდგენების დაზუსტების შემდეგ, ნარკოტიკული საშუალებების ჯგუფიდან დაიწყო პრეპარატების გამოყოფა დამოკიდებელი ჯგუფების სახით, რომლებსაც გააჩნდათ საძილე, ანალგეტიკური და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე სხვა სახის ზემოქმედების უნარი.

მე-20 საუკუნის დასაწისიდან ტერმინი „ნარკოტიკული საშუალებები“ გამოიყენებოდა ნარკოზისათვის, ზემოთ აღნიშნულ მნიშვნელობასთან ერთად. სწორედ ამ ნივთიერებების ბოროტად გამოყენებამ გამოიწვია ნარკომანიის განვითარება, გაიზარდა ნარკომანთა რიცხვი და მათ შორის არიან მოზარდებიც, რომლებიც ცხოვრების ჭეშმარიტ გზას აცდნენ. ნარკოტიკების და მათ შორის ბიონარტიკების მოხმარება სკოლის ასაკის ბავშვებიდან იწყება, რასაც არაერთი ახალგაზრდა შეეწირა. ნარკოტიკი აზიანებს ორგანიზმს და ნეგატიური გავლენა აქვს თავის ტვინზე, რაც შემდგომში ფსიქიკურ აშლილობაში გამოიხატება. მოზარდმა უნდა იცოდეს, რომ ტვინი წარმოადგენს ფსიქიკური მოქმედების ბაზისს, ამიტომ აუცილებელია ახალგაზრდას წარმოდგენა ჰქონდეს ნარკოტიკების (მათ შორის ბიონარტიკების) მოქმედების ხეიროქიმიურ შექანიზმებს.

ნარკოტიკი ნერვულ სისტემაზე მოქმედებს სინაპის (ნერონთაშორის კავშირის ფორმა) საშუალებით, ვინაიდან აქ ადგილი აქვს ინფორმაციის გადაცემის ქიმიურ პროცესებს. არსებობს მრავალი ხერხი, რომლითაც ნარკოტიკს შეუძლია მოხვდეს ნერვული იმპულსის გადაცემის პროცესში. წარმოვიდგინოთ, რომ რომელიდაც ნარკოტიკის ქიმიური აგებულება ახლოსაა ორგანიზმში არსებულ ნეირომედიატორთან. თუ მსგავსების ხარისხი მაღალია, ნარკოტიკის მოლეკულები უკავშირდებიან რეცეპტორს, „ატყუებენ“ ნეირონს და აიძულებენ მოახდინონ ისეთივე რეაგირება, როგორც ნამდვილი მედიატორის შემთხვევაში. ასეთია მორფინი, პერინი, რომელთაც აღმოჩნდათ მსგავსება ახლახან აღმოჩენილ ენდორფინებთან მოქმედების მიხედვით.

ნარკოტიკს შეუძლია გავლენა მოახდინოს ნერვული იმპულსის გადაცემაზე. ამ გადაცემის მექანიზმი წარმოდგენილია **ცხრილში**.

ნეირომედიატორები უჯრედის ნერვულ დაბოლოებაში გ.წ. „საწყისი მოლეკულებიდან“ გამომუშავდება. ზოგიერთი ნარკოტიკი ჩაერთვება მედიატორის წარმოებაში ან მისი გადატანის

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“
პროცესში. ნეირომედიატორის მოლეკულები გროვდება ნერვულ დაბოლოებებში არსებულ ვეზიკულებში, სადაც ნარკოტიკი გავლენას ახდენს ნივთიერების დაგროვების უნარზე. ზოგიერთი ნარკოტიკი აფერხებს სინაპიში ნეირომედიატორის მოხვედრას, ხოლო ზოგიერთი კი პირიქით, ზრდის სინაპიში მათ რაოდენობას.

ნარკოტიკი შეიძლება ჩაერთოს იმპულსის გადაცემის პროცესში და გავლენა მოახდინოს ფერმენტზე, ზოგი კი აძლოკირებს ამ პროცესებს. გარდა ამისა, ზოგიერთი ნარკოტიკი თავს ასაღებს ნამდვილ მედიატორად და ზემოქმედებს რეცეპტორზე, ზოგი კი ჭედავს რეცეპტორს და აბრკოლებს ნეირონის აგზებას.

ნარკოტიკები სხვადასხვანაირად ურთიერთქმედებენ რა ტგიზზე, მათი ურთიერთქმედების მექანიზმები ყოველთვის არის ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირებისათვის დამახასიათებელი პროცესების მსგავსი. ნარკოტიკი ააქტივურებს ან ასუსტებს ტგინის ზოგიერთი ნაწილის ფუნქციონირებას ბუნებრივად არსებულთან შედარებით. სხვადასხვა ნარკოტიკის მოქმედებას შორის განსხვავება შეიძლება აიხსნას იმ ნეირომედიატორების შესწავლით, რომლებზეც ისინი ახდენენ გავლენას.

ცხრილი

ნარკოტიკების მოქმედების ნეიროქიმიური მექანიზმი

1	ნეირომედიატორის სინთეზი	ნარკოტიკი ზრდის ან ამცირებს ნეირომედიატორის რაოდენობის გამომუშავებას
2	ნეირომედიატორის ტრანსპორტირება	ნარკოტიკი ჩაერთვება ნერვული დაბოლოებისკენ ნეირომედიტორის გადატანის პროცესში
3	ნეირომედიატორის დაგროვება	ნარკოტიკი ჩაერთვება ვეზიკულებში ნეირომედიატორის დაგროვების პროცესში
4	ნეირომედიატორის გამოყოფა	ნარკოტიკი იწვევს ნეირომედიატორის მოლეკულის ნააღრევ გამოყოფას სინაპიში
5	ნეირომედიატორის დაშლა	ნარკოტიკი გავლენას ახდენს ნეირომედიატორის დაშლაზე ფერმენტების საშუალებით
6	ნეირომედიატორის უკუმიტაცება	ნარკოტიკი ახდენს ნერვულ დაბოლოებებში ნეირომედიატორის უკუმიტაცების ბლოკირებას
7	რეცეპტორის აქტივაცია	ნარკოტიკი ააქტივებს რეცეპტორს მიმიკის საშუალებით
8	რეცეპტორის ბლოკირება	ნარკოტიკი რეცეპტორს ხდის ინერტულს მისი ბლოკირების გზით

ნივთიერებას, რომელიც რეცეპტორს ერგება და ააქტივებს ნეირონს, ეწოდება ამ რეცეპტორის აგონისტი. ნებისმიერ ნივთიერებას, რომელიც თვითონ არ ახდენს ნეირონის გააქტივურებას და ხელს უშლის სხვა ნივთიერებას ამის გაკეთებაში, ეწოდება ანტაგონისტი. მაგალითად, ნალოქსონი არის იმ რეცეპტორის ანტაგონისტი, რომლებზედაც გავლენას ახდენს ოპიატი – ჰეროინი. თუ ადამიანს, რომელმაც მიიღო ჰეროინის სასიკვდილო დოზა, მივცემთ ნალოქსონს ის არ მოკვდება, რადგან ნალოქსონი მთლიანად ახდენს ბლოკირებას და აუქმებს ჰეროინის და სხვა ნებისმიერი ოპიატის მოქმედებას.

საქართველოში გაიზარდა ბიონარკოტიკების მომხმარებელთა რიცხვი როგორც მოზარდებში, ისე მცირეწლოვანებში. ბიონარკოტიკი, რომელიც ქვეყანაში ნარკოტიკულ ნივთიერებათა სიაში არ არის, ხელმისაწვდომია ყველასათვის. მისი ფორმულა მუდმივად იცვლება და რომელიმე კონკრეტულ პარტიაზე სინჯები რომ გაკეთდეს, მხოლოდ მირითადი ელემენტების ჩამონათვალს მოგვცემს, რომელიც ხვალ უკვე შესაძლოა სხვა ელემენტებით ჩანაცვლდეს. მაგალითად, სინოეტური კანაფი (მარიხუანა) 2002 წლიდან იღებს სათავეს. ის არც ერთ ნარკოტესტზე არ აჩვენებს დადებით პასუხს, შეფუთვაზე კი აწერია: „ორგანული ბალახეული“. სინოეტური მარიხუანას შექმნის მოტივიც სავსებით კანონიერი იყო და სამეცნიერო კვლევებს ემსახურებოდა. ეს არის ქიმიურად შექმნილი მარიხუანას ანალოგი, რომლის მეშვეობითაც იკვლევებს ნატურალური მარიხუანას ზეგავლენას ადამიანის ტგინზე-თუმცა, ბიონარკოტიკის შემადგენლობაში შედიოდა ისეთი ინგრედიენტი, რომელსაც ასევე შეიცავს ნატურალური მარიხუანა. ამჟამად, უამრავი ქიმიური შენაერთი არსებობს, რომელიც ბევრ ქვეყანაში

პედაგოგთა ევალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“
აკრძალულ ნივთიერებათა სიაშიც არ შედის. ბიონარკოტიკის გვერდითი მოვლენები ზუსტად არ არის შესწავლილი, თუმცა ძირითადი გამოხატულება ადამიანის ორგანიზმზე, რაც თავად მომხმარებლებმა და ექიმებმა გამოავლინეს, შემდგენია: აჩქარებული პულსი, მადალი წნევა, აჩქარებული სუნთქვა, ტკივილი მუცლის არეში, გულისრევის შეგრძება, გულისრევა, ტახიკარდია, პარანოია (აზრები სიკვდილზე), ჰალუცინაციები, ხმაურის გამძაფრებული აღქმა, კრუნჩევები, თავბრუსხევება და ფსიქოზი, რომელიც რამდენიმე დღე შეიძლება გაგრძელდეს. ეს ჩამონათვალი საკმაოდ მწირია და აღიარებულია, რომ „ბიოს“ ხშირ მოხმარებას ხანგრძლივი გვერდითი მოვლენები აქვს, რაც ძირითადად ადამიანის ფსიქიკურ მდგომარეობაზე აისახება. გვერდითი მოვლენები კიდევ არაფერია, რიგ შემთხვევებში ბიონარკოტიკებს ლებალური შედეგი აქვს.

„კლასიკური ნარკოტიკის“ მომხმარებლები კუსტარულის მომხმარებლებს „მენაგვეს“ ეძახდენენ. ეს არის იაფფასიანი, ხელმისაწვდომი „ნაგავი“. პრინციპში რომ შეადაროთ ნარკოტიკის გავლენა ორგანიზმზე, „კლასიკური ნარკოტიკების“ მომხმარებლები ბევრად უკეთეს ფორმაში არიან, ვიდრე „კუსტარული ნარკოტიკის“ მომხმარებლები. ნემისმიერ შემთხვევაში, იქნება ის „კლასიკური“ თუ „კუსტარული“, აზიანებს ორგანიზმს და ნეგატიური გავლენა აქვს ტვინზე, რაც შემდგომში ფსიქიკურ აშლილობაში გამოიხტება.

ლიტერატურა – References

- თ. ნანებიშვილი ქცევის ფსიქოფიზიოლოგია. თბილისი 2003წ
- Целинский Б. П., Вопросы наркологии. 2001г
- www.narkotiki.ru
- <http://megalyrics/bio/narkotiki.ru>

Kuprashvili Kh., Shalamberidze-Xaburdzania N.

Neo-Chemical Mechanism Of Drug Effect And Bio-Narcotics -- As The Cheap Acceptable „Rubbish“

Summary

Though, drugs have various effects on the brain, its mechanism of interaction is similar to normal functioning of the body. Drugs strengthen and weaken the function of some parts of the brain in comparison to normal functioning. The difference between the effects of various drugs can be explained by studying those neuromediators on which they had an influence.

*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Akaki Tsereteli State University*

პედაგოგთა ევალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

მედეა სირამი

ყოველი სიბაზი და ცხოველთა ძირი

ცხოველთა ძირიას საფუძვლად უდევს მათ ორგანიზმზე გარეგანი და შინაგანი ხტიმულების მოქმედება. ძირი აქტიურ გავლენას ახდენს გარეგანი სიგნალების სამი ტიპი: ოპტიქური, აკუსტიკური და ქიმიური. ქიმიურ გამღიზიანებლებს, რომლებიც აღიმება ქნოსების ორგანოების ძიება, უწოდებენ ქნოსებით სტიმულებს. ქნოსებით სტიმულს შეიძლება აღძრავდება, რომლებიც ფლობენ ერთგვარ „აქტოლარობას“.

ცხოველთა სუნი გადამწყვეტ როლს ასრულებს სქესობრივ, აგრესიულ, დედობრივ და „ტერიტორიულ“ ძირებში. სუნებს შეუძლია გამოიწვიოს ძეგლების შესაბამის ესა თუ ის ძირითი რეაქციები, შეაჩეროს მაკება, გავლენა მოახდინოს ინდივიდების, მათი სქესის, ასაკისა და ფიზიოლოგიური ძღვიანარების „გამოცხობაზე“ და ა.შ.

მრავალრიცხოვანი გამოკვლეულები აჩვენებენ, რომ ფაქტორები, რომელთაც უწოდებენ „ხოციალურ სტრესს“, „ხოციალურ ურთიერთებულებას“, „შიგახახებრივ კონფლიქტს“, „ხოციალურ ზეტოლას“, გადამწყვეტ გავლენას ახდენენ ცალკეული ინდივიდების შთამომავლობაზე და განისაზღვრებიან კომუნიკაციით, მათ შორის ინდივიდუმებს შორის ქიმიური კომუნიკაციით.

ნაშრომში განვიხილავთ, რა გავლენას ახდენს ცხოველთა ძირიაზე ენდოკრინული ჯირკვლების და სხვა გამომყოფი ორგანოების, აგრეთვე ქქმორუცებრორული ორგანოების, ხეციფიური კანის ჯირკვლებისა და რეცეპტორული უჯრედების ფუნქციონირება.

ინდივიდებს შორის კაგშირი დამოკიდებულია ფიზიკურ გარემოსა და სიტუაციაზე. როგორც წესი, ცხოველებში ხდება სხვადასხვა არხების მიერ სიგნალების კომბინირებული გადაცემა და ყნოსების ორგანოების მიერ მიღებად ინფორმაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მრავალი ძცვითი აქტის განხორციელებისას. ქიმიური სიგნალიზაცია მოქმედებს დიდ მანძილზე და ხანგრძლივად ინარჩუნებს უფასებურობას თვით გადაცემული სიგნალის გაქრობის შემდეგაც. აღნიშნული სასიგნალო სისტემა უძველესია გვოლუციური თვალსაზრისით. ფერომონები აღმოჩენილია წყალმცენარეებში, სოკოებსა და უმაღლეს მცენარეებში. ქნოსებით ზედაპირთან კონტაქტის შედეგად, ფერომონები იწვევენ ცვლილებას მოლექულურ, უჯრედულ და ორგანიზაციულ დონეზე.

ქნოსებით კომუნიკაციაში სიგნალს წარმოადგენს აქროლადი (სუნიანი) ნაერთები, რომლებიც გამოიყოფა ინდივიდების მიერ; გადამცემი კი – სხეულის, ან საგნების ზედაპირის უბნებია, რომლებზეც იმყოფება ნაერთა ნარევი, ხოლო მიმღებს წარმოადგენს ქნოსების ორგანოები.

ინფორმაციას ფიზიოლოგიური მდგომარეობის სწრაფი ცვლილებების შესახებ შეიცავს ოფლი და შარდი, ხოლო დროში უცვლელი ან ნელა ცვლადი მონაცემები – ცხიმოვანი ჯირკვლების ტიპის ინერციულ სისტემებშია. ქნოსებით აქტი შეიძლება განხილულ იქნას, როგორც სუნიანი ნივთიერებების ინფორმაციის გარდაქმნა ნერვულ იმპულსში, რომლის ანალიზის შედეგად ინდივიდი დებულობს აუცილებელ ინფორმაციას სხვა ინდივიდის შესახებ, რისი შედეგია გარკვეული ძცვითი რეაქცია სხვადასხვა გარემო პირობებისა და ცხოველის შინაგანი მდგომარეობისას, ინდივიდუალური გამოცდილების ჩათვლით.

პედაგოგთა ქვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

ჯგუფის და ინდივიდუულის გამოცნობა სუნის მიხედვით. ექსპერიმენტულად დადასტურებულია, რომ თაგვებს უნარი აქვთ განასხვაონ ჯგუფისა და ინდივიდუულის სუნი. მამრების ჯგუფის მამოძრავებელი აქტივობა მამრების სხვა ჯგუფის სუნის მიწოდებისას იზრდება 60%-ით, ხოლო იგივე სქესის იზოლირებული ინდივიდის სუნის მიწოდებისას – მხოლოდ 15%-ით. თაგვებში აქტივობის ზრდის გამომწვევი ჯგუფის წყაროს წარმოადგენს შარდსასქესო ტრაქტის გარკვეული (კოგულაციური) ჯირკვლები. თუმცა, გამორიცხული არ არის, რომ ექსპერიმენტში, ჯგუფის სუნის ზემოქმედებისას, თაგვების მამოძრავებელი აქტივობის ზრდა, შეიძლება გამოწვეული იყოს სტრესირებული ცხოველების მიერ გამოყოფილი აქტოლადი ნივთიერებებით, რადგან ცნობილია, რომ მამრების ჯგუფში სტრესის დონე საკმაოდ მაღალია. იზოლირებული მამრის სუნის ზემოქმედებით, თაგვების ჯგუფის აქტივობის ზრდა აიხსნება ცეხის გულის საოფლე ჯირკვლების სეკრეტის კომპონენტების გავლენით, რადგან მტებნებისა და თათების ამპუტაციისას, მამრის სუნი არ იწვევს ეფექტს. თუმცა ეს დასკვნა საეჭვოა, რადგან ჩატარებულ ოპერაციას ორგანიზმში მრავალი დამატებითი ცვლილებები შეაქვს, რომლებიც შეიძლება დაკავშირებული იყოს სხვადასხვა კომპონენტების გამოყოფასთან.

თაგვებს შეუძლიათ სუნის მიხედვით ინდივიდების იდენტიფიცირება, თანაც მამრები და მდედრები თავიანთი პარტნიორების ერთნაირი გამოცნობის უნარით ხასიათდებიან და იმასხოვრებენ უკიდურეს შემთხვევაში ოცამდე ინდივიდის სუნს. სუნის მეხსიერება ინახება ორი კვირის მანძილზე. ინდივიდუალური და ჯგუფური სუნების არსებობა განაპირობებს ტერიტორიის მონიშვნის შესაძლებლობას. ამასთან, ყნოსვითი სიგნალები ატარებენ ინფორმაციას ტერიტორიის – ცალკეული ინდივიდების ან ოჯახის საკუთრებაში ყოფნის შესახებ. მამრი თაგვები ახდენენ თავიანთი უძნების მარკირებას. ტერიტორიის მონიშვნა შეიმჩნევა ასევე მამრების მდედრობან, ან მამრობა ერთად ნეიტრალურ ტერიტორიაზე გადასხმისას, ასევე გაშლილ ველზე ერთი ცხოველის მოთავსებისას. ქცევის ეს ფორმა უფრო ხშირად გვხვდება დომინანტურ მამრში, ვიდრე სუბდომინანტურში. ყველაზე ხშირად, მამრები ნიშნავენ ტერიტორიებს ტანის უკანა ნაწილის დაბლა დაწევით და რაიმე ზედამიზე სათესლე პარკების შეხებით. ამ დროს ხილული კვალი არ რჩება. ზოგჯერ მონიშვნის დროს, შეიმჩნევა მოშარდვაც და ცხოველი თითქოსდა თხუნის იატაკს შარდით.

ინდივიდუალური სუნის გამოცნობა თაგვებში დასტურდება ნაცნობი მამრების აგრესიულობის მკვეთრი ზრდით, თუ ერთ-ერთი მათგანის ბეწვზე წავუსვამთ უცნობი მამრის შარდს. აგრეთვე, უცნობი მამრის სუნის ზემოქმედებით, მდედრებში ადგილი აქს მაკეობის ბლოკირებას. ინგლისელმა მკვლევარმა ქალმა, ბრიუსმა აჩვენა, რომ ახლად შეწყვილებული ლაბორატორიული მდედრი თაგვების უცნობ მამრებთან ერთად, 2-3 დღით ერთ უჯრედში მოთავსებით, შემთხვევათა 70-80%-ში, მდედრებში ხდებოდა მაკეობის ბლოკირება. ყნოსვის უნარმოკლებულ მდედრებში ანალოგიური ეფექტი არ შეინიშნებოდა.

აღმოჩნდა, რომ მაკეობის ბლოკირების გამომწვევ ნივთიერებებს შეიცავს თაგვების შარდი. მაკეობის დამთრებულებით ფერომონის სეკრეცია შეიძლება გამოწვეული იყოს მდედრებში, ან მამრებში ანდორგენის (მამრობითი სასქესო პორმონი) შეეგანით, მათ შორის კასტრირებულებებშიც, რომლებიც ნორმაში არ გამოჰყოფენ ამ ნივთიერებებს. დაუდგენელია იმ ფერომონის ქიმიური აღნაგობა, რომლის მიხედვითაც მდედრები განასხვავებენ სხვადასხვა ხაზის მამრებს. სავარაუდო, ფერომონი შეიცავს რამდენიმე სუნიან კომპონენტს, რომლებიც სხვადასხვა ხაზებში, სხვადასხვა თანაფარდობით სეკრეტირდებიან. თაგვებში მაკეობის შემაფერხებელი ფერომონის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ექსპერიმენტული ფაქტების ასახელდა, წამოჭრილია რამდენიმე პიპოთეზა. მკვლევართა ერთი ნაწილი თვლის, რომ მდედრები, მამრებს ირჩევენ შარდში ფერომონის კონცენტრაციის მიხედვით, რაც დამოჰყიდებულია სისხლის პლაზმაში ანდორგენების დონეზე. სხვები ვარაუდობენ, რომ ხაზებს შორის განსხვავება განპირობებულია მაიდენტიფიცირებებელი ნივთიერებების გამოყოფით.

მაკეობის შეფერხებას ადგილი აქს არა მარტო ლაბორატორიულ, არამედ ველურ ოთახის თაგვებშიც. მამრის სუნთან ერთად, მაკეობის შეფერხება შეიძლება გამოიწვიოს საბინადრო პირობების შეცვლამ, რომლის მიმართაც აღნიშნული თაგვები მგრძნობიარენი არიან. სავარაუდოა, რომ ბუნებრივ პირობებში, პოპულაციის სიმჭიდროვის ზრდისას მდედრების უცნობ მამრებთან კონტაქტის რაოდენობა იზრდება, ამასთან უცხო მამრების სუნი ხელს უშლის იმპლანტაციას. შეიძლება ეს მექანიზმი მონაწილეობდეს პოპულაციის რაოდენობის რეგულაციაშიც. ამ ეფექტის ასახსნელად წამოაყენეს ორი,

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

ურთიერთგამომრიცხავი პიპოთება: პირველი – თავდაპირველად მდედრი თაგვები რეაგირებენ ყველა მამრის ყნოსვით სტიმულებზე; შეწყვილების მოქნებში მათი რეაქცია საკუთარი მამრის სუნჩე, თანდათან სუსტდება და შესაბამისად, რეაქცია, უცხო მამრების სუნზე ნარჩუნდება. მეორე – თავდაპირველად მდედრები არ რეაგირებენ მამრების სუნზე, მაგრამ მგრძნობიარენი ხდებიან უცხოთა ყნოსვით სიგნალების მიმართ – შეწყვილების დროს, თავიანთი მამრების სუნის ექსპონირების შემდეგ. მეორე პიპოთების სამართლიანობა ექსპერიმენტულად არის დადასტურებული.

შესაძლებელია, ერთ-ერთი მექანიზმი, რომელიც იწვევს მაკეობის შეწყვეტას ვირთაგვებში, იყოს სუნის ზემოქმედებით, თირკმელზედა ჯირკვლის პორმონებისა და ადრენოკორტიკორპული პორმონის სეკრეცია. მაკეობის შეფერხების სხვა მექანიზმი შეიძლება იყოს – ყნოსვითი სიგნალების ზემოქმედებით, პიპოთალამუსის მოქმედების ცვლილება. შეწყვილება სტიმულს აძლევს ლუთეოტროპული პორმონის სეკრეციას, რომელსაც თრგუნავს უცხო მამრის სუნის ზემოქმედება. მაკეობის შეწყვეტა დაკავშირებულია ფოლიკულომასტიმულირებელი პორმონისა და ოვულაციის გამომწვევი პორმონის გამოყოფასთან, რასაც მივყავართ ესტრუსული ციკლების განახლებამდე. უცხო მამრების სუნის ზემოქმედებით იზრდება ფოლიკულმასტიმულირებელი პორმონის სეკრეცია და მცირდება პროლაქტინის სეკრეცია. პროლაქტინის ან პიპოფიზის ქსოვილის შეყვანა იწვევს მაკეობის შეწყვეტის თავიდან აცილებას. მეტურ მდედრებში ჩვეულებრივ იზრდება პროლაქტინის სეკრეცია და არ შეიმჩნევა მაკეობის ბლოკირება.

აღმოჩნდა, რომ ამ პორმონის შემცველობა შეწყვილების შემდეგ, პირველ დღეებში მცირდება სუნის ზემოქმედებით. როგორც ჩანს, უცხო მამრის სუნის ზემოქმედებით, თავდაპირველად გამოიყოფა გონადოტროპინი, ხოლო შემდეგ მცირდება პროლაქტინის სეკრეცია.

ყნოსვითი სიგნალები მონაწილეობს თაგვებში სქესობრივი ქცევის რეგულაციაში, რადგან ყნოსვითი ბოლქვების ამოკვეთი იწვევს ფერტილურობის გაქობას მდედრების 45%-ში, ხოლო ზოგიერთი ხაზის მამრებში – სქესობრივი ქცევის სრულ დარღვევას.

ნივთიერებები, რომლებიც იზიდავს მდედრ თაგვებს, შედის მამრების სასქესო ტრაქტის ჯირკვლების სეკრეტის შემადგენლობაში. ამ ნივთიერებების წყაროა პრეტუციალური ჯირკვლები, რომლებიც განლაგებულია სასქესო ორგანოებთან ახლოს, რომელთა სეკრეტის შემადგენლობაში შედის: პექსადეცილ-, პექსადეცენილ- და ოქტადეცენილაცეტატები.

სქესის სუნის არსებობას ადასტურებს მრავალი ფაქტი, მათ შორის, ესტრუსული ციკლის ხანგრძლივობის ცვლილება მდედრ თაგვებში, ყნოსვითი სიგნალების ზემოქმედებისას. როდესაც მდედრ თაგვებს აცლიდნენ ყნოსვით ბოლქვებს, მათში შეინიშნებოდა საკვერცხებისა და საშვილოსნოს ატროფია. უიტენმა ამ შედეგების საფუძველზე ივარაუდა, რომ სუნები ძლიერ გავლენას ახდენენ მდედრების სქესობრივ ციკლებზე.

კანის სპეციფიკური ჯირკვლები და ცხოველთა ქცევა. ძებულწოვრების კანის სპეციფიკური ჯირკვლების სეკრეტი, ყნოსვითი სიგნალების გადამცემების – ფერომონების ერთ-ერთი წყარო. მრავალი სპეციფიკური ჯირკვლი განლაგებულია კანის ნაკეცებსა და უბებებში, სადაც შენარჩუნებულია მიკროორგანიზმების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები. არსებობს მონაცემები, რომ მიკროორგანიზმები შლიან კანის სპეციფიკური ჯირკვლების მიერ გამოყოფილ სეკრეტებსა და წარმოქმნიან სასიგნალო ნივთიერებებს. ბაქტერიოლოგიური კვლევის მაგალითზე, ზოგიერთ ცხოველში, მაგალითად ინდურ მანგუსტში აღმოაჩინეს სუნების ბაქტერიული ბუნება.

ძებულწოვროვართა ბიოლოგიაში, ფერომონებს უდიდესი მნიშვნელობა გააჩნიათ. კარგად არის ცნობილი, რომ სუნის მეშვეობით, ძებულწოვრებს შეუძლიათ გამოიცნონ, თუ რომელ სახეობას მიეკუთვნება ესა თუ ის ინდივიდი. მაგალითად მტაცებელი, სუნის მიხედვით ხშირად პოულობს და კვალში მისდევს მსხვერპლს. მეორეს მხრივ, მსხვერპლს ასევე სუნით შეუძლია მტაცებელის მოახლოების აღმოჩნა. ამგვარად, სავარაუდო, რომ კანის სეკრეტის ქიმიური შემადგენლობა სახეობისათვის სპეციფიკურია.

სეკრეტის ქიმიური შემადგენლობა სპეციფიკური უნდა იყოს ცხოველთა ერთი ჯგუფის წევრებისათვის (ჯოგი, პოპულაცია, პექსახეობა). თუ ცხოველთა ჯგუფი ერთმანეთთან დაკავშირებულია ნათესაური კავშირებით, მაშინ მათ შეიძლება გააჩნდეთ ფერომონის ქიმიური შემადგენლობის გენეტიკურად მდგრადი, ერთიანი სპეციფიკა. ირმების ორი პექსახეობის კანის სპეციფიკური ჯირკვლების სეკრეტის ქიმიური შემადგენლობის შედარებისას, მათში არსებითი განსხვავებები აღმოჩნდა.

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

ზოგიერთი სახეობის პატარა ჯგუფებში, დომინანტი ინდივიდი აცხებს თავის სეკრეტს ჯგუფის წევრებს, რაც კველა მათგანს ერთნაირ სუნს ანიჭებს. მაგალითად, ჩანთოსანი მფრინავების ჯგუფის სუნი განსხვავებულია და იგი აგრესის იწვევს. მექიზმების ოჯახურ ჯგუფში, ახალგაზრდა ცხოველები ხშირად უძვრებიან მუცლის ქვეშ მამრ დომინანტს და იცხებენ სხეულზე მისი მუცლის ჯირკვლებიდან გამოყოფილ სეკრეტს. იგივე შეინიშნება რუს ვირთავგებშიც.

მეორეს მხრივ, შესაძლებელია, რომ ზოგიერთი ცხოველები, რომლებიც შედარებით მცირე ჯგუფებად ცხოვრობენ, უბრალოდ იმასხვირებენ თავიანთი ჯგუფის კველა წევრის ინდივიდუალურ სუნებს. ასე ხდება მაგალითად, შავკუდა ირმებში. მათი ჯოგის წევრები პერიოდულად ყონსავენ ერთმანეთის ჯირკვლებს მთელი დღის განმავლობაში, საათში 1-2-ჯერ, ხოლო დამით 6-ჯერ. როდესაც უცხო მდედრი დღისით უხსლოვდება ჯოგს, დაყონოს სიხშირე იზრდება საათში 3-4-ჯერ. უცხო მამრის მოახლოებისას კი 6-16-ჯერ და ზოგჯერ 42-ჯერაც. ამგვარად გრძელდება, სანამდე არ განსაზღვრავნ, მიეკუთვნება თუ არა იგი მათ ჯოგს.

მრავალი მეცნიერული დაკვირვებით აღმოჩენილია, რომ ყოველ ინდივიდს გააჩნია მხოლოდ მისთვის დამახსასიათებელი სუნი. ძაღლები კვალის მიხედვით პოულობენ არა მარტო კონკრეტულ ადამიანს, არამედ ერთმანეთისაგან განასხვავებენ ერთკვერცხუჯრედიან ტყუპებსაც, რომლებიც გარეგნულად, ან გენეტიკური ანალიზით, თითქმის განურჩეველი არიან. ჯოგური ცხოველების მდედრები იმასხვირებენ თავიანთი შთამომავლობის სუნს და სწორედ ამგვარად გამოიცნობენ მათ. ზოგჯერ გარკვეული, კანის სპეციფიკური ჯირკვლი პასუხისმგებელია ინდივიდუალურ გამოცნობაზე. მაგალითად, შავკუდა ირმებში ინდივიდუალურ გამოცნობაში წამყვანი როლი ენტენციურ ჯირკვლს. კურდღლებში საზარდულის ჯირკვლების ამოცლა ასანგრძლივებს მათი გამოცნობის დროს. დედა კურდღლელი აგრესიული ხდება თავისი ბაჭიების მიმართ, თუ მათ წავაცხებთ სხვა მდედრის საზარდულის ჯირკვლების სეკრეტს. მაგრამ თუ იგივე ბაჭიებს წავაცხებთ იგივე მდედრის ანალური ჯირკვლის სეკრეტს, მაშინ დედა კურდღლელი არ ავლენს აგრესის.

სუნს დიდი მნიშვნელობა აქვს სქესის გამოცნობაში. გარეულ კურდღლებში კანის სპეციფიკური ჯირკვლებია: ანალური, საზარდულის, ნიკაპისა და ორბიტალური. ნიკაპისა და ორბიტალური ჯირკვლები დიდი ზომისა და უფრო მეტად აქტიური არიან ზრდასრულ მამრებში, ზრდასრულ მდედრებთან შედარებით. ანალურ და საზარდულის ჯირკვლების სეკრეტის სუნი გარეული კურდღლების მამრებში უფრო ძლიერია, ვიდრე მდედრებში.

მთიხებში კუდის ფუქსეთან განლაგებულია მსხვილი, კანის სპეციფიკური ჯირკვლი, რომელიც წარმოიქმნება დიდი მრავალნაწილიანი ქონის ჯირკვლებიდან. აღნიშნული ჯირკვლის სეკრეტი ადვილად გამოწვდილვადი, ზეთისებური სითხეა – მუშკის ძლიერი სუნით. იგი შედგება მონოეთერების, ტრიგლიცერიდების, ქოლესტერინისა და სხვა სპირტებისა და კარბონალური ნაეროებისაგან; მისი ≈ 50% წარმოდგენილია აქროლადი ნივთიერებებით.

ზოგიერთ შემთხვევაში, სწორედ სუნია განმსაზღვრელი ასაკის დადგენისას. კარგად არის ცნობილი, რომ მოზრდილი ძაღლი არ ერჩის ლეკვს, მაგრამ ჯერ ყნოსავს მას. გარეული კურდღლები, კანის ჯირკვლების სუნის მიხედვით საზღვრავნ ასაკს.

კანის ჯირკვლების, მათ შორის სპეციფიკური სეკრეტის სუნს მნიშვნელობა აქვს ჯგუფში ცხოველის სოციალური რაგის გამოსაცნობად. სპეციფიკური კანის ჯირკვლების (ანალურის, საზარდულის) წონა გარეულ კურდღლებში სტატისტიკურად კორელირებს ინდივიდთა სოციალურ მდგრმარეობასთან: იგი მნიშვნელოვნად მეტია დომინანტებში. ანალოგიურ კორელაციას აჩვენებს ამ ჯირკვლების პისტოლოგიური აგებულებაც: ისინი უფრო მსხვილია და აქტიურად ფუნქციონირებენ დომინანტებად ცხოველებში. შინაურ თაგვებში პრეცენტიალური ჯირკვლები უფრო მსხვილია დომინანტებში.

როგორც წესი, დომინანტები უფრო ხშირად მონიშნავნ ტერიტორიას (მარკირება), ვიდრე სუბდომინანტები. ეს შემჩნეულია კურდღლებში, ჩანთოსან დამურებში, რუს ვირთავგებში, მექვიშიებში. როცა სუბდომინანტი იკავებს დომინანტის მდგრმარეობას, მარკირების სიხშირე მასში მკეთრად იზრდება.

მრავალი ძუძუმწოვარი ბინადრობს გარკვეულ უბანზე, რომლის ტერიტორიას ნაწილობრივ იცავს უბის პატრონი. იგი ამა თუ იმ ხერხით ნიშნავს თავის უბანს, თანაც ძუძუმწოვრებში მონიშვნის წამყვანი საშუალებაა – ქიმიური გზა. ტერიტორიის მოსანიშნად მთელი რიგი ძუძუმწოვრები იყენებენ კანის სპეციფიკური ჯირკვლების სეკრეტს. მაგალითად, კურდღლები დაკავებულ ტერიტორიას

პედაგოგთა ქვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

ნიშნავენ ექსკრემენტების პატარ-პატარა გორაკებით. აღსანიშნავია, რომ ამ გორაკების ასაგებად კურდღლები იყენებენ განავლის „ბურთულებს“, რომლებზეც სპეციალურად წასმულია ანალური ჯირკვლების სეკრეტი. დანარჩენ საგნებს თავიანთ ტერიტორიაზე კურდღლები ნიშნავენ ნიაბის ჯირკვლების სეკრეტით (ადამიანი მის სუნს ვერ აღიქვამს), თანაც არა მარტო იმ ობიექტებს, რომელთა მონიშვნა ძნელია ექსკრემენტებით, ან შარდით, არამედ სოროში შესასვლელსაც.

ტერიტორიების მონიშვნა დამახასიათებელია მრავალი ცხოველისათვის და იგი მირითადად ხდება შარდითა და განავლით, მაგრამ როგორც ჩანს, კანის სპეციფიკური ჯირკვლების სეკრეტი ასევე დებულობს მონაწილეობას მონიშვნაში. მაგალითად, სინდიოფალაში დააკვირდნენ ტერიტორიის მარკირების სამარტინის ტიპის:

- საგნებზე, ან სუბსტრატზე ანალური უბნით ხახუნი;
- მუცლიით, ან საზარდულით ხახუნი;
- ექსკრემენტების დატოვება.

მონიშვნის პირველ და მესამე ტიპებში მონაწილეობს ანალური ჯირკვლები, ხოლო მეორეში საზარდულისა და მუცლიის კანის ჯირკვლები.

ტერიტორიის მონიშვნა ახასიათებთ ჩლიქოსნებსაც. მაგალითად, ციმბირული შველის მამრები თავიანთ ტერიტორიებზე ნიშნავენ დაბალ ხეებსა და ბუჩქებს, ეხახუნებიან რა მათ ქერქს რქებით, ან თავის შუბლის ნაწილით, ლოფით, ან ყელით. თუმცა, ამ უბნებში სპეციფიკური ჯირკვლები აღმოჩენილი არ არის (ზოგიერთი მეცნიერის ვარაუდით, ისინი არსებობენ). ცხიმოვანი და ოფლის ჯირკვლები აქ განვითარებულია უფრო ძლიერ, ვიდრე კანის მეზობელ უბნებზე. თავიანთი ტერიტორიის ზოგიერთ ადგილზე ციმბირული შველის მამრები ჩლიქებით ჩიქნიან მიწას და მათზე ტოვებენ თათებშორისი ჯირკვლების სეკრეტის სუნს და გარდა ამისა, შარდავენ ამ უბნებზე. ციმბირული შველის მამრები ნიშნავენ ტერიტორიებს არა საზღვრების მიდამოებში, არამედ მთელს ფართობზე. ნორმალურ სიტუაციაში, როცა ციმბირული შველის მამრი – ტერიტორიის პატრონი იკვებება თავის უბანზე და მას არავინ აწუხებს, თავით ხევბზე ხახუნის რიცხვი მერყეობს საათში 5-დან 50-მდე. სეკრეტის სუნი სწრაფად ქრება. ამიტომ იგი აუცილებლად უნდა განახლდეს. თავით ხეზე ხახუნი მეკვერობა ხშირდება, თუ კონტროლირებადი ტერიტორიის საზღვარს დაარღვევს სხვა მამრი. ამ დროს ხეზე ხახუნის რიცხვი შეიძლება წუთში 30-მდე და საათში 400-მდე გაიზარდოს.

ზოგიერთი სხვა ჩლიქოსანი ტერიტორიის მონიშვნისათვის იყენებს თვალდებულის ჯირკვალს. მაგალითად, მამრი ანტილოპა წინასწარ მოკბებს მცენარის დეროს წვერს და ნიშნავს მას სეკრეტით.

როგორც ჩანს, ზოგიერთი ფერომნი ფლობს განგაშის სასიგნალო მნიშვნელობას. მაგალითად, ცნობილია, რომ სათაგურში, რომელშიც დაჭერილი იყო თაგვი, ან ვირთაგვა, დიდხანს აღარ ხვდებიან სხვა ვირთაგვები, ან თაგვები, რაც დაკავშირებულია „განგაშის სუნთან“, რომელსაც დაჭერილი ცხოველი ტოვებს (არ არის, ცნობილი, ამ სუნზე პასუხისმგებელია, თუ არა კანის ჯირკვლები).

„განგაშის“ სუნს, როგორც ჩანს, ზოგიერთ ირმებში წარმოქმნიან კუდის ჯირკვლები (განსაკუთრებით, დაქქინი ირმებში). განგაშის დროს ისინი გარბიან ზემოთ აწევლი კუდით. კუდის ეს მოძრაობა განიხილება, როგორც მხედველობითი სიგნალი, რომელსაც გამოაჩენს ირემი უკანა კიდურების მიდამოებში. ლაქებიანი ირმის კუდის უმეტესი ნაწილი დაკავებულია ჯირკვლოვანი ქსოვილით, რომელიც განლაგებულია ხერხემალს ზემოდან და ქვემოდან და წარმოქმნილია მილოვანი ჯირკვლებით. სწრაფი სირბილისას, ჰაერის შემხედრი ნაკადი ანიაგებს ირმის აპრეხილ კუდს და კუდის უბერვე ქვედა ზედაპირიდან ხდება სეკრეტის აორთქლება. ამიტომ, ირმის უკან რჩება სუნიანი პაერის ნაკადი, რომლის მიხედვითაც ორიენტირდებიან სხვა ირმები, რაც მნიშვნელოვანია ტყის ტერიტორიაზე, სადაც მხედველობითი სიგნალი არაეფექტურია.

დომანებს განგაშის მდგომარეობაში ყალებზე უდგებათ ბეჭვები, რომლებიც შემოსაზღვრავენ ზურგის ჯირკვალს, რის შედეგადაც ისსნება ჯირკვლოვანი ველი და ძლიერდება გამოყოფილი სეკრეტის აორთქლება.

მტაცებლის მიერ დაჭერილ თრიისებრთა წარმომადგენლებს ამოეზნიქებათ ანალური ჯირკვლები. შიშისა და ტკივილის ზემოქმედებისას მარალებს ფართოდ ეხსნებათ თვალდებულის ჯირკვლები.

ზოგიერთი მტაცებელი ანალური ჯირკვლის სეკრეტს იყენებს მტრისაგან თავდასაცავად. ქრცვინები საშიშროების მომენტში, ანალური ჯირკვლებიდან გამოპყოფენ ძლიერ და საზიზღარი სუნის სეკრეტს. იგივეს აკეთებენ ამ ჯიშის სხვა წარმომადგენლები. ზოგიერთი სუნსის ანალური ჯირკვლები აღწევენ უმაღლეს განვითარებას და სპეციალიზაციას. დაცვის მიზნით, სუნსი ანალური

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“
ჯირკვლიდან 4-5მ-ის მანძილზე გამოტყორცნის მდაფრი სუნის სეკრეტს – მიმართავს რა მას მტრისაპერ.

ზოგიერთი აუტორის ვარაუდით, იხვნისკარტას კიდურებზე განლაგებული ჯირკალი ასინთეზებს შეამიან სეპრეტს და გამოიყენება მამრების მიერ, ბრძოლისას – ტერიტორიისა და მდედრების გამო.

ზოგიერთი ძუძუმშროვარი სპეციფიკური ჯირკვლების სეპრეტს იყენებს აგრესული ქცევისას. ცნობილია სუნის მნიშვნელობა მოედი რიგი ცხოველების ანტაგონისტური ქცევისას. ციმბირული შველის მამრები აგრესული ქცევისას, კერძოდ ძალების დემონსტრირებას, ან შეტაკებებს შორის დღრით შუალედებზე, ნიშნავენ ხეებსა და ბუჩქებს თავისა და ყელის კანის ჯირკვლების სეპრეტით.

ცხოველები კალის სახით ტოვებენ სუნიან ნიშნებს სირულის, ან სირბილის დროს. ციმბირული შველის მამრი, დარაჯობს რა თავის ტერიტორიას, ხშირად აღმოჩენს ხოლმე დამრღვვევს და მისდევს მას კვალში, ტიპიური მექანიზმის მხგავსად.

ძუძუმწოვრების უმრავლესობას თითების კანის კორებში და თათების ძირებზე განლაგებული აქვთ საოფლე ჯირკვლების უზარმაზარი ბოლქვები, რომელთა სეკრეტი (ასევე, შესაძლოა, თათების ბეწვიან უბნებში განლაგებული ცხიმოვანი ჯირკვლებიც) პასუხისმგებელია სუნიანი ნიშნის დატოვებაზე. საინტერესოა, რომ მიწისქეშა ძუძუმწოვრების ზოგიერთ წარმომადგენლებსა და წყალხმელეთა ძუძუმწოვრებს (ისენისკარტა, ონდატრა, სიასამური) ჩაიტიანები არ გააჩნიათ.

ქანი – აქროლადი ნივთიერებების წყარო. ცხოველთა ქანის ზედაპირის მორფოლიგიურმა, პისტოლოგიურმა და ბიოქიმიურმა შესწავლამ გვიჩვენა მისი სხვადასხვა უძნების, როგორც აქროლადი ნივთიერებების გამოყოფი წყაროების არაერთგვაროვნება. გარემოში მოხვედრისას, მეტაბოლიტები განიცდიან ისეთი ფიზიკურ-ქიმიური ფაქტორების ზემოქმედებას, როგორიცაა ნესტი, ჟანგბადი, ოზონი, რადიაცია, ფერმენტები; ასევე ისინი შეიძლება გახდნენ მიკროორგანიზმების საბინადრო არეც. ამიღომ უნდა გავითვალისწინოთ არააქროლადი ნივთიერებებიდან აქროლადი ნივთიერებების წარმოქმნის შესაძლებლობა, რომლებიც არარეაბენ ფუნქციურ დატვირთვას.

ცხოველების კანის გარე ზედაპირი დაფარულია თხელი ცხიმოვანი შრიო, რომელიც ძირითადად წარმოქმნილია არასპეციფიკური ცხიმოვანი და საოფლე ჯირკვლების გამონაყოფებით. ამ შრის შემადგენლობა შესწავლილია ცხვრებში. აქ შედის ნახშირწყლები, სტრინების როული ეთერები, ტრიტერპენული და ალიფატური სპირტები, უმაღლესი ცხიმოვანი მჟავები, თავისუფალი სპირტები და სხვა.

აღმოჩენილია, რომ სხვადასხვა სახეობის ძუძუმწოვრების კანის ჯირკვლების სეპრეტები ნაჯერი და უჯერი ნახშირწყალბადების გარდა შეიკვეთ მთელ რიგ მოწოდ- და პოლიფუნქციურ ნაკრთვებს.

ცხოველთა ყოველი სახეობისათვის (ზოგჯერ კი ქვესახეობისათვის) დამახასიათებელია კანის ჯირკვლების კომპონენტებისა და გამონაყოფების განსაკუთრებული ჯგუფები. ყველა სახეობისათვის საერთო კომპონენტებია ქოლეგსტერინი და როგორი მონოერები, თუმცა მათი კონცენტრაციები სხვა კომპონენტებთან მიმართებაში შეიძლება მკვეთრად იცვლებოდეს სახეობიდან სახეობამდე. კომპონენტების ჯგუფური შემადგენლობა უკვე ატარებს ინფორმაციას ტექნიკურების სახეობის შესახებ. ზოგიერთ შემთხვევაში გარკვეული კანის ჯირკვლების არსებობა, მათი ინტენსიური სეპტემბრება შეიძლება ატარებდეს სქესის ნიშანს. მაგალითად, შუალუცლის ჯირკვალი კარგად აქვთ ანათოლიური მარტ მაქტი შეიძნეს, ხოლო მდედრებს – სუსტიად, ან საკრთვლ არ გააჩნიათ.

კანის სპეციფიკური და არასპეციფიკური ჯირკვლების ჯირკვლების ქიმიური შემადგნელობის შედარებით, აღმოჩენის მათ შორის აღნიხავადა: სპურვი უკრ ჯირკვლების საკუთარებს უკრო რთული

პედაგოგთა ევალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

შემადგენლობა აქვთ, მაგრამ შედარებითმა პისტოლოგიურმა გამოკვლევებმა – სხვადასხვა სახეობის ძუძუმწოვრების როგორც ერთ, ასევე მეორე ჯირკვლებში არსებითი სხვაობა ვერ აღმოაჩინა. ამიტომ გარაული გამოითქა, რომ სპეციფიკურ ჯირკვლებში დამატებითი კომპონენტები შეიძლება წარმოქმნებოდეს მიკროორგანიზმების ზემოქმედებით. ეს სეპრეტები, გროვდებიან რა კანის ნაკეცებში და თბებიან რა ცხოველური სითბოთი, ხელსაყრელ არეს წარმოადგენენ მიკროორგანიზმების გარკვეული სახეობებისათვის, რომლებმაც შეიძლება გამოიმუშავონ მარტივი დაბალმოლექულური ნაერთები, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც ქიმიური გზით ინფორმაციის გადაცემისას რაღაც დატვირთვას ატარებენ.

ყოველდღიური გამოცდილებიდან ვიცით, რომ სუნი ყველა ნივთიერებას არ უდის. თვედიან, რომ სუნი გააჩნია ცნობილი ორგანული ნივთიერებებიდან ყოველ მეექსეს. ალბათ, ცხოველებში არსებობს ნივთიერებები, რომელთაც არ გააჩნიათ სუნი. რომელ ნივთიერებებს აქვთ სუნი, ანუ რომელი ნივთიერებები აღიზიანებენ უნოსვით რეცეპტორებს? ალბათ პრაქტიკულად ყველა წყალში და ცხიმში სხადი ნივთიერებები – მათი მოხვედრისას უნოსვით ზედაპირზე. თუმცა, ბუნებრივ პირობებში რეცეპტორულ ზედაპირთან კონტაქტში შეიძლება შევიდნენ მხოლოდ აქროლადი ნივთიერებები, რომლებიც იმყოფებიან ორთქლისებურ მდგომარეობაში. მათი კონცენტრაცია აირად ფაზაში უნდა აჭარბებდეს ძუძუმწოვრების უნოსვის ორგანოებისათვის ზღვრულ მნიშვნელობას, ანუ უნდა იყოს არა ნაკლებ 10^{-16} გ/მლ.

ლაბორატორიული გამოკვლევებით დადგენილია, რომ სეპრეტების უმრავლესობა შეიცავს 1%-ზე ნაკლებ აქროლად ნივთიერებებს, მაგრამ კანის ნაკეცებში არსებული სეპრეტები, მაგალითად, მტაცებელ ცხოველებში, შეიცავს 50%-მდე აქროლად ნივთიერებებს.

ამერიკული სიასამურის ანალური სეპრეტის ჯირკვლის სეპრეტს ძალიან უსიამოვნო სუნი აქვს. სიასამურის ნათესავი – სეუნის (ამერიკული მყრალა) მას თავდაცვის მიზნით იყენებს. ხოლო სიასამური ავრცელებს ამ სუნს გადიზიანებისას. ამერიკული სიასამურის ანალური ჯირკვლის სეპრეტის აირადი ფაზის ძირითადი კომპონენტები – გოგირდშემცველი ნაერთებია ციკლური სულფიდის ჭარბი შემცველობით. სეუნის ანალური ჯირკვლის სეპრეტის ძირითადი კომპონენტია – ბუტილენმერკაპტანი. სიასამურის ჯირკვლის სეპრეტში ასევე გახვდება გოგირდშემცველი ნაერთები, რომლებიც ადვილად იცვლებიან გარემოს ჭარბების პირობებზე დამოკიდებულებით.

სიასამურის ანალური ჯირკვლის სეპრეტი რთული შემადგენლობისაა და შეიცავს ძუძუმწოვრების სხვა სახეობებში შემაგალ ნივთიერებათა ყველა ჯგუფს. მასში შედის აქროლადი მჟავები: ძმარმჟავა, პროპიონის, იზოვალერიანის, ა-მეთილცხიმოვანი, H-ვალერიანის, იზოკაპრონის მჟავები და ა.შ. სავარაუდოა ამ მჟავების ბაქტერიული წარმოშობა. ამერიკული სიასამურის ანალური ჯირკვლის სეპრეტში ასევე არსებობენ აქროლადი ფუძეები, რომელთა შემადგენლობა აირად ფაზაში, ისევე როგორც მჟავებისა, დამოკიდებულია სეპრეტის pH-ზე. ამგვარად, სეპრეტის მჟავიანობის მცირედი ცვლილებაც კი ცვლის აირადი ფაზის შემადგენლობას და აქედან გამომდინარე, მის ინფორმაციულ მნიშვნელობას.

ლიტერატურა – References

1. Соколов В.Е., Зинкевич Э.П. Химическая сигнализация млекопитающих. Новое в жизни, науке, технике. Серия Биология. М. Знание 1978.
2. Соколов В.Е., Котенкова Е.В., Зинкевич Э.П. Феромоны и поведение животных. Роль обонятельных сигналов в агрессивном поведении домовой мыши, в кн.: Экологические основы управления поведением животных, М.: Наука, 1980. С.168-185.
3. Гладышева О.С., Ганшин В.М., Зинкевич Э.П. Молекулярные механизмы обонятельной рецепции и возможная роль фосфатаз. Сенсорные системы. 2003. Т.17. № 4. С.259-275.

Siradze M.

Olfactory signals and animal behavior

Summary

პედაგოგთა ევალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

Animal behavior is based on their internal and external stimuli acting on the body. Behavior is influenced by external signals of three types: optical , acoustic and chemical . Chemical Irritant, who are perceived by the organs of smell , called smell incentives. In this paper we discuss how animal behavior affects the endocrine glands and other excretory organs , as well as khemoretseptors organs , glands and receptor -specific skin cells to function.

**საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ გამოღმა არგვეთის სკოლა
Municipality of Sachkhere, the village „gamogma argveta's“ school**

ნათელა ღვინიანიძე

რობორ ჩაგატაროთ გაპპეთილი თემაზე: „პარტერიზაცია და ლურჯ-მწვანე წყალმცენარეები X კლასში“

უკრების შინაგანი ორგანიზაციის მიხედვით ცოცხალ ორგანიზმებს შორის არჩევენ პროკარიოტებს და ეუკარიოტებს. პროკარიოტები ისეთი ორგანიზმებია, რომლებსაც არ აქვთ ჩამოყალიბებული ბირთვი, ხოლო ეუკარიოტების სრულყოფილი ბირთვი გააჩნიათ. ბირთვის ნაცვლად პროკარიოტების აქვთ ბირთვის მსგავსი ანუ ნუკლეოტიდი, რომელიც ციტობლაზმისაგან მემბრანით არ არის გამოყოფილი. პროკარიოტებია: ბაქტერიები და ლურჯ-მწვანე წყალმცენარეები.

ბაქტერიებისა და ლურჯ-მწვანე წყალმცენარეების სწავლება დიდ ადგილს იჭერს ბიოლოგიის სახელმწიფო უნივერსიტეტში. იგი ისტავლება VII, VIII, X კლასებში სხვადასხვა სიღრმით. შედარებით როგორც არის წარმოდგენილი ეს საკითხი X კლასში. მასწავლებელს საშუალება აქვს გაკვეთილი თემაზე: „ბაქტერიები და ლურჯ-მწვანე წყალმცენარეები“ X კლასში განათლების რეფორმით გათვალისწინებულ ახალი მეთოდიების მოთხოვნების მიხედვით ჩატაროს, რადგან ამ საკითხზე X კლასის მოსწავლეებმა საქმაოდ ბეჭრი იციან წინა წლებში ნახტავლიდან.

განათლების რეფორმა ითვალისწინებს აქტიურ სწავლებას, რომელიც გულისხმობს მასწავლებლის და მოსწავლეების ურთიერთთანამშრომლობას გაკვეთილზე. ეს პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული. მოსწავლე არ არის მხოლოდ მსმენელი, ის გაკვეთილის აქტიური მონაწილეა, აქტიური სწავლება თეორიის პრაქტიკასთან დაკავშირებასაც გულისხმობს. წინათ შეთვისებული ცოდნა აქტიურად უნდა იყოს გამოყენებული ახალი, უცნობი, მაგრამ აქტუალური თემის შესასწავლად. გაკვეთილი საინტერესოდ და ხალისიანად რომ წარიმართოს, მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს ისეთი ინფორმაცია, რომლის მსგავსი და რადაც ნაცნობი მოსწავლეთა გამოცდილებაში უკვე არსებობს.

აქტიურ სწავლებას აქვს სტრატეგიები და მეთოდები. ამას ითვალისწინებს RER სისტემა. ამ სისტემით ერთ-ერთი სტრატეგიაა, გაკვეთილზე განწყობის შექმნა (პროვოცირება). ამაში იგულისხმება წინათ მიღებული ცოდნის გამოყენება გაკვეთილზე ახალი მასალის ახსნის დროს. მოსწავლის მიერ დამოუკიდებლად ცოდნის გააზრება, გამყარება და ახალ სიტუაციაში გამოყენება. ამ პრინციპებზე აგებულ გაკვეთილს ინტერაქტიური გაკვეთილი ეწოდება, რომლის ძირითადი პრინციპია პარტნიორობა მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის.

ერთ-ერთ სტრატეგიას წარმოადგენს გონიერივი იერიში. შედარებითი დახასიათებისათვის მნიშვნელოვან სტრატეგიას წარმოადგენს ვენის დიაგრამა. ვენის დიაგრამა გამოიხატება ორი წრის სახით, მას იყენებენ მაშინ, როდესაც ერთმანეთს ადარებენ ორ ან რამდენიმე საგანს ან მოვლენას. თითოეულ წრეში ჩაიწერება ის ნიშნები, რომლებიც თითოეულ მათგანს ახასიათებს, ხოლო წრეების გადაკვეთისას წარმოქმნილ სივრცეში – ჩაიწერება ის, რაც საერთოა შესადარებელი საგნების ან მოვლენებისათვის. აქტიური სწავლების ყველა მოთხოვნა ასახული უნდა იქნეს საგაკვეთილო სცენარში, რომელსაც მასწავლებელი წერს თითოეული გაკვეთილისათვის.

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

საგანვითოლო სცენარი:

გაკვეთილის თემა: ბაქტერიები და ლურჯ-მწვანე წყალმცენარეები
გაკვეთილის ტიპი: ახალი მასალის ახსნა

გაკვეთილის დრო: 45 წუთი

გამოყენებული მეთოდები:

ა) განწყობის შექმნა ანუ პროვოცირება

ბ) გონებრივი იერიში

გ) საუბარი

დ) ვენის დიაგრამა

გამოყენებული მასალები: ტაბულები, ცოცხალი მასალა

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, ჯგუფური

გაძვეთილის გეგმა:

I განწყობის შექმნა – პროვოცირება – 10 წუთი

II გონებრივი იერიში – 5 წუთი

III სიღრმისეული წვდომა – 20 წუთი

IV გააზრება – 15 წუთი

V საშინაო დავალება

გაკვეთილის მიზანი: გავაცნოთ მოსწავლეებს პროკარიოტული ორგანიზებისათვის დამახასიათებელი თავისებურებაზე. მათი როლი ბუნებასა და ადამიანისათვის.

გაძვეთილის მსელელობა:

განწყობის შექმნის მიზნით მასწავლებელი სვამს რამდენიმე მაპროვოცირებელ კითხვას.

1. უჯრედის შინაგანი ორგანიზაციის მიხედვით რამდენ ჯგუფად იყოფა ორგანული სამყარო?

– ორგანული სამყარო იყოფა ორ ჯგუფად: პროკარიოტებად და ეუკარიოტებად.

2. როგორ ორგანიზმებს ეწოდება პროკარიოტული ორგანიზმები?

პროკარიოტები ისეთი ორგანიზმებია, რომლებსაც არ აქვთ ჩამოყალიბებული ბირთვი.

3. რომელი ორგანიზმები მიეკუთვნება პროკარიოტებს? პროკარიოტებია: ბაქტერიები და ლურჯ-მწვანე წყალმცენარეები.

4. რა ასრულებს ბირთვის ფუნქციას პროკარიოტულ ორგანიზმებში?

პროკარიოტულ ორგანიზმებში ბირთვის ფუნქციას ასრულებს ბირთვის მსგავსი, რომელიც დნმ-ის მოლეკულას წარმოადგენს.

5. რით მრავლდებიან ბაქტერიები? – ძირითადად ბაქტერიები უსქესოდ, დაყოფით მრავლდებიან, თუმცა ბაქტერიაში „ნაწილავის ჩხირი“ – აღწერილია სქესობრივი პროცესები.

6. რას წარმოადგენს სპორა ბაქტერიისათვის? – სპორა ბაქტერიისათვის წარმოადგენს თავდაცვის საშუალებას არახელსაყრელი პირობებისაგან.

7. ლურჯ-მწვანე წყალმცენარეები რით ემსგავსებიან ბაქტერიებს?

ლურჯ-მწვანე წყალმცენარეები, ისევე როგორც ბაქტერიები, პროკარიოტებია.

II სიღრმისეული წვდომა – ახალი მასალის ახსნა.

ბოლო კითხვის დასმის შემდეგ მასწავლებელი წამოჭრის პრობლემურ კითხვას – როგორია ბაქტერიის უჯრედის აგებულება ანუ როგორ ჩანს იგი ელექტრულ მიკროსკოპში. ტაბულის გამოყენებით მასწავლებელი ხსნის ბაქტერიული უჯრედის აგებულებას, იყენებს კლასის ცოდნას ამ საკითხზე.

გაკვეთილის ეს ნაწილი წარიმართება საუბრის მეთოდით, აღინიშნება, რომ ბაქტერიული უჯრედი გარედან დაფარულია მკრიფი გარსით, რაც უჯრედს მუდმივ ფორმას აძლევს. ზოგჯერ გარსის გარეთა შრევები ლორწოთი იფარება და უჯრედის ირგვლივ ჩნდება ლორწოვანი კაპსულა. შემდეგ მოსწავლეები ისესენებენ უჯრედის ფორმას, შინაგან აგებულებას. მასწავლებელი აღინიშნავს, რომ სამოძრაოდ ბაქტერიები ივითარებენ შოლტებს. ტაბულაზე გაარჩევნ ბაქტერიებს ფორმის მიხედვით. პირველად ამ გაკვეთილზე გებულობენ მოსწავლეები, რომ კოკები (ბურთულისებური) შეიძლება არსებობდეს, როგორც ცალკეული უჯრედების სახით, ასევე წყვილებად – დაბლოკორები, გრძელ ჯაჭვებად – სტრეპტოკოკები, ან კოლონიებად – სტაფილოკოკებად! შემდეგ მასწავლებელი ხსნის საკითხს – როგორია ბაქტერიების დამოკიდებულება ჟანგბადის მიმართ და ამ ნიშნის მიხედვით ასახელებს ორ ჯგუფს: აერობული და ანაერობული ბაქტერიები


პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“ და განმარტავს, რომ აერობულ ბაქტერიებს არსებობისათვის აუცილებლად ესაჭიროება უანგბადი, ხოლო ანაერობები ცხოვრობენ უქანგბადო გარემოში.

შემდეგ მასწავლებლის დახმარებით კლასი იხსენებს, რომ ბაქტერიები მრავლდებიან უსქესოდ – უჯრედის დაყოფით და დეტალურად აღწერს ამ პროცესს. პირველად ამ გაკვეთილზე მოსწავლები იგებენ, რომ ზოგიერთ ბაქტერიას ახასიათებს სქესობრივი გამრავლება. მასწავლებელი აღნიშნავს, რომ სქესობრივი გამრავლება დიდ როლს ასრულებს ამ ორგანიზმების ნიშან-თვისებათა გამრავლებულობის საქმეში.

გაკვეთილის დარჩენილ ნაწილში მასწავლებელი კლასს მოუთხრობს პროგრამიობების მეორე ჯგუფის – ლურჯ-მწვანე წყალმცენარეების შესახებ. აღნიშნავს, რომ მათ უფრო რთული აგებულება აქვთ, შეიცავენ მწვანე ფერის პიგმენტს – ქლოროფილს, აგრეთვე სხვა ფერის პიგმენტებს, რომლებიც მათ აძლევს წითელ, ლურჯ, ზოგჯერ შავ ფერსაც კი. კლასს აცნობს ლურჯ-მწვანე წყალმცენარეების მეორე სახეწოდებას – ციანობაქტერიები.

გაკვეთილის ბოლოს შეიძლება მასწავლებელმა ჩაატაროს პრაქტიკული მუშაობა ლურჯ-მწვანე წყალმცენარეების მიერთესკოპით შესწავლის მიზნით. თუ გაკვეთილზე დრო არ დარჩა, მაშინ იგივე სამუშაო შეიძლება შეასრულოს გაკვეთილგარეშე მუშაობებზე გაკვეთილის შემდეგი მომენტია გააზრება, რომლის დროს კლასი ავსებს ვენის დიაგრამას.



გაკვეთილის ბოლოს კლასს ეძლევა საშინაო დავალება. მასწავლებელი მიუთითებს, რომელ პარაგრაფზე უნდა იმუშაონ შინ.

ლიტერატურა – References

1. რუსულად ახვლებიანი, ირმა რევიშვილი, ბიოლოგია X კლასი; 2006წ.
2. ნინო ბესელია, თამარ მეფიარიანი, ლელა მიქაშვილი, ირინე ჯალაძონია – სკოლიდან სამოქალაქო საზოგადოებისაკენ; მასალები ინტერაქტიული სწავლებისათვის (სამოდელო გაკვეთილები), 2007წ.
3. იმერი ბასილაძე, ნინო ჭოხონელიძე, ნინო კოსტავა, სწავლებისა და სწავლის პედაგოგიური ტექნოლოგიები და მათი ზოგადებებისათვები. 2005წ.
4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სწავლებისა და სწავლის ახალი მიღვმები, სახელმძღვანელო მასწავლებლისათვის; 2004წ.
- 5.

Gvinianidze N.

How to conduct a lesson on the topic „Bacteria and bluish-green water plants“ in X grade

Summary

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

According to the inner organization of a cell, there are two distinguished living organisms: prokaryotes and eukaryotes. Prokaryotes are the organisms whose nucleus is not fully-established, while eukaryotes have a complete nucleus. Instead of nucleus, prokaryotes have a nucleus-like nucleoid, which is separated from cytoplasm with membrane. Prokaryote organisms are: bacteria and bluish-green water plants.

The teaching of bacteria and bluish-green water plants plays a great role in the course of biology at school. It is taught in VII, VIII, X grades at different levels. It is comparatively harder in the X grade. The teacher can conduct the lesson on the theme “Bacteria and bluish-green water plants” in the X grade according to the requirements of new methodology of educational reform, because the pupils already have a good understanding of the subject from previous years. The given article discusses all the methods of active teaching, which a teacher must use while teaching the above-mentioned topic.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Akaki Tsereteli State University

ძალის მიზანი ჩატარების დათარიღება

პიოლობიური ჟურნალის შედგენის პრიცენტები

ტესტის მეშვეობით შესაძლებელია გამოცდის მოკლე დროში ჩატარება. საეციალისტების აზრით, რიც შემთხვევაში ტესტის შედგენისას მეთოდური მხარე ნაკლებადაა გათვალისწინებული, რიც გამოც ამ სახის გამოცდა თავის მნიშვნელობას კარგავს. სწორი მეთოდური პრიცენტებით შედგენილი ტესტით შესაძლებელია ობიექტურად შეფასდეს გამოსაცდელი.

ტესტურ გამოცდას ამჟამად დიდი ყურადღება ექცევა. ტესტის მეშვეობით შესაძლებელია მასალის ფართო საექტრის გამოყენებით, გამოცდის მოკლე დროში ჩატარება. სადღეისოდ გამოცდის არც ერთი ფორმა არ შეიძლება ჩაითვალოს სრულყოფილად. საეციალისტთა აზრით, ტესტური გამოცდისათვის ნიშანობლივია შედარებით ნაკლები უარყოფითი მომენტები. ტესტის შედგენა გარკვეულ მეთოდურ პრიცენტებს ემყარება, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია. რიგ შემთხვევაში, ტესტის შედგენისას მეთოდური მხარე ნაკლებადაა გათვალისწინებული, რის გამოც ამ სახის გამოცდა თავის მნიშვნელობას კარგავს.

სტუდენტი (მოსწავლე ან აბიტურიენტი) გამოცდამდე უნდა დაუფლოს ტესტზე მუშაობის უნარ-ჩვევებს. ამისათვის კი საჭიროა, სტუდენტმა სისტემატიურად დაიმუშაოს სათანადო ტიპის საგარჯიშოები. უნდა გვახსოვდეს, რომ ნებისმიერი საგარჯიშო ტესტი წარმოადგენს ნიმუშს, თუ როგორი სახის შეკითხვები იქნება წარმოდგენილი გამოცდაზე. სწორი მეთოდური პრიცენტებით შედგენილი ტესტით შესაძლებელია ობიექტურად შეფასდეს როგორც გამოსაცდელის თეორიული მომზადების დონე, ისე მასალის გამოყენების უნარ-ჩვევები. კერძოდ, განისაზღვროს: ა) შევნებულად ფლობს თუ არა მეცნიერულ დებულებებს და ფაქტობრივ მასალას; ბ) შეუძლია თუ არა მოვლენების ურთიერთდაკავშირება; გ) რამდენად შეუძლია მიზეზ-შედეგობრივი კავშირის საფუძველზე, კონკრეტულ სიტუაციაში, მართებული დასკვნის გამოტანა.

ტესტის შედგენისას გასათვალისწინებელია გარემოები. კერძოდ, მისი მეშვეობით უნდა განისაზღვროს ცოდნის შედეგები დონე:

1. თეორიული მასალის გახსენების უნარი: მეცნიერული დებულებების და კანონზომიერებების ცოდნა; ტერმინებისა და ინფორმაციის ცოდნა. ტესტში შეკითხვების დაახლოებით 50% ამ სახის კითხვას უნდა შეიცავდეს;

2. შესწავლილი თეორიული მასალის გამოყენების უნარი: კონცეფციის არსები წვდომის უნარი; თეორიული მასალის გამოყენებით კონკრეტული პრობლემის გადაჭრის უნარი. ამ სახის შეკითხვების რაოდენობა კითხვათა საერთო რაოდენობის 30%-ს არ უნდა აღემატებოდეს;

3. თეორიული მასალის ანალიზის საფუძველზე მართებული ინტერპრეტაციის უნარის შემოწმება; სხვადასხვა ფაქტობრივი მასალის ურთიერთდაკავშირების და კონკრეტულ სიტუაციაში მართებული ინტერპრეტაციის ან დასკვნის გამოტანა. ტესტში ამ სახის კითხვების რაოდენობა დაახლოებით 20%-მდე უნდა იყოს წარმოდგენილი.

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

ტესტში შეტანილი კითხვების საერთო რაოდენობა 100-ს არ უნდა აღემატებოდეს. მასში უნდა აისახოს თეორიული კურსის მთლიანი მასალა. თუ გამოცდა ტარდება ეტაპებად, ამ შემთხვევაში სასურველია, მასში შეიძლეს განვლილი გამოყითხული მასალიდან საკვანძო საკითხებიც. არ არის მიზანშეწონილი ტესტური გამოცდის ჩატარება მცირე მოცულობის მასალაზე. ტესტზე პასუხის გაცემის დრო უნდა იყოს მკვეთრად განსაზღვრული და იგი არ უნდა აღემატებოდეს ერთ ასტრონომიულ საათს. ტესტს წინ უნდა ჰქონდეს დართული ინსტრუქცია, კერძოდ, თუ რა მოეთხოვება გამოსაცდელ პიროვნებას, რა პრინციპებითაა შედგენილი ტესტი და როგორი კრიტერიუმით მოხდება ნამუშევრების შეფასება.

ტესტში შეტანილი კითხვები უნდა იყოს როგორც მარტივი, ისე რთული. სხვადასხვა სირთულის შეკითხვები უნდა იყოს განვლებული და დაუშვებელია მათი დიფერენცირებულია, თემატური საკითხების მიხედვით განლაგება. ტესტში დასტულ შეკითხვას უნდა ახლდეს ხუთი ალტერნატიული პასუხი. თითოეული პასუხი უნდა დაინომროს ანბანის ასოებით. პასუხებიდან მხოლოდ ერთი უნდა იყოს მართვებული და საჭირო სტუდენტმა შერჩეული პასუხის ნომერი შემოხაზოს რგოლით. წარმოდგენილი ალტერნატიული პასუხებიდან შეიძლება მხოლოდ ერთი იყოს სწორი, ან ყველა ან არცერთი.

შეკითხვა შეიძლება დაუსრულებელი წინადადების სახით იყოს მოცემული, რომელსაც უნდა მოსდევდეს ალტერნატიული პასუხების ჩამონათვალი. მაგალითად:

1. ჩამონათვალიდან შოლტებით არ მოძრაობს:
 - ა) ევგლენა;
 - ბ) სპერმატოზოიდი;
 - გ) ზოოსპორა;
 - დ) ქლამიდომონადა;
 - ე) ქალამანა.

ჩამონათვალი ხუთი ალტერნატიული პასუხიდან უნდა შეირჩეს მხოლოდ ის, რომელიც არ მოძრაობს შოლტებით. ამ პირობას მხოლოდ ქალამანა აქმაყოფილებს. ე. ი. უნდა შემოიხაზოს „ე“ ვარიანტი.

ზოგიერთ კითხვაზე ალტერნატიული პასუხი გაცემულია იმგვარად, რომ ყველა მათგანი მართვებული ან ყველა მცდარია. მაგალითად:

2. ევოლუციის ძირითად ელემენტარულ ფაქტორს წარმოადგენს:
 - ა) მუტაციური პროცესი;
 - ბ) გენთა დრეიფი და გენთა ნაკადი;
 - გ) იზოლაცია;
 - დ) ბუნებრივი გადარჩევა;
 - ე) ყველა პასუხი სწორია.

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, საჭიროა ევოლუციური თეორიის საკითხების ცოდნა. კერძოდ, ის ძირითადი ელემენტარული ფაქტორები, რომლებიც გენოფონდის დინამიურ ცვლილებას იწვევენ. ასეთ ფაქტორებს წარმოადგენს: მუტაციური პროცესი, გენთა დრეიფი, გენთა ნაკადი, იზოლაცია და ბუნებრივი გადარჩევა. წარმოდგენილი ყველა ალტერნატიული პასუხი სწორია. ე. ი. უნდა შემოიხაზოს „ე“ ვარიანტი.

3. საჭმლის მომნელებელი ვაკუოლის ჩამოყალიბებაში მონაწილეობს:
 - ა) რიბოსომა;
 - ბ) მიტოქონდრია;
 - გ) გოლჯის კომპლექსი;
 - დ) ენდოპლაზმური ბადე;
 - ე) ყველა პასუხი მცდარია.

წარმოდგენილი ალტერნატიული პასუხებიდან მართებული ვარიანტი რომ ამოირჩიოს სტუდენტმა, უნდა იცოდეს ციტოპლაზმის ორგანოდების აგებულება და მისი ფუნქციები. პილოროლიზურ ფერმენტებს შეიცავენ ლიზოსომები, რომლისთვისაც დამახასიათებელია პეტერო- და აუტოფაგიის მოვლენები. პეტეროფაგიის დროს უჯრედის მიერ ენდოციტოზის გზით შთანთქმული უცხო ნივთიერებების გადამუშავება ფაგოლიზოსომებში ანუ ე. წ. საჭმლის მომნელებელ ვაკუოლში

პედაგოგთა ქვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“ ხდება. ამრიგად, წარმოდგენილი ყველა ალტერნატიული პასუხი მცდარია და უნდა შემოიხაზოს „ე“ ვარიანტი.

შეიძლება ალტერნატიული პასუხები რამდენიმე კითხვის პასუხისათვის იყოს გამოყენებული. შეკითხვები შეიძლება მოცემული იყოს დასრულებული კითხვით წინადადებით (მაგალითად, კითხვა 5) ან დაუსრულებელი წინადადებით (მაგალითად, კითხვა 4 ან 6). მაგალითად:

ეკოსისტემაში წარმოდგენილია შემდეგი ტროფული დონეები:

- ა) დესტრუქტორები (მაგალითად, ბაქტერიები);
- ბ) პროდუცენტები (მაგალითად, ბალახოვანი მცენარეები);
- გ) პირველი რიგის კონსუმენტები (მაგალითად, თაგვები);
- დ) მეორე რიგის კონსუმენტები (მაგალითად, გველები);
- ე) მესამე რიგის კონსუმენტები (მაგალითად, გველის ჰქამელი არწივი).

4. ჩამონათვალიდან რომელი ორგანიზმები წარმოქმნიან კვებით ჯაჭვში უდიდეს ბომასას?

5. ორგანიზმები, რომლებიც აზოტისშემცველ ორგანულ ნაერთებს ნიტრატებად გარდაქმნიან:

6. ბიოსფეროში რომელ ორგანიზმები იმოქმედებდა ნახშირბადის (IV) ოქსიდის მნიშვნელოვანი შემცირება?

შეკითხვათა ეს ჯგუფი ეხება ეკოლოგიას, კერძოდ, ეკოსისტემაში ტროფულ ანუ კვებით დონეებს. მეოთხე კითხვაზე მართებული პასუხის გასაცემად საჭიროა იმის ცოდნა, რომ კვებითი ჯაჭვი იწყება პროდუცენტებით. პირველ საფეხურზე მდგრმი ორგანიზმები – პროდუცენტები მზის სხივური ენერგიის გამოყენებით ახდენენ ფოტოსინთეზს. ერთი კვებითი დონიდან მეორეში ენერგიის უმნიშვნელო რაოდენობა გადადის. ამრიგად, ენერგიის დიდ რაოდენობას და ბიომასას ქმნიან პროდუცენტები, კონკრეტულ შემთხვევაში ბალახოვანი მცენარეები. ამრიგად, მართებული პასუხია „ბ“.

მეხუთე კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა ვოცოდეთ, რომ ბიოსფეროში მიმდინარეობს ქიმიური ელემენტების წრებრუნვა. ორგანულ ნარჩენებს შლიან დესტრუქტორები (რედუცენტები). ისინი ორგანულ ნარჩენებს არაორგანულ ნაერთებამდე დაიყვანენ. ამ გზით მიღებული არაორგანული ნივთიერებები, კერძოდ, ნიტრატები ხელმისაწვდომია პროდუცენტებისათვის. მათი გამოყენებით პროდუცენტები ახდენენ არაორგანულიდან ორგანული ნაერთების სინთეზს. ამრიგად, მართებული პასუხია „ა“.

მეექვსე კითხვაზე პასუხისათვის საჭიროა იმის გახსენება, რომ მწვანე მცენარეები ფოტოსინთეზის პროცესში უშეალოდ იყენებენ ატმოსფეროში არსებულ ნახშირბადის (IV) ოქსიდს. ამ ნაერთის გამოყენებით ფოტოსინთეზის სიბერების ფაზაში ხდება ორგანული ნაერთების სინთეზი. ნახშირბადის (IV) ოქსიდის მნიშვნელოვანი შემცირება ატმოსფეროში გავლენას მოახდენს კვებითი ჯაჭვის პირველ საფეხურზე მდგრმი პროდუცენტი როგანიზმების ბიომასის შექმნაზე. კერძოდ, პირველად პროდუქტიულობაზე ე. ი. მართებული პასუხია „ბ“.

კითხვაზე პასუხის გასაცემად შეიძლება გამოყენებული იქნას სურათი ან გრაფიკი. წარმოდგენილ სურათზე მოცემულია ქვესამეფო Protosoa, ტიპი Ciliophora, კლასი Ciliata-ს წარმომადგენელი ქალამანა (Paramoecium caudatum). ამ ორგანიზმის განმსაზღვრელი ნაწილები დანომრილია. თითოეულ კითხვაზე ალტერნატიული პასუხი მოცემულია ციფრებით. საჭიროა დავუკირდეთ სურათს და მოცემული ხეთი ალტერნატიული ვარიანტიდან მართებული პასუხი შევარჩოთ.

7. რომელ ნაწილში მიმდინარეობს ტრანსლაცია?

- ა) 1; ბ) 5; გ) 6; დ) 3; ე) 2.

8. რომელი სტრუქტურაში ხორციელდება ცილების დახარისხება?

- ა) 3; ბ) 4; გ) 5; დ) 8; ე) 6.

9. სად ხდება რიბოსომის სუბერთეულების წარმოქმნა?


- ა) 8; ბ) 2; გ) 16; დ) 7; ე) 5.

10. უჯრედის რომელი სტრუქტურა შედგება ლიზისის გამომწვევი ფერმენტებისგან?

- ა) 7; ბ) 2; გ) 9; დ) 6; ე) 4.

პედაგოგთა ევალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“



მეშვიდე კითხვაზე მოცემული ალტერნატიული პასუხებიდან მართებულია „ბ“, რადგან გრანსლაცია მიმდინარეობს გრანულარულ ენდოპლაზმურ ბადეზე. მერვე კითხვაზე მართებულია პასუხი „ბ“, რადგან ცილების დახარისხება ხდება გოლჯის აპარატში. მეცხრე კითხვაზე მართებულია პასუხი „გ“, რადგან რიბოსომის სუბერთულების წარმოქმნა ხდება ბირთვაკში. მეათე კითხვაზე მართებულია პასუხი „დ“, რადგან ლიზისის გამომწვევი ფერმენტებისგან შედგება ლიზოსომები.

კითხვების შედეგნისას შეიძლება გამოვიყენოთ ექსპერიმენტული სიტუაცია. თავდაპირველად საჭიროა გადმოცემული იქნას სიტუაციის აღწერა. შემდეგ კი საჭიროა ალტერნატიული პასუხების მითითება. სანიმუშოდ მოვიტანო ერთ მაგალითს (იხ. კითხვა 11).

ჩატარებულ ექსპერიმენტში უცნობი გენოტიპის რუხი და თეთრი თაგვების შეჯვარებისას მიიღეს შემდეგი შედეგი:

შეჯვარებათა ვარიანტები	მშობლები		შთამომავლები	
	მდედრი	მამრი	რუხი	თეთრი
I	რუხი	X თეთრი	82	78
II	რუხი	X რუხი	118	78
III	თეთრი	X თეთრი	0	50
IV	რუხი	X თეთრი	74	0

11. მდედრი რუხი შეფერილობის მშობლებიდან რომელია პეტეროზიგორუი?

- ა) მხოლოდ I ვარიანტში გამოყენებული მდედრი;
- ბ) მხოლოდ II ვარიანტში გამოყენებული მდედრი;
- გ) I და II ვარიანტებში გამოყენებული მდედრი;
- დ) მხოლოდ IV ვარიანტში გამოყენებული მდედრი;
- ე) მხოლოდ II და IV ვარიანტებში გამოყენებული მდედრი.

წარმოდგენილი შედეგის ანალიზის საფუძველზე, საჭიროა დადგინდეს მდედრი რუხი შეფერილობის მშობლებიდან რომელია პეტეროზიგორუი. მიღებული შედეგი მიუთითებს, რომ რუხი შეფერილობა დომინანტურია, თეთრი კი რეცესიული. IV ვარიანტის შთამომავლობა მხოლოდ რუხი ინდივიდებისაგან შედგება, რაც მიუთითებს, რომ რუხი შეფერილობის მდედრი თაგვი პომოზიგორუია. I ვარიანტში მიღებულ შთამომავლობაში დაოშვაა თანაფარდობით 1:1, რაც მიუთითებს, რომ მდედრი რუხი თაგვი პეტეროზიგორუია; ასევე II ვარიანტის შთამომავლობაში დაოშვაა თანაფარდობით 3:1. ამდაგვარი შედეგი მიიღება მხოლოდ მაშინ, როდესაც ორივე მშობელი პეტეროზიგორუია. ამრიგად, მართებულია პასუხი „გ“.

პედაგოგთა ქვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

რიგ შემთხვევაში საჭიროა დასმული კითხვის მეშვეობით გაირკვეს, შეუძლია თუ არა სტუდენტებს, თეორიული მასალის საფუძველზე, მართებული დასკვნის გამოტანა. მაგალითისათვის მოვიტანო შემდეგ შეკითხვას.

12. რომელი პროცესის დროს სინთეზდება ატფ?

I ფოტოსინთეზი; II აერობული სუნთქვა; III დუდილი

ა) მხოლოდ I;

ბ) მხოლოდ II;

გ) მხოლოდ III;

დ) მხოლოდ II და III;

ე) I, II და III.

ამ კითხვას რომ პასუხი გავცეო, საჭიროა განვიხილოთ უჯრედში ატფ სინთეზირდება თუ არა ერთზე მეტი მეტაბოლური პროცესის შედეგად. დასახელებული თითოეული პროცესი უნდა გაანალიზდეს დამოუკიდებლად. ფოტოსინთეზის სინათლის სტადიაზე ხორციელდება მზის სხივური ენერგიის მთანთქმა, რომლის ნაწილიც სმარდება ატფ-ს სინთეზს. აერობული სუნთქვის დროს მიმდინარეობს გლუკოზის დაშლა CO_2 და H_2O -მდე. ეს პროცესი მიმდინარეობს ჟანგბადის თანაობისას და ის ყველაზე ეფექტური მეტაბოლური პროცესია, რომლის დროსაც დიდი რაოდენობით სინთეზირდება ატფ. დუდილის დროს მიმდინარეობს ჟანგბადის მონაწილეობის გარეშე გლუკოზის დაშლა. მმარმევავა, რძემევავა, სპირტული და ერთომევავა დუდილის დროს გაცილებით მეტი სუბსტრატის გამოყენება ხდება. გამოყოფილი ენერგიის ნაწილი ხმარდება ატფ-ს სინთეზს. რადგან სამივე პროცესის დროს ხდება ატფ-ს სინთეზი, მართებულია პასუხი „ე“.

ტესტური გამოცდისას არსებითია შესრულებული სამუშაოს შეფასება. თუ როგორი კრიტერიუმით უნდა შეფასდეს შესრულებული ნაშრომი დამოკიდებულია ტესტში შემავალი კითხვების სირთულის ხარისხზე. ცალკეული ტესტისათვის შეფასების კრიტერიუმი ინდივიდუალურად უნდა იქნეს განსაზღვრული. საშუალო სირთულის და რთული ტესტისათვის შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი კრიტერიუმი: თუ 100-90 კითხვაზე დადგებითი პასუხი გაცემული შეფასება არის უმაღლესი: 94-85 კითხვაზე – ბრწყინვალე, 79-70 კითხვაზე – კარგი, 69-60 კითხვაზე – საშუალო, 59-50 კითხვაზე – საშუალოზე დაბალი; 50 კითხვაზე ქვემოთ – ცუდი.

ლიტერატურა – References

1. პ. კემპი, კ. არმსი, ბიოლოგია, ტ. 1-2 თბილისი, 1998
2. ი. ლაზრიშვილი, გ. კიკაძე, ბიოლოგია: ტესტები. გამომც. განათლება, თბილისი, 1999
3. 6. მარგველაშვილი, მ. ჭოხონელიძე, სამედიცინო ბიოლოგია (შეკითხვები პასუხებით, ამოცანები ამოსენებით). ქუთაისი, 1998
4. ა. შათირიშვილი, ს. ცაგარელი, ი. ლაზრიშვილი, ბიოლოგია. თბილისი, 2011
5. ა. შათირიშვილი, ს. ცაგარელი, ი. ლაზრიშვილი, ზოგადი ბიოლოგია. მეორე გამოცემა. თბილისი, 1999

Chikvinidze K., Gachava N.

Principles of composing the test in biology

Summary

Using the test an exam can be held in short intervals. To the specialists opinion, it is considered that in particular cases, while making the test the methodical side is not so important, that is why this kind of exam loses his meaning. It is possible to give an exact with-the test which contains the certain methodical principles.

**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Akaki Tsereteli State University**

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

ნატო ჩხარტიშვილი, მანუჩარ პიპალიშვილი

მანგანუმის მნიშვნელობა ცოცხალი ორგანიზაციის

მანგანუმი შეუცვლელი მიკროელემენტია, შედის 10 სიცოცხლის ლითონის რიგში. მანგანუმი ცოცხალ სისტემაში ასრულებს მნიშვნელოვან როლს. მას შეიცავს გარევეული რაოდენობით თითქმის ყველა ცხოველური და მცენარეული ორგანიზმი. მანგანუმი დადგებით გავლენას ახდენს ორგანიზმის ზრდა-განვითარებაზე და გამრავლებაზე. მანგანუმის მარილები ხელს უწყობს ფოსფორისა და კალციუმის შეთვისებას. მანგანუმის შემცველობის შემცირება იწვევს ძვლების ქსოვილის დაგენერაციას. ამ დაავადების განკურნება შეიძლება საკედებში მანგანუმის მარილების და D ვიტამინის დამატებით. მანგანუმის ქლორიდი კონცენტრაციის მიხედვით განსხვავებულ გავლენას ახდენს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე. მცირე კონცენტრაცია ხანგრძლივად აღავ ზნებს, ხოლო შემდგომი გაზრდილი დოზა მოქმედებს მუხრანებზე. მანგანუმშემცველი ვერმენტების გარეშე შეუძლებელია ბევრი საკუთივიური მეტაბოლური პროცესი. მანგანუმის უქმარისობა მცენარეებში იწვევს ქლოროზე. დიდია მანგანუმის მნიშვნელობა დვიძლებში მიმდინარე კანგვის პროცესებში, ხოლო ფრინველებში ზურგის ტანის სითხეში მანგანუმი არის კომპლექსის სახით. მანგანუმი მონაწილეობს ერთოროციტებისა და ჰემოგლობინის წარმოქმნის პროცესში. ორგანიზმში მანგანუმის დოზის სიჭარბე მრავალი სახის დარღვევას იწვევს.

მანგანუმი აღმოჩნდა შვედმა ქიმიკოსმა შელემ მინერალ პიროლუზიტში. მასზედ მარილმჟავას მოქმედებით მიიღო მერთალი ვარდისფერი ქლორიდი $MnCl_2$. ლითონური მანგანუმი პირველად მიიღო შვედმა ქიმიკოსმა პანდა პიროლუზიტიდან, რომელიც მას შელემ გაუგზავნა. პიროლუზიტიდან მან გააკვთა პატარა ბურთულები, დაუმატა ზეთი და ძლიერ გაახურა ტიგელში ხის ნახშირთან ერთად, მიიღო ლითონის ბურთულები. ეს იყო მანგანუმი.

მანგანუმის სამშობლო საქართველოა (ჭიათურა), საიდანაც მარაგდებოდა მთელი მსოფლიო. საქართველოში ხდებოდა მისი გასუფთავება და სუფთა, კრიალა, ლამაზი მიემგზავრებოდა სხვადასხვა ქვეყნებში. ჭიათურის მადანი შედგენილობით უნიკალურია. უამრავი ან/და ამგვარი სიმდიდრე არსად სხვა ქვეყანაში არ მოიპოვება. არსად არ არის შავი ქვა ასე ადვილად დასამუშავებელი, როგორც საქართველოში. ჭიათურის შავი ქვის აღმომჩენი და წერაქვის პირველ დამკერელიც დიდი აკაპი წერეთელი იყო. იგი თვლიდა, რომ შავი ქვა გაამდიდრებდა მთელ ქართველ ხალხს და საქვეუნოდ გაუთქვამდა სახელს მის სამშობლოს. მანგანუმი მოვერცხლისფრო ლითონია, რომელიც თავისი ფიზიკური და ქიმიური თვისებებით ძალიან წააგავს რკინას. ბუნებაში იგი უფრო ხშირად განგბადის,

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

გოგირდის და ქლორის ნაერთების სახით გვხვდება. ასეთი ნაერთები წარმოადგენებ მყარ, არააქროლად ნივთიერებებს, თუმცა მათი მტკერი შესაძლოა გაიფანტოს ჰაერში ან გაიხსნას, ამიტომაც მანგანუმის დაბალი კონცენტრაციები გვხვდება ტბებში, მდინარეებში, ზღვებსა და ოკეანებში. მაგალითად ჰაერში მანგანუმის ნორმალური დონეა 0,01 მგგ/მ³.

მანგანუმის ნაერთები გამოიყენება კატალიზატორად, მინის გასაწმენდად, მომინანქრებისა და მოჭიქურებისათვის. აგრეთვე იყენებენ სასუქად, ფოტოგრაფიაში, პიროტექნიკაში.

მანგანუმს მცირე რაოდენობით შეიცავს ტყის უავისფერი და შავმიწა ნიადაგები. ყველაზე დიდი რაოდენობით – მდელოს ბიცობი და მთამდელოს ტორფიანი ნიადაგები. მანგანუმი მიეკუთვნება იმ ელემენტებს, რომელთაც არსებობა შეუძლიათ დაქანგვის რვა სხვადასხვა მდგომარეობაში, მაგრამ ბიოლოგიურ სისტემებში ძირითადად ორ მდგომარეობაში გვხვდება, კერძოდ Mn³⁺ და Mn²⁺. ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო მანგანუმს ორგანიზმი საკვებთან ერთად დებულობს. მანგანუმს თითქმის ყველა საკვები პროდუქტი შეიცავს. მცენარეული საკვებიდან იგი განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა ჩაის ფოთოლში, კაკალში, მარცვლეულში, პარკისანთა თესლებში, ძირსვენებში. ხოლო ხორცი, თევზი, რძის პროდუქტები და კვერცხი მანგანუმს მცირე რაოდენობით შეიცავს. მას თითქმის ყველა მცენარეული და ცხოველური ორგანიზმი შეიცავს. იგი აქტიურ როლს ასრულებს ნივთიერებათა ცვლაში. მანგანუმს ყველაზე დიდი რაოდენობით შეიცავს ფილტვები და კუნთები, ლინდი, თავის ტვინი, თირკმელები, ელენთა, ძვლები. მანგანუმს შეიცავს უჯრედის მიტოქონდრიები, ქლოროპლასტები, ქსოვილები. ყოველივე ეს მიუთითებს მისი მონაწილეობის აუცილებლობაზე ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესებში. ბიოლოგიურ პროცესებში მანგანუმის როლი ძალზე დიდია. მანგანუმს გარკვეული რაოდენობით შეიცავს ვაზის ტოტები – 100 გრამ მშრალ მასაზე გადაანგარიშებით – 191 მგ, ფენიციტი – 130 მგ, ნაყოფი კი – 70 მგ მანგანუმს შეიცავს. ადამიანისა და ცხოველის სისხლში 0,01 მგ/ლ მანგანუმია, ცხვრის სისხლში კი – 0,06 მგ/ლ. ადამიანის თრგანიზმი მანგანუმს დებულობს ძირითად მცენარეული კვების პროდუქტების მეშვეობით. მანგანუმის დღვეული მოთხოვნილება 5-7 მგ-ს შეადგენს. მანგანუმი უშეალოდ არის დაკაგშირებული ფერმენტებთან, პორმონებთან და ვიტამინებთან. სწორედ ამიტომაა, რომ იგი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ორგანიზმის სხვადასხვა ფუნქციაზე, კერძოდ მონაწილეობს ცხოველთა ორგანიზმში ასკორბინის მჟავას სინთეზში. მანგანუმი მონაწილეობს ნივთიერებათა ცვლაში. მცენარეებში იგი აჩქარებს ქსოვილის წარმოქმნას, აძლიერებს ფოტოსინთეზის აქტიურობას, ზრდის ხორბლისა და ბამბის მოსავალს. მანგანუმი შედის დამჟანგველი ფერმენტების შედგენილობაში, აუმჯობესებს მცენარეთა დაცვის ფუნქციას. ი. მიჩურინბა ნუშებე გამოსცადა მანგანუმის შემცველი სხარის მოქმედება. ნუში სწრაფად გაიზარდა. მეორე წელს 180 სმ მიაღწია და მოსავალიც მისცა. მანგანუმის სასიკეთო მოქმედება ნიადაგშიც გაგრძელდა. მანგანუმი აჩქარებს ლიმონის ხის განვითარებას. ნიადაგში მანგანუმის მარილების შეტანით იგი ექსი თვით ადრე იწყებს უვავილობას და 2-ჯერ მეტ ყვავილს გამოიდებს, ხენდროს მოსავალი 1 ჰა-ზე 30 ც-მდე იზრდება, თანაც ნაყოფი უფრო მსხვილი და ტკბილია. მასში C ვიტამინის შემცველობა 15%-ით მატულობს. ხორბლის მარცვალში სახამბლის შემცველობა 20%-ით იზრდება. პური ფაფუქი და გემრიელი ცხვება. სიმინდის მოსავალი 40-50%-მდე იზრდება. საშემოდგომო ხორბლის მოსავალი 1 ჰა-ზე 4-4 ც-ით, ასევე თამბაქოს მოსავალიც. საქართველოში წარმატებით იყენებენ მანგანუმ-აზოტის სასუქის ახალ სახეობას (25-30% N₂ და 2-4% Mn). სასუქი მზადდება მეტალურგიულ ქარხებში მაღნის გადამუშავების შედეგად შიდებული ნარჩენებისაგან. ეს სასუქი ჩაის ფოთლების მოსავალიანობას ზრდის 15%-ით. მანგანუმის სასუქი ზრდის მწვანე მასის მოსავალიანობას და შაქრიანობას. მანგანუმი სპეციფიკურ გავლენას ახდენს ცხოველთა გამრავლებაზე. პათოლოგიური სიმსუქნე, რომელც გამოწვეულია რაციონში მანგანუმის დაფიციტით, შეიძლება განიკურნოს ამ მიკროელემენტის ორგანიზმში დამატებითი შეტანით. მანგანუმის მარილები ხელს უწყობს ფოსფორისა და კალციუმის შეთვისებას. ექსპერიმენტულად დადგენილია, რომ ორგანიზმში მანგანუმის შემცველობის შემცირება იწვევს ძვლის ქსოვილების დეგენერაციას. ამ დავადების განკურნება შეიძლება საკედო მანგანუმის მარილების და არა D ვიტამინის დამატებით, როგორც ადრე თვლიდნენ. მანგანუმი აძლიერებს გლიკოგენის სინთეზს. ცხოველთა ორგანიზმებში მანგანუმი რკინასთან, კობალტთან და სპილენბთან ერთად მონაწილეობს სისხლის წარმოქმნაში, აძლიერებს C და B ვიტამინების მოქმედების ეფექტურობას და დადგებით გავლენას ახდენს ნახშირწყლების ცვლაზე. ფრინველთა ორგანიზმებში მანგანუმის დაფიციტი იწვევს ძვლის დაშლას, მანგანუმი მონაწილეობს ცილების სინთეზში (პეტილური ბმების წარმოქმნაში), ამინომჟავათა ცვლაში

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

(სერინის, გლიცინის), მოქმედებს სქესობრივ სიმწიფეზე, ნაყოფიერებაზე, ხელს უწყობს სისხლწარმოქმნის პროცესებს, ააქტიურებს ფერმენტებს და მიღებებს სისხლის შრომის განვითარების და ორნიტინად, მონაწილეობს ორნიტინის ციკლში, აუკენელებს ამიაქს, ფოსფატაზას. იგი წარმოქმნის კომპლექსს ლიმონმეავასთან, მონაწილეობს მცენარეთა ზრდა-განვითარების და ნაყოფების ფორმირების პროცესში. მანგანუმის ქლორიდი კონცენტრაციის მიხედვით განსხვავებულ გავლენას ახდენს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე. მცირე კონცენტრაცია ხანგრძლივად აღაგზნებს, ხოლო შემდგომ სრულად თრგუნავს მას. მანგანუმის ქლორიდს სპილენძის მარილებთან ერთად მეტი მასტიმულირებელი გავლენა აქვს ერთოპროცესზე, ვიდრე ცალკე აღებულ მანგანუმისა და სპილენძის მარილებს. მანგანუმი ზრდის ფაგოციტოზე და ამით დადგებითად მოქმედებს იმუნოგენეზე, მანგანუმი მონაწილეობს იოდის შევსებასა და ფარისებრი ჯირკვლის პორმონების სინთეზში. ამრიგად, მანგანუმის უქმარისობასთან არის დაკავშირებული ფარისებური ჯირკვლის გადიდება.

მანგანუმი მანგანუმის ბიოლოგიური ანალოგია. ზოგიერთ მანგანუმშემცველ ფერმენტში (არგინაზა, ფოსფოტრანსფერაზები) მისი შეცვლა სხვა ლითონით შეუძლებელია. მანგანუმშემცველი ფერმენტების გარეშე შეუძლებელია ბევრი სპეციფიკური მეტაბოლური პროცესების განხორციელება. ფერმენტი არგინაზა ახდენს არგინინის ჰიდროლიზს შარდოვანას წარმოქმნით. ეს არის ადამიანის ორგანიზმში ამინოქმედების მეტაბოლიზმის საბოლოო პროცესი. Mn^{2+} იონები არგინაზას კოფაქტორია და აუცილებელია მის გასანეიტრალებლად. Mn^{2+} წარმოადგენს ზოგიერთი ფოსფატ-გადამტანი ფერმენტების კოფაქტორს, ასევე იმ ფერმენტების კოფაქტორს, რომლებიც უზრუნველყოფენ მცენარეთა ქლოროპლასტებში ფოტოსინთეზის პროცესში ჟანგბადის გამოყოფას. მანგანუმი ააქტივებს დეზოქსირიბონუკლეაზას, ზოგიერთ ჰეპატიზას, ჟექსონიზას, ფოსფოგლუკომებაზას. მცენარეებში მანგანუმის უქმარისობა იწვევს ქლოროფიზს (მცენარის დაავადება, რომლის დროსაც ფოთლები და ყლორტები კარგავს მწვანე შეფერილობას), ხოლო ნიადაგში ჭარბი რაოდენობა უარყოფითად მოქმედებს მცენარეთა ზრდა-განვითარებაზე. მანგანუმს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დვიძის ქსოვილში მიმდინარე ჟანგბის პროცესებში. მანგანუმით დარიბია სიმინდი და ქერი, ამიტომ ფრინველებს, რომლებიც იკვებებიან ამ საკვებით, უკითარდებათ ქველების დეფორმაცია, მცირდება კერცხისმდებლობა, ადგილი აქს ცოცხალ წონაში დაკლებას, ვითარდება დავადება პერიოდის. მანგანუმს დიდი რაოდენობით მოითხოვენ ფრინველები – 1 კგ მასაზე 40 მგ-ს, ძროხა – 20 მგ, ბაჭიები 6-7 მგ. მანგანუმის ნაკლებობა იწვევს უნაყოფობას და ლაქტაციის აერიოდის შემცირებას. მანგანუმი მონაწილეობს თვალის ბადურის ფუნქციონირებაში. ის ხელს უწყობს ნიტრატული აზოტის აღდგენას და ამიაკის დაჭინვებას, რის შედეგადაც მცენარეებში ძლიერდება ნივთიერებათა ცვლა და ორგანულ ნივთიერებათა სინთეზი. მანგანუმი მონაწილეობს ნუკლეინის მჟავების სტრუქტურის ფორმირებაში, ნუკლეოპროცესით სინთეზში. მანგანუმის შემცველი თივით საქონლის კვებისას იზრდება წველადობა და ხანგრძლივება ლაქტაციის აერიოდი. მანგანუმი ხელს უწყობს ნიტრატებიდან აზოტის აღდგენას. მცენარეებში მანგანუმის ნაკლებობისას იზრდება რკინის შემცველობა, რაც იწვევს მცენარის მოწამვლას. მანგანუმის შემცველობის ფორმა ადამიანის და ცხოველის ქსოვილებში ძალზე მრავალფეროვანია. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ადამიანის ზურგის ტიპის სითხეში, რომლიც გამოიჩევა მცირე შემცველობით, მანგანუმი არის ხელატური კომპლექსის სახით. მანგანუმის განაწილება და გამოყოფა მრავალმა მკვლევარმა შეისწავლა. ვირთაგვებზე ჩატარებული ექსპერიმენტით დადგენილია, რომ პირის ღრუს საშუალებით შევვანისას, მანგანუმის მხოლოდ 3-4%-ს შეიწოვს ორგანიზმი. შეწოვილი მანგანუმი სწრაფად ვლინდება ნადველში და გამოიყოფა განავალთან ერთად. ქსოვილებში მანგანუმის ფარდობით შემცველობის მუდმივობა აიხსნება მისი გამოყოფის რეგულირებით და არა შეწოვის კონტროლით. ნადველში მანგანუმის შემცველობა გავლენას ახდენს ბილირუბინის შემცველობაზე. ძვლის ქსოვილის დაშლა ხდება მანგანუმის დეფიციტის დროს. უკანასკნელი გამოკვლევებით დადგენილია, რომ მანგანუმი აუცილებელია გამრავლების ნირმალური ფუნქციის შენარჩუნებისათვის. მანგანუმი სპერმატოგენეზში იდგნს საკვიფიკურ მონაწილეობას, მაგრამ დღეისათვის არსებული მონაცემები ვერ სხინან მოქმედების მექანიზმს.

მანგანუმი მონაწილეობს ერითროციტებისა და ჰემოგლობინის წარმოქმნაში, რაც ცალსახად მტკიცდება ექსპერიმენტით. კლინიკური დაკვირვებით მიკველეულია, რომ მისი ოპტიმალური დოზა გავლენას ახდენს ორგანიზმის მიერ სპილენძის შეთვისებაზე. სპილენძისა და მანგანუმის ერთდროული მიღების დროს სწრაფად იზრდება სისხლის წითელი ბურთების მაჩვენებელი. არსებობს

პედაგოგთა ქვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

ლიტერატურული მონაცემები, თითქოს მანგანუმი მაღალი კონცენტრაციის დროს სპილენძთან ერთად წარმოქმნის კომპლექსებს და ორგანიზმისათვის მიუღწეველია. მანგანუმი სისხლის წარმოქმნაზე დაღვით გავლენას ახდენს სხვა მიკროელემენტებთან – სპილენძთან, კობალტთან და რეინასთან – ერთად. მანგანუმის მონაწილეობა ინსულინის სინთეზში რაოდენობრივად არ არის დადგენილი, მაგრამ სრულიად შესაძლებელია, რომ იგი ქლესტერინისა და ცხიმოვანი მჟავების სინთეზს ასტიმულირებდეს. ლიპიდურ მიმოცვლაში მანგანუმის მონაწილეობა დადგენილია, მაგრამ მისი მოქმედების მექანიზმი აუსანელია. ბოცვრების და ვირთაგვების არგინაზული აქტივობა მცირდება მანგანუმის დეფიციტის დროს. სხვადასხვა ცხოველებს სხვადასხვა მოთხოვნილება აქვთ მანგანუმზე. ფრინველებს უფრო მეტი მოთხოვნილება აქვთ, ვიდრე ძუძუმწოვრებს. მანგანუმის მაღალი კონცენტრაცია ხელს უშლის ფოსფორის შეთვისებას. მანგანუმი ააქტიურებს გლუკოზის ფოსფორილირებას, პიროყურძნის მჟავას წარმოქმნის პროცესს, ააქტიურებს ძვლისა და მარილების დაგროვებას, რაც სიმტკიცეს და სიმაგრეს ანიჭებს ძვალს. მანგანუმის გავლენით ძლიერდება ზრდის პროცესი, სისხლის წარმოქმნა, გამააქტივებლად მოქმედებს პიპოფიზსა და სასქესო ჯირკვლების ფუნქციაზე.

მანგანუმის დეფიციტისას ფერხდება ზრდა, აღინიშნება დარღვევები ძვლებისა და კბილების ფორმირებაში. ასევე მანგანუმი მონაწილეობს მეორადი სასქესო ნიშნების ჩამოყალიბებაში, განსაკუთრებით აუცილებელია იგი ახალგაზრდა ორგანიზმისათვის. მანგანუმი შედის ზოგიერთი ფერმენტის (სუპერენერენიზმუტაზა, არგინაზა და სხვ.) შემადგენლობაში. მანგანუმი წარმოადგენს ბევრი სხვა ფერმენტული სისტემის კოფაქტორს და აქტივატორს. ნახვენებია აგრევე, რომ მანგანუმი აუცილებელია შემაერთებელი ქსოვილისა და ძვლების ფორმირებისათვის, ენდოკრინული და რეპროდუქციული სისტემის ნორმალური მოქმედებისათვის. მანგანუმი მნიშვნელოვანია თავის ტკინის განვითარებისათვის და მეტაბოლიზმისათვის, ასევე ოქსიდანტური დაზიანებებისაგან დაცვისათვის. იგი როგორც ანტიოქსიდანტი, დიდ როლს ასრულებს სუპროქსიდისმუტაზას ფუნქციის განხორციელებაში, რაც მირითადად გამოიხატება სუპერენერენიდული თავისუფალი რადიკალების დამანგრევების შეწერებაში.

ორგანიზმში მანგანუმის ნორმალური დონის არსებობა მეტად მნიშვნელოვანია. საზიანოა მისი როგორც ნაკლებობა, ასევე სიჭარბე. ადამიანების ორგანიზმში მანგანუმის დონის სერიოზული დაქვეითება არ არის აღრიცხული, მანგანუმის დეფიციტი იწვევს ორგანიზმის ყველა უჯრედის ინტეგრაციის დარღვევას.

ცხოველებზე ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ მანგანუმის დეფიციტი იწვევს დეფიციტურ ფულებისას, ტესტიკულარულ დეგენერაციისას და მოზარდთა სიკვდილიანობასაც კი. მანგანუმის ძლიერი დეფიციტის შედეგად მამრ ცხოველებში ვითარდება სტერილება. ფიქრობენ, რომ მანგანუმის ნაკლებობისას ფერხდება სასქესო პრომონის და შესაძლოა სხვა სტერილების სინთეზი ყველა თანმხელები შედეგით. რეპროდუქციის პროცესში შეინიშნება სათესლე ჯირკვლების შექცევადი დეგენერაცია, ფერხდება მენსტრუალური ციკლი, ახალშობილებში ვითარდება ატაქსია, მაკე ღორებში ნაყოფი განიცდის ნივთიერებათა ცვლის დარღვევას. ცილოფანი კომპლექსის სახით მანგანუმი სისხლით ორჯერ უფრო აქტიურად შთაინოქმება და ორჯერ უფრო სანგრძლივი დროით ინახება ღვიძლში.

სხვადასხვა ავტორების მონაცემები თრგანიზმისათვის მანგანუმის იონების დღიური ნორმის შესახებ ფრიად განსხვავებულია. FDA-ს მონაცემების მიხედვით ქალებისათვის იგი შეადგენს 2,2 მგ-ს, მამაკაცებისათვის 2,7 მგ-ს. სხვადასხვა ავტორები მიუთითებენ, რომ მანგანუმის დღიური მოთხოვნილება 0,7-10,9 მგ-ია. ადამიანის ორგანიზმში მანგანუმის უკმარისობა არ არის შემჩნეული. მანგანუმით ქრონიკული მოწამვლის ხშირი შემთხვევებია იმ რაიონებში, სადაც მანგანუმის შემცველ მაღნებს ამჟავებენ. მოზრდილი ადამიანის ორგანიზმი შეიცავს 12-12 მგ-მდე მანგანუმს. მისი კონცენტრაცია მიტოქონდრიებში უფრო მაღალია, ვიდრე ციტოპლაზმაში და უჯრედის სხვა ორგანოებში. ჩვეულებრივ მოზრდილი ადამიანის ძვალში, ღვიძლში, თირკმელში, კუჭქვეშა ჯირკვალსა და პიპოფიზში მანგანუმის კონცენტრაცია უფრო მაღალია (1-3 მგ/კგ), ვიდრე სხვა ორგანოებში. სისხლში მისი შემცველობა ძალზე ცვალებადია. მწვავე ქრონიკული უკმარისობის დროს, მანგანუმის შემცველობა სისხლში თითქმის ყოველთვის გაზრდილია. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს დიაგნოსტიკისათვის. ორგანიზმში მანგანუმის შემცველობა იზრდება აგრეთვე თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი და ქრონიკული ქოლეცისტიტის დაავადებების დროს. დადგენილია, რომ ორგანიზმის ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის აუცილებელია საკვებ რაციონში მანგანუმის შემცველობა.

პედაგოგთა ევალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“
ბუნებრივ პირობებში მანგანუმი ადამიანის და სხვა ძუძუმწოვრების ორგანიზმში ხვდება საჭმლის მომნელებელი და სასუნთქი გზების მეშვეობით, აგრეთვე უმნიშვნელო რაოდენობით კანის მეშვეობით. მანგანუმის შეთვისება ახალგაზრდა ორგანიზმებში ბევრად უფრო ინტენსიურია, ვიდრე ზრდასრულებში. ადამიანის და ცხოველთა ორგანიზმებში მანგანუმი უპირატესად გროვდება დეიდლში, პანკრეასში, ძვლებში, თმაში, თავის ტვინში. ადამიანის თავის ტვინში მანგანუმის ნორმალურ დონე განისაზღვრება 1-2 მგ/კგ მშრალ წონაზე გადათვლით. ამასთანავე, მანგანუმს ახასიათებს კარგად გამოხატული კუმულაციური ეფექტი. აღწერილია შემთხვევები, როდესაც ადამიანებს მანგანუმთან ხანგრძლივი კონტაქტის შეწყვეტილან თვეებისა და წლების განმავლობაში, შარდში აღენიშნებოდა ნორმასთან შედარებით მანგანუმის გაზრდილი კონცენტრაცია.

მრავალი დაავადების დროს (მაგალითად, ინფექციური პეპატიტი, ფილტვის ტუბერკულოზი და სხვ) სისხლში მანგანუმის შემცველობა იზრდება, ხოლო წყლულოვანი და ზოგი სხვა დაავადების დროს შეინიშნება მანგანუმის დონის შემცირება სისხლში. ცნობილია აგრეთვე, რომ მანგანუმი ზრდის სისხლის შრატის ანტიტაქსიკურ მოქმედებას. ამრიგად, ნათლად ჩანს, რომ მანგანუმი ერთ-ერთი შეუცვლელი მიკროელემენტია. ექსპერიმენტულად დამტკიცებულია, რომ მანგანუმის მოქმედება ძლიერდება მიკროელემენტების სპილენძის, თუთის და კობალტის თანაობისას. ცხოველთა რაციონში მიკროელემენტების თუთია-მანგანუმი-სპილენძის ნარევის შეტანა იძლევა მასის 25%-ით გაზრდის საშუალებას.

ლიტერატურა – References

1. ელ. ყიფიანი, ქიმიური ელემენტების და მათი ნაერთების პრაქტიკული გამოყენება და ბიოლოგიური როლი. თბ., 1994წ.
2. ბიოქიმია კლინიკური კორელაციებით, რედაქტორი თომას მ. დევლინი, 2008წ.
3. Крю Е. Д., Биохимия. Биологические аспекты. М., 1979 г.
4. Терлецкий Е. Д., Металлы которые всегда с тобой. 1966 г.
5. Макарченко А. Ф., Изменения нервной системы при интоксикации марганцем. Киев, 1956г.

Chkhartishvili N., Kikalishvili M.

Biological aspects of manganese

Summary

Manganese is an essential trace element. It is included in the group of 10 so called "metals of life". Manganese plays a significant role in living organisms. Almost all plants and animal organisms contain a certain amount of manganese. It has a positive effect on the growth, development and reproduction of organisms. Manganese salts promote the absorption of calcium and phosphorus. Reduction of manganese causes degenerative changes in the bone tissue. This disease can be cured by adding vitamin D and manganese salts in food. Depending on the concentration of manganese chloride, it has a different effect on the central nervous system – in small doses, causes prolonged[^] excitement, while increased concentration completely inhibits its activity. Manganese promotes phagocytosis and thus exerts a positive effect on immunogenesis. A great number of the specific metabolic processes cannot be performed without the participation of manganese-containing enzymes. Manganese deficiency in plants causes chlorosis. The presence of manganese is very important for the oxidation processes occurring in the liver. In cerebrospinal fluid of birds it is presented in the form of a manganese complex. Manganese participates in the process of the formation of erythrocytes and hemoglobin. In organisms the increase in the manganese content contributes to the development of various disorders.

**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Akaki Tsereteli State University**

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

ნანა ჯულაშვილი, ნინო მარგვალაშვილი

ადამიანის ორგანიზაციის საბუთარი ველუბი

ნებისმიერ სხეულში მიმდინარე პროცესები მის ირგვლივ აღძრავს სხვადასხვა ფიზიკურ ველუბს. ამ თვალსაზრისით არც ადამიანია გამოჩაბლისი. ორგანიზმის ფუნქციონირების პროცესში გენერირებულ ფიზიკურ ველუბს უწოდებენ ადამიანის საკუთარ ფიზიკურ ველუბს.

ფიზიკის თვალსაზრისით, საინტერესოა საკითხი – ორგანიზმის საზღვრებს გარეთ ინფორმაციის გადაცემის გზების შესახებ. შედარებით ხშირად ახსენებენ ჰიპოთეზას მეცნიერებისათვის უცნობი ბიოველების არსებობის შესახებ. ამ გაურკვეველი ტერმინის დახმარებით შეიძლება ამოიხსნას ნებისმიერი პრობლემა. საკითხის შეხწავლის მეცნიერული გზა კი გულისხმობს ჯერ ყველა არსებული რაციონალური ჰიპოთეზის ანალიზს, ხოლო შემდეგ თუ ისინი არ დადასტურდა, აუცილებელია რაღაც ახლის გამოგონება. ამ თვალსაზრისით, ბიოველების ბუნებრივი ალტერნატივა ბიორბივურების ფიზიკური ველუბი.

ადამიანის სხეულის ფიზიკური ველუბის სახები. ადამიანის ირგვლივ არსებობენ ელექტრომაგნიტური და აკუსტიკური ველები (გრავიტაციულ ველებს და ელექტროარულ ნაწილაკებს ამჯერად არ განვიხილავთ).

შეიძლება გამოვყოთ ელექტრომაგნიტური გამოსხივების 4 დიაპაზონი: ელექტრული ველუბი, მაგნიტური ველუბი, დეციმეტრული დიაპაზონის ზემაღალსის შირული ელექტრომაგნიტური ტალღები, ინფრაწითელი დიაპაზონის ელექტრომაგნიტური ტალღები და აუსტიკური გამოსხივების 3 დიაპაზონი: დაბალსის შირული რხევები, კოხლევარული აკუსტიკური ემისია, ულტრაბგერითი გამოსხივება, რომელთა ფარგლებში ამჟამად მიმდინარეობს კვლევა.

ელექტრომაგნიტური ველები. საბუთარი ელექტრომაგნიტური გამოსხივების დიაპაზონი მოკლე ტალღების მხრიდან შემოსაზღვრულია ოპტიკური გამოსხივებით (ხილული სინათლე), უფრო მოკლებალდიანი გამოსხივება – რენტგენისა და γ-კვანტის ჩათვლით არ არის დარეგისტრირებული. გრძელი ტალღების მხრივ, დიაპაზონი შემოიფარგლება დაახლოებით 60სმ-ით. ელექტრომაგნიტური ველის ოთხი დიაპაზონი ზრდის მიხედვით მოიცავს:

- 1) დაბალი სიხშირის ელექტრულ და მაგნიტურ ველს (10^3 ჰერცზე დაბალი სიხშირები);
- 2) ზემაღალი სიხშირის რადიოტალღებს (10^9 – 10^{10} ჰც სიხშირები, სხეულს გარეთ ტალღის სიგრძე 3–60სმ);
- 3) ინფრაწითელ გამოსხივებას (10^{14} ჰც სიმირე, ტალღის სიგრძე 3–10 მეტ);
- 4) ოპტიკურ გამოსხივებას (10^{15} ჰც სიხშირე, 0,5მ რიგის ტალღის სიგრძე).

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

დიაპაზონების ასეთი არჩევანი განპირობებულია არა თანამედროვე ელექტრონიკის ტექნიკური შესაძლებლებით, არამედ ბიოლოგიური ობიექტების თავისებურებებით.

ელექტრომაგნიტური გელების წყაროები სიხშირეთა სხვადასხვა დიაპაზონში სხვადასხვა. დაბალი სიხშირის გელები ძირითადად აღიძგრება ფიზიოლოგიური პროცესების მიმღინარეობისას, რასაც თან სდევს ორგანოთა ელექტრული აქტივობა: ნაწლავის (~1 წთ), გულის (პროცესების მახასიათებელი დრო 1 წთ), ტვინის (~0,1 წმ), ნერვული ბოჭკოების (~10 მწ). ამ პროცესების შესაბამისი სიხშირეთა სპექტრი არა უმეტეს ~15-ის ტოლია.

ზემადალი სიხშირისა და ინფრაწითელ დიაპაზონში ფიზიკური გელების წყაროა სითბური ელექტრომაგნიტური გამოსხივება.

სითბური გამოსხივების გაზომვა ადამიანის სხეულის ტემპერატურის განსაზღვრის საშუალებას იძლევა, რადგანაც ტემპერატურის ზრდასთან ერთად იცვლება სითბური გამოსხივების სპექტრული დამოკიდებულებაც. დადგენილია, რომ სულ რაღაც 20K-ით ტემპერატურის გადიდება იწვევს გამოსხივების ინტენსივობის 1,5-ჯერ ზრდას.

აკუსტიკური გელები. აკუსტიკური გამოსხივების დიაპაზონი გრძელი ტალღების მხრიდან შემოფარგლულია ადამიანის სხეულის ზედაპირის მექანიკური რხევებით (0,01 ჰც), ხოლო მოკლე ტალღების მხრიდან კი ულტრაბერიოთ გამოსხივებით, კერძოდ ადამიანის სხეულიდან დარღვესტრირებულია 10 მჟც რიგის სიხშირის სიგნალები. აკუსტიკური გელის სამი დიაპაზონი მოიცავს: 1) დაბალი სიხშირის რხევებს (10^3 ჰერცზე დაბალი სიხშირები); 2) კოხლეარულ აკუსტიკურ ემისიას (კაე)–გამოსხივებას ადამიანის ყურიდან (~ 103 ჰც); 3) ულტრაბეგრიოთ გამოსხივებას ($\sim 1-10$ მჟც).

აკუსტიკური გელების წყაროებს სიხშირეთა სხვადასხვა დიაპაზონში განსხვავებული ბუნება გააჩნია. დაბალსიხშირული გამოსხივება აღიძგრება ფიზიოლოგიური პროცესების შედეგად. კერძოდ, სუნთქვითი მოძრაობებით, გულისცემით, სისხლძარღვებში სისხლის დინებით და სხვა ისეთი პროცესებით, რომლებიც თან სდევს ადამიანის სხეულის ზედაპირის რხევებს $0,01-10^3$ ჰერცის დიაპაზონში. ამ გამოსხივების ზედაპირული რხევების სახით დარღვესტრირება შესაძლებელია როგორც კონტაქტური, ისე არაკონტაქტური მეთოდებით, თუმცა პრაქტიკულად შეუძლებელია მისი გაზომვა დისტანციურად – მიკროფონის საშუალებით, რადგან სხეულის სიღრმიდან მომავალი აკუსტიკური ტალღები გამყოფი საზღვრიდან – „კაერი – ადამიანის სხეული“ – პრაქტიკულად მთლიანად აირეკლებიან უკუმიმართულებებით და არ გამოდიან სხეულის გარეთ, ჰაერზე. ადამიანის სხეულის ქსოვილებისა და წყლის სიმპრივე ერთნაირი სიდიდებია, ამიტომ ბერითი ტალღების არეკლის კოეფიციენტი დაახლოებით ერთის ტოლია და სამი რიგით მაღალია ჰაერის სიმკვრივეზე.

ხმელეთის ყველა ხერხემლიან ცხოველს გააჩნია სპეციალური ორგანო – ყური, რომელშიც ხორციელდება კარგი აკუსტიკური შეთანხმებულობა ჰაერსა და თხევად გარემოს შორის. შუა და შიგა ყური უზრუნველყოფს ბერითი ტალღების თითქმის უდანაკარგოდ გადაცემას შიგა ყურის რეცეპტორულ უჯრედებამდე. შესაბამისად, შესაძლებელია განხორციელდეს უკუპროცესი – ყურიდან გარემო არეში და ეს აღმოჩენილია ექსპერიმენტულად ყურის არხში მოთავსებული მიკროფონის საშუალებით.

მეგაურცელი დიაპაზონის აკუსტიკური გამოსხივების წყაროა სითბური აკუსტიკური გამოსხივება, რომელიც შესაბამისი ელექტრომაგნიტური გამოსხივების სრული ანალოგია. იგი აღიძგრება ადამიანის სხეულის ატომებისა და მოლეკულების ქაოსური სითბური მოძრაობის შედეგად. აღნიშნული აკუსტიკური და ელექტრომაგნიტური ტალღების ინტენსივობა განისაზღვრება სხეულის აბსოლუტური ტემპერატურით.

განვიხილოთ ადამიანის სხეულიდან გამოსხივებული თითოეული სახის ფიზიკური გელები.

დაბალი სიხშირის ელექტრული და მაგნიტური გელები. ადამიანის ელექტრული გელი არსებობს როგორც სხეულის ზედაპირზე ასევე მის გარეთაც. ადამიანის სხეულის გარე ზედაპირზე ელექტრული გელის წარმოქმნა ძირითადად განაირობებულია ტრიბომუხებებით, ანუ მუხტებით, რომლებიც აღიძგრება სხეულის ზედაპირის ტანსაცმელთან ან რომელიმე დიელექტრიკულ საგანთან ხახუნის შედეგად. ამასთან, სხეულზე იქმნება რამდენიმე ვოლტის რიგის ელექტრული პოტენციალი. ელექტრული გელი განუწვევდება იცვლება დროში: პირველ რიგში ხდება ტრიბომუხებების ნეიტრალიზაცია – ისინი მცირდებიან $\sim 100-1000$ მჟავაში; მეორეს მხრივ, სხეულის

პედაგოგთა ქვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“
გეორგიურის ცვლილება სუნთქვითი მოძრაობების, გულის ცემის და სხვა პროცესების შედეგად, იწვევს სხეულის გარეთ მუდმივი ელექტრული ველის მოდულაციას.

ადამიანის სხეულის გარე ზედაპირზე ელექტრული ველის კიდვე ერთი წყაროა გულის ელექტრული ველი. სხეულის ზედაპირთან ორი ელექტროდის მიახლოებისას, უკონტაქტოდ და დისტანციურად შესაძლებელია ისეთივე კარდიოგრამის დარეგისტრირება, როგორსაც ღებულობენ ტრადიციული, კონტაქტური მეთოდით. აღსანიშნავია, რომ ეს სიგნალი ბევრად ნაკლებია ტრიბომუხებების ველებთან შედარებით.

მედიცინაში ადამიანის სხეულთან დაკავშირებული ელექტრული ველების გაზომვის უკონტაქტო მეთოდმა თავისებური გამოყენება პპოვა გულმკერდის დაბალსისშირული მოძრაობის გასაზომად. პაციენტის სხეულს გადასცემენ ~10 მს სიხშირის ცვლად ელექტრულ დაბატულობას, ხოლო რამდენიმე ანტენა-ელექტროდს მიუახლოებენ გულმკერდთან 2–5 სმ-ის მანძილზე. ანტენა და სხეული წარმოადგენენ კონდენსატორის ორ ფირფიტას. გულმკერდის გადაადგილება ცვლის მანძილს ფირფიტებს შორის, ანუ კონდენსატორის ტევადობას და შესაბამისად, თოთოველი ანტენის მიერ გაზომვად ტევადურ დენს. ამ დენების გაზომვის საფუძველზე შესაძლებელია სუნთქვითი ციკლის დროს გულმკერდის გადაადგილების რუკის აგება. ნორმაში იგი უნდა იყოს მეტრის ძვლის მიმართ სიმეტრიულად განლაგებული. სიმეტრიის დარღვევა და ერთი მხრიდან მოძრაობის ამპლიტუდის შემცირება მიუთითებს ნეკნის ფარულ მოტეხილობაზე, რის გამოც ბლოკირებულია კუნთების შეკუმშვა გულმკერდის შესაბამის მხარეზე.

ელექტრული ველის კონტაქტური გაზომვის მეთოდმა დიდი გამოყენება პპოვა მედიცინაში, კერძოდ კარდიოგრაფიაში და ელექტროენცეფალოგრაფიაში (ეგგ).

ამ გამოკვლევებში მიღწეული პროგრესი განაპირობა გამოთვლითი ტექნიკის, მათ შორის პერსონალური კომპიუტერების გამოყენებამ.

როგორც ცნობილია, ელექტროგარდიოგრამის სიგნალის ამპლიტუდა ტოლია არა უმეტეს 1 მვ-სა, ხოლო ST სეგმენტის ამპლიტუდა კიდევ უფრო ნაკლებია. ამავე დროს სიგნალი ინიციება ელექტრონული ხმაურით, რაც დაკავშირებულია არარეგულარულ კუნთვანან აქტივობასთან. ამიტომ იუნებენ დაგროვების, ანუ ელექტროგარდიოგრამის მრავალი, თანმიმდევრულად მომავალი სიგნალების შეჯამების მეთოდს. ამისათვის ეგმ წაანაცვლებს ყოველ მომდევნო სიგნალს ისე, რომ მისი R პიკი გაუტოლდეს წინამორბედი სიგნალის R პიკს და ასე აგროვებს მრავალ სიგნალს რამდენიმე წუთის განმავლობაში. ამგვარი პროცედურისას სასარგებლო განმეორებადი სიგნალი იზრდება, ხოლო არარეგულარული დაბრკოლებები აქრობენ, ანუ თრგუნავენ ერთმანეთს. ხმაურის ჩაბმობის ხარჯზე შესაძლებელი ხდება ST კომპლექსის ფაქტი სტრუქტურის გამოყოფა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია სწრაფი სიკეთილის რისკის პროგნოზირებისათვის.

ნეიროჰირურგიული მიზნებისათვის გამოყენებულ ელექტროენცეფალოგრაფიაში პერსონალური კომპიუტერები თავის ტვინის ორივე ნახევარს ფერზე მოთავსებული 16-დან 32-მდე ელექტროდების პოტენციალების გამოყენებით ტვინის ელექტრული ველის განაწილების რუკის მყისიერი აგების საშუალებას იძლევა.

ყოველი რუკის აგება მოიცავს ოთხ პროცედურას:

- 1) ელექტრული პოტენციალის გაზომვა ყველა იმ წერტილში, სადაც მოთავსებულია ელექტროდები;
- 2) გაზომილი მნიშვნელობების ინტერპოლაცია (გაგრძელება) ელექტროდებს შორის განლაგებულ წერტილებზე;
- 3) მიღებული რუკის გასწორება;
- 4) რუკების შეფერადება პოტენციალის გარკვეული მნიშვნელობის შესაბამის ფერგბში.

საბოლოოდ, მიღება ეფექტური ფერადი გამოსახულებები. ამჟამად ძალიან გავრცელებულია რუკების კვაზიფერებში გამოსახვა, როცა ელექტრული ველის მნიშვნელობების მთელს დიაპაზონზე – მინიმალურიდან მაქსიმალურამდე გადანაწილებულია ფერთა გამა – ისფერიდან წითლამდე, რაც ექიმს უადვილებს როგორ სივრცითი განაწილების ანალიზს. საბოლოოდ მიღება რუკების თანმიმდევრული სერია, რომელზეც ჩანს, როგორ გადაადგილდება თავის ტვინის ქერქის ზედაპირზე ელექტრული პოტენციალის წყაროები.

ადამიანის სხეულის მაგნიტური ველს ქმნის დენები, რომლებიც გენერირდება გულისა და თავის ტვინის ქერქის უჯრედებით. იგი ძალიან სუსტია და დედამიწის მაგნიტურ ველზე 10 მლნ – 1 მილიარდჯერ უფრო ნაკლებია. მის გასაზომად იყენებენ ზეგამტარულ კვანტურ მაგნიტომეტრს –

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

სკვიდით შექმნილმა მაგნიტომეტრებმა მნიშვნელოვნად გააფართოვეს მაგნიტური ველის დაძაბულობის გაზომვის შესაძლებლობები. მათი მგრძნობელობა რამდენიმე რიგით აჭარბებს სხვა ტიპის მაგნიტომეტრული ხელსაწყოების მგრძნობელობას.

ბოლო წლებში სკვიდ მაგნიტომეტრი გახდა ძირითადი ხელსაწყო ბიომაგნიტური გამოკვლევების ჩასატარებლად, ანუ ცოცხალი ორგანიზმების ცხოველმყოფელობის პროცესებში წარმოქმნილი მაგნიტური ველების გასაზომად. აქედან გამომდინარე, ძალიან პერსპექტიულია მაგნიტონცევალოგრაფია, მაგნიტოპარდიოგრაფია, ნერვული იმპულსების მაგნიტური ველის გამოკვლევა და სხვა.

სკვიდ-მაგნიტომეტრების მუშაობის პრინციპი გასარკვევად აუცილებელია გაფეცნოთ ზეგამტარების მოვლენას. 1911 წელს კამერლინგ-ონექსმა შეძლო მივღო თხევადი პელიუმი. მან აღმოაჩინა, რომ 4K-ზე ოდნავ მაღალ ტემპერატურაზე ვერცხლისწყლის ელექტროწინაღობა ეცემა განუზომლად მცირე მნიშვნელობამდე. ტემპერატურას, რომლის დროსაც ხორციელდება ასეთ ზეგამტარულ მდგომარეობაში გადასვლა, ეწოდება კრიტიკული ტემპერატურა T_c .

სკვიდის ნორმალური მუშაობისათვის აუცილებელია მისი გაცივება 4K-მდე ამისათვის მას და მიმდებ კოჭებს ათავსებენ თხევადი პელიუმის შესანას სპეციალურ თერმოსტი – კრიოსტატში, კერძოდ მის ვიწრო, კულის ნაწილში, რომელსაც მაქსიმალურად უახლოებები ადამიანის სხეულს.

უკანასკნელ წლებში, „მაღალტემპერატურული ზეგამტარებლობის“ აღმოჩენის შემდეგ, იყენებენ სკვიდებს, რომლებიც საქმარისია გაცივდეს თხევადი აზოტის ტემპერატურამდე (77K). მათი მგრძნობელობა საქმარისია გულის მაგნიტური ველის გასაზომად.

ადამიანის ორგანიზმის და გარემო არის მაგნიტური ველის ინდუქცია (B)

ობიექტი	ინდუქცია B, ტლ
გული	10^{-11}
ტვინი	10^{-13}
დედამიწის ველი	$5 \cdot 10^{-5}$
გეომაგნიტური სმაური	$10^{-8} - 10^{-9}$
ბმრ ტომოგრაფის მაგნიტი	1

როგორც ცხრილიდან ჩანს, ადამიანის ორგანიზმი წარმოქმნილი მაგნიტური ველი რამდენიმე რიგით ნაკლებია დედამიწის მაგნიტურ ველთან, მის ფლუქტუაციებთან (გეომაგნიტური სმაური), ან ტექნიკური დანაღვარების ველებთან შედარებით. ამიტომ მათგან თავის ასარიდებლად, ზომავე არა მაგნიტურ ველს, არამედ მის გრადიენტს, ანუ მის ცვლილებას დორში.

ადამიანის მაგნიტოპარდიოგრამა და დინამიკური მაგნიტური რუკა. ადამიანის გულის მაგნიტური და ელექტრული ველის წყარო ერთი და იგივეა – მიოკარდის აგზნების უბნის გადანაცვლებადი საზღვარი. განასხვავებენ ამ უბნის კვლევის ორ მეთოდს: 1) მაგნიტოპარდიოგრამის (მპგ) გაზომვა და 2) დინამიკური მაგნიტური რუკის აგება (დმრ). პირველ შემთხვევაში, გაზომვას აწარმოებენ გულზე, რომელიმე ერთ წერტილში, რის შედეგადაც დებულობენ მაგნიტური ველის სიდიდის დროზე დამოკიდებულებას, რომელიც ხშირად, ფორმით ემთხვევა ტრადიციულ ელექტროპარდიოგრამას. დინამიკური მაგნიტური რუკის ასაგებად აუცილებელია, მკაფების კომპლექსის გაზომვა გულზე, სხვადასხვა წერტილებში. ამისათვის პაციენტს სპეციალურ, არამაგნიტურ საწოლზე, გადაადგილებენ უძრავი გადამცემის ახლოს. ველი იზომება $20 \times 20 \text{ cm}^2$ უბანში, 6x6 ელემენტისგან შემდგარ ბადეზე, ანუ სულ 36 წერტილში. ყოველ წერტილში იწერებ გულის ციკლის რამდენიმე პერიოდს, რათა გაასაშუალონ ჩანაწერები და პაციენტს გადაადგილებენ ისე, რომ გაზომონ შემდეგი

პედაგოგთა ქვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

წერტილი. შემდეგ, დროის გარკვეულ მომენტებში, რომელსაც აითვლიან R-პიკიდან, აგებენ მყისიერ დინამიკურ მაგნიტურ რეკაპს. ყოველი დრო შეესაბამება გულის ციკლის გარკვეულ ფაზას.

მაგნიტოკარდიოგრაფიაში (მკგ) და მაგნიტოენცეფალოგრაფიაში (მეგ) იუგნებენ მიღებული შედეგების წარმოდგენის ორ ძირითად ფორმას. ტრადიციული საშუალებაა იზოხაზების აგება, ანუ მრუდების გავლება, რომლებიც შეესაბამება მაგნიტური ველის ინდუქციის ერთსა და იმავე მნიშვნელობას და განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მუდმივი მნიშვნელობებით. მაგალითად, 5პტ (1პტ=10⁻¹² ტ): 0პტ, 5პტ, 10პტ და ა. შ.

ადამიანის სხეულის მაგნიტური ველების გაზომვის ძირითადი სამაღიციო საშუალებებია მაგნიტოკარდიოგრაფია (მკგ) და მაგნიტოენცეფალოგრაფია (მეგ). მკგ-ს უპირატესობა ტრადიციულ ელექტროკარდიოგრაფიასთან (ეკგ) შედარებით, მდგომარეობს ველის წყაროების მაღალი (1სმ რიგის) სიზუსტით ლოკალიზების შესაძლებლობაში.

ინფრაწითელი გამოსხივება. ადამიანის სხეულის ზედაპირზე ტემპერატურის განაწილებისა და დროში ცელილების შესახებ შედარებით ამომწურავ ინფორმაციას იძლევა დინამიკური ინფრაწითელი სითბოვიზის მეთოდი. ტექნიკური თვალსაზრისით, იგი ტელეფიზიის ზუსტი ანალოგია, მხოლოდ გადამცემი ზომავს არა ობიექტიდან არეკლილ ოპტიკურ გამოსხივებას, რომლის დანახვაც შეუძლია ადამიანის თვალს ტელევიზორში, არამედ მის საკუთარ, თვალით უხილავ ინფრაწითელ გამოსხივებას. სითბოვიზორი შედგება სკანერისაგან, რომელიც ზომავს სითბურ გამოსხივებას 3-დან 10 მიკრომეტრამდე დიაპაზონში და მოწყობილობისაგან, მონაცემების ანალიზისათვის და ეგზ-ს გამოსახულების დამუშავებისათვის. 3-10 მეტ დიაპაზონი არჩეულია იმიტომ, რომ სხეულის ტემპერატურის ცელილებისას, სწორედ აღნიშნულ დიაპაზონში შეინიშნება გამოსხივების ინტენსივობების შედარებით დიდი განსხვავებები. უმარტივესი სკანერები აწყობილია შემდგენ სქემით: სხეულის სხვადასხვა უბნიდან მომავალი სითბური გამოსხივება თანმიმდევრულად, რევალი სარკეების მეშვეობით პროეციონებიან ინფრაწითელი გამოსხივების ერთ მიმდებზე, რომელსაც აცივებენ თხევადი აზოტით. მიიღება თითქმის ისეთივე მკაფიო გამოსახულება, როგორიც აქვს ტელევიზორს. სითბოვიზორები 1წ-ში გადასცემენ 16 კადრს. სითბოვიზორის მგრძნობელობა ერთი კადრის გაზომვისას 0,1 K რიგისაა, მაგრამ ეგმ-ის გამოყენებით შესაძლებელია მისი მკვეთრი გადიდება გამოსახულების დასამუშავებლად.

სითბოვიზია ბიოლოგისა და მედიცინაში. ბიოლოგიაში სითბოვიზის გამოყენების შედეგია ცხოველთა თავის ტვინის ქერქის ტემპერატურის სიგრცითი განაწილების აღმოჩენა და რეგისტრაცია, რამაც საფუძველი დაუდო ფიზიოლოგიაში ახალი დარგის – თერმოენცეფალოსკოპიის განვითარებას. გასაზომად სითბოვიზორს მიმართავენ თავის ქალას ზედაპირისაკენ, რომელსაც წინასწარ მოცილებული აქვს სკალპი.

თერმოენცეფალოსკოპიამ შესაძლებელი გახადა თავის ტვინის ქერქის ზედაპირზე გავრცელებული ტალღების დანახვა. ტალღების ერთ-ერთი ტიპია გავრცელებადი დეპრესიის ტალღა, რომელიც ადიძვრება KCl სნენარის ინექციისას და მოძრაობს 3-5 მმ/წ-ში. აღმოჩნდა, რომ გავრცელებადი დეპრესიის ტალღა, რომელსაც ადრე არეგისტრირებდნენ თავის ტვინის ქერქის მხოლოდ ცალკეულ წერტილებში, ვრცელდება ინტენსიური სითბური ტალღის თანხლებით. ეს უკანასკნელი ჩანს, როგორც ტემპერატურის ლოკალური გადიდება (1K-მდე), გრძელდება მნიშვნელოვნად დიდხანს, ვიდრე ელექტრული ტალღა, და გამოწეულია სითბოს გენერაციით ტვინის ქერქის უჯრედებში.

სამწუხაროდ, ადამიანის ტვინის სითბური სურათების მიღება შესაძლებელია მხოლოდ დია ტვინზე ნეიროექირურგიული ოპერაციის მსგალელობისას, რადგან ინფრაწითელი გამოსხივების ძლიერი შთანთქმის გამო, სკალპი და ქალას სქელი ძვალი გადაუდახავ ბარიერს ქმნის ტვინიდან მომავალი სიგნალებისათვის.

სხეულის ინფრაწითელი სითბოვიზია ინფორმაციას იძლევა კანის ზედა შრეების – ეპიდერმისის რქოვანა შრის და 100 მეტ სიღრმეზე განლაგებული შრეების ტემპერატურის შესახებ. რადგან, როგორც საუციალურმა გაზომვებმა ახვენა, ინფრაწითელი დიაპაზონის ელექტრომაგნიტური ტალღები მიიღებიან სულ რაღაც 100მეტ მანძილზე ბიოლოგიურ ქსოვილებში გავლისას. ინფრაწითელი სითბოვიზია სხეულის სხვადასხვა უბნებში, კანში სისხლის მიმოქცევის შეფასების საშუალებაა.

მედიცინაში ინფრაწითელ სპექტროსკოპიას შედარებით ხშირად იუგნებენ ქედა კიდურების სისხლით მომარაგების ვიზუალიზაციისათვის. თუ მათი სისხლით მომარაგება დარღვეულია, მაშინ დისტალური უბნების ტემპერატურა მკვეთრად შემცირებულია. შემცირებული ტემპერატურის მქონე

პედაგოგთა ქვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“
უძნების ზონების რეგისტრირებით შესაძლებელია შეფასდეს დაავადების ხარისხი და თერაპევტული ღონისძიებების ეფექტურია.

დინამიკური სითბოვითი ფუნქციონალური სინჯების სხვადასხვა დოზებით ზემოქმედებისას სხეულის ტემპერატურის ცვლილებაზე დაკირვების საშუალებას იძლევა. მაგალითად, ტანსაცმლის გახდის შემდეგ, პაციენტის სხეული აღმოჩნდება სხვა ტემპერატურულ რეჟიმში და მიმდინარეობს ხანგრძლივი (15-20წ) ადაპტაცია. ამ პერიოდში სხეულის ტემპერატურის გაზომვის დინამიკა თერმორეგულაციის სისტემის ნორმალური ფუნქციონირების კრიტერიუმად შეიძლება ჩაითვალოს. ტემპერატურის ნები, მონოტონური ცვლილება – ჩვეულებრივი ნორმალური რეაქცია. დინამიკის გაქრობა მიუთითებს არასასიკეთო მდგრადერობაზე. ამგვარად აკონტროლებენ მაგალითად რეინტინგრომის განვითარებას. ადნიშნული დაავადებისას დარღვეულია ოერმორეგულაცია: ოთახის ტემპერატურის შემცირება ჯანმრთელი ცდისპირების კანის ტემპერატურის შემცირებას იწვევს, მაგრამ ზემოქმედებას ვერ ახდენს რეინტინგრომით დაავადებულებზე.

დინამიკური სითბოვითის მეთოდით შესაძლებელი გახდა ზახარია-გედის ზონებში ორგანიზმის რეაქციის ვიზუალიზაცია. წინა საუკუნეში რუსმა ექიმმა ზახარიამ და ავსტრიელმა მეცნიერმა გედმა აღმოჩნდეს, რომ სხეულის ზედაპირის გარკვეული უბნები სიგნალს იძლევიან მისი შესატყისი შინაგანი ორგანოს დაავადების შესახებ. მაგალითად, გულის უქმარისობისას ტკივილი აღინიშნება მარცხენა მხარეს და გადაეცემა მარცხენა ხელს. თუმცა ამ უბნების საზღვრების კონტურირება გართულებულია, რადგან იგი ემყარება პაციენტების სუბიექტურ რეაქციებს. სითბოვითის გამოყენება ეფუძნება იმ ფაქტს, რომ ფუნქციონალურ სინჯზე რომელიმე ორგანოს მტკიცნეული რეაქციის შემთხვევაში, აღიძვრება სისხლძარღვოვანი რეაქცია ზახარია-გედის შესაბამის ზონებში, რაც იწვევს კანის ლოკალური ტემპერატურის ცვლილებას.

ზემადალი სისტორის დააპაზონის ელექტრომაგნიტური ტალღები. სითბური მოძრაობის ხარჯზე გამოსხივებული ზემადალი სისტორის დააპაზონის ტალღების ინტენსივობა უმნიშვნელოა. ეს ტალღები ადამიანის სხეულში მიიღევიან ინფრაწითელ გამოსხივებასთან შედარებით უფრო სუსტად. ამიტომ სისტორით აღნიშნულ დააპაზონში სუსტი ელექტრომაგნიტური ელემენტის გასაზომი ხელსაწყოებით, ე.წ. ზემადალი სისტორის რადიომეტრებით შეიძლება გაიზომოს ტემპერატურა ადამიანის სხეულის სიღრმეში.

ადამიანის სხეულიდან ტალღებს იღებენ კონტრაქტური ანტენის – აპლიკატორის მეშვეობით. სამწუხაროდ ამ დიაპაზონში დისტანციური გაზომვები პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან სხეულიდან გამომავალი ტალღები ძლიერად აირეკლებიან უკუმიმართულებით სხეული – პაერის გამყოფი საზღვრიდან.

სხეულის ზედაპირის რადიოსითბური გამოსხივების მიხედვით სხეულის სიღრმეში არსებული ტემპერატურის განზომილების ანალიზისას მთავარი სითულე მდგრმარეობს იმაში, რომ ძნელია ტემპერატურის წყაროს სიღრმის ლოკალიზება. ინფრაწითელი გამოსხივებისათვის ეს პრობლემა მოხსნილია: გამოსხივება შთაინთქმება 100 მეტ სიღრმეზე, ასე რომ, მისი წყაროა კანის ზედაპირი. ზემადალი სისტორის დიაპაზონის რადიოტალღები შთაინთქმებიან რამდენიმე სანტიმეტრის მანძილზე.

სხეულის სიღრმეების ტემპერატურის გასაზომად ოპტიმალურია რადიომეტრები, რომელთა ტალღის სიგრძე თავისუფალ სივრცეში $\lambda=20-40$ სმ. შედარებით მოკლეტალღიან მოწყობილობებში შედწვადობის სიღრმე შემცირებულია რამდენიმე მილიმეტრამდე, ანუ ისინი ისევე როგორც ინფრაწითელი სითბოვიზორები, ზომავენ კანის ტემპერატურას, ხოლო უფრო გრძელტალღიან რადიომეტრებში ($\lambda=60$ სმ) ძალიან მაღალია ანტენის ზომები და მცირეა სივრცით გადაჭრის უნარი. მიუხედავად იმისა, რომ ზემადალი სისტორის რადიომეტრის მეთოდით ადამიანის სხეულში ზომავენ საშუალო სიღრმეების ტემპერატურას, მაინც ცნობილია, რომელ ორგანოებს შეუძლიათ ტემპერატურის შეცვლა. მაგალითად, კუნთური მუშაობისას ტემპერატურის ცვლილება დაკავშირებულია კუნთოვან ქსოვილთან, თავის ტვინის სიღრმეების ტემპერატურის ცვლილება, რომელიც აღწევს 1-2 K-ს, განისაზღვრება თავის ტვინის ქრქით და ა.შ.

ადამიანის სხეულში ტემპერატურის ცვლილების მექანიზმები. ადამიანის სხეულის ყოველი უძნის სითბური ბალანსი შენარჩუნებულია სამი ფაქტორის ხარჯზე: 1) სითბოს გენერაცია მეტაბოლიზმის ხარჯზე; 2) თერმოდიფუზიზის პროცესის მეშვეობით სითბოს მიმოცვლა სხეულის მეზობელ უბნებს შორის; 3) კონვექციური სითბოს მიმოცვლა სისხლის დინების მეშვეობით, სისხლთან ერთად, სითბოს მოდინებისა და გადინების ხარჯზე. კონვექციური სითბოს მიმოცვლის ხარჯზე ქსოვილების ნაწილი

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

შეიძლება გახურდეს, ნაწილი კი გაცივდეს. სხვადასხვა ორგანოში არტერიებით მოდენილი სისხლის ტემპერატურა განისაზღვრება სხეულის „სიობური ბირთვის“ (გულმკერდის) ტემპერატურით და შეადგენს დაახლოებით 37°C.

მოღუნებულ კუნთებში მოდენილი სისხლი (მათი ტემპერატურა~35,5°C-ია), იწვევს მათ გახურებას. ტენის ტემპერატურა ნეირონების აქტიური მუშაობის გამო ტოლია 38°C და მოდენილი სისხლი მას პირიქით, აცივებს. აქტიური გამომდინარე, სისხლის დინების დროებითი შეწყვეტა იწვევს კუნთის გაცივებას და ტენის ტემპერატურის მომატებას.

ფიზიოლოგიური გამოკვლევების მაგალითის სახით, განვიხილოთ კუნთის მუშაობისას კუნთოვანი ქსოვილის სიღრმეში ტემპერატურის ცვლილების დამოკიდებულება დროზე.

მოსვენების მდგრამარეობაში, ადამიანის ბიცეპსის სიღრმეში ტემპერატურა შეადგენს 35,5°C, კუნთური მუშაობის განხორციელების დაწყების შემდეგ, ტემპერატურის ზრდა უცებ არ ხდება, არამედ გარკვეული დაყოვნების – ლატენტური პერიოდის შემდეგ, რომელიც გრძელდება 20-30 წმ. ტემპერატურის ზრდა დაკავშირებულია კუნთში მეტაბოლიზმისა და სისხლის დინების გაზრდასთან და გრძელდება მუშაობის დასრულების შემდგაც.

ადამიანშავია, რომ ტემპერატურის მატება არ წყდება მუშაობის დასრულებისთანავე, არამედ იგი გრძელდება რაღაც პერიოდის მანძილზე და მხოლოდ ამის შემდეგ იწყება ნელი შემცირების პროცესი. თუ ადამიანს ხელზე წინასწარ მოვუჭვრო რეზინას და შევაჩერებო სისხლის მიმოქცევას, ამ შემთხვევაშიც, მუშაობისას ბიცეპსის ტემპერატურა იზრდება, თუმცა უფრო ნელა. ამ მონაცემებიდან გამომდინარეობს მთელი რიგი მნიშვნელოვანი დასკვნები ადამიანის კუნთის მუშაობის შესახებ: 1) კუნთის კუმშვად სისტემას – მიოფიბრილებს აქვთ მარგი ქმედების მაღალი კოეფიციენტი, რაზეც მიუთითებს ლატენტურ პერიოდში ტემპერატურის ზრდის შეჩერება. ამ დროს კუნთი იყენებს მაკროერგების: ატფ-ს და კრეატინფოსფატის მზა მარაგს. 2) ტემპერატურის ძირითადი მატება დაკავშირებულია არა მუშაობის შესრულებასთან, არამედ სითბოპროდუქციასთან, რომელიც განკირობებულია ატფ-ს სინთეზის ენერგეტიკული უზრუნველყოფით კუმშვის პროცესშიც და მუშაობის დასრულების შემდეგაც. ორივე პროცესი ერთნაირად პასუხისმგებელია ტემპერატურის ზრდაზეც და სისხლის დინების მომატებაზეც.

ზემადალი სისშირის რადიომეტრის გამოყენება მედიცინაში. ამჟამად, ზემადალი სისშირის რადიომეტრის პრაქტიკული გამოყენების ძირითად სფეროებს წარმოადგენს სხვადასხვა ორგანოების: მკერდის ჯირგალის, ტენის, ფილტვების ავთვისებიანი სიმსიგნეების, შეტასტაზების, ასევე თავის ტენის ქერქის ფუნქციონალური მდგრამარეობის დიაგნოსტიკა. ამასთან, იყენებენ ფუნქციონალურ სინჯებს, ანუ ზემოქმედებას, რომელიც ორგანიზმში იწვევს უკვე ცნობილ გამოძახილს. მაგალითად, გამოიყენება გლუკოზის სინჯი. ამ დროს პაციენტს აძლევენ რამდენიმე გრამ გლუკოზის სხსნას, რის შემდეგაც იწყებენ შინაგანი ტემპერატურის გაზომვას ანტენებით, რომლებიც განლაგებულია სხეულის ზედაპირზე, რამდენიმე წერტილში – გამოსაკვლევ ორგანოსთან ახლოს. ავთვისებიანი სიმსიგნის, ან მეტასტაზის არსებობის შემთხვევაში, გლუკოზის სინჯის მიღების შემდეგ აღნიშნული უბნის სიღრმეში ტემპერატურა იზრდება.

ტემპერატურის მატების შესაძლო ბიოფიზიკური მექანიზმი დაკავშირებულია იმ ფაქტონი, რომ გლუკოზი აქტიურად აითვისება უჯრედების მიერ. ჯანმრთელ უჯრედებთან შედარებით სიმსივნურ უჯრედებში გლუკოზის ატფ-ში გარდაქმნის ეფექტურობა ნაკლებია: სიმსივნურ უჯრედებში გლუკოზის ერთი მოლეკულიდან სინთეზირდება ატფ-ს ორი მოლეკულა, ხოლო ჯანმრთელში – 38. ამიტომ სიმსივნურმა უჯრედებმა უნდა გადამუშაონ გლუკოზის დიდი რაოდგნობა. რადგან ამ პროცესის მარგი ქმედების კოეფიციენტი არა უმცირეს 50%-ის ტოლია, სიმსივნური უჯრედები ძლიერ ხურდებიან. აღნიშნული პროცესი ფიზიოლოგიური მექანიზმებით აინდუცირებს ახლომდებარე ნორმალური ქსოვილების ტემპერატურის მატებასაც. ტემპერატურის ჯამური მატება რეგისტრირდება ზემადალი სისშირის რადიომეტრით, რაც დიაგნოზის დასმის საშუალებას იძლევა.

ადამიანის სხეულის ოპტიკური გამოსხივება. ადამიანის სხეულის ოპტიკური გამოსხივება საიმედოდ რეგისტრირდება თანამედროვე ტექნიკით. მათ აქვთ სინათლის ერთეული კვანტების რეგისტრირების და დენის ხანმოკლე იმპულსების გამოცემის უნარი, რომლებიც შემდეგ აითვლება სპეციალური ელექტრონული მრიცხველების საშუალებით. სხვადასხვა ლაბორატორიებში ჩატარებულმა გაზომვებმა აჩვენა, რომ ადამიანის კანის 1m^2 – 1m^2 -ში ყველა მიმართულებით სპონგინურად გამოასხივებს 6~60 კვანტს, ძირითადად სპექტრის მოლურჯო-მომწვანო უბანში. კანის

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

სხვადასხვა უბის ნათება განსხვავდება ერთმანეთისაგან. შედარებით ძლიერი გამოსხივება მოქმართება თითების ფალანგებიდან, გაცილებით სუსტი – მუცლისა და მკერდის უბნებიდან. ეს ნათება არ არის დაკავშირებული კანის დაბინძურებასთან, არამედ დამოკიდებულია პაციენტის ფუნქციონალურ მდგომარეობაზე – მცირდება მოსვენების მდგომარეობაში და იზრდება მისი აქტივობის ზრდასთან ერთად.

კანის ოპტიკურ გამოსხივებას არა აქვს სითბური ხასიათი. ოპტიკურ დიაპაზონში სითბური გამოსხივების ინტენსიურობა უმნიშვნელო – სხეულის ზედაპირის 1b^2 -დან რამდენიმე წამის მანძილზე გამოსხივდება მხოლოდ ერთი კვანტი.

სპონტანური ნათების შედარებით ალბათური მექანიზმია – ქემილუმინესცენცია, რომელიც გამოწვეულია ლიპიდების ზეპანგური ფანგით, რასაც თან სდევს აგზებულ ელექტრონულ მდგომარეობაში მყოფი მოლეკულების, ანუ რადიკალების წარმოქმნა. ასეთი მოლეკულების ურთიერთქმედებისას შემთხვევათა გარკვეული (მცირე) პროცენტით ხდება სინათლის გამოსხივება. ინდუცირებული ნათებისას შესაძლებელია სხვა მექანიზმებიც, მაგალითად, გაზომეს სისხლის უჯრედების – ნეიტროფილების გამოსხივება, რომელიც დაკავშირებული იყო ფანგბადის აქტიური ფორმების გენერაციასთან.

ადამიანის აკუსტიკური გელები. ადამიანის სხეულის ზედაპირი აწარმოებს განუწყვეტლივ რევებს. ეს რევები ატარებენ ინფორმაციას ორგანიზმის შიგნით მიმდინარე პროცესების შესახებ, როგორიცაა: სუნთქვითი მოძრაობები, გულისცემა, შინაგანი ორგანოების ტემპერატურა.

რამდენიმე კილოგრამი სიხშირის დაბალ შიბ შირული მექანიკური რევები ინფორმაციას იძლევიან ფილტრების, გულის, ნერვული სისტემის მუშაობის შესახებ. ადამიანის სხეულის ზედაპირის მოძრაობის დარეგისტრირება შესაძლებელია დისტანციური ან კონტაქტური გადამცემით. მაგალითად, ფონოკარდიოგრაფიაში გულის მიერ გამოცემული აკუსტიკური ხმაურის გასაზომად იყენებენ სხეულის ზედაპირზე დამაგრებულ მიკროფონებს. გამომავალ ელექტრულ სიგნალებს გადამცემით აძლიერებენ, გადასცემენ ეგზ-ის მარეგისტრირებელ მოწყობილობას და იღებენ ინფორმაციას სხეულის ამა თუ იმ უბის მოძრაობის შესახებ.

კოხლეარული აკუსტიკური ემისია. ცხოველის ან ადამიანის კურიდან გამოსხივდება ბგერები. ამ მოვლენას ეწოდება კოხლეარული აკუსტიკური ემისია, რადგანაც მისი წყარო ლოკალიზებულია კურის ორგანოში – ლოკოკინაში (cochlea). ამ ბგერების რეგისტრაცია შესაძლებელია კურის არხში მოთავსებული მიკროფონით. აღმოჩენილია კოხლეარული აკუსტიკური ემისის რამდენიმე სახეობა, რომელთა შორის გამოიყოფა ე.წ. სპონტანური ემისია და აკუსტიკური ექო.

სპონტანური ემისია ადამიანის კურიდან ბგერის თვითნებური, უწყვეტი გამოსხივებაა. ბგერითი წნევის დონე 20 დბ-ს აღწევს, ანუ 10^{-5} ჰერი ზღურბლოვან მნიშვნელობაზე ($2 \cdot 10^{-5}$ ჰ), რომლის აღქმაც შეუძლია ადამიანის კურს 1ტც სიხშირეზე. ემისიის სიხშირეები სხვადასხვა პირებში განსხვავებულია და ქვეს 0,5–5 ჭრ დიაპაზონში. გამოსხივება ხასიათდება მაღალი მონოქრომატულობით. ემისია შეინიშნება საშუალოდ მამაკაცების 25% და ქალების 50%. სპონტანურ ემისიას არავითარი კავშირი არა აქვს „კურებში ხმაურთან“, რომელიც ნერვული წარმოშობის სუბიექტური შეგრძნებად.

კოხლეარული აკუსტიკური ემისია დაკავშირებულია ლოკოკინას კორტის ორგანოში განლაგებული ე.წ. გარეგანი ბუსუსოვანი უჯრედების მოქმედებასთან. შემოსული ბგერითი ტალღის საპასუხოდ იცვლიან თავიანთ ზომებს და იწვევენ შიგა კურში მექანიკურ რევებს, რომლებსაც უკუმიმართულებით გავრცელების და შუა კურის გავლით გარეთ გამოსვლის უნარი აქვთ. უჯრედების გეომეტრიის სწრაფი ცვლის ბიოგიზმიკური მექანიზმი ჯერჯერობით უცნობია, მისი მოქმედების სიჩქარე ასჯერ მეტია კუნთების მოქმედების სიჩქარესთან შედარებით.

კოხლეარული აკუსტიკური ემისიის სახეებს შორის მედიცინაში კველაზე დიდი გამოყენება პპოვა აკუსტიკური ექოს, ანუ მოკლე ბგერითი სიგნალის გადაცემიდან რაღაც დროის შემდეგ კურიდან ბგერების გამოსხივების მოვლენამ. აღნიშნული მეთოდი გამოიყენება ახალშობილის სტენის დიაგნოსტიკისათვის დაბადების პირველ დღეებში, როცა შეუძლებელია აუდიომეტრიის ჩვეულებრივი მეთოდების გამოყენება. აკუსტიკური ექოს არქონა არა მარტო სიყრუის შემაშფოთებელი სიმპტომია, არამედ ხშირად ცენტრალური ნერვული სისტემის სხვა უბნების დაზიანებაზეც მიუთითებს. სიცოცხლის პირველივე დღეებიდან დროული დიაგნოსტიკა – აქტიური ზომების მიღებისა და არასასურველი შედეგების თავიდან აცილების საშუალებას იძლევა.

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

ულტრაბეჭრითი დიაპაზონის აკუსტიკური გამოსხივება. ადამიანის სხეული სხვადასხვა სისშირის სითბური აკუსტიკური გამოსხივების წყაროს წარმოადგენს. ჩვეულებრივ, აკუსტიკური ტალღები მოქმართების სხეულის სიღრმეებიდან, აირევალებიან სხეულის ზედაპირზე და უან ბრუნდებიან, თუმცა სხეულთან კონტაქტში მყოფ პიეზოგადამცემს შეუძლია მათი დარეგისტრირება. ადამიანის სხეულში გავრცელებული აკუსტიკური ტალღების თავისებურება იმაში მდგრადირებას, რომ რაც უფრო მაღალია სისშირე, მით უფრო ძლიერ მიიღევიან ისინი. ამიტომ ადამიანის სხეულის სიღრმიდან 1-10სში მანძილზე გავრცელება შეუძლიათ მხოლოდ მეგაჰერცული დიაპაზონის სითბურ ულტრაბეჭრით ტალღებს. ამ ტალღების ინტენსივობა სხეულის აბსოლუტური ტემპერატურის პროპორციულია. სითბური აკუსტიკური გამოსხივების ინტენსივობის გასაზომად იყენებენ ხელსაწყოს – აკუსტოტერმომეტრს. ამ ხელსაწყოს მეშვეობით შესაძლებელია მაგალითად, წყალში ჩაყვინთული ადამიანის სხეულის ტემპერატურის გაზომვა. აკუსტოტერმოგრაფიის გამოყენების მნიშვნელოვანი სფერო სიღრმეული ტემპერატურების გაზომვა ონკოლოგიაში – სხვადასხვა მეთოდების (ულტრამაღალი და ზემადალი სისშირები, ულტრაბეჭრა, ლაზერული გამოსხივება) გამოყენებით სხეულის სიღრმეში არსებული სიმსინეების გახურების პროცედურებისას. აკუსტოტერმოგრაფია პოტენციურად ერთადერთი არაინვაზიური მეთოდია, რომელსაც შეუძლია უმოკლეს დროში უზრუნველყოს მაღალი ხარისხის სივრცობრივი გამოყენება.

ადამიანის ფიზიკური ველები და ექსტრასენსები. უკანასკნელ წლებში, ადამიანის საკუთარი ველების შესახებ ინტერესის ზრდა განპირობებულია „ექსტრასენსების“ ფენომენით. ეს ადამიანები ხასიათდებიან ზემგრძნობელობით ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე პროცესების მიმართ და ავადმყოფთან შეხების გარეშე, ფარული დავადებების დიაგნოსტიკისა და მათი მკურნალობის უნარს ავლენენ..

მოვლენათა ჯაჭვი, რომელთა შედეგად ექსტრასენსი იღებს ინფორმაციას პაციენტის დაავადებული ორგანოს შესახებ „დიაგნოზის დასმისას“, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად:

1. დაავადებული ორგანო განსხვავდება ჯანმრთელისაგან როგორც ფიზიკური მახასიათებლით, მაგალითად, ტემპერატურით, ასევე ფიზიოლოგიური პარამეტრებით ანუ ნერვული სისტემიდან მასში შემოსული სიგნალებით;
2. ორგანოს სხვადასხვაგვარი მდგომარეობის შესახებ სხეულის ზედაპირს ინფორმაცია შეიძლება მიეწოდოს სიღრმიდან უშუალოდ – ენერგიის გადატანის ფიზიკური კანონების შესაბამისად, ან „ფიზიოლოგიური“ პროექტირების გზით. პირველ შემთხვევაში, ეს არ შეიძლება ხდებოდეს ჩვეულებრივი სითბოგადაცემის მექანიზმით, რომელიც მიმდინარეობს ძალიან ხელა; საგარაულოდ ინფორმაცია გადაეცემა სითბური, ზემადალის შირული ელექტრომაგნიტური ან მეგაჰერცული აკუსტიკური გამოსხივების გზით. ამ გამოსხივებებს სხეულის რამდენიმე სანტიმეტრიანი სიღრმიდან ზედაპირზე გამოაქვთ სითბოს წყაროები. „ფიზიოლოგიური“ პროექტირება შესაძლებელია განხორციელდეს ნერვული მექანიზმების ხარჯზე;
3. ავადმყოფი ორგანოს შესახებ ინფორმაციის გადაცემა დისტანციურად შესაძლებელია მხოლოდ ელექტრომაგნიტური ველების მეშვეობით, რადგან აკუსტიკური გამოსხივების გადაცემისათვის საჭიროა პაციენტის სხეულთან უშუალო კონტაქტი. ელექტრომაგნიტური გამოსხივების ამა თუ იმ დიაპაზონის გამოყენების შესაძლებლობა განისაზღვრება შესაბამისი გამოსხივების ინტენსივობით და მის მიმართ ექსტრასენსის ხელის მგრძნობელობით. ამჟამად არსებული მონაცემების საფუძვლზე, შეიძლება გამოვრიცხოთ დაბალის შირული ელექტრული და მაგნიტური ველები, ასევე ზემადალის შირული დიაპაზონის ტალღები, რადგან აღნიშულ სუსტ ტალღებს ადამიანი ვერ აღიქვამს. ოპტიკური დიაპაზონის გამოსხივებაც ვერ გამოგება ამგვარ აგენტად, რადგანაც კანის საკუთარი ნათების ინტენსივობა მიღიონჯერ ნაკლებია მზის ან ოთახის ხელოვნური განათების ინტენსივობაზე. სავარაუდოდ, „დიაგნოსტიკის“ რეჟიმში ინფორმაციის ყველაზე ალბათური გადამტანია სხეულის ელექტრომაგნიტური გამოსხივება სისშირეთა ინფრაწითელ, ან მასთან ახლო დიაპაზონში.

„მკურნალობის“ რეჟიმში მთავარი პრობლემაა, ექსტრასენსიდან პაციენტამდე ინფორმაციის გადატანის მექანიზმის გარევა. მეცნიერული გამოკვლევების შედეგად ექსტრასენსებს (ერთი გამონაკლისის გარდა) და ჩვეულებრივ ადამიანებს აღმოაჩნდათ ერთნაირი ფიზიკური ველები: არ დაფიქსირდა არც მძლავრი ოპტიკური, არც ინფრაწითელი, არც დეციმეტრული დიაპაზონის ზემადალი სისშირის გამოსხივება. თუმცა ინფრაწითელ გამოსხივებაზე დაფუძნებულ ვიზუალიზაციის აპარატზე,

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“

ზოგიერთ შემთხვევაში დაფიქსირდა ცდის პირთა ზედაპირული ტემპერატურის ცვლილება ექსტრასენსის დისტანციური, არაკონტაქტური ზემოქმედებისას.

არაკონტაქტური ზემოქმედების, ანუ ე.წ. არაკონტაქტური მასაჟის მექანიზმი ჯერჯერობით უცნობია. სავარაუდო, სითბური ინფრაწითელი გამოსხივება ზემოქმედების პროცესში არსებით როლს შეიძლება ასრულებდეს შემდეგნაირად: ინფრაწითელ დიაპაზონში საკმაოდ მაღალია გამოსხივების სიმძლავრე. ცდის პირის კანის სითბური წონასწორობა განისაზღვრება კანის მიერ გამოსხივებული და ოთახის კედლებიდან მის მიერ შთანთქმულ სიმძლავრეთა სხვაობით. რადგანაც ადამიანის კანისა და ოთახის კედლების ტემპერატურა რამდენიმე გრადუსით განსხვავდება, ამიტომ ადამიანის სხეულიდან მიმდინარეობს სიმძლავრის უწყვეტი გაცემა. თუ ცდის პირის კანის რომელიმე უბნის ზედაპირთან ადმონჩდება ექსტრასენსის ხელი, რომლის ტემპერატურა მეტია ოთახის ტემპერატურაზე, აღნიშნული უბანი გასცემს ნაკლებ სითბოს, რის შედეგადაც მისი ტემპერატურა მატულობს, რაზეც შეიძლება რეაგირებდეს კანის ოერმორეცეპტორები. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტემპერატურის ამგვარი მატება უმნიშვნელოა და K-ს ერთი მეათედი ნაწილის ტოლია, ხოლო კანის ოერმორეცეპტორები დაბალი მგრძნობელობით ხასიათდებინა. შესაძლებელია, კანის პროექციის იმ ზონებში, რომელიც „ავადმყოფი“ ორგანოს შესატყვისია, თერმორეცეპტორების მგრძნობელობა მნიშვნელოვნად მაღალია. ამ შემთხვევაში გასაგები იქნებოდა რატომ არის ექსტრასენსის ხელის მიახლოებისას ცდის პირის კანის მგრძნობელობა საკმარისი და რატომ არის აღიშნული ზემოქმედება სპეციფიკური. ამ მექანიზმების ახსნა საჭიროებს მომავალში სპეციალურ ფიზიკურ და ფიზიოლოგიურ გამოკვლევებს.

შედარებით ადრინიდელი მოსაზრების თანახმად, ე.წ. „ექსტრასენსორული“ ადქმა დაკავშირებულია უკიდურესად მაღალი სიხშირის (მილიმეტრული ტალღები) ელექტრომაგნიტურ გამოსხივებასთან, რომლის ტალღის სიგრძე თავისუფალ სივრცეში 2-8 მმ-ია, ამავე დროს ასეთი გამოსხივების ინტენსივობა მნიშვნელოვნად მაღალია სითბური გამოსხივების ინტენსივობაზე. ჯერჯერობით არ არსებობს ექსპერიმენტული მონაცემები, განსხვავდებიან თუ არა ერთმანეთისაგან ექსტრასენსები და ჩვეულებრივი ადამიანები მსგავსი ტიპის გამოსხივების უნარის მიხედვით.

ადამიანის ფიზიკური ველების და მისი რეცეპტორული სისტემების მგრძნობელობის შესახებ ამჟამად არსებული მონაცემები – ექსტრასენსორული ზემოქმედების პრობლემის თანმიმდევრული ფიზიკური აღწერის საშუალებას არ იძლევა. შესაძლებელია, ასეთი ზემოქმედება ფსიქოტერაპიის რომელიმე სახესხევობას მიეკუთხნებოდეს. ამ პიპორეზის შესამოწმებლად აუცილებელია ჩატარდეს ცდები, სადაც მოახდენება პაციენტის სენსორულ იზოლაციას ექსტრასენსისაგან. (დადებითი ეფექტის უქონლობა ამ პიპორეზის სამართლიანობას დაადასტურებს).

ადამიანის ფიზიკური ველების და მისი რეცეპტორული სისტემების მგრძნობელობაა, რომლის სრულყოფილ დახასიათებისათვის აუცილებელია ადამიანის სხვადასხვა ორგანოების მდგრმარეობის გამოყვალება უშუალოდ ამ ორგანოების, ან სხეულის იმ უბნების ელექტრომაგნიტური ან აქტივური გამოსხივების პასიური რეგისტრაციის საშუალებით, რომლებიც დაკავშირებულია აღნიშნულ ორგანოებთან ნერვული ან ჰემორალური კავშირებით.

ლიტერატურა – References

1. Антонов В. Ф., Черных А. М., Пасечник В. И., Вознесенский С. А., Козлова Е. К. Биофизика. М. 2003г.
2. Ремизов А. Н., Максина А. Г., Потапенко А. Я., Медицинская и биологическая физика. Москва, 2003г.
3. Владимиров Ю. А., Рощупкин Д. И., Потапенко А. Я., Деев А. И., Биофизика. 1983г. Москва, медицина.

Julakidze N., Margvelashvili N.

Human own fields

Summary

Any body moves around inside the processes in different physical fields. In this respect, people are no exception. The functioning of the human organism is called its natural physical fields generated fields. This paper discusses the

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი. რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“

Kutaisi Regional Teacher Training Institute. The republican scientific-methodical conference „Innovations and Traditions in Modern Education“ physical fields of human faces: Electromagnetic fields, acoustic fields, low -frequency electric and magnetic fields, mechanisms of the human body temperature change, the optical emission of the human body, human acoustic fields, he paper discusses the phenomenon of ekstrasensorikis.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Akaki Tsereteli State University